მიტროპოლიტი იეროთეოსი (ვლახოსი)

ერთი ღამე მთაწმინდის უდაბნოში

(საუბარი მეუდაბნოეებთან იესოს ლოცვაზე)

თარგმნილია წიგნიდან „Одна ночь в пустыне Святой Горы “ Москва, 2005 г.

მთარგმნელი – ელდარ ეკალაძე

რეცენზენტი – თბილისის ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე

თბილისი 2007

სარჩევი

წინასიტყვაობა 4
შესავალი 6
დუმილი - მონაზონთა სიტყვა და ცხოვრება 9
საღამო მთაზე 18
აღსვლა ჩემს თაბორზე 20
შეხვედრა მეუდაბნოესთან 24
საუბარი ბერთან ლოცვის შესახებ 31
1. იესოს ლოცვის მნიშვნელობა 33
2. იესოს ლოცვის შესწავლის ეტაპები. 42
3. იესოს ლოცვის მოპოვების გზები. 49
4. ეშმაკის ბრძოლა და მისი წინააღმდეგობა. 6
5. მადლის მოსვლა და გაუჩინარება. 90
6. იესოს ლოცვის ნაყოფები. 99
7. შეცდომები იესოს ლოცვის სწავლისას და მათი აღმოფხვრა. 125
8. ლოცვა აუცილებელია ერში ყველა მცხოვრებისთვის. 139
9. ლოცვა სხვათათვის. 145
მეუდაბნოის თხოვნა 149
შუაღამე მთაწმინდის უდაბნოში 153
საღმრთო ლიტურგიის (ფირვის) აღსრულება 159
ჩამოსვლა ჩემი თაბორიდან 165
დასასრული 167

ბერძნული სიტყვა „γεροντα“ (რუსულად „старец“) ჩვენ ვთარგმნეთ სიტყვით „ბერი“, რომელიც ამ ცნების აღმნიშვნელ ყველაზე შესაფერის ტერმინად მიგვაჩნია. შესაბამისად სიტყვა „монах“, ყველგან ითარგმნება, როგორც „მონაზონი“.

რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო აეტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ.

ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი

სასამეცნიერო	სრ
24.05.02	№ 174

„ლოცვა სულიერი განსჯით აღთქმული მიწაა; მასში ღმრთის განგებულებისა და მსჯავრის მიზეზთა ცოდნა, რძისა და თაფლის მსგავსად იღვრება..."

(წმინდა მაქსიმე აღმსარებელი).

„თუკი გულისთქმანი და ბილწი ნდომანი აღიგზნება, თუკი აღძრული ხორცი შფოთავს, თუკი ეშმაკი მთელი სიევრაგით, აზრით და საქმით განგვცდის ჩვენ, დაე, ყოველივეს სარწმუნოებით, ფსალმუნთა გალობით, კითხვით, სიმდაბლით და სხვა მოღვაწეობით, მაგრამ ყველაზე მეტად კი კაცთმოყვარე ღმერთისა და ჩვენი მაცხოვრის — იესო ქრისტეს სახელის მოხმობით ვძლიოთ..."

(ღირსი ნილოს სინელი).

„ჩვენ, ეგვიპტიდან და ფარაონისგან გასვლის და გაქცევის მსურველებს, აუცილებლად ვინმე მოსე ღმერთთან და ღმრთისმიერი შუამავალი გვჭირდება, რომელიც, ქმედებასა და ჭვრეტას შორის დამდგარი, ჩვენს ნაცვლად აღაპყრობდა ხელებს ღმრთისადმი, რათა ჩვენ, მის მიერ წამძღვარებულთ, ცოდვის ზღვა გადაგველახა და ვნებათა ამალექი დაგვეთრგუნა; ხოლო შეცდნენ ისინი, ვინც სასოება საკუთარ თავზე დაამყარეს და წარმოიდგინეს, რომ არავითარ წინამძღოლს არ საჭიროებენ".

(წმინდა იოანე კიბისაღმწერელი).

წინასიტყვაობა

საღმრთო სიყვარულის ზემოქმედებით, ჩვენს ხანაში მამათა და მისტიკური ღმრთისმეტყველებისადმი, მარხვისადმი, ასკეტიკისადმი და განუწყვეტელი გულისმიერი და გონებრივი ლოცვისადმი სწრაფვა ცოცხლდება.

როგორ ხდება, რომ ანთროპოცენტრულ, მატერიალურ და საერო იდეათა შორის იღვიძებენ სულები, ქრისტეში ჭეშმარიტი ცხოვრებისაკენ, სრულყოფისაკენ, ღმერთთან შეერთებისაკენ, ღმერთკაცი იესო ქრისტეს მიერ მოცემული, წმინდა საეკლესიო, წმინდათა მამათა გარდამოცემითი ცხოვრებისაკენ რომ ისწრაფვიან? ***„ესე არს განახლებაი მარჯუენისა მაღლისაი"*** (ფსალმუნნი, 76, 11). ეს სულიწმინდის მოქმედებაა, რომელიც მუდმივად ცხოველსმყოფელობს და მუდმივად განწმენდს და განანათლებს სულებს ქრისტეს სხეულში ჩვენს წმინდა მართლმადიდებელ, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში.

მრავალი განცდის შემდეგ, დღეს ადამიანები შეიმეცნებენ, რომ ჩვენი ღირსი მამების გარდამოცემა უსარგებლო რელიკვია კი არა, არამედ ჭეშმარიტი და ნამდვილი მართლმადიდებლური ზნეობის და ცხოვრების პირობაა.

ღმრთის უდიდესი სიკეთეა ის, რომ ეკლესიის შიგნით ყოვლადმოწყალე უფალმა ღმრთისმშობლის სამოთხისეული ბაღი წმინდა მთა (ათონი) დანერგა, რათა მთელი ეკლესია ღმრთის მადლის საიდუმლოებრივი მოფენით განაცხოველოს (გამოაცოცხლოს), რომელიც, განუწყვეტელი და დღემდე მოქმედი ტრადიციით, მის ძველ და ახალ წმინდანებში მკვიდრობს.

ამ ტრადიციასთან ზიარების შინაგან მოთხოვნილებას ამ ნაშრომის ავტორიც განიცდის. იგი ერში ცხოვრობს და მოღვაწეობს, მაგრამ, მოციქულივით, მამული მთაწმინდის „ცათა შინა" აქვს, რომელიც (მთაწმინდა) ღმრთის ცათა სასუფევლის წინამორბედია.

ღმრთისმოყვარე უფალმა რომელიც ჩვენი გულისამებრ გვაძლევს — ავტორსაც თავისი მადლი მისცა, რათა მას შეეყვარებინა და სულიერი გრძნობით ეგრძნო მთაწმინდა და მისი გულის მისტიკური ცემა მოესმინა, რაც სხვა არა არის რა, თუ არა „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". იგი წმინდა ბერებს ესაუბრა, მათი წმინდა ლოცვების ღირსი გახდა, საუკუნო ცხოვრების სიტყვები მოისმინა, რომელთაც იგი თავის ძმებს გადასცემს, მათდამი სიყვარულის გამო, თავისი გულის სისავსისაგან. ჩვენი ღირსი მამების კაცთმოყვარების მოწმობა იმით გამოიხატება, რომ ისინი ჩვენ სიწმინდის მწვერვალებს გვიცხადებენ, გვამხნევებენ, რომ სულიერი აღმავლისას სასო არ წარვიკვეთოთ, და ამავე დროს პირველ საფეხურებს გვიჩვენებენ, რომლითაც ჩვენ, არასრულყოფილებმა, უძლურებმა აღმასვლა უნდა დავიწყოთ, რადგან ახალდამწყებნი და გამოუცდელნი ვართ. ისინი ჩვენ სიმაღლეებს გვიჩვენებენ, თუმცა გვარიგებენ, რომ მცირედან დავიწყოთ.

აი, რატომაა, რომ გონიერი ლოცვის შესახებ სწავლება აქ არა მხოლოდ მისი სრულყოფილი ფორმით, არამედ მის პირველ სტადიებზეც გადმოიცემა, რომლის გავლაც, განმტკიცებისა და განწმენდისათვის, ერში მცხოვრებ ჩვენს ძმებსაც ძალუძთ.

მრწამს, რომ დედოფალი ღმრთისმშობლის კურთხევით რომელიც წმინდათა წმიდაში, სამება ღმერთთან ურთიერთობაში და სულიერი აღმასვლის სისავსით ცხოვრობს, - ამ ნაშრომის პუბლიკაცია დამწერსაც და მკითხველსაც სარგებელს მოუტანს. შენიშნულია, რომ რამდენადაც კეთილმსახური ქრისტიანები უღრმავდებიან წიგნებს, რომლებიც იესოს კურთხეულ ლოცვაზე მოგვითხრობენ, იმდენად აღენთება მათში სურვილი ამ ლოცვაში მეცადინეობისა.

საუკუნო დიდება და მადლობა ღმერთსა ჩვენსა, ვისგანაც ყოველგვარი კეთილი და სრულყოფილი ნიჭი გვეძლევა.

ღირსი გრიგოლის ზოგადცხოვრებულთა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი გიორგი.

შესავალი

მომდევნო გვერდებზე აღიორიტ (მთაწმინდელ) ბერთან საუბარი გადმოიცემა. მე მისი გამოქვეყნების განზრახვა არ მქონდა. მაგრამ, როგორღაც, წმინდა მაქსიმეს (აღმსარებლის) თხზულებათა კითხვისთვის მზადებისას, შინაგანი ხმა მომესმა, რომელიც ბრძენ მონაზონთან საუბრის აღწერაში მარწმუნებდა. ხმისადმი დამორჩილებული, - რომელსაც, გამოგიტყდებით, ადრე ყურს არ ვუგდებდი, მე ისე დავიწყე, როგორც აზრად მომივიდა. ამგვარად შეიქმნა ეს ნაშრომი - სულ რაღაც რამდენიმე საათში, და მისი ნაადრევობის გამო მკითხველის შენდობას ვითხოვ. მსურს რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო.

პირველი. საუბარი წაიკითხეთ, არა როგორც მოთხრობა ან ისტორიული ამბავი, არამედ როგორც ღმრთისაგან მოვლენილი მადლმოსილი სწავლება ბრძენი მთაწმინდელისა. საჭიროა ზოგჯერ გავჩერდეთ და განვსაჯოთ, მაგრამ ყველაზე მეტად უნდა ვილოცოთ. შესაძლოა, წაკითხულთან კიდევ ერთხელ დაბრუნება გახდეს საჭირო.

მეორე. ეს წიგნი იმ მიზნით იკითხეთ, რითაც იგი დაიწერა, ესე იგი, ცხოვრებაში განახორციელეთ ის, რასაც იგი გვასწავლის. თუკი ოდესმე გავბედავთ, ჩვენ შევძლებთ იესოს ლოცვის საღმრთო წყვდიადში შევიდეთ, რომელიც სინასა და თაბორის მთაა. იქ ჩვენ ღმერთს შევხვდებით. „ღმრთის სახელის მოხმობას თან ახლავს მისი (ღმრთის) უშუალო გამოცხადება, რამეთუ სახელი - მისი იქ ყოფნის სახეა". ეს თვალსაზრისი უფლის სიტყვებს ეთანხმება: *„... რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა"* (მათე, 18, 20) და მოციქულის სიტყვებსაც: *„...არავის ხელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა"* (1 კორინთელთა, 12, 3). იმ ჟამს, რო-

ცა ვინმე იესოს ლოცვას ლოცულობს (იქმს), სულიწმიდა მასზე გადმოდის, მსგავსად ღრუბლისა თაბორის მთაზე.

მესამე. დაე, მკითხველი იმ მონაზონის აღმოჩენას ნუ ეცდება, ვისაც მე ვესაუბრე. მან შეიძლება იგი ვერ იპოვოს ან თავის განსჯაში შეცდეს. ეს არც იმ წმინდა ბერს სურდა.

მეოთხე. შესაძლოა, ჩვენზე შთაბეჭდილება მოახდინოს მრავალრიცხოვანმა ციტატებმა წმიდა მამათა ნაშრომებიდან. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ მოშურნე მთაწმინდელებს ისეთივე სული აქვთ, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მამებს. მათში იგივე ყოვლადწმიდა სული ცოცხლობს და მოქმედებს, რომელიც წმიდა მამებში ცოცხლობდა და მოქმედებდა. მათ გონების ისეთივე მოწყობილობა აქვთ, რაც მამებს, რისი წყალობითაც ისინი იოლად, დაძაბულობისა და განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე აღიქვამენ წმიდა მამათა აზრებს.

ამას გარდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საუბრის განმავლობაში, ბრძენი და ღმრთივშთაგონებული მეუდაბნოე ხშირად შლიდა წიგნებს, რომელიც მის ახლოს იმყოფებოდა (წმიდა გრიგოლ პალამასი, წმიდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველისა, „სიკეთისმოყვარეობას" (ფილოკალია), და სხვა), კითხულობდა და განმარტავდა მრავალ ადგილს.

მე მხურვალედ ვლოცულობ მასზედ, რომ ადამიანები ღირს იქმნენ იესოს ლოცვით ცხოვრებისა (რომელმაც ამდენი განწმინდა), რათა მან ისინიც განწმინდოს.

ჩემი ვალია მივმართო გმირულ და თაყვანისცემის ღირს ნიმუშებს, საღმრთო სიყვარულის მიმბაძველთ ათონის მკვიდრთ, სოფლის დამტოვებელთ და ნამდვილ სოფელში მცხოვრებთ - არა მოუწესრიგებელ, არამედ განახლებულ სოფელში, ღმერთთან მცხოვრებთ. ეს ქრისტეს თანამედროვე მოწამენი არიან, „გრძნობით მისგან (სოფლისგან) განშორებულნი და აზრებით მისთვის (სოფლისთვის) მკვდარნი". ამ წმინდანებმა არაერთხელ აღმომიჩინეს მხარდაჭერა და შემწე-

ობა, და თავისი პური გამომიწოდეს; და მე, მშიერი, დიდად დავალებული ვარ მათგან. მე გლახაკი ვარ და მათგან ეს მცირე საკვებიც რომ არ მიმელო, მოვკვდებოდი. მე მწყურია და ვცოცხლობ მათი მადლით, კურთხევით და სიყვარულით.

ცის ამ მკვიდრთ - ათონელ მამებს - ეძღვნება ეს ნაშრომი, როგორც მათი სიყვარულის საპასუხო საჩუქარი. მათ, ვინც მხურვალედ შეიყვარა სამმაგი უპოვარება: მატერიალური (საკუთრების არარსებობა), სულიერი (სიმდაბლე და მორჩილება) და ხორციელი (თავშეკავება). მათ, ვინც „ჭეშმარიტად განვლო უფლის ყველა ნეტარება: სულით დაგლახაკებულნი გამდიდრდნენ; მშვიდებად იქცნენ და ქვეყანა დაიმკვიდრეს; იგლოვდნენ და ნუგეშინის-ცემულ იქმნენ; შიოდათ და სწყუროდათ სიმართლისათვის და განძღნენ; მოწყალენი გახდნენ და შეწყალებულ იქმნენ; გულები განიწმინდეს და ღმერთი იხილეს; მშვიდობა დაამყარეს და ძედ ღმრთისად იწოდნენ".

წმიდანო მამანო, ღირსნო მეუდაბნოენო! ჩვენ ცოდვილნი, „მოვალენი ვართ და გნატრით: „ყრმანი - უხუცესებს, შვილები მამებს, დასჯილნი წმინდანებს“ (ღირსი ნიკოდიმე მთაწმინდელი).

არქიმანდრიტი იეროთეოსი (ვლახოსი).

„მოიხსენე, უფალო, ქალწულებასა, კეთილმსახურებასა და შრომათა შინა მცხოვრებნი და მთებსა, ქვაბებსა და ხევებში მოღვაწენი, სახელისა შენისათვის წმიდისა, ღირსნი მამანი და ძმანი ჩვენნი".

(უფლის ძმის, წმიდა იაკობის საღმრთო ლიტურღია).

დუმილი - მონაზონთა სიტყვა და ცხოვრება

მთაწმინდა იდუმალი ადგილია, სადაც ასე გამომხატველად საუბრობს დუმილი, ანუ თვით მარადისობა, რამდენადაც დუმილი მერმისა მის საუკუნის ენაა. წმინდა ანგელოზთა მსგავსად, რომელნიც სხვა, ჩვენთვის გაუგებარ გონიერ ძალას ფლობენ, რომლის საშუალებითაც ისინი ერთმანეთს საღმრთო აზრებს გადასცემენ - მთაწმინდაზე მცხოვრებ ქვეყნიერ ანგელოზებს ცხოვრებით და ლოცვით ზეციერებს და უხორცოებს რომ ჰბაძავენ, სხვა ძალა აქვთ, რომლის საშუალებითაც ისინი თავისი ცხოვრების გამოცდილებას გადმოსცემენ. ეს ძალა დუმილია, რომელიც, განსაკუთრებით მთაზე, დამაჯერებელ მჭევრმეტყველებად, უტყვ დარიგებად ითვლება. იქ ბევრს არ ლაპარაკობენ, მაგრამ, მდუმარებაში საღმრთო საიდუმლოებით ცხოვრობენ და მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველების აპოფატურ გამოცდილებას თავისი ცხოვრებით შეიცნობენ. ღმრთის ხმას მდუმარედ უსმენენ და სათნოებას იძენენ. წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის სიტყვით, „სათნოების მოხვეჭის სწრაფი გზა არის მდუმარება პირზე მომდგარის საპასუხოდ, თვალთა სიბრმავე და ყურთა სიყრუვე".

მონაზონთა დუმილი დამრიგებელია. „პატერიკში" მოთხრობილია, რომ ერთხელ მთავარეპისკოპოსი თეოფილე სკიტში მივიდა. მთელი ძმობა შეიკრიბა და აბბა პამბოს ეუბნება: „უთხარი პატრიარქს სასარგებლო სიტყვა". ბერმა მათ უპასუხა: „თუკი ჩემი დუმილისაგან სარგებელი ვერ მიიღო, ჩემი სიტყვაც ვერ დაეხმარება". მთაწმინდაზე დუმილის სწავლის სურვილით უნდა შეაბიჯო. თუკი ამას გაიგებ, მაშინ ყოველივე საუბარს დაგიწყებს. მონაზონთა მდუმარე იერი, მეუდაბნოეთა ქვაბულები, ლმობიერების აღმძვრელი მონასტრები, ბუნება და

უსულო საგნები მრავალ ისტორიას მოგიყვება და შენთვის შესანიშნავი დამრიგებელი აღმოჩნდება. მთელი მთაწმინდა ამგვარად („დუმილით") საუბრობს.

თუმცა, მონაზვნები ზოგჯერ საუბრობენ; და მაშინაც სარგებლობა მოაქვთ, რადგანაც სათნო ცხოვრებას ეწევიან. ეს კი „უსიტყვოდ უფრო სარგებელს მოგიტანს, ვიდრე სიტყვა კეთილი ცხოვრების გარეშე. რამეთუ მდუმარე გვეხმარება, მყვირალა კი გვაწყენინებს. მაგრამ, თუ სიტყვა და საქმე ერთდება, იგი მთელი სიბრძნისმოყვარების სრულ ძეგლად იქცევა" (ღირსი ისიდორე პელუსიოტი). მათ (მონაზონებს) წმინდა ცხოვრება აქვთ, სულიწმინდის კითარებად და წმინდა სამების საიდუმლო საყვირებად იქცნენ, სიყვარულის ნიჭი, სიბრძნის სიტყვები მიიღეს და როცა საუბრობენ, უეჭველი სარგებელი მოაქვთ. მათ სათქმელი აქვთ, რადგანაც საქმეთა სიუხვე აქვთ. ისინი კი მაშინ საუბრობენ, როცა მათ ეკითხებიან. „პატერიკიდან" ცნობილია თხოვნა: „აბბა, მითხარი სიტყვა, თუ როგორ ვცხონდე". უდაბნოს ენაზე „სიტყვას" „გამოუთქმელი და ჭეშმარიტი" აზრი ეწოდება, რომელიც მეუდაბნოის გულიდან სულიწმინდის ნაშობივით გამოდის და შემკითხველი მას, როგორც მადლის ნაყოფს იღებს, საკუთარი გონებით არ აანალიზებს და სულიერი მამის (მოძღვრის) ეს სიტყვა მისი ცხოვრებისათვის ყველაზე აუცილებელია.

მაშასადამე, სიტყვა საღმრთო სიყვარულით მოწყლული ღმრთისმოყვარე სულიდან გამოდის და შემკითხველის სურვილის ზომისაებრ ითქმება. ღმრთისმშობლის მსგავსად, სულიწმინდისაგან მამის სიტყვა რომ მიიღო, ღმერთკაცი ქრისტე შვა და ყოველი ქმნილების სიხარულად იქცა, მამებმა თავისი სიწმინდისამებრ მიიღეს სიტყვა და მას მწყურვალთ და სიხარულით მის აღმსრულებელთ ატყობინებენ... „აბბა ფელიქსს ზოგი ძმათაგანი და მათთან ერთად ერისკაცნი მიუახლოვდნენ. და სთხოვეს მათთვის რაიმე სასარგებლო ეთქვა. მაგრამ ბერი დუმდა. მრავალი თხოვნის შემდეგ მან უპასუხა:

„სიტყვის მოსმენა გსურთ?" - „დიახ, აბბა". მაშინ ბერმა უპასუხა: „ამჟამად აღარ არის სიტყვა. როცა ძმები ბერებს ეკითხებოდნენ და ასრულებდნენ, რასაც ისინი ეუბნებოდნენ, ღმერთი გარდამეტებულად აძლევდა სიტყვის მადლს. ახლა კი, რამდენადაც კითხულობენ, მაგრამ არ ასრულებენ იმას, რაც ესმით, ღმერთმა იგი (სიტყვის მადლი) ბერებს წაჰგვარა. და აღარ უწყიან რა თქვან, რამეთუ აღარ არის ის, ვინც მას შეასრულებს". ამის მომსმენმა ძმებმა ამოიოხრეს და თქვეს: „აბბა, ილოცე ჩვენთვის" („პატერიკი"). ამ მაგალითით ჩანს, რომ სიტყვა მადლით არის განწმენდილი (ნაკურთხი). მადლი სუფთა და წმინდა ადამიანებს განანათლებს და მათ ცხოვრებას მათს სიტყვებში „ახორციელებს". ამას გარდა, სიტყვა მისი სულიერი წყურვილის მიხედვით ითქმება, ვინც კითხულობს. და კიდევ ამ მაგალითით ჩანს, რომ მონაზონებს რბილი გაკიცხვითაც კი ძალუძთ, რომ ყველაზე ცივი გულები სიკეთისკენ მიდრიკონ. ხოლო როცა უბრალოებით, სიმდაბლით და ნათქვამის შესრულების მზადყოფნით შეეკითხები, მაშინ მადლის სიტყვებს, უბრალო, მდაბალ, ბრძნულ და კეთილ გამონათქვამებს - ზემოდან მონიჭებულ გამონათქვამებს მოისმენ.

სიბრძნის ამ სიტყვით არიან აღნიშნულნი (დატვიფრულნი) ქრისტეს მიმბაძველები, რომელიც თვითონ არის მამის მქუხარე სიტყვა და ამავდროულად ღრმა დუმილი. იგი საუბრობდა, მაგრამ დუმდა კიდეც. უეჭველად, ღმრთის მოძრაობა ადამიანისკენ ეს არა მხოლოდ „სიტყვის გამოცხადებაა", არამედ „მდუმარების გამოხატულებაც". თავის მხრივ, ღმრთისაკენ და თავისი ძმისაკენ ადამიანის მოძრაობა დასახელებული ორი ელემენტით უნა გამოირჩეოდეს. ეწვიე მთაწმინდას უფრო მეტად დუმილის დახმარებით სწავლების სურვილით, ვიდრე სიტყვისა.

მეუდაბნოენი ათონელი ბერები უდაბნოს ცხოვრებით ცხოვრობენ. ისინი სამოთხეში მყოფობენ. ისინი - ნამდვილი

მჭვრეტელნი არიან, ქრისტეში სრულყოფილი ცხოვრებით რომ ცხოვრობენ „თიხის ჭურჭლებში", სხეულებში, რომელიც ასკეტური შრომით და მოყვასის მსახურებით არის დაუძლურებული. იქ რეალურ განღმრთობას (ვუწოდოთ მას ასე) იხილავ და არა თეორიულს, რომელსაც ისინი ასწავლიან, ვინც ჭეშმარიტი ღმრთისმეტყველება ვერ იგემა... მეუდაბნოენი სარწმუნოებით და საქმეებით ცხოვრობენ, რამეთუ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სარწმუნოება საქმეთა გარეშე მეოცნებეობაა, და საქმენი სარწმუნოების გარეშე კერპთმსახურება. მათს გაუხეშებულ სხეულებში (მათ ხომ სოფელი მისი პირმოთნე კეთილშობილებით დატოვეს) ღმრთის მადლი და ქრისტეს ხატება აღიბეჭდა. წმინდა მოღვაწეთა კრებული „გაურბოდა მას, რაც ბუნების საწინააღმდეგოა, ცხონდებოდა მასში, რაც ბუნებითია, და ზებუნებითად ღირს იქმნა ნიჭებისა" (წმინდა ნიკოდიმე).

ათონელ მონაზონთა მხილველი, იფიქრებ: როგორი უბედურნი და მწუხარენი არიან ისინი, მაგრამ როცა მათი სულების ჭურჭლები შინაგანი სიმშვიდით გადაივსება, მაშინ ისინი შენც გნთქავს. ისინი ძალიან წყნარ წყალზე დიდი კაშხალების მსგავსია, რომელიც გარღვევისას მათს ძალას გვიჩვენებს, რამდენადაც მთელს შემოგარენს ტბორავს. მეუდაბნოის გახსნილი ბაგეები კეთილსურნელებას გფენს. წმინდა მონაზონთა ბაგეები „თაფლის გადმომდენი წყაროები და მომდინარე სუფთა ნაკადულებია" (წმინდა იოანე ოქროპირი). ერთი შეხედვით, მონაზონებს უსარგებლოდ ჩათვლი, თუმცა ძალზე სწრაფად გაიგებ, რომ ისინი „ცამდე აწვდილი და კეთილჩრდილოვანი ხეებია", საფარველს და სიგრილეს რომ იძლევიან. შენ მათ ფლასებში ჩაცმულებს და ურთიერთობის არამოყვარულებს იხილავ არახელოვნური სისუფთავის, „დაუბანლობის" მიზეზით, მაგრამ ძალიან სწრაფად შენიშნავ, რომ ისინი „ნაყოფისმომცემი და დაუჭკნობელი მცენარეები", „მარადყვავილოვანი და განსაკუთრებით კეთილსურნელო-

ვანი შროშანებია", რომელთა სურნელება მოგიცავს და ეს იმიტომ, რომ მათ შორისაა ქრისტე ჭეშმარიტი ცხოვრება. მათი ცხოვრება ქრისტეშია დაფარული".

ყოველ მთაწმინდელ მონაზონში, ვინც წმინდა მამათა ნაკვალევს მიჰყვება და მათი ტრადიციებით ცხოვრობს, თუ ღმრთის სული გაქვს, გარეგნულად ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობათა **სიკვდილისა და სიცოცხლის** თანაარსებობას დაინახავ. ყოველდღიური სიკვდილიდან სიცოცხლე გამოედინება და სიცოცხლის ფლობისაგან უფრო ძლიერად კვდება სიკვდილი. რაც უფრო დიდია სიკვდილის (ცოდვის) სიკვდილი, მით უფრო მტკიცდება (ძლიერდება) სიცოცხლე - ქრისტე; ძლიერდება სიცოცხლე - ითრგუნება სიკვდილი, საკუთარ თავში ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების შეგრძნებამდე, ესე იგი ცოდვა კვდება და სიცოცხლე იბადება. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მონაზონები სიკვდილით იმოსებიან და სიცოცხლეს იღებენ. პავლე მოციქული რომაელებს სწერს: ***„ქრისტე აღდგა მკუდრეთით, არღარა მოკუდეს, და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლებდეს. რამეთუ რომელი-იგი მოკუდა, ცოდვითა მოკუდა ერთ-გზის, ხოლო რომელი-იგი ცხოველ არს, ცხოველ არს ღმრთისა"*** (რომაელთა, 6, 9-10). ღირსი ნიკიტა წერს, რომ იგივე ხდება ქრისტეს მიმბაძავ წმინდა ადამიანთან: სოფლისთვის მომკვდარი, იგი ქრისტეს ცხოვრებით ცხოვრობს: „მკვდარ საქმეთაგან აღმდგარი ქრისტესთან აღდგა. თუ იგი შემეცნების წყალობით ქრისტესთან აღდგა, მაშინ, რამდენადაც, ქრისტე აღარ კვდება, შეუმეცნებლობის სიკვდილი მასზე ვეღარ უფლებს. სხეულის სამჭედურების (ანკესების) მოკვდინებით და ამაო ზრუნვათა განგდებით იგი ხორცისა და სოფლისათვის აღარ ცოცხლობს. არამედ მასში ქრისტე ცოცხლობს, ანუ მას სულიწმიდის მადლი წინამძღოლობს და არა სხეულის კანონი; თავისი ასონი მან მამა „ღმერთს სიმართლის იარაღად შესთავაზა".

ამას გარდა, განღმრთობილ მონაზონებში სიწყნარის და მოძრაობის თანაარსებობას შეხვდები. წმინდა მაქსიმეს სიტყვებით, ისინი „მუდმივმოძრავ სიწყნარესა" და „დამდგარ მოძრაობაში" ცხოვრობენ. ისინი ქრისტეში მყოფობენ და ყოველთვის მასში სრულყოფილი ნეტარებისაკენ მიისწრაფიან, რამეთუ ქრისტე მრავალღირებული (ძვირფასი) მარგალიტია. ამას წმინდა გრიგოლ ნოსელი ხატოვნად განმარტავს: „ყველაზე დაუჯერებელი ისაა, თუ სიწყნარე როგორ შეიძლება, რომ მოძრაობაც იყოს? რამეთუ, აღმავალი არ დგას, და დამდგარი არ ადის; აქ კი, იმის წყალობით, რომ დგახარ, მაღლდები. ეს იმიტომ, რომ რაც უფრო მუდმივად და შეუდრეკლად მტკიცდება ვინმე სიკეთეში, მით უფრო ჩქარა გადის იგი სათნოების გზას. ესე იგი სიკეთეში მყოფობს და მუდმივად მოძრაობს, მუდმივად მოძრაობს და ქრისტეში მყოფობს. განუწყვეტელია ქრისტეს წყურვილიც და ღმრთაებრივი განძღომაც. ერთმა მონაზონმა თქვა: „რაღაც უცნაური ხდება ჩემს თავს. მე მწყურია და ამავე დროს ვძღები!" თუმცაღა, ღმრთის კაცისათვის ეს სულაც არ არის საკვირველი. ეს არის „სრულყოფილთა სრულყოფილად უსასრულო სრულყოფილება" (ღირსი იოანე კიბისაღმწერელი).

მონაზვნური ცხოვრება სიტყვის, ქრისტეს მუდმივი მიბაძვაა. მოშურნე მონაზონი ქრისტეს ცხოვრების ყველა საფეხურს გადის. ქრისტე მასში ხორციელდება, საკვირველმოქმედებს, ივნება (ტანჯვას განიცდის), აღდგება, ამაღლდება... რამდენადაც მასში ქრისტეა, მას ძალუძს თავისი შინაგანი სამყარო გარეგნულთან გააერთიანოს. იგი ყოველგვარ ზღვარს ლახავს და უფრო დიდ სიმაღლეზე ადის, ვიდრე ისაა, საიდანაც ადამი დაეცა. წმინდა მაქსიმე ხუთ განყოფილებაზე საუბრობს, რომელთა გადალახვაც ადამმა ვერ შეძლო და რომელსაც ადამიანი ახლა ლახავს ახალი ადამის ქრისტეს შემწეობით. ეს არის შეუქმნელსა და შექმნილს, აზრობრივსა და გრძნობადს, ცასა და მიწას, სამოთხესა და ქვეყნიერებას,

მამაკაცთა და დედაკაცთა სქესს შორის განსხვავებები.

უკანასკნელის გადალახვიდან ის პირველის გადალახვამდე მიდის (განსხვავება შეუქმნელსა და და შექმნილს შორის). გამოდის, რომ ღმრთის წმინდა კაცს თავისი თავი მთლიანად და მთელი სოფელი (სამყარო) ღმერთთან მიჰყავს, და ამის ძალით იგი კაცობრიობის უდიდესი კეთილისმყოფელია.

წმინდა ბერთან მე ერთხელ მთაწმინდაზე დავმეგობრდი: ბერთან, რომელიც ღმრთის წყალობის გაუმაძღარი ძღომით ტკბება. ლამის მიწის გულში მცხოვრებმა, მან ყველა სოფლიური პირობითობანი გადალახა. მის. აღსაწერად სიტყვები არ მყოფნის. ბრძენი ვუწოდო შევცდები. ვთქვა, რომ იგი უგუნურია, საერთოდ ვერ გადმოვცემ მისი სულიერი უგუნურების სიმაღლეებს! არ ვიცი, როგორ დავახასიათო. სოფლის პირობითობის მიმტოვებელი, იგი მარადისობის სიღრმეებში შედის. იგი ღმრთაებრივ ცეცხლს თითქმის ანთებული, მგზნებარე ეხება. მას შეუქმნელი ალი წვავს. დროდადრო, მასთან საუბრისას, ფიქრობ, რომ იგი საბოლოოდ დაიწვება, თავის სხეულთან ერთად გაქრება - როგორც ელია წინასწარმეტყველი ცეცხლოვან ეტლზე; ცად აღიტაცება - როგორც უფალი, რომელიც როცა მოციქულებს აკურთხებდა, *„განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად"* (ლუკა, 24, 51). და გეჩვენება, რომ ეს ახლა მოხდება, მაგრამ არაფერი არ ხდება, ყველაფერი სხვა მოვლენათა გავლენით იფანტება. ბერთან სულიერი ცხოვრების თემებზე საუბრის დროს შექმნილი მადლიანი განწყობილება იმ განცვიფრების მსგავსია, მოწაფენი თაბორის მთაზე რომ მოიცვა: *„...აჰა ესერა ღრუბელი ნათლისაი აგრილობდა მათ, და აჰა ხმაი იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ. და ესმა რაი ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა თვისსა და შეეშინა ფრიად".* (მათე, 17, 5-6). შენ საუბრობ, და ამ დროს სულიწმიდა გარდამოდის, რომელიც მოგიცავს და გეუფლება. შენ შიშს, მაგრამ ამასთან ერთად ღმრთის

ყოფნის სურვილს განიცდი. იმ ჟამს, როცა წმინდა მოღვაწე შენთან უბრალო სიტყვებით საუბრობს, შენ ქრისტეს იგონებ, თავის მოწაფეებთან მთასა ზედა თუ ზღვათა შინა რომ საუბრობდა. ჭეშმარიტად, წმინდა მოღვაწე შენთან ჭვრეტის მთიდან და მარადისობის ზღვიდან საუბრობს, მიწიერისა და კაცობრივის გარედან, იმის გარედან, რაც შენ ხარ.

ერთხელ მე ასეთ ბერს დავუახლოვდი. და გავიგე, რომ იგი ნამდვილად ღმრთისმეტყველია. მას არ ჰქონდა ცოდნა ღმრთის შესახებ, მაგრამ ჰქონდა ღმრთის ცოდნა, რაც ადამიანთა უმრავლესობისთვის მიუღწეველია. „რამეთუ, ღმრთისმეტყველება, ჭეშმარიტად, მაღალი, ციცაბო, დაქანებული და მიუდგომელი მთაა, რომლის ძირსაც კი ადამიანთა უმრავლესობა ძლივს აღწევს" (წმიდა გრიგოლ ნოსელი). მხოლოდ მოსე ადის ღმრთისხილვის მთაზე და ღმრთისმხილველი ხდება. მე მივხვდი, რომ ეს ბერი ღმრთისმხილველი მოსეა. თავიდანვე დავიბენი. რა შეიძლება ითქვას? რა შესაბამისობა არსებობდა ჩემსა და მას შორის? რა მსგავსება? ჩვენ „ქმედითი სიბრძნისმოყვარების" პირველ ეტაპზე ვიმყოფებით, მაშინ, როცა იგი „ბუნებითი ჭვრეტისაგან" „მისტიკურ ღმრთისმეტყველებაზე", ესე იგი ჭეშმარიტ ცოდნაზე გადადიოდა. ჩვენ ვნებებით ვართ აღვსილნი, მაშინ, როცა იგი მეფის (მეუფის) ყოვლადოქროვანი საყდარია (ტახტია). ჩვენ-ჯოჯოხეთი ვართ, ის სამოთხეა.

თუმცა, საუბრის დროს, მოღვაწე თავისი სიმაღლიდან ჩამოდიოდა და მე სიმაღლისკენ მივყავდი. თავის თავს ფიტავდა და მე მამდიდრებდა. „მდიდარი გლახაკდებოდა, რათა მე მისი სიგლახაკით გავმდიდრებულიყავი". რამეთუ, ორთა ერთობა მუდამ თითოეულისაგან „საკუთარი თავიდან გამოსვლას" მოითხოვს, როგორც ეს ღმერთთან ურთიერთობისას ხდება. აღესრულება ღმრთის გამოსვლა და ადამიანის გამოსვლა. ეს საღმრთო სიყვარულის დამახასიათებელი ნიშანია. „ღმერთს ღმრთისმეტყველნი ზოგჯერ სიყვარულს უწოდებენ,

ზოგჯერ შეყვარებულს უწოდებენ. აქედან, არის რა სიყვარული, იგი გამოდის; ხოლო არის რა შეყვარებული, ამ სიყვარულის დატევის ყველა შემძლებელს თავისკენ აღძრავს" (წმინდა მაქსიმე). წმინდა მაქსიმე დიონისე არეოპაგელს ციტირებს და ამბობს, რომ „საღმრთო სიყვარული ექსტატიურია, რამდენადაც მოყვარულთ ნებას არ აძლევს, მხოლოდ თავის თავს ეკუთვნოდნენ, არამედ შეყვარებულთაც. ამაში ანგელოზთა უმაღლესი წესნი გვარწმუნებენ, რომელნიც, როცა დაბლა მდგომებზე მათდამი სიყვარულის გამო ზრუნავენ, თითქოსდა თანაბრდებიან მათთან, როცა ერთი მეორეს შეეწევა და როცა დაბლები მაღლებთან დაბრუნების სურვილით არიან აღძრულნი".

მე ყოველივეს მეხსიერებაში, მაგრამ ყველაზე მეტად გულში ვინახავ იმ საუბრის ყველა მომენტს. ნება მომეცით მოგითხროთ იმაზე, თუ ვის შევხვდი და რის შესახებ ვილაპარაკეთ.

საღამო მთაზე

დასავლეთით მზე ჩადიოდა. დილის საათები მთაზე დამათრობელი და მომნუსხავია. ღამის წყვდიადი იფანტება, როცა მონაზვნები წმინდა სავანეთა მთავარ ტაძარში იკრიბებიან და წართქვამენ: „დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი..." ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ბნელს უტკბილესი მელოდიური ხმები, კანკურათა კეთილხმოვანი დარტყმები და ტალანტთა მკვეთრი შემოკვრები დევნის. სადილისშემდგომი დრო სიჩუმით აღსავსეა. ბრძოლის დღემ გაიარა და ღამე თავის საფარველს აფენს, რომლის ქვეშ მონაზონი უსასრულო შრომას, უხვ ცრემლებს და მრავალ სულიერ ღვაწლს ფარავს. მზე ჩადის, მაგრამ მოღვაწეთა გულებში მზე არ ქრება. მუდმივი, მკვეთრად განათებული დღე მყოფობს მათს სუფთა გულებში, რომელიც ვნებების ღრუბლებით დაბნელებული არ არის. საღამო მთაზე! საღამოები სასწაულებით აღსავსე, მადლით აღსავსე, დუმილით დაფარული.

მწუხრის შემდეგ, მონაზონები აუჩქარებლად, მიწისკენ მიმართული სახეებით მონასტრის ტაძრებიდან ან თავის საცხოვრებელთან მდებარე მცირე საყდრებიდან ბუნებაში, მცირე დასვენებისთვის გამოდიან, ქვის სკამზე სხდებიან და ლოცვას, ქრისტეს უტკბილეს სახელს ეძლევიან. მათ სურთ და იღვწიან, რომ იგი თავის გულებში ლოცვის ოქროს ასოებით ჩაწერონ. სიჩუმის ეს საათები მიტაცებდა, როცა ბუნება თვლემს, როცა მხოლოდ ზოგჯერ ისმის, თუ როგორ ეხლება ზღვა კლდეს, როცა სამეუფო მზე ცას ყველა საღებავით (ფერით) ამკობს. მთის ბუნება სხვა რამითაც მადლიანია ლოცვისა და სიწმინდის ბრწყინვით. შეუქმნელი მადლი სულიდან სხეულში გადადის და უტყვ ბუნებასა და ყველა ქმნილებაზე ვრცელდება. იქ ველური მხეცები არ არის, ან უკიდურეს შემთხვევაში, შენ ვერ იხილავ, რომ ისინი ველურე-

ბი არიან - ყოველივე დამშვიდებულია. დღითა და ღამით მთა ლოცვით ანთია. მის ბუნებას მონაზონთა საოცარი ხმები, ტკბილად მჟღერი კანკურები და მორჩილება ამშვიდებს. „აქ საკვირველად მომდინარე წყლები, დიდად სამკურნალო ჰაერი და ზღვის გამჭოლი ქარია; ყველგან თვალის გამხარებელი დაჩრდილული ჭალები (კორომები) და მარადმწვანე ყლორტები, სხვადასხვაგვარი მცენარეულობაა. ზეთისხილი, ყურძენი, დაფნისა და მირტის ხეებია. არ ვსაუბრობ ჯანსაღი მიწის სხვა ნაყოფებზე, საკვები და ნუგეში რომ მოაქვს. მშვენივრად მგალობელ ფრინველთა გუნდები; მათ შორის ბულბულები, შავი შაშვი და მერცხალი, რომელთა ხმები აქა-იქ გაისმის" (ევგენი ბულგარისი).

მე ბუნება ძლიერ არ მიტაცებს, მაგრამ მთაწმინდის ბუნება მადლიანია. შეიძლება იმიტომ, რომ მისი ცქერისას მხედველობაში გყავს ღმრთისმოყვარე მონაზვნები და ნათლდები. შეიძლება იმიტომ, რომ მას მხედველობით ან სმენით კი არა, მადლიერი გულით აღიქვამ. გულიც სიყვარულსა და კეთილკრძალულებას სწავლობს. შესაძლოა, ამას ძლიერ ხელს უწყობს სიჩუმე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რამეთუ „განუფანტველ ცხოვრებას ღმრთისადმი სასოებით, ბუნებრივია, რომ სული ღმრთის ქმნილების შემეცნებამდე მიჰყავს" (წმ. გრიგოლ პალამა).

ᲐᲦᲡᲕᲚᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲑᲝᲠᲖᲔ

საღამო მთაზე. იმ დროს, როცა მზე ჩადიოდა, მე მთის წვერისაკენ მივემართებოდი. დაისმა მაშინ მომისწრო, როცა აღმოსავლეთისაკენ ვიწრო და ძნელადსავალი ბილიკით, ძალების მოკრებით ვიდიოდი. ჩემი მცირე სარწმუნოებით, ძალზე დავიღალე ასეთი ასვლისაგან, რომელიც სასიხარულოა იმ მორწმუნეთათვის, პრაქტიკაში რომ განახორციელეს სოფლის (მთელი მისი ხიბლებითა და საცთურებით) უარყოფის ვაჟკაცური გადაწყვეტილება და ასკეტური ცხოვრება შეიყვარეს. ბოლოს, როგორღაც მთის ჩრდილოეთ მხარეს ავედი. წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვები გამახსენდა: „შენდამი მხურვალე სიყვარულმა და შენმა მხურვალე სურვილმა მოიცვა ეს ანგელოზნი და მათში სურვილი და სიყვარული კიდევ უფრო აღეგზნო. რამეთუ სიტყვას ისე ვერ ძალუძს ანთება, როგორც საქმეთა ჭვრეტას".

მარჯვნივ და მარცხნივ აღმართულიყვნენ წამახულწვერიანი მიუდგომელი კლდეები, რომელნიც, მთის მკვიდრთა ხმისა და ცხოვრების მსგავსად, თითქოსდა ზეცას მსჭვალავდნენ. მე დახრილი თავით, ბაგეებზე, გულსა და გონებაში ლოცვით მივდიოდი, რამეთუ წმინდა მთას ასე უნდა ეწვიო - უბრალო მომლოცველის გრძნობით. კლდეებზე, ბილიკიდან ახლო მანძილზე საცხოვრებლები მოჩანს: ეს მეუდაბნოე მამათა-მონაზონთა კელიებია (სენაკებია). ერთი მღვიმეშია, მეორე მოშორებით; მისი ცქერისას გეჩვენება, რომ იგი ზღვაში ჩავარდება. ამ პატარა მღვიმეებში სულიერი ფუტკრები ცხოვრობენ, მდუმარების უტკბილეს თაფლს რომ აგროვებენ. მე წმინდა ნიკოდიმეს მიერ აღიორიტ მამათათვის შედგენილი „დიდებისმეტყველება" გამახსენდა და გალობა დავიწყე: „ჰოი, ღმერთშემოსილო საფუკტრევ, მთაწმინდის მღვიმეებსა და ნაპრალებში, თითქოსდა გონიერ სკებში, მდუმარების უტკბილესი თაფ-

ლი რომ შეგიგროვებია!" მსგავსი კელიები მთის მარცხენა მხარესაც არის. იქ სანახაობა შეუდარებლად უფრო შთამაგონებელია. „თითქოსდა ჟანგით გაპობილ მოწითალო ზედაპირზე მთებისა, საშინელ სიმაღლეზე, თითქმის მწვერვალამდე მიცოცავს მრავალი საცხოვრებლის რიგი. ასეთივე საცხოვრებლებია მღვიმეებშიც, რომელთა შესასვლელებიც კედლებითაა ჩახერგილი და მხოლოდ პატარა კარის მსგავსია დატოვებული. სხვა ადგილას, კლდის პატარა ქიმზე, ვიღაც გამბედავ მეუდაბნოეს პატარა, გუმბათიანი ეკლესიის, ერთი თუ ორი კელიის აშენება და ბაღჩის გაშენება მოუხერხებია, სადაც მკვეთრად მწვანე ბუჩქნარის საოცარი თაიგული ხარობს და ამ ადგილს განსაკუთრებულად ეგზოტიკურ იერს აძლევს. ეს ყოველივე მერცხლის ბუდეებს გვაგონებს. მოღვაწენი ერთმანეთთან ნაკლებად შესამჩნევი, ზღვიდან გაურჩეველი ბილიკებით ურთიერთობენ. მაგრამ, მათზე ასვლა - ძალზე თამამი გადაწყვეტილებაა. ბევრი თავის ვიწრო კუთხეს წლობით არ ტოვებს. ამიტომ, ასკეტების ყველაზე დიდ საცხოვრისებთან მცირე სამარხები, მღვიმეთა შიგნით კი საფლავებია, სადაც საძმოს ძვლები ინახება; ყოველი თავის ქალის შუბლზე წარწერაა სახელით და შესვენების თარიღით" (ფოტის კონტროლლუ). მარჯვნივ და მარცხნივ განბნეულია ეს სულიერი თოლიები, ზეციერი მტრედები, ღმერთში რომ ცხოვრობენ და მესამე ცამდე რომ ადიან. ამ სანახაობას უმზერს ყოველი, რომელიც, იმ საღამოს ჩემს მსგავსად, მთის ჩრდილოეთ მხარეს ვიწრო ბილიკით ასულა. იგი მას ძრავს. გრძნობ ღმრთის მადლს, რომელიც გაგრილებს და ამავე დროს შენში ანთია, როგორც მოსეს ანთებულ და შეუწველ ბუჩქში. გახსენდება გარდასული მამები, ეს ადგილი რომ დატოვეს და ახლა წყნარად და აღუშფოთებლად განისვენებენ, მთავარანგელოზის ხმისა და სიძის მოსვლის მოლოდინში, რომელზეც ისინი დაიწინდნენ, როცა თავისი გული სოფლისაგან (მთელი მისი სიამეებით) გარეწარაქციეს. მთელი აქაური ცხოვრებისას ისინი

იბრძოდნენ, რათა სულის მშვიდობა მოეპოვებინათ და მოიპოვეს იგი. ახლა ისინი აბრაამის წიაღში განისვენებენ. ქრისტეს ხმა: „კი არ მოკვდა, სძინავს" - ამ მოშორებულ ადგილას მძლავრად გაისმის.

ამ გრძნობებითა და აზრებით ავდიოდი მაღლა. მდუმარება! ის აქ კანონია. მხოლოდ ზოგჯერ მოისმის, როგორ ფრენენ და ჩხავიან ველური ფრინველები და გალობენ ბულბულები. „ათონი ბევრ საკვირველ ბულბულს კვებავს" (წმინდა ნიკოდიმე). ზოგჯერ ძლიერი დარტყმა მოისმის. წინ წასულმა, საცხოვრისს მივაღწიე და დავინახე, რომ ერთი შეხედვით წყნარი მეუდაბნოე დიდი ქვის გატეხას ლამობდა.

გვაკურთხეთ (დაგვლოცეთ), მამაო, მივმართე მე.

ღმერთმა გაკურთხოთ (დაგლოცოთ), მიპასუხა მან.

მთაზე ასე ესალმებიან. როცა კურთხევას ითხოვ, გპასუხობენ: „ღმერთმა გაკურთხოს". მათ ბრწყინვალედ იციან სულიერ ცხოვრებაში ქრისტეს მნიშვნელობა. იციან საკუთარი უძლურებაც. უფალი მათი სურვილი და ნაღველია, მის სახელს ისინი ხშირად იმეორებენ, რადგან მისი მუნ ყოფით ცხოვრობენ. სულიწმიდის მოხმობით გულები ხარობს და ტკბება.

რას აკეთებთ, მამაო?

აი, შვილო, ამ ქვის გახეთქვა მინდა, რათა მცირე რეზერვუარი გავაკეთო, წვიმის წყალი შევაგროვო და ცოტა-ცოტა ვსვა. გასულ წელს წყურვილისაგან ძლიერ ვიტანჯებოდი.

მაგრამ, ეს ძალზე ძნელი საქმეა! მით უმეტეს, სათანადო ინსტრუმენტების გარეშე.

- რა ვქნა, თუკი სხეული წყალს საჭიროებს? ღმერთი შემეწევა. აქ, უდაბნოში არაფერი მჭირდება, მაგრამ ცოტა წყალი აუცილებელია. შემოდი ჩემს კელიაში და აკურთხე იგი.

„მე ვაკურთხო კურთხეულის კელია? გავიფიქრე მე შებილწულმა განწმენდილი?"

მდაბლად, დიდი მოწიწებით შევედი კელიაში. მეუდაბნოის კელიაში შიშით შედიხარ, როგორც ნაკურთხ ადგილას. იგი დაულაგებელი და მიგდებული იყო. მაგრამ, სულიერი მებრძოლისათვის ეს წვრილმანებია. განა ასეთი საქმეებისათვის დრო აქვს? მან ცოტა წყალი და ლუკუმი თავისი სიყვარულის ნიშნები მომიტანა. ჭეშმარიტად, აქ, უდაბნოში იგებ, თუ რა არის სუფთა და გულწრფელი სიყვარული. პატარა ტაბაკზე წყლით და ტკბილეულით მონაზონის გულია. ის შენ ყველაფერს გაძლევს.

- ერიდან მოხვედი?
- დიახ.

რა ხდება ერში?

ჩვეულებრივი კითხვაა, რომელსაც მთაზე ისმენ. მაგრამ, ამჯერად მას ღრმა მნიშვნელობა აქვს. შემკითხველი მონაზონი ორმოცდაათი წლის წინათ გაიქცა საძულველი სოფლიდან და იქ მეტად აღარ დაბრუნებულა. მოღვაწეს შესანიშნავად ესმის, თუ რას ნიშნავს სოფელი. იგი ღმრთის ქმნილებაა, რომელიც ამჟამად ბოროტის სატყუარად იქცა. ნუთუ ქმნილების დახმარებით არ აცთუნა სატანამ ადამი? რომელი ჩვენგანი არ განიცდის რაღაც მსგავსს?

სოფელი, მამაო, ღმერთს ძალზე დაშორდა, იგი საერთოდ აღარ ახსოვს და ღმრთივსათნოდ არ ცხოვრობს. ეკლესიები დაცარიელდა, ეშმაკის „წერტილები" კი გადაიჭედა. სოფელი სულიერ მოძღვრებს გაექცა და ფსიქიატრიული საავადმყოფოები გაავსო. იგი მთლიანად ქვეყნიური საზრუნავით და საქმეებით არის დაბორკილი. დღეს არჩევნებია, ხვალ მთავრობის დაცემა, ზეგ - ყრილობები და ასე შემდეგ. ადამიანები მხოლოდ გაზეთებს კითხულობენ და წმინდა წიგნები არ იციან. მუდმივად ეშმაკისეულ სურათებს უყურებენ, რომელიც მათ აძინებს და წმინდანთა ცხოვრებას ვერ ხედავენ...

ჰოი, უბედურო სოფელო!!! თქვა წმინდა მოღვაწემ შენ სატანა გმართავს. ყოველდღიურად მას შემთხვევები და

მოვლენები მოაქვს, რომელნიც ქრისტესადმი ინტერესს და ყურადღებას იპარავს და საკუთარი თავის და შინაგანი წყლულების დანახვას ხელს უშლის. ინტერესის საგნად სხვები ხდებიან, და არა შენ თვითონ. ეს გაქცევა ქმნის ბორკილებს, რომელთა შესახებაც თქვენ ლაპარაკობდით. ადამმა შესცოდა, დაიმალა, ღმრთისაგან გაიქცა - და უბედურებაც მოვიდა. იგივეს აკეთებენ ადამიანებიც. მე ბევრს ვლოცულობ მთელი სოფლის ხსნისათვის. „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე და შენი სოფელი". მთელი ღამე იმაზე ვლოცულობ, რომ ღმერთმა იგი დაინდოს. ამაში მდგომარეობს ჩვენი მისია ამ მღელვარე ეპოქაში, ჩვენ მოწამეებად ყოფნა გვერგო წილად.

იმ მოღვაწემ მე ბევრი რამ მომითხრო. ასეთ ბრძნულ გამონათქვამებს ყოველ ნაბიჯზე მოისმენ, როცა მთას ეწვევი. მე მას მადლობა ვუთხარი, ვთხოვე ლოცვებში არ დავევიწყებინე და ჩაფიქრებულმა დავტოვე კელია, რომელიც მისთვის ახლა კუბოა, მაგრამ რომლიდანაც იგი ჭეშმარიტ ცხოვრებაში აღდგება.

შეხვედრა მეუდაბნოესთან

მე გზას ზემოთ, ჩემი ფერიცვალების მთისკენ განვაგრძობდი და მალე, დიდი წვალებით მივაღწიე საცხოვრისს, რომლის სტუმრობასაც ვესწრაფოდი. დასასვენებელად მცირე ხნით შევჩერდი.

„მეუდაბნოის კელია, - ვფიქრობდი მე, - არა მხოლოდ კურთხეული, არამედ ზეციერი ადგილიცაა. იქ მდუმარებაში და ლოცვაში მცხოვრები და მოღვაწე - ქრისტეს მოციქულია" ასე ამბობს წმინდა გრიგოლ პალამა ჰომილიაში, თესალონიკელი ქრისტიანებისადმი რომ არის მიმართული თომა მოციქულთან დაკავშირებით, რომელიც ვერ ელირსა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ხილვას, რადგანაც კვირა დღეს მოწაფეთა კრებულში არ იყო. რვა დღის გასვლის შემდეგ კი, მოციქულებთან ყოფნისას, მან უფალი იხილა. წმინდა გრიგოლი გვირჩევს: კვირა დღეს, წირვის შემდეგ, დიდი გულმოდგინებით იზრუნე, რომ ვინმე იპოვო, ვინც ქრისტეს მოციქულებს ბაძავს და გონების მოკრებით „მდუმარე ლოცვით და ფსალმუნთგალობით" ქრისტესაკენ ესწრაფვის. ასეთი მოღვაწის პოვნის შემდეგ, რწმენით შედი მის კელიაში, რომელიც თითქოსდა ზეციერი ადგილია, რადგან მასში ყოვლადწმიდა სულის მკურთხეველი (განმწმენდელი) ძალა მოქმედებს. დაჰყავი იქ, რამდენიც შესაძლებელია, მასთან ღმერთზე, ღმრთაებრივზე ისაუბრე, სიმდაბლით ითხოვე შეგონება და სთხოვე მას თავისი ლოცვით შეგეწიოს. მაშინ, როგორც თომასთან, შენთანაც მოვა უხილავი ქრისტე. წმინდა გრიგოლი შემდეგს ამბობს: „საღმრთო წირვის შემდეგ, კვირადღეს... გულმოდგინედ ეცადე, გამოარკვიო, ვინ ბაძავს მოციქულებს, ჩაიკეტება და დიდხანს გაუფანტველად ლოცულობს, ფსალმუნებს გალობს და სხვა შესაბამის ღვაწლში მყოფობს. მიდი მასთან და მის სახლში, როგორც რაღაც ზეციურ ადგილას, შიგნით სულის

განმწმენდელი ძალა რომ აქვს რწმენით შედი; იქ მცხოვრებს წარუდექი და მის ახლოს იმდენ ხანს გაჩერდი, რამდენსაც შეძლებ, მასთან ერთად გაიხარე ღმრთით და ღმრთაებრივით, შეეკითხე, სიმდაბლით ისწავლე და სთხოვე, რომ იგი შეგეწიოს შენ თავისი ლოცვით. მაშინ თავის წყალობას, როგორც მოღვაწეს, მოგივლენს (მე კარგად ვიცი ეს) უხილავი ქრისტე და მისადმი მიმართულ სულს შინაგან მშვიდობას მიანიჭებს, სარწმუნოებას განუმტკიცებს, შეეწევა და დროთა განმავლობაში ცათა სასუფევლის რჩეულებში ჩარიცხავს..."

წმინდანის დამოძღვრის თანახმად, მე მსგავს კელიას მიეუახლოვდი, ჩავთვალე რა იგი ზეციერ ადგილად. ჩემში დაიბადა გრძნობა, რომ ის ბერი ქრისტეს მოციქულია, აღმდგარი ქრისტე რომ იხილა და ახლა ზეციურ იერუსალიმში იმყოფება. იგი განღმრთობილი იყო. შეუქმნელ და ღმრთაებრივ ენერგიებს ეზიარა და წმინდა გრიგოლ პალამას სიტყვით, ყოველივე ჰქონდა, რაც ღმერთს აქვს, მისი არსის გარდა. როგორ შემიძლია მას სხვანაირად შევხედო, თუკი მას ასეთად ღმრთისმხილველი სახელდებს? მე, თომას მსგავსად, უფლის ხილვის სურვილი მქონდა, ამიტომაც ღრმა სიმდაბლით და შემუსრვილებით მივიღე გადაწყვეტილება, გამომეკითხა იგი და ისე მეცხოვრა, როგორც ის მეტყოდა. მკითხველი გაიგებს, რომ ღმერთსა და ღმრთაებრივზე იმ საუბრის წყალობით, მე ჩემს სულში ღრმა სიმშვიდე ვიგრძენი...

მე კალივის გარეთა კარზე დავაკაკუნე. უსასრულო სიჩუმე სუფევდა, რამაც ცოტა არ იყოს, შემაშინა. ბოლოს ნელი ნაბიჯის ხმა მოისმა. კარი უხმაუროდ გაიღო და ჩემს წინ ბერის ერთ-ერთი მორჩილი გამოჩნდა. მე ვთხოვე:

მაკურთხეთ (დამლოცეთ).

ღმერთმა გაკურთხოს.

შეიძლება ბერი ვნახო! დაკავებული ხომ არ არის?

საჭიროა დიდი სიფრთხილე, როცა მეუდაბნოეს სტუმრობ. შესაძლოა, იგი ლოცვას მოსწყვიტო. შესაძლოა, რომ საღმ-

რთო მადლმა იგი თაბორის მთაზე აიტაცა, შენ კი მას ხმაურიან მიწაზე ჩამოიყვან. ეს კი დიდი ბოროტებაა, რასაც მას მიაყენებ. შენი შეურაცხმყოფელი სიტყვები კი არ ეწყინება მას, არამედ მთიდან ჩამოსვლის თხოვნა. თუმცა, ამავდროულად შენთვის დიდ სიკეთეს გააკეთებ, რადგან მაშინ შენ ღმრთაებრივი კეთილსურნელება აღგავსებს. შენ თითქოსდა იმ ნათლისაგან დაბრმავდები, რომელიც მან მოიპოვა. „ლოცვიდან ცეცხლოვანნი გამოდიან" (წმიდა გრიგოლ პალამა), იმის მსგავსად, როგორც მოსე ბრწყინავდა, როცა სინადან ჩამოვიდა, და მისი ცქერა ისრაელელებს არ შეეძლოთ: იგი გავარვარებულ რკინასავით იყო, როცა ის ცეცხლიდან გამოაქვთ. შენ „უკვდავების სუნს" შეიგრძნობ.

- მე შეეკითხები მიპასუხა მორჩილმა.

იგი რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა.

ბერი ავადაა, მაგრამ ადგება, რათა გნახოთ. თუ გსურთ, შიგნით შეგვიძლია შევიდეთ.

მე ამ ახალგაზრდა მონაზონთან ერთად მცირე ხანს დავჯექი. მისმა ყოფნამ უკაცრიელ ადგილას, ცხოვრებამ, სიჭაბუკემ, ამ მკაცრ ადგილას რომ ატარებდა შემძრა. თუმცა, მე მას არ ვიცნობდი, ჩემში გაკვირვების გრძნობა ალაპარაკდა.

თქვენ აქ ბევრი ხართ? ვკითხე მე.

ბერი და მისი სამი მორჩილი.

- მე მსურს გამოვარკვიო ზოგიერთი გარემოება, რომელიც მაღელვებს, ამიტომაც მოვედი აქ, ამ უდაბურ ადგილას.

- ძალიან კარგად მოიქეცით. მომლოცველები ასეთი გრძნობით უნდა მოდიოდნენ. ზოგიერთი კი უბრალოდ, ზედაპირული ცნობისმოყვარეობის გამო მოდის, რათა ბერს თვალი შეავლოს და შემდეგ ამით იტრაბახოს. ისინი მას ძალზე ღლიან. ის მათ, როგორც ზოოპარკის დამთვალიერებლებს, როგორც ტურისტებს აღიქვამს. კარგია, რომ სულიერ თემებზე და იმ პრობლემებზე უნდა დაუსვათ კითხვები, რომელიც გა-

ღელვებთ. იცოდეთ კი, რომ აქ თქვენ განყენებულ თეორიებს არ მოისმენთ. ის რაც ითქმება, ცხოვრებისეული გამოცდილებაა. მას ბერი იძენს და ამ გამოცდილებიდან საუბრობს მნახველთა სასარგებლოდ.

მან დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ჩემს წინ ბერი აღიმართა. მსგავსი მზისა, უეცრად რომ ამოვიდა! გაზაფხულის მსგავსი, სიხარულს რომ აფრქვევს! ღამეში ელვის მსგავსი! მისი თეთრი წვერი სახიდან ჩანჩქერივით ჩამოდიოდა. თვალები გამჭვირვალე, გახსივოსნებული, ნათელი. იშვიათად მინახავს ასეთი ფერცვალებული თვალები. წმინდა გრიგოლ პალამა ამბობს, რომ თაბორის მთაზე მოციქულებმა შეუქმნელი ნათელი მას შემდეგ იხილეს, რაც მათმა თვალებმა სულიწმიდის ძალით ფერი იცვალეს და მისი (ნათლის) აღქმისუნარიანნი გახდნენ. ის ამბობს: „ხედავ, რომ ასეთი ნათლისათვის ბუნებით მხედველი თვალები ბრმანი არიან? მაშ ასე, ის ნათელი გრძნობადი არ არის და მას მზერით კი არ ხედავენ, არამედ ღმრთის სულის ძალით მომზადებულნი. ისინი შეიცვალნენ და ამგვარად იხილეს ცვლილება, მაგრამ არა ახლახან წარმოქმნილი, არამედ იქიდან წარმომდგარი, რომ ჩვენი საფუარი (ესე იგი კაცობრივი ბუნება) სიტყვა ღმერთთან შეერთებით განღმრთობილი გახდა". თაბორის ნათლის ბევრი ცქერისაგან ბერსაც თვალები ფერცვალებული ჰქონდა და ისინი ამ მადლიან ცვლილებას ცხადად ამოწმებდნენ.

მაკურთხეთ, ვთქვი მე და ამავე დროს დავიხარე, მისი კურთხეული ხელის კოცნის სურვილით, ურიცხვი მუხლთმოდრეკისაგან „დაწყლულებული" რომ იყო თუმცა, იგი უფრო დაბლა დაიხარა და პირველმა მაკოცა ხელზე.

მე შევცბი.

რას მიკეთებთ მამაო, მე, ღმრთის ულირს მონას, ქრისტეს ფარის უბრალო ცხვარს?

შენ მღვდელი ხარ და ღმრთის მადლი გაქვს. ნუთუ მე შენზე მეტი ვარ?

ჩვენ, უსჯულო სოფელში მცხოვრებნი, ცოდვით ვართ აღვსილნი, მაშინ, როცა თქვენ უდაბნოში, - რომელსაც ღმრთის ყოფნა ამადლიანებს, - ღმრთის ტაძრად, მეუფის ყოვლადოქროვან საყდრად (ტახტად), ცეცხლოვან ქერუბიმად იქეცით. თქვენ „[წმინდა] წიგნები გულის ფიცარზე სამგზის აღიბეჭდეთ, ისე, რომ ქრისტეს გონება გაქვთ" და „სულით ქრისტეს ცოცხალ სავანედ" გამოჩნდით (წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი). რატომ მექცევით ასე?

მე ეს საწყალობლად ვთქვი, თითქოსდა მარცხი განვიცადე. და მართლაც, მე სიწმინდით და სიმდაბლით ვიყავი ძლეული. სხვისი სიმდაბლე ყოველთვის სიტყვებზე უკეთ გარწმუნებს. სიყვარული მხილებაზე მეტად გძლევს.

- თქვენ, ალბათ, უდაბნოს ხასიათი არ იცით, თავდახრით მიპასუხა ბერმა, მდუმარების ერთ-ერთი თვისება ცოდვილობის შეგრძნებაა. ყოველდღე საკუთარ თავზე დაკვირვებისას, ისეთ ცოდვილ მდგომარეობას, ბოროტებისკენ ისეთ მოძრაობას ამჩნევ, რომ ჭეშმარიტად საკუთარ თავს ყველაზე ცუდ ცოდვილად თვლი. დამიჯერე, მამაო ჩემო, რომ ჩემს კელიაში ნებისმიერი შემომსვლელი, ჩემზე უკეთესია. იგი ღმრთის ანგელოზია.

მე არაფერი ვუპასუხე. ბერმა ხელი სიყვარულით მომკიდა, ვითარცა ბრმას და ეკლესიაში წამიყვანა. იმ მომენტში თავს ვგრძნობდი მხედველობადაკარგულად მზის დამაბრმავებელი ნათლის გვერდით, უძლურად გიგანტის მახლობლად, პატარა ბავშვად ბრძენი ბერის წინაშე. ეს ქმედება შესავალი იყო სხვა წინამძღოლობისათვის, რომელიც მან ცოტა ხნის შემდეგ აღმომიჩინა. ჰოი! მის ახლოს დამაჯერებლობას, გამოუთქმელ სიხარულს ჰპოვებ! მის თბილ ხელს მე ახლაც შევიგრძნობ!

ჩვენ ორი პატარა კარი გავიარეთ, რისთვისაც დახრა დაგვჭირდა. ყოველივე სიმდაბლეზე მიუთითებდა. მეუდაბნოის კელიაში ყოველთვის მოხრილი უნდა შეხვიდე. უნდა დაივიწყო,

რა იყავი და რა ხარ. ქედმაღლებსა და ეგოისტებს იქით გზა არა აქვთ. ჩვენ პატარა ეკლესიაში მოვხვდით. მან დამტოვა, რათა მე ტაძარში ხატებს და საკურთხეველში წმინდა ტრაპეზს ვმთხვეოდი, თვითონ კი ამ დროს კანდელების ანთება და ამავდროულად ტაძრის წმინდანისადმი ტროპარის გალობა იწყო. რომელ მონასტერშიც არ უნდა აღმოჩნდე, პირველი, რის გაკეთებასაც გთხოვენ, არის ის, რომ ტაძრის ხატებს თაყვანი სცე და პირველი სიკეთე, რასაც აღმოგიჩენენ, წმინდა ნაწილებისადმი მთხვევის შესაძლებლობის მოცემა იქნება. ისინი - ღატაკ კალივაში ყველაზე მნიშვნელოვანია. ისინი ის არის, რაც მას ამდიდრებს. წმინდა ნაწილები, რომელსაც ასეთი კრძალულებით ინახავენ იმაზე მიუთითებს, რომ წმინდანებმა სოფელი დატოვეს და ამავე დროს სოფელში მადლიანად მყოფობენ. სხეულიდან წმინდანის სულის გასვლის და მის მიერ სრულყოფის მიღწევის შემდეგ, იგიც (სხეული) ღირსი ხდება საღმრთო მადლისა; აი, რატომაა, რომ წმინდა ნაწილები საკვირველმოქმედებენ და კეთილსურნელებას აფრქვევენ (ღირსი სვიმეონ ღმრთისმეტყველი). ამ ეკლესიაში ბერი და მისი მორჩილები წყალობას გრძნობენ და საიდუმლო სერობაში მონაწილეობენ.

ბერმა მეზობელ სათავსოში გამიყვანა და მითხრა, რომ ეს მისი მისაღებია. რამდენიმე სკამი, ერთ-ერთ კედელთან რამდენიმე წმიდა მამათა წიგნი: „სიკეთისმოყვარება" (ფილოკალია), „პატერიკი", ღირსთა ისააკ ასურის, ეფრემ ასურის, გრიგოლ პალამას თხზულებანი და სხვა. ჩვენ სკამებზე დავჯექით. მან მითხრა, რომ მის ახლოს დავმჯდარიყავი, თვითონ კი დუმილში ჩაეფლო. როგორც ჩანს, იგი იმაზე ლოცულობდა, რომ ღმერთს მე განვენათლებინე, რათა მე საკუთარი თავი დამენახა და რათა ღმერთს გაენათლებინა იგი იმის სათქმელად, რაც აუცილებელი იყო.

საუბარი ბერთან ლოცვის შესახებ

- წმინდაო მამაო, - დავიწყე მე წყნარი ხმით - ამჟამად მე ერთი სურვილი ძალზე ძლიერ დამეუფლა. მრწამს, რომ იგი უფლისგანაა. მსურს განვიწმინდო. ვხედავ, როგორ მძვინვარებენ ჩემში ვნებები. ვგრძნობ, რომ გული - ჯუნგლებია, სადაც ბევრი ველური მხეცი დაეხეტება, მათ სათავეში კი ეშმაკია, რომელიც იმას აკეთებს, რაც სურს. ვისწრაფვი, რომ ამ საშინელი მდგომარეობისგან განვთავისუფლდე, სული ღმერთს მივაბარო, რათა მან განანათლოს იგი, რათა ის მისი იყოს. ახლა კი **განწმენდა მსურს**, მაგრამ არ ვიცი, როგორ. მომისმინეთ, მამაო: განწმენდა მსურს. გზები მაჩვენეთ. მზად ვარ, მივიღო ისინი და ბრმად მივსდიო ყოველივეს, რასაც თქვენ მე მეტყვით.

მე წყნარი ხმით დავიწყე, და გოდებით და ტირილით დავამთავრე. ჩემი უკანასკნელი სიტყვები, მეუდაბნოესათვის მეხივით გაისმა. იმდენად მხურვალე იყო იგი. იგი მცირე ხანს დუმდა. შემდეგ დიდი სიყვარულით შემომხედა: ასეთი სიყვარულის გამოვლენა მხოლოდ მონაზონებს ძალუძთ. მან მაგრძნობინა, რომ ამ წუხილის გამო სასო არ უნდა წარვიკვეთო, რადგან იგი კურთხეულია.

როცა მსგავს გრძნობებს განვიცდით - თქვა მან, - ცხადია, რომ სულიწმიდა არის და მოქმედებს ჩვენში. ჩვენ ღმრთის შემეცნების გზის გავლას ვიწყებთ. ეს პირველი ეტაპია. თუკი შეუქმნელი ნათლის სრულყოფილი ჭვრეტა ნათელია, სულს რომ ატყვევებს, სინანული და საკუთარი ცოდვილობის გრძნობა - ცეცხლია, სულს რომ წვავს. შესაბამისად, სინანული და ვნებათაგან სულის განწმენდის სურვილი - მადლის მოსვლის დროა. მხოლოდ მაშინ, როცა ის ჩვენზე გადმოდის, ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სიცარიელე დავინახოთ, ვიმ-

წუხროთ ღმრთის მიმართ და მასთან შეერთებას ვესწრაფოთ. ღმრთის მადლი რომ არა, ჩვენ მსგავსი აზრები და სურვილები არასოდეს გვექნებოდა.

ბრძენი წინამძღოლი გავიფიქრე მე, გამოცდილი მოძღვარი, ჭეშმარიტად მადლიანი კაცი! მცოდნე მკურნალი, მან იცის, როგორ შეარბილოს ტკივილი, დაამშვიდოს, მოგვცეს წამალი, არა ჩვენი თავმოყვარეობის დასამშვიდებლად, არამედ ოპერატიული ჩარევისა და განკურნების შესაძლებლობისათვის.

გავარკვევთ რა ამას, - განაგრძნო მან, - რამდენიმე გზა უნდა მივუთითოთ, ან უკეთესია ერთი, ყველაზე უბრალო. ნუ მოელი, რომ მძიმე შრომას დაგაკისრებ. მხოლოდ იესოს ლოცვა („უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე") განწმენდს სულს, ანუ განუწყვეტელი ღაღადება ღმრთის, ჩვენი მაცხოვრის მიმართ. იესოს მოხმობასა და მასთან შეერთებაში მდგომარეობს მთელი ჩვენი ხსნა (ცხონება). შევღაღადოთ, რომ იგი ჩვენთან მოვიდეს და განგვკურნოს. ვითარცა ავადმყოფებმა, უნდა ვიკვნესოთ, და იგი, ვითარცა მკურნალი, სიყვარულით აღვსილი, შესაწევნელად გამოეშურება. ჩვენ, ყაჩაღთა ხელში ჩავარდნილივით უნდა ავტირდეთ, და კეთილი სამარიტელი მოვა, ჩვენს ჭრილობებს განწმენდს, სასტუმროში ესე იგი, ნათლის ჭვრეტასთან მიგვიყვანს რომელიც მთელ ჩვენს არსებას წვავს. როცა ღმერთი ჩვენს გულში შემოდის, მაშინ ეშმაკი მარცხდება და მის მიერ შექმნილი სიბინძურე იწმინდება. ამგვარად, ეშმაკზე გამარჯვება არის ქრისტეს გამარჯვება ჩვენი მეშვეობით. ჩვენ კაცობრივი გავაკეთოთ (მოვუხმოთ ქრისტეს), ის კი ღმრთაებრივს იქმს (ეშმაკს დაამარცხებს და ჩვენ განგვწმენდს). შესაბამისად, არ უნდა ვესწრაფოდეთ, რომ თვითონ გავაკეთოთ ღმრთის საქმე, ღმერთს კი კაცის საქმე დავუტოვოთ. კარგად უნდა გავიგოთ, რომ ჩვენზე კაცობრივია (ლოცვა) დამოკიდებული, ღმერთზე კი ღმრთაებრივი (ცხონება). ყოველივე, რაც ეკლესიაში აღესრულება, ღმერთკაცობრივი საქმეა.

1. იესოს ლოცვის მნიშვნელობა

თუკი სწორად გავიგე, განწმენდა ძირითადად, ღვაწლის, მარხვისა და იესოს ლოცვის საშუალებით მიიღწევა. ნება მომეცით კითხვები დაგისვათ, არა იმიტომ, რომ არ მრწამს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი დროის სხვადასხვა ადამიანებისაგან ხშირად მესმის უკმაყოფილება მადლიანი ლოცვის წინააღმდეგ. ისინი ამბობენ, რომ თითქოსდა ლოცვა და მეთოდი, რითაც იგი აღესრულება, ქრისტიანული იოგაა და აღმოსავლურ რელიგიებთან არის დაკავშირებული. რას იტყოდით ამის შესახებ?

ვინც ასე საუბრობს, როგორც ჩანს, **მადლის შესახებ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაზე** არავითარი წარმოდგენა არა აქვს, რამეთუ ლოცვით ჩვენ ღმრთის მადლს ვიძენთ. მადლის მოქმედება კი ვისაც არ განუცდია, არ შეუძლია ეს იცოდეს და მათ არასოდეს უნდა გაკიცხონ ისინი, ვისაც ასეთი გამოცდილება აქვს. ისინი **წმინდა მამებზეც ავსიტყვაობენ.** მრავალი მამა მადლის მოპოვებისათვის იბრძოდა და მის მნიშვნელობაზე დამაჯერებლად საუბრობდა. ნუთუ ისინი ცდებოდნენ? ნუთუ წმინდა გრიგოლ პალამა შეცდა? ვინც ასე ამტკიცებს, მან **წმინდა წიგნები არ იცის.** „ძეო დავითისაო, შეგვიწყალენ ჩვენ" (ესე იგი, „იესო შეგვიწყალე ჩვენ") - ამბობდნენ ბრმანი და სინათლეს იძენდნენ, კეთროვანნი წარმოთქვამდნენ და კეთრისგან იკურნებოდნენ და ასე შემდეგ. ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე" ორ ცენტრალურ მომენტს შეიცავს: დოგმატურს (ქრისტეს ღმრთაებრიობის აღიარებას) და ლოცვითს (ჩვენი ცხონებისათვის მოწოდებას). ამგვარად, ღმერთკაცისადმი რწმენის აღსარება დაკავშირებულია საკუთარი ძალებით ცხონების შეუძლებლობის აღიარებასთან. ამით ყველაფერია ნათქვამი და ამ ორ დებულებაზეა დაფუძნებული მთელი ქრისტიანული მოღვაწეობა: ღმერთკაცის რწმენასა და საკუთარი ცოდვილობის გრძნობაზე. მაშ ასე, რამდენიმე სიტყვით

გამოხატულია მორწმუნის მისწრაფება და მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი დოგმატიკაა შეჯამებული.

ლოცვის შემწეობით ჩვენ ორმაგ ცოდნას ვიძენთ. წმინდა მაქსიმე ამბობს, რომ ამპარტავნების ვნება ორი - ღმრთაებრივი ძალისა და ადამიანური სისუსტის უცოდინარობისაგან (უმეცრებისაგან) წარმოდგება. ეს ორმაგი უმეცრება „მოშლილ შემეცნებას" აყალიბებს. ამპარტავანი კაცი უმეცარია, მაშინ, როცა მდაბალი **ორმაგ ცოდნას** ფლობს. მან იცის საკუთარი უძლურება და ქრისტეს ძალა. შესაბამისად, იესოს ლოცვაში ჩვენ ვაღიარებთ ქრისტეს ძალას („უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო") და ჩვენს უძლურებას („შემიწყალე მე"). და სიმდაბლის ნეტარ მდგომარეობაში მოვდივართ. სადაც სიმდაბლეა, იქაა ქრისტეს მადლი, რომელიც ცათა სასუფეველია. ხედავთ ლოცვის ღირსებას? ხედავთ, მისი მოქმედებით როგორ შეიძლება ღმრთის სასუფეველი მოვიპოვოთ?

- მე ვიცი მამაო, რომ მართლმადიდებელი მორწმუნის აუცილებელი ნიშანია, რომ არასოდეს განაცალკევოს ქრისტე წმინდა სამების დანარჩენ პირთაგან. საღმრთო წირვაზეც ჩვენ მოვუხმობთ და ვადიდებთ წმინდა სამებას ყველა წართქმასა და საბოლოო ჩამოლოცვისას: „რამეთუ შვენის შენდა დიდება, პატივი და თაყვანისცემა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე", „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღმრთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა" და ასე შემდეგ. შეიძლება, რომ ლოცვამ წმინდა სამების მხოლოდ მეორე პირისადმი რომ არის მიმართული, მართლმადიდებლური სწავლება დაამახინჯოს?

რა თქმა უნდა, არა; მე უფრო მეტს ვიტყვი, სიტყვა „ლოცვა" იესოს ლოცვას გულისხმობს, მაგრამ ტრიადოლოგიური საფუძველი აქვს. ქრისტე (წმინდა სამების ერთ-ერთი

პირი) მამის და სულიწმიდის გარეშე არ არსებობს და სხვა პირებთან ერთად „ერთარსება და განუყოფელ სამებას" შეადგენს. ქრისტოლოგია ტრიადოლოგიასთან არის დაკავშირებული. მაგრამ, დავუბრუნდეთ „ლოცვის" თემას. ზეციერმა მამამ, ანგელოზის მეშვეობით, იოსებს ქრისტესთვის იესოს სახელის დარქმევა უბრძანა: ***„...და უწოდიან სახელი მისი იესუ..."*** (მათე, 1, 21). იოსებმა მამის მორჩილება გამოიჩინა და ქალწულის ძეს იესო უწოდა. ამას გარდა, სულიწმიდით განათლებულ პავლე მოციქულთან ვკითხულობთ: ***„არავის ხელ-უწყფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა"*** (1 კორინთელთა, 12, 3). ასე რომ, როცა ვლოცულობთ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე" ჩვენ მამას ვუხმობთ და მას ვემორჩილებით; უფრო მეტიც, ჩვენ სულიწმიდის მოქმედებას და ზიარებას ვგრძნობთ. მისით განათლებულმა მამებმა თქვეს: „მამა ძის მიერ სულიწმიდით ყოველივეს იქმს". წმიდა სამებამ შექმნა სოფელი და შექმნა ადამიანი. მანვე ააღორძინა სოფელი და განაახლა ადამიანი. „მამამ კეთილინება, რომ სიტყვა ხორცად ქცეულიყო. და იქცა ხორცად სულიწმიდისაგან". ესე იგი, ქრისტე განკაცდა **„მამის ნებით და სულიწმიდის მოქმედებით".** ჩვენ ამიტომაც ვამბობთ, რომ ადამიანის ცხონება და საღმრთო მადლის მოპოვება **ყოვლადწმიდა სამების საერთო მოქმედებაა.** წმიდა მამათა ორ დამახასიათებელ სწავლებას გადმოგცემთ.

წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი გადმოგვცემს, რომ ღმრთის ძე და სიტყვა ცხონების კარია, მისივე ქადაგების თანახმად: ***„მე ვარ კარი; ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი ჰოვოს"*** (იოანე, 10, 9). თუკი ქრისტე კარია, მამა სახლია. ***„სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან"*** (იოანე, 14, 2). ქრისტეს საშუალებით ჩვენ მამასთან მივდივართ. მაგრამ, რათა კარი (ქრისტე) გაიხსნას, აუცილებელია გასაღები სულიწმი-

და, რამეთუ მისი მოქმედებით ჩვენ შევიცნობთ ჭეშმარიტებას, რომელიც ქრისტეა. მამამ თავისი ძე სოფლად მოავლინა, ძე და სიტყვა ღმრთისა ჩვენ მამას და სულიწმიდას გვიცხადებს, მამისაგან რომ გამოდის, ძის მიერ რომ იგზავნება და „ჩვენს გულებში" ქრისტეს რომ აღბეჭდავს. შესაბამისად ჩვენ მამას „ძის მიერ სულიწმიდაში" შევიცნობთ".

ასევე წმინდა მაქსიმეც, თავის შრომებში ხშირად საუბრობს სიტყვის საიდუმლოებრივ ხორცშესხმაზე. ის წერს, რომ როგორც სჯული და წინასწარმეტყველნი სიტყვის ხორციელად მოსვლის წინამორბედნი იყვნენ, ასევე ძეც-ღმრთის ხორცშესხმული სიტყვა „თავისი სულიერი მოსვლის" წინამორბედი გახდა, და „მისი ხილული ღმრთაებრივი მოსვლის მისაღებად, სულის განგებულებას ლოგოსების საშუალებით ამზადებდა". სხვა სიტყვებით, ჩვენში ქრისტე უნდა განხორციელდეს, სხვაგვარად ცათა შინა მის დიდებას ჩვენ ვერ ვიხილავთ. თუმცა, ჩვენში ქრისტეს განხორციელება მამის ნებით და სულიწმიდის მოქმედებით აღესრულება. ხედავთ, როგორ გამოიხატება წმიდა სამების ერთობლივი მოქმედება, და რატომ მოვუხმობთ და ვაღიარებთ უდიდეს საიდუმლოს, რომელიც უფალმა გამოაჩინა, როცა განკაცდა? ამრიგად, ის, ვინც იესოს ლოცვას უარყოფს, უდიდეს შეცდომას უშვებს. ამით ის წმინდა სამებას უარყოფს, მამის ურჩობას ამჟღავნებს, სულიწმიდას არ აღიარებს და ამგვარად, ქრისტესთან ჭეშმარიტ ერთობაში არ იმყოფება. შესაბამისად, შეიძლება დაეჭვება, არის კი ის მართლმადიდებელი ქრისტიანი.

კიდევ მსურდა, მამაო, რათა თქვენ ჩემთვის დაწვრილებით აგეხსნათ და იმის შესახებ გამოგეთქვათ აზრი, რის შესახებაც მე ადრე მოგახსენეთ, ლოცვისა და იოგის მეთოდის განსხვავებებზე, და გეჩვენებინათ ქრისტიანული ლოცვის უპირატესობა აღმოსავლეთის რელიგიებთან შედარებით, რამდენადაც, უეჭველია, რომ დიდ გამოცდილებას ფლობთ.

ეს თემა, შვილო ჩემო, ფართოა და ბევრის თქმა შეიძ-

ლება. ჩემი წინა სიტყვებიდან შემდეგი გამომდინარეობს.

პირველი, ლოცვაში (ლოცვით) მტკიცედ გამოიხატება რწმენა ღმრთისა, რომელმაც შექმნა სამყარო, მართავს მას და უყვარს იგი. იგი ნაზი მამაა, რომელიც თავისი ქმნილების ხსნისათვის ზრუნავს. ხსნა (ცხონება) ღმერთში (ღმრთით) აღესრულება, ამიტომაც, ლოცვაში ჩვენ მას ვთხოვთ: „შემიწყალე მე". გონიერი ლოცვის მოქმედებისაგან შორს დგას თვითხსნა და თვითგაღმერთება, რაც წარმოადგენდა ადამის ცოდვას, დაცემის ცოდვას. მან ღმერთად გადაქცევა და იმ საზღვრებიდან გასვლა მოინდომა, რაც მას ღმერთმა დაუწესა. ხსნა (ცხონება) არა „საკუთარ თავში და საკუთარი თავის მიერ" აღესრულება, როგორც კაცობრივი მოძღვრებანი ამტკიცებენ, არამედ ღმრთის მიერ და ღმერთში.

მეორე. ლოცვაში ჩვენ უსახურ ღმერთთან შეხვედრა არ გვსურს. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ „აბსოლუტურ არარაობამდე" ამაღლებას. **ჩვენი ლოცვა მიმართულია (კონცენტრირდება) პიროვნულ ღმერთზე - ღმერთკაც იესოზე.** აქედანაა ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". ქრისტეში ღმრთაებრივი და კაცობრივი ბუნებაა შეერთებული, ესე იგი სრული სიტყვა ღმერთი და სრული კაცი, „რომელშიც სხეულებრივად მყოფობს ღმრთაების მთელი სისავსე". შესაბამისად, მართლმადიდებელი მონაზვნობის სწავლება ადამიანისა და ცხონების შესახებ მჭიდროდ დაკავშირებულია ქრისტეს შესახებ სწავლებასთან. ჩვენ ქრისტე გვიყვარს და მის მცნებებს ვიცავთ. ჩვენ მათი განხორციელებისათვის ვიღვწით. მან თქვა: ***„უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით"*** (იოანე, 14, 15). ქრისტეს სიყვარულით და მისი მცნებების დაცვით ჩვენ ყოვლადწმინდა სამებას ვუერთდებით.

მესამე. უწყვეტი გონიერი ლოცვისას ჩვენ ამპარტავნულ მდგომარეობაში არ ვვარდებით. ის მოძღვრებანი, რომელთა

შესახებაც ადრე მომითხრობდი, ამპარტავნებით აღსავსეა. ჩვენი ლოცვით კი სიმდაბლის ნეტარი მდგომარეობა მოიპოვება, „შემიწყალე მე" ვამბობთ ჩვენ და საკუთარ თავს ყველაზე უარესად ვთვლით. არც ერთ ძმაზე მაღლა თავს არ ვიყენებთ. ლოცვის მოქმედისათვის ნებისმიერი ამპარტავნება უცხოა. მისი (ამპარტავნების) მქონებელი უგუნურია.

მეოთხე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხონება აბსტრაქტული მდგომარეობა კი არაა, არამედ სამიპოსტასურ ღმერთთან შეერთება ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახით, მაგრამ ეს შეერთება ადამიანურ ფაქტორს არ აუქმებს. ჩვენ არ ვასიმილირდებით, რამეთუ თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებული პიროვნებაა.

მეხუთე. ლოცვის განმავლობაში შეიძინება განსაცდელთა გამოცნობის უნარი. ჩვენ სატანის მოძრაობებს ვხედავთ და ვიგებთ, მაგრამ ამავე დროს ქრისტეს მოქმედებასაც, ესე იგი **შევიცნობთ ზაკვის (ლიქნის) სულს,** რომელიც ასე ხშირად ნათლის ანგელოზად გარდაიქმნება; სიკეთეს ბოროტებისაგან, შეუქმნელს კი შექმნილისაგან განვყოფთ.

მეექვსე. ლოცვისთვის ბრძოლა, ვნებათა დამანგრეველი გავლენისაგან **სულისა და ხორცის განწმენდასთან** არის დაკავშირებული. ჩვენ სტოიკური უვნებობის მიღწევა კი არ გვსურს, არამედ დინამიურის, ესე იგი ვნების მოკვდინება კი არა, არამედ მისი ფერიცვალება. „უვნებო ვნების" გარეშე ღმრთის სიყვარული და ცხონება შეუძლებელია. მაგრამ, რამდენადაც ეს სიყვარული გადაგვარებული და წამხდარია, ჩვენი მიზანი ფერიცვალებაა. ჩვენ ეშმაკის მიერ შექმნილი დამახინჯებული (გაუსახურებული) მდგომარეობიდან განწმენდას ვცდილობთ. ამ პიროვნული ბრძოლის გარეშე, რომელიც ქრისტეს მადლით აღესრულება, ცხონება შეუძლებელია. „ცოდნა პრაქტიკის გარეშე - ეშმაკისეული ღმრთისმეტყველებაა" - ამბობს წმინდა მაქსიმე.

მეშვიდე. ლოცვით ჩვენ გონების აბსოლუტურ არარაობამდე მიყვანას არ ვესწრაფვით: ჩვენ მისი (გონების) გულში ჩაყვანა და ღმრთის მადლის სულში მოპოვება გვსურს, საიდანაც იგი სხეულზეც ვრცელდება. ***„სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუენსა არს"*** (ლუკა, 17, 21). სხეული, - ჩვენი ეკლესიის სწავლებით, - ბოროტება არ არის; **ბოროტება ხორციელი გონებაა.** იგი (სხეული) „სულის სამოსელი" არ არის, როგორც ფილოსოფიური მოძღვრებანი ამბობენ, და მის შემოძარცვას კი არა, ხსნას უნდა ვცდილობდეთ, რამეთუ სრული ადამიანის ცხონებაში, როგორც მისი სული, ასევე სხეულიც იგულისხმება, **შესაბამისად, ჩვენ სხეულის მოკვდინებას არ ვესწრაფვით, არამედ მისთვის მსახურების წინააღმდეგ ვიბრძვით.** სიცოცხლის დაღუპვა არ გვსურს. ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნას არ ვესწრაფვით, რომ ტანჯვათა შეწყვეტისათვის სიცოცხლის სურვილი აღარ გვქონდეს ჩვენ იმიტომ ვლოცულობთ, რომ სიცოცხლეს ვესწრაფვით და ღმერთთან საუკუნოდ ყოფნა გვსურს.

მერვე. ჩვენ გარემომცველი სამყაროსადმი გულგრილნი არა ვართ. ის სწავლებანი რომელთა შესახებ მოიხსენიე, კაცობრივ პრობლემებში ჩაღრმავებას უფრთხიან, იმ მიზნით რომ თავისი მშვიდობა და აღუშფოთველობა შეინარჩუნონ. ჩვენ კი სხვას ვესწრაფვით ყველასათვის განუწყვეტლივ ვლოცულობთ. მთელი მსოფლიოსათვის ვტირით. თუმცა ცხონება - ქრისტესთან ერთობაა. ჩვენ სხვა ადამიანებთან ვურთიერთობთ. თავისთავად (მარტო) ცხონება არ ძალგვიძს. სიხარული, რომელიც მხოლოდ ჩვენთვის არსებობს და არა სოფლისათვის, ნამდვილი სიხარული არ არის.

მეცხრე. ჩვენ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ ფსიქოტექნიკურ მეთოდებს, აგრეთვე სხეულის სხვადასხვა მდგომარეობას, თუმცაღა ვთვლით, რომ ზოგიერთი მათგანი გონების

გულში მოკრებას (კონცენტრირებას) ხელს უწყობს. მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ აპათიას კი არ ვესწრაფვით (ეს უარყოფითი მდგომარეობაა), არამედ ღმრთის მადლის მოპოვებას.

გმადლობთ, მამაო, ამ განმანათლებელი აზრებისათვის. მათ დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იმ ადამიანისგან მოდის, გამოცდილებით რომ განუცდია. ნება მომეცით, კიდევ ერთი რამ შეგეკითხოთ. მხოლოდ ამ ლოცვით „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე" მიიღწევა განწმენდა, ცხონება და ამგვარად განღმრთობა? სხვა ლოცვები ვერ გამოგვადგება? ისინი არ გვეხმარება?

თითოეულ ლოცვაში უდიდესი ძალაა ჩადებული. იგი სულის ძახილია. სარწმუნოებისა და გულმოდგინების ზომისაებრ მოდის ღმრთის შეწევნაც. სხვადასხვა ლოცვები არსებობს: საღმრთისმსახურო, კერძო და ასე შემდეგ. თუმცა, იესოს ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ, ღირსი ისააკ ასურის სიტყვით, იგი ის გასაღებია, რომლის წყალობითაც ჩვენ იმ საიდუმლოში შესვლის საშუალება გვეძლევა, „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა" (1 კორინთელთა, 2, 9). ესე იგი, ის გონებაზე ხელმწიფებს და მას ოცნებათა გარეშე (ფერის, სახის, ფორმის გარეშე) ლოცვას აიძულებს. და დროის მოკლე მანძილზე უხვ მადლს გვანიჭებს. ეს უხვი მადლი იმაზე მეტია, რომელიც ფსალმუნთგალობისაგან იბადება, რამდენადაც იესოს ლოცვა განუყოფლად დაკავშირებულია სიმდაბლესთან და საკუთარი ცოდვილობის შეცნობასთან. ასე ამბობენ მამები.

წმინდა გრიგოლ სინელის თქმით, ფსალმუნთგალობა დამწყებთათვის და გამოუცდელთათვის არის, მაშინ როცა იესოს ლოცვა მათთვის, ვინც ღმრთის მადლი იგემა, ანუ ისიქასტებისთვის: „შენ კი ხშირად არ იგალობო ფსალმუნნი, რამეთუ იგი ფანტავს (გონებას... მთარგმ.)... ეს დამწყებთა საქმეა მათი შეუცნებლობის და მძიმე შრომის მიხედვით,

მაგრამ არა ისიქასტთა, მხოლოდ ღმრთისადმი გულისხმიერ ლოცვაში რომ მოღვაწეობენ და აზრობრივ მნიშვნელობაში ჩაღრმავებას გაურბიან... როგორც მამები ამბობენ, მათ, ვინც მადლი იგემა, ცოტა უნდა იგალობოს და მეტად იესოს ლოცვით უნდა იყოს დაკავებული; მცირე გალობა და ფსალმუნთა კითხვა - მამათა საქმეა".

ჩვეულებრივ, მამაო ჩემო, განაგრძო მან ფსალმუნთგალობა ამაღლებულობით (განწყობის - მთარგმ.) ხასიათდება, შესამჩნევად გამოსჭვივის ეგოიზმი და ქედმაღლობა, მშვენიერი ხმისა და სხვათა მიერ გამოხატული შთაბეჭდილების ძალით, მაშინ როცა თავის კელიაში „შემიწყალე მე"-ს (კირიე ელეისონ-ის) წარმომთქმელისთვის ქედმაღლობის წარმოქმნის გარეშე ფაქტორები არ არსებობს. ამიტომაც ისიქასტები ძირითადად ამ ლოცვით არიან დაკავებულნი, მამებისგან რომ გადმოგვეცა და ცისკარსა და მწუხრს ფსკვნილზე წართქმით აღასრულებენ.

ეს ლოცვა საკმაოდ ვიწრო და ძალზე მოკლეა. ხომ არ იბორკება გონება მასში?

გონება განსაკუთრებით პატარა ფრაზებზე იკრიბება (კონცენტრირდება). მაგრამ, ამის გარდა, იესოს ლოცვას უდიდესი სილრმე აქვს, რომელიც გარეგნულად არ ვლინდება. გონებას ახასიათებს იმაში ჩაეფლოს, რაზეც შეჩერდება; იქითკენ მიმართავს იგი სურვილსა და სიყვარულს. ამის შესახებ წმინდა მაქსიმე ამბობს: „ჩვეულებრივ, გონება რა საქმეზეც ჩერდება, მას უღრმავდება; სადაც ღრმავდება, მის მიმართ განიცდის სურვილს და სიყვარულს: ან ღმრთაებრივისა და ჭვრეტითის, ან ხორციელი საქმეებისა და ვნებების მიმართ". ასევე ხდება, სხვათა შორის, ცოდნის შემთხვევაშიც. ერთი შეხედვით, უძრავი საგანი შეიძლება მრავალი წლის მანძილზე შეისწავლოთ და მასზე იფიქროთ. მით უმეტეს ქრისტეს უტკბილესი სახელი. მასზე განსჯა მთელი ცხოვრება შეიძლება.

- თუკი იესოს ლოცვას ასეთი ძალა აქვს, ნება მომეცით, მამაო, შეგეკითხოთ, როგორ ხდება ეს? როგორ შეიძლება მისით ვისარგებლოთ? ვიცი, რომ შეგაწუხებთ, რამდენადაც თქვენს წინაშე ასეთ საკითხებში უმეცარ და უცოდინარ კაცს ხედავთ, მაგრამ, თუ მიპასუხებთ, ძალზე დამეხმარებით.

- იესოს ლოცვა უდიდესი ცოდნაა, შვილო ჩემო. მისი არც აღწერა, არც ზუსტი განსაზღვრებაა შესაძლებელი, რამეთუ არსებობს საფრთხე, რომ არასწორად გაგიგონ მათ, ვისაც მცირე გამოცდილებაც არა აქვს. ამასთან, იგი ნამდვილი ღვაწლია. შეიძლება კიდევ ითქვას, რომ იგი სრულყოფილი ფორმაა, რომლის წყალობითაც ჩვენ ღმრთისმეტყველება, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ღმრთისხედვა გვაქვს. ღმრთისმეტყველება სუფთა ლოცვის პირმშო და შედეგია, მისი სასურველი და კურთხეული ნაყოფია. მისი განვითარების და სიცოცხლისუნარიანობის გარემო უტკბილესი უდაბნოს მდუმარება (მთელი მისი დინამიური შინაარსით) და ვნებათაგან განწმენდაა.

მამაო, მე ამ მადლიანი შრომის, - გონების მდუმარების შრომის, იესოს სახელის უწყვეტი მოწოდების შესახებ რამდენიმე წიგნი წავიკითხე. მე მსურდა, რომ თქვენ ჩემთვის იესოს ლოცვის ღირსება გეჩვენებინათ, საკუთარი გამოცდილებიდან და მამათა გამოცდილებიდან ამ საკითხზე აზრები გაგეზიარებინათ. მე ამის გაცნობას ცნობისმოყვარეობის გამო არ ვესწრაფვი, არამედ იმ განზრახვით, რომ რამდენადაც შემიძლია, ამ კურთხეულ მდგომარეობაში შევიდე. ამ სურვილზე უარს ნუ მეტყვით.

2. იესოს ლოცვის შესწავლის ეტაპები.

რაღაცაზე ადრეც ვისაუბრე. გონიერი ლოცვა მონაზონს აიძულებს, ძირითადად, სოფელს განერიდოს, ბერს დაემორჩილოს, მისთვის უცხო ადგილას იცხოვროს და ყოველ დროს ქრისტეს მცნებანი დაიცვას. თავიდან ჩვენი ყურადღება **მახ-**

ვილდება ქრისტეს მცნებათა შესრულებასა და თავ-შეკავების და მორჩილების ასკეტურ ღვაწლზე. წმინ-და მამათა სწავლებიდან ჩვენ ვიცით, რომ სათნოებანი საბო-ლოოდ (სრულიად) არ აერთებენ ადამიანს ღმერთთან, არამედ ლოცვის მოსვლისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან, რომელიც ადამიანს სამიპოსტამურ წმინდა ღმერთთან აერთებს. სათნო-ებანი უხვი მადლის წინაპირობაა; ამასთან ერთად მათ ეს მადლი მოაქვთ. შესაბამისად, ბერი, რომელსაც იესოს ლოც-ვის გამოცდილება აქვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს მასში თავისი მოწაფის შეყვანას, როცა რწმუნდება, რომ იგი (მოწაფე) საკუთარ სურვილებს იკვეთავს და უხეში ვნებების-გან იწმინდება. თუმცა, მაშინაც იგი მას ყველაფერს არ ეუბ-ნება, არამედ მხოლოდ იმდენს, რამდენის ზიდვაც და განხორ-ციელებაც მას ძალუძს. მას იგი თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს, რამდენადაც იმედგაცრუება და ცთუნებაა შესაძლებე-ლი.

- როგორია ეს ეტაპები, როგორია მისტიური საფეხურები, ქრისტესთან სრული ერთობისაკენ და ღმრთის მადლით გან-ძღომისაკენ რომ მივყავართ?

- იესოს ლოცვის მთავარი მიზანი - „დანაწევრებული" ადა-მიანის კვლავ შეერთებაა...

მაპატიეთ ჩარევისათვის. რას ნიშნავს „ადამიანის კვლავ შეერთება"?

- ადამიანი, წიგნთა მიხედვით, „ღმრთის ხატად" არის შექ-მნილი. ღმერთი სამიპოსტასურია, ესე იგი ერთ არსებაში სა-მი იპოსტასი (მამა, ძე და სულიწმიდა) აქვს. იგივეა სულთა-ნაც, რამდენადაც იგი, როგორც ვიცით, - „ღმრთის ხატია". იგი განუყოფელია, მაგრამ მასში რამდენიმე ძალაა. მას სამი ძალა აქვს: გონება, სურვილი და ნება. ყველა ისინი უნდა შე-ერთდნენ და ღმრთისაკენ ესწრაფონ. წმიდა მაქსიმეს მიხედ-ვით, სამი ძალის ბუნებრივი მდგომარეობა იმაში მკვიდრობს,

რომ გონებამ ღმერთი შეიცნოს, სურვილმა მხოლოდ ღმერთი ისურვოს და შეიყვაროს და ნებამ ღმრთის ნება აღასრულოს. ამაშია მცნების აღსრულება: ***„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა".*** როცა გონება ღმერთთან მყოფობს, იგი აღძრავს სურვილს მისი (ღმრთის) სიყვარულისა, და ნებას ბოროტ სულთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის - განწმენდის მისაღწევად. ასე რომ, ერთობა არსებობს, რამდენადაც არის მოძრაობა ღმრთისკენ. მაგრამ ვაი, რომ! ცოდვა სულის სამი ძალის ამ ერთობას არღვევს. გონება ვერ ცნობს ღმერთს, სურვილს შემოქმედზე მეტად ქმნილება უყვარს, ნება ვნებათაგან ტანჯვას განიცდის. დგება სულის სრული მონობა. წმინდა გრიგოლ პალამა ამ მდგომარეობას შესანიშნავად აღწერს: **პირველი.** გონება განეშორება და მიემართება ქმნილებისაკენ: „როგორც კი ვნებებს კარს ვუღებთ, გონება მაშინვე იფანტება, მუდამ ხრწნადსა და მიწიერს, სხვადასხვა სიამოვნებათა და ვნებიან ფიქრებს შორის დაეხეტება". **მეორე.** ღმრთისაგან განშორებული გონება ღმრთის მცნებებისგან და თვით ღმრთისგან განაყენებს სურვილს. „აულაგმავი, იგი მასაც (სურვილს) სიძვასა და განუსჯელობაში აგდებს... როცა გონება სუსტდება, სულში ჭეშმარიტი სიყვარულის ძალა ეცემა და სხვადასხვა ტკბილენებით გატაცებებად დანაწევრებული, ხან უწმინდური უწესოების, ხან სამარცხვინო საქმეების, ხან უსამართლო ფულის სურვილისაკენ მიესწრაფება". **მესამე.** ვნებები თრგუნავენ და ტირანიაში აგდებენ ნებას, ესე იგი, ის თვითონ „მხეცდება". „ადამიანი არა მხოლოდ უგუნურ ქმნილებებს, არამედ ქვეწარმავალ და შხამიან ცხოველებს ღრიანკალს, გველს, იქედნეს ნაშობთ ემსგავსება". მაშ ასე, სამი ძალა ღმრთისაგან შორს მიდის და ერთმანეთში ერთობას კარგავს. ასე, მაგალითად, სურვილს უნდა რომ ღმერთთან დაბრუნდეს, მაგრამ ნება არ უშვებს. ან სურვილს უნდა, მაგრამ გონებას არ სურს თავისი ურწმუნო-

ებისა და ღმრთის უსიყვარულობის გამო. ამას ჩვენ იესოს ლოცვის შემწეობით ვაგვარებთ. დაბრუნება გონების მოკრებით იწყება. მიზანი - გარემომცველი საგნებისაგან მოწყვეტა, საკუთარ თავთან დაბრუნება და შემდეგ ღმრთისადმი სურვილის დამორჩილებაა.

მე მეჩვენება, რომ თქვენ ყველაფერი ხატოვნად გადმოეცით. მე გავიგე.

- მე კი არა, შვილო ჩემო, მამები გადმოსცემენ ასე.

ჩემი კითხვის და მას მოყოლილი ახსნის შემდეგ, თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით მომიყევით ლოცვის სწავლების ეტაპების შესახებ. რითი იწყება და როგორ გრძელდება?

ძირითადად ხუთი ეტაპი გამოიყოფა. **პირველი** - იესოს ლოცვის ბაგეებით წარმოთქმაა. ლოცვის ხმამაღლა გამეორებით, ჩვენ ერთდროულად მის სიტყვებზე ყურადღების მოკრებას ვცდილობთ. **მეორე** - ლოცვას გონება იღებს და მას თავისთვის წარმოთქვამს; ეს არის სწორედ იესოს ლოცვა. მთელი ჩვენი ყურადღება ჩადებულია (მდგომარეობს) სიტყვებში, მაგრამ იკრიბება (კონცენტრირდება) გონებაში. როცა იგი (გონება) იღლება, მაშინ ჩვენ ისევ ბაგეებით წარმოვთქვამთ ლოცვას. ცხადია, რომ ასეთი სახე ან ფსკვნილის გამოყენება ლოცვის სიყმაწვილედ ითვლება. თუმცა, აქედან უნდა დავიწყოთ და როცა უფრო სრულყოფილი მოვა, მაშინ ნაკლებ სრულყოფილი მივატოვოთ (მაგრამ, განსჯით). როცა გონება დაისვენებს, კვლავ ვიწყებთ ყურადღების მოკრებას. ღირსი ნილოს სინელი გვირჩევს, რომ „ღმრთის ხსოვნა მუდმივად თან გახლდეს და ცა შენი გულისთქმა გახდება". **მესამე** ლოცვა გულში ჩადის. გული და გონება ერთდება და ერთურთს ერწყმის. ახლა ყურადღება გულზე კონცენტრირდება და კვლავ ლოცვის სიტყვებში იფლობა, ძირითადად კი იესოს სახელში, რომელიც მოუხილველი სიღრმეა. **მეოთხე.** ლოცვა სულ უფრო თვითმოქმედი ხდება. იგი იმ დროს აღესრულება, როცა მოღვაწე შრომობს, ან ჭამს, ან საუბრობს, ან

ტაძარში იმყოფება, ან სძინავს. ***„მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარე არს"*** (ქებათა ქება, 5, 2), ამბობს წმინდა წიგნი. **მეხუთე** - სულში ღმრთაებრივი ნელი ცეცხლი შეიგრძნობა, რომელიც აღანთებს და ამხიარულებს. გულში ქრისტეს მადლი მკვიდრდება. წმინდა სამება სავანეს იწყობს. „და აი რა არის ღმრთის საცხოვრისი: მასში, ვინც ღმრთის ხსოვნა მოიპოვა, ღმერთი მკვიდრდება. მაშინ ჩვენ მის ტაძრად ვიქცევით, როცა აზრი მიწიერი საზრუნავით არ წყდება (ჩერდება), გონებას მოულოდნელი (უეცარი) ვნებები არ აღაშფოთებს, არამედ ყოველივე ამას განეშორება ღმრთისმოყვარე, რომელსაც გონება ღმრთისკენ მიუმართავს; იგი ვნებებს დევნის, რომელიც მას თავშეუკავებლობისკენ იტაცებს, და სათნოებებს გულმოდგინედ მიირქმევს" (წმინდა ბასილი დიდი). ბოლოს, იგი საკუთარ თავში ღმრთის ყოფნას გრძნობს, მადლი სხეულს მომკვდარს და სოფლისთვის ჯვარცმულს მოიცავს. ეს ბოლო ეტაპია, რომელიც ზოგჯერ შეუქმნელი ნათლის ჭვრეტასთან ერთდება. ასეთია იესოს ლოცვის განვითარების გზა. თითოეულ ეტაპს შესაბამისი მადლი აქვს.

ნება მომეცით რამდენიმე კითხვა დაგისვათ, მამაო, რომელიც იმ დროს გამიჩნდა, რაც თქვენ ლოცვის ეტაპებზე საუბრობდით. გულში რას გულისხმობთ?

- მამათა სწავლებით, გული სულიერი სამყაროს ცენტრია. ამ საკითხზე მამათა მრავალრიცხოვანი გამონათქვამებიდან, კვიპროსის კონსტანციის ეპისკოპოსის, წმინდა ეპიფანეს დამახასიათებელ აზრს მოვიყვან: „ამასთან, არ არის საჭირო განვსაზღვროთ და გამოვიძიოთ, თუ რომელ ნაწილში მდებარეობს „ღმრთის ხატება"; საჭიროა, უბრალოდ ადამიანში მისი არსებობა ვაღიაროთ, რათა მადლი არ შეურაცხვყოთ და ღმრთისა გვწამდეს. რადგან ყოველივე, რასაც უფალი ამბობს, ჭეშმარიტია, თუნდაც ჩვენ აზრი (ნათქვამისა მთარგმ.) გვისხლტებოდეს". მსგავსად იმისა, როგორც პრიზმაზე დაცემული სხივი, ტყდება და ყველა მხრიდან ჩანს, ასევე სულიც

მთელ ადამიანურ არსებაში გამოიხატება. თუმცა, ლოცვის დროს ჩვენ ყურადღებას სხეულის ორგანოზე გულზე ვკრებთ, რათა გარეშე საგნებს მოვწყდეთ და იგი საკუთარი თავის სიღრმეში მივმართოთ. როცა ყურადღება მოპოვებულია (მოკრებილია), გონება სულის ერთ-ერთი ძალა, - თავის საცხოვრისში ბრუნდება და იქ სხვა ძალებს უერთდება.

- კიდევ ერთი კითხვა. ღმერთში დავანების ყველა მსურველი აღწერილ გზას გადის?

- ძირითადად, კი, თუმცა, არის ზოგიერთი, ვინც თავიდანვე ესწრაფვის გონების გულთან შეერთებას. ისინი ამის მიღწევას ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის საშუალებით ცდილობენ. ჩასუნთქვისას ამბობენ: „უფალო, იესო ქრისტე"; ამოისუნთქავენ სიტყვებზე: „შემიწყალე მე". ისინი აგრეთვე იმას აკვირდებიან, რათა ჰაერმა ცხვირის ფოსოდან გულს მიაღწიოს და იქ მცირე ხანს გაჩერდეს.

რა თქმა უნდა, ეს იმისთვის ხორციელდება, რომ გონება მიაჯაჭვოს. მამებმა ჩვენ სხვა მეთოდიც დაგვიტოვეს. ჩასუნთქვისას ჩვენ მთელ იესოს ლოცვას წარმოვთქვამთ და ამოსუნთქვისას მას კვლავ ვიმეორებთ. ასეთ პრაქტიკას წარმატება მოაქვს. თუმცა, სუნთქვითმა მეთოდმა შესაძლოა, დიდი სიძნელეები, ბევრი პრობლემები გამოიწვიოს, ამიტომაც ბერის მეთვალყურეობის გარეშე იგი აკრძალულია. მისი გამოყენება უბრალოდ, სიტყვებზე გონების მოსაკრებად შეიძლება იქნას გამოყენებული, რათა იგი (გონება) არ გაიფანტოს. მაგრამ, ვიმეორებ, მეთოდი მორჩილისადმი ბერის საგანგებო კურთხევას მოითხოვს.

ადრე თქვენ თქვით, მამაო, რომ იესოს ლოცვის მიზანი გონების გულთან და მოქმედების ბუნებასთან შეთანხმების აღდგენაა. ამას ჩვენ განსაკუთრებით, წმინდა გზის მესამე ეტაპზე განვიცდით. თუმცა, მეხუთე ეტაპის აღწერისას, თქვენ წმინდა ბასილი დიდის სიტყვების ციტატი მოიხმეთ: „... ყოველივე ამას განეშორება ღმრთისმოყვარე, რომელსაც გონება

ღმრთისკენ მიუმართავს". როგორ არის, რომ გონება გულში ჩადის და ღმერთს მიმართავს? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა?

არა, მიპასუხა წმინდა მეუდაბნოემ. როგორც წმინდა და ღმერთშემოსილი მამები გვასწავლიან, ლოცვაში მოღვაწეთათვის სხვადასხვა საფეხური არსებობს. არიან ახალდამწყები და წარმატებული მლოცველები, ან უკეთ რომ ვთქვათ, მამათა სწავლების შესაბამისად, მოქმედნი და მჭვრეტელნი. მოქმედებთან ლოცვა ღმრთის შიშისა და კეთილი სასოებისაგან აღევლინება, მაშინ როცა მჭვრეტელებთან „ღმრთის სიყვარულისა და სრულყოფილი სიწმინდის" გამო. პირველი (პრაქტიკული) საფეხურის დამახასიათებელი ნიშანია გონების გულში მოკრება, როცა გონება განუბნევლად ლოცულობს ღმრთისადმი. მეორე (ჭვრეტითი) საფეხურის ნიშანი - ღმრთაებრივი ნათლით გონების შეპყრობაა, როცა არაფერი ამსოფლიური აღარ იგრძნობა, საკუთარი „მეც" კი. სწორედ ეს არის გონების გასვლა (ექსტაზი). ასეთ მდგომარეობაზე ჩვენ ვამბობთ, რომ იგი (გონება) ღმერთს მიმართავს. საღმრთო ექსტაზს ღმერთშემოსილი მამები აღწერენ, ვინც ეს კურთხეული მდგომარეობა განიცადა: ექსტაზი წარმოადგენს „გონების შეპყრობას საღმრთო და უსასრულო ნათლით, როცა ყოფიერებიდან სხვა არაფერი შეიგრძნობა, არამედ მხოლოდ ის, რომელმაც თავისი სიყვარულით ეს განათლება წარმოქმნა" (წმინდა მაქსიმე).

ნება მომეცით, კიდევ ერთი შეკითხვა დაგისვათ. მე არ შემიძლია თქვენს მიერ ციტირებული ადგილის გაგება: „მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარე არს". გამოიჩინეთ სიყვარული და მე ეს ამიხსენით. როგორ შეიძლება, რომ ვინმეს ეძინოს და მისი გული კი ღმრთისადმი ლოცვას განაგრძობდეს?

ეს ადგილი ძველი აღთქმის წიგნშია, რომელსაც „ქებათა ქება" ეწოდება. მისი ახსნა ძნელი არ არის. წინასწარმეტყველი დავითი წერს, რომ „კაცის გული ღრმაა". ყველა მოვ-

ლენა, დღის ყველა შთაბეჭდილება და გონების საზრუნავი გულში, ანუ როგორც დღეს ვამბობთ, ქვეცნობიერში იყრის თავს. ჩვეულებრივ ის, რითაც ადამიანი დღისით არის დაკავებული, მის გულს ღამით ავსებს, როცა გონება მდუმარებს და ადამიანური ძალები ისვენებს. ეს ცხადად ვლინდება სიზმრებში, რომლებსაც ვხედავთ. წმინდა ბასილი დიდი აღნიშნავს, რომ „სიზმარში ნანახი დიდწილად დღიური განსჯის გამოძახილს წარმოადგენს". ასეთი ხატოვანი წარმოდგენები (სიზმრები) მღვიძარების პერიოდში გონებრივი მოღვაწეობის შედეგია. დღისით ბოროტი საზრუნავები და ბოროტი აზრები ბოროტ სიზმრებს იწვევს. ასევე ხდება კეთილ საქმეებთანაც. მოღვაწე და საერთოდ, ღმრთის კაცი მუდმივად ლოცვით ღმერთზე განსჯის (ფიქრობს). ღმრთის ხსოვნასა და მრავალჯერ გამეორებულ იესოს ლოცვაშია მისი ტკბობა. სხვა საქმეების დროსაც ჭამს თუ სვამს, იგი ამას მოციქულის სიტყვისაებრ - ღმრთის სადიდებლად იქმს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ღამის დასვენების მოკლე საათებშიც მისი გული ღმერთზე განსჯის და ლოცულობს. იგი მღვიძარებს.

3. იესოს ლოცვის მოპოვების გზები.

დიდად გმადლობთ, მამაო, ამ დამაჯერებელი ახსნისათვის. აქამდე მე თქვენი აზრების მიყოლას ვცდილობდი. იესოს ლოცვის ეტაპების გაგებას, ანუ იმის გაგებას ვცდილობდი, თუ ეს წმინდა შრომა როგორ ვითარდება. მაგრამ, მსურს შეგეკითხოთ, იოლად მოდის იგი? თუ ბრძოლა და ძალისხმევაა საჭირო? თუკი ღმრთის სასუფეველი „იიძულების; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიტაცონ იგი" (მათე, 11, 12), მაშინ, ნამდვილად, იესოს ლოცვაშიც იძულებაა აუცილებელი, რადგან მხოლოდ მისი შემწეობითაც, შესაძლოა, ღმრთის სასუფევლის თანაზიარნი გავხდეთ, რამეთუ შეუქმნელი ნათლის ჭვრეტა - როგორც მე წმინდა გრიგოლ პალამასთან წავიკითხე, არის სწორედ ცათა სასუფეველი. რაში მდგომარეობს ბრძოლა?

- ცხადია, ბრძოლა საჭიროა, - მიპასუხა ბრძენმა მთაწმინდელმა, - და ბევრი სისხლიც უნდა დაღვაროს მოღვაწემ. მამათა გამონათქვამი: „გაიღე სისხლი და მიიღე სული" - ამას შესანიშნავად ამტკიცებს. ბრძოლის გარეშე ადამმაც დაკარგა სამოთხე, თუმცა კი ღმერთს ჭვრეტდა. მით უმეტეს აუცილებელია იგი ჩვენთვის, ღმრთის მადლის მოსაპოვებლად. ცდება, ვინც ქადაგებს, რომ ბრძოლა საჭირო არ არის. წმიდა მაქსიმე ამბობს: „ცოდნა პრაქტიკის გარეშე დემონური ღმრთისმეტყველებაა". ცოდვითდაცემამდე ლოცვა იოლად აღესრულებოდა, ანგელოზთა დაუდუმებელი დიდებისმეტყველების მსგავსად. თუმცა, დაცემის შემდეგ ბრძოლა და შრომაა საჭირო, რომელთა მეშვეობითაც, მართალნი ცათა სასუფეველში, ძველ მდგომარეობაში ბრუნდებიან.

- მე ძალიან ვისურვებდი, რომ თქვენ ეს ბრძოლა აღწეროთ.

- პირველი და დაძაბული ბრძოლაა, რომ კაცმა გონება მოიკრიბოს, გამორემომცველ საგნებზე, გარემოებებზე, მოვლენებზე, მდგომარეობაზე, აზრებზე არა მარტო ცუდზე, კარგზეც უარი თქვას. რამეთუ ღმრთისგან განშორებული გონება, ზღვიდან, წყლიდან გამორიყული თევზის მსგავსად კვდება და იხრწნება. ამის შესახებ წმინდა ისააკ ასურიც საუბრობს: „რაც წყალს მოკლებულ თევზს ემართება, ის მოსდის გონებასაც, ღმრთის ხსოვნა რომ დაუკარგავს და სოფლის ხსოვნით ფრენს (დაფარფატებს)". გონება ცოდვითდაცემის შემდეგ ძაღლს გვაგონებს, რომელიც ყოველთვის სირბილს ესწრაფვის და რბენაში არაჩვეულებრივად მკვირცხლია. იგი ივავის უძღებ შვილს ჰგავს, მამის სახლიდან წასვლა რომ მოისურვა, თავისი ქონება (ნება სურვილი) აიღო და იგი „არაწმიდა ცხოვრებით" გაფლანგა და განაბნია. ასე ამბობენ მამები, შინაგან საქმიანობაში რომ მოღვაწეობენ, და უპირველეს ყოვლისა წმინდა გრიგოლ პალამა (რის შესახებაც ადრე მოვიხსენიე).

შესანიშნავი აზრია! წამოვიძახე მე! თუმცა, როგორ უნდა მოვიკრიბოთ (გონება)'?

- ზუსტად, ისე, როგორც ეს უძღებ შვილს („წარწყმედულ ძეს") დაემართა. რას ვკითხულობთ შესაბამის ნაწყვეტში? *„და მოეგო რაი თავსა თვისსა, ჰრქუა: რაოდენთა სასყიდ-ლით-დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები. აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა... და აღდგა და მოვიდა მამისა თვისისა... ჰრქუა მამამან მისმან მონათა თვისთა: „... მოიბთ ზუარაკი იგი ჭამებული და და-კალთ, და ვჭამოთ და ვიხარებდეთ, რამეთუ ძე ესე ჩემი მომ-კუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა, და იწყეს განცხრომად"* (ლუკა, 15, 17-24). დაკარგულ (დაბ-ნეულ) გონებასაც **„მოგება" (გონს მოსვლა) სჭირდება, თავისი დაბნეულობისაგან, მამისეულ სახლში სიტ-კბოს და ბედნიერების შეგრძნება და მასში დაბრუ-ნება** და იქნება იქ დიდი ზეიმი და სიხარული გარდამეტებუ-ლი. და მოისმენს იგი ხმას: *„ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწმედულ იყო და იპოვა"*, და გაცოცხლდე-ბა მკვდარი გონება. მხოლოდ მაშინ დადგება სიხარული, რო-ცა გონება გულში დაბრუნდება - ისეთი სიხარული, როგორც უცხო მხარიდან სახლში დაბრუნებულს აქვს, რის შესახებაც ნიკიფორე მონაზონი წერს: „როგორც სახლიდან გასული კა-ცი შინ რომ ბრუნდება, ვერ შეიცნობს, თუ ცოლისა და ბავ-შვების ნახვის სიხარულისაგან მის თავს რა ხდება, ასევე სულთან შეერთებული გონება მხიარულებით და გამოუთქმე-ლი ნეტარებით აღივსება". გონების მოკრება გულის გათბო-ბისას ხდება. ღირსსახსოვარი ჩემი ბერი (მოძღვარი) მზის ჩასვლისას თავის შინაგან მდგომარეობას გამოსცდიდა და ბუ-ნების სახეებს ჭვრეტდა, შემდეგ კი, გული რომ გათბებოდა, იესოს ლოცვას იწყებდა და მას დილამდე აგრძელებდა, რო-ცა საღმრთო ლიტურგია აღესრულება. მაშინ...

- მამაო, შემინდეთ, რომ გაწყვეტინებთ. მე მთლად ვერ გავიგე. რას ნიშნავს „გულის გათბობა?" როგორ თბება იგი? რატომ არის ეს ქმედება იესოს ლოცვისათვის აუცილებელი?

შენ უძღები შვილის მაგალითი დაგეხმარება. გონზე მოსულმა, მან თქვა: *„რაოდენთა სასყიდლით-დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქ სიყმილითა წარვწყმდები. აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა..."* ესე იგი, მან მამისეული სახლის ნეტარება გაიხსენა თავის სიგლახაკესთან ერთად და სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევა, დასაბრუნებლად ნებისა და სურვილის იძულებისათვის. ამისთვის აღვასრულებთ ჩვენ იესოს ლოცვას. ვცდილობთ საკუთარი ცოდვილობა და სიგლახაკე დავინახოთ. დღიურ დაცემებს ვიხსენებთ. სხვადასხვა მოვლენებს და ცოდვებს განვიცდით (განვიხილავთ) (თუმცა, მათ მცირედ, ესე იგი გარეგნულად ვეხებით) და ისე ვიქცევით, თითქოს სამსჯავროზე ვიყოთ და სამსჯავრო მიდიოდეს. უფალი საყდარზე, ჩვენ განსასჯელთა სკამზე. შევიგრძნობთ ამას და ვღაღადებთ: „შემიწყალე მე". ამ შემთხვევაში უნდა იტირო, რადგან ტირილისაგან სწორი ლოცვა მოდის. მამები ამბობენ, რომ მან, ვინც ღრმა ლოცვას და ღრმა მონაზვნურ ცხოვრებას ესწრაფვის, ტირილი და მუდმივ თვითგანვითარებაში, თვითსაყვედურში ცხოვრება უნდა ისწავლოს, საკუთარი თავი ყველა დანარჩენზე ცუდად უნდა მიიჩნიოს, საკუთარ თავს, როგორც ჭუჭყიან ცხოველს უნდა მოეპყრას, ცდომილებისა და უმეცრების ბნელში რომ იმყოფება. მან პირველმა უნდა განსაჯოს თავისი თავი, რამეთუ ასეთი, მადლის ღირსი ხდება, როგორც წმინდა ბასილი დიდი ამბობს: „ის, ვინც საკუთარ თავს განიკითხავს თავისი შეცოდებების გამო და სხვათაგან მხილებას არ ელოდება, ესე იგი, ის ვინც საკუთარ თავს განაჩენამდე სჯის, გამართლდება". „პირველად თავი თვისი განსაჯე, - ნათქვამია სოლომონის იგავებში, და ამგვარად მოემზადები ლოცვისათვის". წმინდა ისააკი წერს:

„ლოცვის წინ მუხლებზე დავეცეთ, ხელები დავიკრიბოთ და თავი დასჯილად ჩავთვალოთ". მაშინ მოვა თვითგანკიცხვის აზრები. ისინი ყოველდღე შეიძლება ახლები იყვნენ. მაგრამ, ამ აზრების განხილვა **მეოცნებეობის გარეშეა** აუცილებელი. მაშინ კი მონანიე გონება ნამდვილად ჩავა გულში, და ჩვენ ავტირდებით და უწყვეტი ლოცვა დაიწყება. ერული ცხოვრების მაგალითით ავხსნი. ვინმეს მიერ მის მიმართ ნასროლი საწყენი სიტყვის დამხსომებელი კაცი, თუკი მასზე განსჯას დაიწყებს, გულში ტკივილს გრძნობს და მაშინვე მწუხარებას იწყებს. იგივე ხდება ლოცვის მოღვაწეებთანაც; მაგრამ მათი მოტივები, ცხადია, არა სოფლიური და არა ეგოისტურია. მოღვაწე თავისთვის ამბობს: „მე მწუხარება მივაყენე ქრისტეს, ღმრთის მადლს განვშორდი". ასეთი აზრებისაგან გული **ღრმა შემუსრვილებას განიცდის**. სინანულის (არა გარეშე ზეწოლით) გრძნობით შემუსრვილი გული იწყვლება და მწუხარებს მეტად, ვიდრე ტანჯული სხეული. ეს შემუსრვილება გონებას უწყვეტად ღმრთის ხსოვნას უნარჩუნებს და შემუსრვილს ღამით ძილიც კი არ შეუძლია, და თავს ისე გრძნობს, თითქოს გავარვარებულ ნახშირებს შორის იმყოფება. ასე რომ, შეიძლება საათის მეოთხედის მანძილზე ლოცვა (ლოცვის ქმნა) და მაშინ მთელ დღეს და მთელ ღამეს შემუსრვილი გული იესოზე განსჯის (იფიქრებს); სწორედ ამას ეწოდება უწყვეტი ლოცვა. იგი, ვიმეორებ, რამდენიმე წუთის დაძაბული ლოცვის (ცრემლებით) შემდეგ შეიძლება იქნას მიღწეული და შემდეგ მისი მოქმედება რამდენიმე დღის განმავლობაში შიგნით შეიგრძნობა. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ულირსობის გრძნობა იესოს ლოცვის აღსრულებისთვის აბსულუტურად აუცილებელია. ყველაზე დიდი წარმატება საკუთარი ცოდვილობის ყველაზე დიდი შეცნობით განისაზღვრება. ასეთი შემეცნების გარეშე ჭეშმარიტი ლოცვა არ არსებობს. როგორც ვხედავთ, ლოცვა მწუხარებასთან

უნდა იყოს შეერთებული. და მართლაც, მამები გვასწავლიან, რომ ზეცად აღსვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთარ თავში ჩასვლასთან. რამდენადაც ჩვენ ყურადღებას სულის სიღრმეებზე მივმართავთ, იმდენად განვაცხადებთ მის საიდუმლოებებს; სინანულთან ერთად გულში ცათა სასუფეველი მოდის და იგი სამოთხედ და ცად გარდაიქმნება. მხოლოდ მონანიებით ვიძენთ სასუფევლის ხედვას.

არის შემთხვევები, როცა თავისი ცოდვილობის გამგები ადამიანი, იმედს გაიცრუებს და ბრძოლაზე უარს ამბობს?

რა თქმა უნდა, არის. თუკი ასე ხდება, ეს ნიშნავს, რომ ეშმაკმა ცოდვილობის აზრი შემოაგდო, რათა სასოწარკვეთაში შეიყვანოს. ხოლო როცა ჩვენ ცოდვილობას შევიგრძნობთ, ღმერთს მივმართავთ და ლოცვით მის მადლს ვითხოვთ ეს ღმრთის ნიჭის (საჩუქრის), ღმრთის მადლის მოქმედების ნიშანია.

ცოდვილობის გრძნობის გარდა, აგრძელებდა ბერი გულის გათბობის სხვა გზებიც არსებობს. სიკვდილის ხსოვნა. „მე ვფიქრობ, რომ ეს ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი საათებია და მალე ეშმაკნი მოვლენ და სულს წარმტაცებენ". წარმოსახვათა გარეშე მიმდინარე ეს აზრი შიშს იწვევს და ლოცვისთვის აღგვძრავს. ასე გვირჩევს მამა თეოფილე; „პატერიკში" წერია, თუ როგორ შეგვიძლია, მაგალითად, განვსაჯოთ: „როგორი შიში, და ძრწოლა და კანკალი მოგვიცავს, როცა სული ხორცს გაეყრება! მაშინ ჩვენთან წინააღმდგომ ძალთა დიდი სიმრავლე მოვა: ბნელის ხელმწიფენი, სოფლისმპყრობელნი, თავნი და უფლებანი, ცოდვის სულები. და წარიღებენ სასჯელის ღირს სულს და წარუდგენენ მას მთელს მის შეცოდებებს, ცოდნით და უმეცრებით ჩადენილთ სიყრმიდან ვიდრე ამ ჟამამდე. და ბრალს დასდებენ მას ყოველივე იმაში, რაც მან ჩაიდინა. როგორი ბრძოლა დაეუფლება სულს იმ მომენტში, როცა გადაწყვეტილება გამოვა და იგი სხეულს დატოვებს! ეს მასზე ძალადობის ჟამი იქნება, როცა იგი იხი-

ლავს, თუ რა არის მისთვის გამზადებული. თუმცა, ღმრთაებრივი ძალები წინ აღუდგებიან ეშმაკისეულს და მის კეთილ საქმეებსაც აჩვენებენ. და მართალი მსაჯული გადაწყვეტილებას გამოიტანს და მის წინ მდგომი სული იგრძნობს, როგორი შიში და ძრწოლა მოიცავს მას. და თუ იგი ღირსეული აღმოჩნდება, დემონები შერცხვენილ იქნებიან და მას (სულს) მათ წაართმევენ. და იგი, ნუგეშინისცემული, დიდად გამხიარულდება თავის საცხოვრისში, ნათქვამის მიხედვით: ***„წარხდა სალმობა და მწუხარება და სულთქმა"*** (ესაია, 35, 10). და გადარჩენილი (ნაცხონები), გამოუთქმელი სიხარულისა და დიდების ადგილზე გაემგზავრება და იქ დაემკვიდრება. ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ სული უზრუნველად ცხოვრობდა, იგი საშინელ სიტყვებს მოისმენს: „დაე, განშორდეს ბილწი და არ იხილოს დიდება უფლისა". მაშინ უცებ მრისხანების დღე დადგება, მწუხარების და ძალადობის დღე, წყვდიადის და ბნელის დღე. მას უფსკრულში გადააგდებენ, საუკუნო ცეცხლს მიუსჯიან და უსასრულო დროით იქნება დასჯილი. სად არის მისი სამხედრო დიდება? სად არის ცარიელი პატივი? სად არის კმაყოფილება? სად არის სიმშვიდე? სად არის ბრწყინვალე ცხოვრება? სად არის ტკბობა? სად არის სიამაყე? სად არის სიმდიდრე? სად არის საერო წარმატება? სად არის მამა? სად არის დედა? ვინ შეძლებს სულის განთავისუფლებას, როცა მას ცეცხლი დაწვავს და იგი ასე მწარედ დაიტანჯება?"

საწინააღმდეგო აზრები თანაბრად მისაღებია: სამოთხის სიტკბოების, წმინდანთა დიდების და ღმრთის დიდი სიყვარულის შესახებ. განსაკუთრებით იმ დღეს, როცა საღმრთო ლიტურგია აღსრულდა და შენ წმინდა საიდუმლოთ ეზიარე.

- მამაო, ასეთი განსჯის მომსმენი სოფელი ეჭვსა და ურწმუნოებას გამოხატავს. არსებობს მრავალი ღმრთისმეტყველი და სასულიერო წოდების პირიც კი, რომელიც მათ არ ეთანხმება, ამტკიცებს, რომ ისინი (განსჯანი - რედ.) სოფლისათ-

ვის არ არის, და ამასთან წმინდა მამებს მიუთითებს. ისინი მამებს „მმარხველებად" და „სოციალურმსახურებად" ჰყოფენ და საერო ცხოვრებაში უკანასკნელთ არჩევენ, რადგან მათი სწავლება უფრო „გამიწიერებულია", მაშინ, როცა პირველთა („მმარხველთა") სწავლება მონასტერთათვის არის მისაღები. არ ვიცი, რამდენად ჭეშმარიტია ასეთი განსჯა.

- თქვენ უდიდეს თემას შეეხეთ, მრავალი სხვადასხვა მხარე და ასპექტი რომ აქვს, და შესაბამისად, მნიშვნელოვან დროს მოითხოვს. თუმცა, მე არ შემიძლია, რამდენიმე ზოგადი პასუხი არ შემოგთავაზოთ. პირველ რიგში, მამაო ჩემო, შეუძლებელია მამათა დაყოფა მმარხველებად (ანუ მისტიკოსებად) და სოციალურ მსახურებად, ისევე, როგორც არ შეიძლება ღმრთისმეტყველების დაყოფა მისტიკურად და არამისტიკურად და სულიერი ცხოვრების დაყოფა მონაზვნურად და ერულად (სხვა სიტყვებით, თითქოს, ერთი სწავლება სოფლისთვისაა, მეორე კი - მონაზონთათვის). აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი ღმრთისმეტყველება მისტიკურია, მთელი სულიერი ცხოვრება - ასკეტურია. შესაბამისად, ყველა წმინდა მამას ერთი აზრი, ერთი ცხოვრება, ერთი სწავლება აქვს. ყველამ განღმრთობის ნეტარ მდგომარეობას მიაღწია, ყველა „ქრისტეთი შეიმოსა" და ყოველში ცოცხლობს და მოქმედებს სულიწმიდა. გამოდის, რომ მმარხველი მამები ყოველთვის სოციალური მსახურები არიან, ეგრეთ წოდებული სოციალური მსახურები კი აუცილებლად მმარხველები. მამათა საზოგადოებრივი მოღვაწეობა, უდავოდ ღვაწლის შედეგია. ყველა ის, ვინც საზოგადოებრივი საქმეებით არის დაკავებული, უბრალოდ სოციოლოგებს, ან ფსიქოლოგებს, ან მორალისტებს, ან პედაგოგებს არ წარმოადგენენ, არამედ ღმრთისმეტყველებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ღმრთისათვის ცხოვრობენ და შემდეგ ცდილობენ დაეხმარონ ადამიანებს, რათა მათაც მისთვის (ღმრთისთვის) იცხოვრონ. ასე რომ, მათი სოციალუ-

რი მსახურება - ღმრთისმეტყველების სახეა, ქრისტეში ცხოვრება, სულიწმიდაში ცხოვრება და ეკლესიაში ცხოვრებაა. ჭეშმარიტად, ეკლესია - მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველების ადგილი და ღმრთისმეტყველება - ეკლესიის ხმაა. ყველა მამა ერთსა და იმავე თვისებებს ფლობდა. მათთვის დამახასიათებელი იყო მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველება, საეკლესიო შემეცნება და სამღვდლო და სამონაზვნო მსახურება. შესაბამისად, დიდი შეცდომაა ის, რომ ისინი აუცილებლად მმარხველებად და საზოგადოებრივ მსახურებად დავყოთ, რამდენადაც ასეთ დაყოფას უზარმაზარი შედეგები აქვს სულიერ ცხოვრებაში და სულიწმიდის გმობამდე მივყავართ.

ხომ არ თვლით, რომ ზოგიერთი მამა, მაგალითად, იოანე ოქროპირი და ბასილი დიდი, რომელნიც სოციალურ თემებზე ხშირად ქადაგებდნენ, ბევრად უფრო ახლოს იყო ხალხთან?

- ცხადია, ასეა. თუმცა, როგორც ადრე ვთქვით, საჭიროა რამდენიმე აუცილებელი დაზუსტება. **პირველი.** ის იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ცრემლებით, ლოცვით და მარხვით არ ცხოვრობდნენ. ესე იგი, მათი საზოგადოებრივი სწავლება მათი შინაგანი ცხოვრებისგან განუყოფელია. წმინდა მამა, ზოგჯერ შეიძლება სოციოლოგად განვიხილოთ, ზოგჯერ კი მორალისტად. სოციოლოგსა და ღმრთისმეტყველს შორის უდიდესი სხვაობა არსებობს. მათ სხვადასხვა მიზეზები და მოტივები ამოძრავებთ. მათი ანთროპოლოგია მნიშვნელოვნად განსხვავდება. **მეორე,** თუკი ზოგიერთი მამა, ძირითადად, სოციალურ თემაზე ქადაგებდა, ის ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ღმრთისაგან შეგონება მიიღო, რომ კონკრეტულ ქვეყანაში მცხოვრებ კონკრეტულ ადამიანთან ასე ელაპარაკა. ჩვენ არ უნდა დავიიწყოთ ის, რომ წინასწარმეტყველის, მოციქულის და წმინდანის სიტყვა იმ ხალხის სიმწიფისა და სულიერების ზომის მიხედვით წარმოითქმება, ვისაც მიემართება. თუკი სიტყვას გარკვეული არასრულყოფილება აქვს, ეს წმინ-

და მამის მიდგომათა თავისებურებით და აზრთა წყობით კი არ აიხსნება, არამედ სოფლის უუნარობით, უფრო მეტი დაიტიოს; იმით კი არა, რომ მამამ ეს არ იცის, არამედ იმით, რომ ფარას (სამწყსოს) ამის გაგება არ შეუძლია. აღვნიშნავ, რომ მრავალ სოციალურ საქმეში, აშკარად ისიქაზმის სული ვლინდება.

რათა უფრო კონკრეტულნი ვიყოთ, წმინდა იოანე ოქროპირის მაგალითზე შევჩერდებით, რომელიც შენ მცირე ხნის წინ მოიხსენიე. წმინდა იოანე ოქროპირი საზოგადო მოღვაწედ ითვლება, მისი თხზულებების კითხვა ყველას შეუძლია. ბევრი მის მოძღვრებას სხვადასხვა სოციალურ და ეთიკურ პრობლემას უკავშირებს, თუმცა არ იციან ის, რომ იგი მდუმარე სამოღვაწეო ცხოვრებას მარხვით, ცრემლებით, მწუხარებით, განუწყვეტელი ლოცვით, სიკვდილის ხსოვნით და ა.შ. ეწეოდა. თუკი ვინმე მდუმარე მონაზონი მის შრომებს წაიკითხავს, იგი მაშინვე შეიცნობს ისაქასტ მამას. მისი წმინდა მოძღვრებიდან რამდენიმე ციტატას მოგიყვანთ და შემდეგ კომენტარს გავაკეთებ. იგი ლოცვაზე (საერთო სწავლება ლოცვის შესახებ), მის მნიშვნელობაზე, იმაზე საუბრობს, რომ ნაყოფის მომკისათვის საჭიროა მოკრებილი გონება და სინანულის გრძნობით შემუსრვილი გული გვქონდეს. „დიდი იარაღია ლოცვა, უნაკლო საუნჯეა, სიმდიდრეა, ვერასდროს რომ დახარჯავ, უშფოთველი ნავთსაყუდელი, სიწყნარის საფუძველია, ურიცხვ სიკეთეთა ძირი, წყარო და დედაა აი, რა არის ლოცვა, უფრო ძლიერი, ვიდრე თვით სამეფო... ლოცვა კი, გეუბნებით, რაღაც ზანტს და უზრუნველობით აღსავსეს არ წარმოადგენს; იგი მაღლა აღმართული ხელებით, მგლოვიარე სულით, მოკრებილი გონებით აღესრულება. რამეთუ, როცა იგი ასეთია, ზეცამდე ადის... ასე რომ, აღვანთოთ სინდისი, სულით ვიგლოვოთ, შეცოდებანი გავიხსენოთ. იმიტომ კი არ ვიგლოვოთ, რომ ხასიათი წავიხდინოთ, არამედ, რათა მოვემზადოთ და შესმენილნი ვიყოთ, რათა ვიმარხულოთ და

ვიმღვიძაროთ და თვით ცას მივაღწიოთ. არაფერი ისე არ დევნის უზრუნველობას და გაბნეულობას, როგორც გლოვა და წუხილი, ყოველ მხრიდან რომ ავიწროებს გონებას და მას შიგნით აბრუნებს. ასე მოღვაწე და ასეთი ლოცვით მლოცველი თავის სულში სიხარულის მოპოვებას შეძლებს". შემდეგ იგი იმაზე საუბრობს, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ შეძლებს კადნიერად ლოცვას, როცა საკუთარ თავს ყველაზე უარესად მიჩნევის იძულებულს-ჰყოფს.

ზუსტად ასევე, მამაო ჩემო, ისაუბრებდა უდიდესი ისიქასტი, აგრძელებდა მეუდაბნოე, - რამდენიმე მომენტს აღვნიშნავ. **პირველი.** ოქროპირი ლოცვას სულიერ გლოვასთან და მოკრებილ გონებასთან მჭიდროდ აკავშირებს. ლოცვის სრულყოფისათვის გონება გაფანტულობისაგან „თავის თავში" უნდა დავაბრუნოთ. **მეორე.** რათა ლოცვა ქმედითი იყოს, თავიდან გულის სითბოა საჭირო, რის შესახებაც ადრე ვსაუბრობდით. გული თბება, გონება ბრუნდება და ჩვენ ლოცვას ვეძლევით. **მესამე.** გულის ეს სითბო ცოდვის ხსოვნასთან, თვითგანკიცხვასთან, იმ გრძნობასთან ერთად მოდის, რომ ჩვენ ყველა დანარჩენზე უარესნი ვართ „ყველა ქმნილებაზე დაბლა". მხოლოდ მაშინ, როცა ლოცვით ვცხოვრობთ, ჩვენ სულიერ სიხარულს, ქრისტეს მადლს ვიძენთ. შეიცნობთ ისაქასტ მამას?

მე განცვიფრებული ვარ ოქროპირის თხზულებიდან ამ ადგილის წაკითხვით და ანალიზით. ჩემზე წმინდა მამის აზრმა მოახდინა შთაბეჭდილება.

შეიძლება სიცხადე შემოვიტანო?

რა თქმა უნდა.

ეს წმინდა იოანე ოქროპირის პირადი აზრი არ არის, არამედ მისით გამოხატული ეკლესიის აზრია. წმინდა მამათა აზრებზე ჩვენ ისე ვერ ვილაპარაკებთ, თითქოს მათ ფილოსოფოსებად, სოციოლოგებად, მორალისტებად ვთვლიდეთ, არამედ, მამათა როგორც ქრისტეს დიდებული სხეულის წევრების, სულიწმიდით განათლებულთა, მოძღვრების შესა-

ხებ ვსაუბრობთ. ეკლესიაში, ყველა დიდი საქმე მორჩილებიდან იწყება. მამებმა თავისი თავისუფლება ღმერთს დაუმორჩილეს, შეიცვალნენ და ღმრთის იარაღად იქცნენ. და ცხოვრობდნენ და ქადაგებდნენ იმისთვის, რომ სხვებსაც დახმარებოდნენ.

მადლობელი ვარ შესწორებისათვის. გამოიჩინეთ სიყვარული, კიდევ რაღაც ამიხსენით. ადრე ჩვენ იმის შესახებ ვთქვით, რომ თუკი მეუდაბნოე მონაზონი, მაგალითად, იოანე ოქროპირის ნაწერებს წაიკითხავს, იგი მოღვაწე მამას შეიცნობს. ჩვენ რატომ ვერ ვგრძნობთ ამას, და ისეთ მოღვაწეებს, როგორიც ოქროპირი იყო, შინაგანი საქმიანობისგან უცხო, სუფთა საზოგადო მოღვაწეებად რატომ მივიჩნევთ?

- ეს იმიტომ ხდება, რომ სულიწმიდა ჩვენში უხვად არ არის. წმინდა წიგნები, მამათა თხზულებანი სულიწმიდის მიერ განათლებისას არის დაწერილი და შესაბამისად, განიმარტება და გასაგები ხდება მხოლოდ მისით (სულიწმიდით) გაცისკროვნების დროს. ის, ვისაც მამათა გონება აქვს, ვისშიც სულიწმიდა მოქმედებს, რომელიმე მამის რომელიმე თხზულების წაკითხვისას, სულიწმიდით გამოარკვევს ისიქასტს, მმარხველს, უფლის მეგობარს. **წმინდანნი მხოლოდ წმინდანების მიერ შეიცნობიან**, რამეთუ მსგავს ცხოვრებას ეწევიან, საერთო გამოცდილებას, გამოხატვის საერთო მეთოდს ფლობენ. მათ მიერ გამოყენებულ სიტყვებში და ზოგჯერ გამოხატვის მეთოდში მადლი გამოსჭვივის, უხვად რომ აქვს წმინდა მამას. მაგალითად, თუ ღმრთის ხილვის გამოცდილების მქონე ადამიანი, წმინდა ბასილი დიდის ლოცვებს წაიკითხავს, მისი სახელით ცნობილ საღმრთო ლიტურგიაში რომ შედის, იგი მაშინვე მიხვდება, რომ წმინდანი **შეუქმნელ ნათელს** ხედავდა, თუმცა ამის შესახებ უშუალოდ არ საურობდა. თუ სხვადასხვა წმიდა მამათა შრომებს სოციოლოგები ან მორალისტები სწავლობენ, სულიწმიდა რომ არ გააჩნიათ,

ისინი მათს დაყოფას და განცალკევებას იწყებენ. მე მიმაჩნია, რომ მამათა თხზულებების ასეთი იზოლირებული, ფრაგმენტალური, ასკეტური სულის გარეშე გამოყენება, ჩვენი უწმინდური და ანთროპოცენტრისტული თვალსაზრისის დამოწმების მიზნით, **უდიდესი ერესია.** როცა ჩვენ მამის თხზულებას ასკეტური, მონანიე სულის გარეშე განვიხილავთ, ჩვენ მას ვყოფთ. ყოველი დაყოფა კი ცვლილებაა. ასე იქცევა ყველა ერეტიკოსი. ისინი ციტატებს ისე იყენებენ, რომ არ ესმით, მათი სწორი განმარტების პირობებს არ ფლობენ. შესაბამისად, დღევანდელი ლოზუნგის „უკან, მამებისაკენ!" განხორციელებისათვის, საჭიროა წმიდა მამათა ტექსტების არა უბრალოდ შესწავლა, არამედ მათი ცხოვრების მიმსგავსებისათვის ძალისხმევა: წმინდა ეკლესიაში, წმიდა საიდუმლოებით და წმინდა სათნოებებით ცხოვრება, რათა უპიროვნონი აღარ ვიყოთ და პიროვნებანი, ქრისტეს ღირსეული ასონი გავხდეთ.

ამ მომენტში ჩვენს მახლობლად მადლიანი მორჩილი გამოჩნდა და ჰკითხა, თუ რა მოეტანა ჩემთვის. ბერი მეტისმეტად გაერთო და სტუმართმოყვარეობის აუცილებელი მონაზვნური მოვალეობის დაცვა დაავიწყდა: კურთხევის სახით რაიმე მოეტანა, რათა შენ აკურთხო ეს, და ამასთან ერთად, მისი კელიის კურთხევაც მიიღო. თუმცა, საუბარი იმდენად სულიერი იყო, რომ ბერს საერთოდ გამორჩა ეს ჩვეულება.

- მამაოს რაიმე მოუტანე...

რა მოვიტანო მამაო? ლუკუმი, მურაბა თუ სხვა რამე?

შესაბამისი მითითების გაცემის შემდეგ, ბერმა თავისი მორჩილის ქება დაიწყო.

მე ღირსი არა ვარ ასეთი მორჩილები მყავდეს. ჩემი ცოდვებით დანაღვლიანებულმა უფალმა ანგელოზები გამომიგზავნა. მე მორჩილები კი არა, ანგელოზები მყავს, რომლებიც მემსახურებიან. როგორ გადავუხადო მადლობა ყოვლადწმინდა ღმერთს? ახლახანს მომსვლელ ამ მორჩილს, პატარა ბავშვის

აზრები აქვს, რაც სრულიად აუცილებელია გონიერი ლოცვით დაკავებულთათვის, რომლის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ. წმინდა მამები ასწავლიან, რომ ცხონების მოსურნე უგუნურად უნდა იქცეს („ჩვენ ქრისტესთვის უგუნურნი ვართ"), ესე იგი, ქრისტეს სიტყვით, სულელად ან ბავშვად: ***„უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა"*** (მათე, 18, 3). თუმცაღა, ჩვენ ყველა დიდ ცოდვებში ჩავცვივდით, მაგრამ, სულიწმიდის მადლით, სულიერი სიყრმისა და ბავშვური გონების (ბოროტებასთან მიმართებაში) შეძენა შეგვიძლია. სულიერი ცხოვრების კანონი ხორციელი ცხოვრების კანონის საპირისპიროა. ხორციელ ცხოვრებაში ადამიანი სიჭაბუკიდან თანდათან ბერდება, მაშინ, როცა სულიერში, ვიწმინდებით რა ცოდვისაგან, რომელიც ადამიანს აბერებს, ახალგაზრდები, ბავშვები ვხდებით.

მორჩილმა ლანგრით კალივის კურთხევა ლუკუმი და მცირეოდენი წყალი შემოიტანა. მე ხელში ჭიქა ავიღე, და ბერს კურთხევა ვთხოვე:

ილოცეთ, რათა მეც ბავშვი ან „უგუნური" გავხდე!

არის მომენტები, როცა საერთოდ ლოცვა არ შეგიძლია, როცა მუნჯდები; მაშინ მხოლოდ ლოცვა-კურთხევის თხოვნის აუცილებლობას გრძნობ. მთაზე ამას განიცდი კი არ ლოცულობ, ლოცვას ითხოვ.

მაკურთხეთ.

უფალმა გაკურთხოთ გპასუხობენ.

არა „დილა მშვიდობისა", „საღამო მშვიდობისა", „ღამე მშვიდობისა". თითქმის ერთადერთი განსხვავებული ვარიანტებია: „კეთილი მოთმინება, მღვიძარება, კეთილი სამოთხე, კეთილი აღსასრული"...

იმ წუთებში, როცა მე კურთხევას ვითხოვდი და უტკბილეს ლუკუმს ვჭამდი, ჩემთვის ვამბობდი: „დიდი ხნის სიცოცხლე ბერს! იცოცხლე, რომ ჩვენ ცოდვილთაც ვიცოცხლოთ..."

ღრმა სიჩუმე სუფევდა. ცხადი იყო, რომ ბერი იესოს

ლოცვით იყო დაკავებული. ჩანს, იგი ღმრთაებრივ ტყვეობაში იმყოფებოდა. ჩემთვის ძალზე ძნელი იყო საუბარი, მაგრამ ეს აუცილებელი იყო.

- მამაო, შეგაწუხებთ და განვაგრძობ. ვიცი, რომ ჩემი ყოფნა ამ გარემოსათვის გარკვეულად უცხოა. მე პარაზიტი ვარ, თქვენს ცხოვრებას რომ ართულებს და...

- არა, არა, ნუ ამბობ ასე, რამეთუ ჩვენ ძმასავით გიღებთ შენ, ერში რომ ცხოვრობს, კეთილი ღვაწლით რომ მოღვაწეობს და ღმრთის მადლი რომ აქვს.

- როგორ შეიძლება ჩვენი ღვაწლის თქვენთან შედარება?

- ამის მიუხედავად, თქვენ უფრო დიდი მადლი გაქვთ, ვიდრე ჩვენ, რადგან *„სადა-იგი განმრავლდა ცოდვაი, მუნ უფროისად გარდაემატა მადლი"* (რომაელთა, 5, 20). უფალი თქვენზე უფრო დიდ წყალობას ჰფენს, რათა თავის სიყვარულში დაგაკავოთ. უფალს თქვენ უფრო უყვარხართ.

ამას თქვენი სიმდაბლის გამოხატულებად აღვიქვამ ვთქვი მე, მისი სიყვარულით და სიმდაბლით ძლეულმა. თუმცა მინდა დავუბრუნდე იმას, რაზეც ჩვენ ადრე ვსაუბრობდით. თქვენ გულის გათბობაზე მიუთითეთ. მასზე, რომ იგი (გათბობა) ხდება ჯოჯოხეთზე, სამოთხეზე, საკუთარ ცოდვილობაზე და სხვა მსგავსზე ფიქრის დროს. ეს სიძნელეებს ხომ არ ქმნის? მანამდე ხომ ამბობდით, რომ ჩვენ სახეების გარეშე უნდა ვლოცულობდეთ. გონება გაუფანტავი უნდა იყოს. ასეთი აზრები ლოცვის სიწმინდეს ხელს არ შეუშლის?

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ისინი აზრები არ არის... უბრალოდ აზრები. ეს წარმოსახვითი კი არა, გონებრივი მოღვაწეობაა. ჩვენ უბრალოდ კი არ განვსჯით. ჩვენ ვცხოვრობთ. მაგალითად, როგორღაც ჯოჯოხეთზე განსჯისას და ფიქრისას, რომ იგი ჩემთვის ყველაზე შესაფერისი ადგილია, ჩემი აურაცხელი ცოდვების გამო, მე იმ უსინათლო ბნელში აღმოვჩნდი. მე მისი აუტანელი სიმძიმე და გამოუთქმელი ტანჯვა გამოვცადე. როცა გონზე მოვედი, მთე-

ლი ჩემი კელია ავსურნელებას გამოსცემდა... თქვენ ჯოჯოხეთის სიმყრალისა და სასჯელის წამების გაგება არ ძალგიძთ...

მე სულ უფრო შევიგრძნობდი, რომ წმინდა ბერის სიახლოვეს ვიმყოფებოდი, რომელიც თავის გონებას ჯოჯოხეთში აკავებდა. არ მსურდა მისი გაჩერება განმარტების თხოვნით...

- გათბობა (გულის) ასეთი აზრების საშუალებით ლოცვამდე აღესრულება. რამეთუ, როცა გულის სითბოში ლოცვა იწყება, ასეთ თემებზე ნებისმიერი აზრი იკრძალება და ჩვენ გონების და გულის ლოცვის სიტყვებში ჩადებას ვცდილობთ. ამგვარად მიიღწევა უსახურობა (სახეთა წარმოუსახველობა), რომლის შესახებაც მამები ამდენს ლაპარაკობდნენ. გონება მოჩვენებებისა და ოცნებების არყოფნით ხასიათდება.

ლოცვა ღვაწლია. იგი მორწმუნეს ეშმაკთან მის ბრძოლაში განამტკიცებს. ამავდროულად იგი თვითონაა სამწუხარო და სისხლისმღვრელი ბრძოლა. ჩვენ გონების ლოცვის სიტყვებში კონცენტრირებას ვცდილობთ, რათა იგი მუნჯი და უტყვი გავხადოთ ყოველი აზრისას (სულ ერთია, ბოროტისა თუ კეთილის), რომელიც ჩვენთან ბოროტს მოაქვს, ესე იგი რათა ყური არ დავუგდოთ გარედან მოსულ აზრებს და მათ არ ვუპასუხოთ. საჭიროა სრულიად უგულებელვყოთ აზრები (ფიქრები) და მათთან გასაუბრების სურვილი არ გვქონდეს, ნებისმიერი საშუალებით მივაღწიოთ გონების სრულ მდუმარებას, რამეთუ მხოლოდ ასე შეიძლება სულის უშფოთველობის შენარჩუნება და ლოცვაც ეფექტურად იმოქმედებს. ცნობილია, რომ გონებიდან ფიქრები გულში იგზავნება და მას აშფოთებს. შეშფოთებული გონება სულსაც აშფოთებს. მსგავსად იმისა, თუ ქარი როგორ აღელვებს ტალღებს ზღვაზე, აზრების გრიგალი სულში ქარიშხალს აღძრავს. შინაგანი ლოცვისათვის აუცილებელია ყურადღება. აი, რატომ ლაპარაკობენ მამები მარხვისა და ლოცვის შეერთებაზე. მარხვა გონებას მუდმივ მღვიძარებასა და ყოველი კეთილი საქმის მზადყოფნაში აკავებს, ლოცვა კი ღმრთის მადლს იზიდავს.

იმისათვის, რომ ლოცვა ყურადღებიანი იყოს, ჩვენ სხვადასხვა საშუალებას ვიყენებთ.

სანამ წმინდა შრომას - ლოცვას შევუდგებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მთელ მის განმავლობაში ჩვენ მოგვეთხოვება მხურვალე სურვილი და სასოება სარწმუნოებით, სრული თვითშეწირვა და უსაზღვრო მოთმინება, ღმრთის სიყვარულის იმედთან დაკავშირებული. ვიწყებთ „კურთხეულ არს ღმერთი"-თ, ვკითხულობთ „მეუფეო ზეცათაო"-ს, სამწმინდაობას. შემდეგ შემუსრვილებით და ლმობიერებით წარმოვთქვამთ 50-ე (სინანულის) ფსალმუნს და უშუალოდ მას შემდეგ „მრწამსს". ამ დროს გონების სიჩუმესა და მდუმარებაში შენარჩუნებას ვცდილობთ. გულს სხვადასხვა წარმოუსახველი აზრებით ვათბობთ, რის შესახებაც ადრე ვსაუბრობდით; ხოლო როცა იგი გათბება და ჩვენ, შესაძლოა, ცრემლებს დავღვრით, იესოს ლოცვას დავიწყებთ. სიტყვებს ნელა წარმოვთქვამთ, და იმას ვესწრაფვით, რომ გონება არ გაიფანტოს და სიტყვათა მსვლელობას დააკვირდეს. საჭიროა, რათა ისინი ერთიმეორეს მიჰყვებოდეს და მათ შორის ფიქრები და მოვლენები არ იჩხირებოდნენ. „შემიწყალე მე"-ს შემდეგ მაშინვე ვიწყებთ „უფალო იესო ქრისტე"-ს; რაღაც წრე იკვრება და ეშმაკის ჩარევა ბათილდება. უნდა ვიცოდეთ, რომ ეშმაკი ყველა საშუალებით ცდილობს სიტყვათა კავშირის გაწყვეტას და გულსა და გონებაში შეღწევას. იგი ესწრაფვის მცირე ხვრელის გახსნას, რათა ჩადოს ბომბი (აზრი) და ყველა წმინდა ძალისხმევა უკუაგდოს. ჩვენ მას ამის საშუალება არ უნდა მივცეთ... იესოს ლოცვა ხმამაღლა (ბაგეებით) უნდა წარმოვთქვათ, რათა ყურმაც გაიგონოს. ამით გონებაც შემწეობას მიიღებს და უფრო ყურადღებით იქნება. მეორე გზაა გონებით ან გულით ლოცვის აუჩქარებლად წარმოთქმა, და „შემიწყალე მე"-ს შემდეგ მცირე ხანს ლოდინი, სანამ ყურადღება არ შესუსტდება, რის შემდეგაც ლოცვა თავიდან უნდა დავიწყოთ. იმ შემთხვევაში, როცა გულის გათ-

ბობისათვის ჩვენ საკუთარი ცოდვილობის შესახებ აზრებს მივმართავთ, კარგი იქნებოდა დაგვემატებინა სიტყვა „ცოდვილი", როგორც მამები გვირჩევენ. ესე იგი: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". ამის წყალობით, ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რასაც ვგრძნობთ. თუმცა, თუ გონება მთელი ლოცვის გამეორებით იღლება, იგი უნდა შევამოკლოთ; „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე", ანდა „უფალო, შემიწყალე (მე)"; ან: „უფალო იესო". როცა ქრისტიანი ლოცვაში წარემატება, სიტყვების შემცირებაც შეიძლება. ზოგჯერ ჩერდებიან სიტყვაზე „იესო", რომელსაც განუწყვეტლივ იმეორებენ („იესო, „იესო", „იესო", „ჩემო იესო") და მაშინ დამშვიდებისა და მადლის ტალღა მოგიცავს. ამ სიტკბოებაში უნდა იყო, რომელიც გამოგეცხადება და ლოცვა არ უნდა შეწყვიტო. შენთვის დაწესებული კანონის შესრულების გამოც კი. შეინარჩუნე გულის ეს სითბო და ღმრთის ნიჭით ისარგებლე, რამეთუ საუბარია დიდ ნიჭზე (საჩუქარზე), რომელიც ღმერთმა მაღლიდან (ზემოდან) გამოგიგზავნა. ეს სითბო საბოლოოდ დაგეხმარება გონების ლოცვის სიტყვებზე მოკრებაში, გულში ჩასვლასა და იქ დარჩენაში. თუკი ვინმე მთელი დღის ლოცვისთვის მიძღვნას მოისურვებს, დაე, წმინდა მამათა რჩევას მოუსმინოს: რაღაც დროის განავლობაში ილოცოს, რაღაც დროს იკითხოს და შემდეგ ისევ ლოცვას მიჰყოს ხელი. როცა ხელსაქმით ვართ დაკავებული, ლოცვას მაშინაც უნდა ვცდილობდეთ.

სხვათა შორის, მლოცველს დახმარებას უწევს სხეულის შესაბამისი მდგომარეობა. მრავალსაათიანი ლოცვისას, მამები გვირჩევენ დავჯდეთ სკამზე, თვალები დავხუჭოთ ან მდგრად წერტილს მივაჩეროთ, უკეთესია მკერდს, სადაც გული მდებარეობს. წმინდა გრიგოლ პალამას ელია წინასწარმეტყველის მაგალითი მოჰყავს, რომელიც, როგორც წმინდა წიგნი ამბობს, *„აღხდა თავსა მთისა მის კარმელისასა და დადრკა ქუეყანად და დადვა პირი თვისი ზედა მუხლთა თვისთა"* და ამგ-

ვარად, გვალვა შეწყვიტა. „და იყო, ვითარცი იგი მიმოიქცეოდა, ცა დაბნელდა ღრუბლითა და ქარითა, და იყო წვიმა ძლიერი" (3 მეფეთა, 18, 42-45). აი, ასე, მამაო ჩემო, ამ მდგომარეობაში ლოცვით წინასწარმეტყველმა ცა გახსნა. ამის მსგავსად, ჩვენც ვხსნით ცას და საღმრთო მადლის ნაკადი ჩვენს გამხმარ გულებში იღვრება.

მოგვიანებით მე წავიკითხე ბერის მიერ მოყვანილი ადგილი წმინდა გრიგოლ პალამას თხზულებებიდან. ფილოსოფოსი ვარლაამი ისიქასტებს ირონიულად უწოდებდა „სულის ჭიპში მქონეთ", წმინდა გრიგოლ ღმერთშემოსილი კი მათს პოზიციას და ქმედებას იცავდა და პასუხობდა: „ამ, ღმრთისხილვაში სრულყოფილმა ელიამაც კი თავი მუხლებისაკენ მოხარა და დიდი ძალისხმევით მოიკრიბა რა ამით გონება თავის თავსა და ღმერთში, მრავალწლიანი გვალვა შეწყვიტა". წმინდა ღმრთისხილველი მამა კარგ დამხმარე საშუალებად გვირჩევს აგრეთვე თვალთა ფიქსაციას: „არ გადაიტანო მზერა ადგილიდან ადგილზე, არამედ შეაჩერე იგი რომელიმე მყარ წერტილზე - მკერდზე ან ჭიპზე; სხეულის ასეთი მდგომარეობის წყალობით, მზერის საშუალებით გარეთ გაფანტული გონების ძალა გულის შიგნით დაბრუნდება".

ამას გარდა, განაგრძო ბერმა, ადგილი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მან მდუმარება უნდა მოგვანიჭოს და გარეგნული სიმშვიდე უზრუნველჰყოს. საჭიროა, აგრეთვე, შესაბამისი დრო, სამუშაო დღის შემდეგ, გონება, ჩვეულებრივ, მრავალ საგანზე ფიქრობს, ამიტომ, მამები გონიერ ლოცვაში ვარჯიშს დილაობით გვირჩევენ, ერთი ან ორი საათის განმავლობაში მზის ამოსვლამდე, როცა გონება ფხიზელია და გაუფანტავი სხეული დასვენებულია. მაშინ უხვ მოსავალს ვიმკით.

- თუკი, მამაო, გონება იფანტება და ვხედავ, რომ ეს ხშირად ხდება, მისი მოკრებისათვის რა მეთოდი უნდა გამოვიყენოთ?

სხვადასხვა მიზეზთა გამო, არსებობს უნაყოფო დღეები და საათები, როცა ლოცვა ძნელია. ამ მომენტებში მისით დაკავება დამღლელი და მძიმეა. თუმცა, თუ მტკიცენი ვიქნებით, ღმრთის მადლი შეგვეწევა, რომ ლოცვა კვლავ დავიბრუნოთ (მოვიპოვოთ); მისი წყალობით ჩვენ გარდაუვლად წარვემატებით ღმრთისხილვაში. რამდენიმე მეთოდზე მიგითითებთ, რომელიც ამ უნაყოფო დღეების და საათების გადალახვაში გვეხმარება.

უპირველეს ყოვლისა, არავითარ შემთხვევაში სიმამაცე არ უნდა დავკარგოთ. ასეთ დროს, ძირითადად, ბაგეებით უნდა ვილოცოთ. შესაძლოა, რომ ძლიერ (მადლმოსილ) ადამიანებს აქვთ ნიჭი და მათ იოლად ძალუძთ ლოცვის სიტყვებზე გონების მოკრება და უწყვეტი ლოცვა. ჩვენ კი, სუსტნი და ცოდვილნი, ვნებით აღსავსენი, ვსაჭიროებთ, რომ ყოველგვარი ძალისხმევა მოვიხმოთ და ჭეშმარიტად სისხლი დავღვაროთ. როცა ვხედავთ, რომ გონება მუდმივად იფანტება და დაჰქრის, ღმერთს შემწეობა უნდა ვთხოვოთ. იმის მსგავსად, როგორც პეტრე მოციქულმა შესძახა, როცა ძლიერი ქარი აღდგა და მან ჩაძირვა იწყო: ***„უფალო, მიხსენ მე!"*** (მათე, 14, 30). ასე მოვიქცეთ ჩვენც, როცა გულისთქმათა და დაუდევრობათა ქარიშხალი აღდგება. ჩვენც იგივე მოგვივა, რაც მოციქულს მოუვიდა: ***„და მეყსეულად განყო ხელი იესუ და უპასუხა მას".*** ანუ, გულმოდგინე ლოცვით, ღმრთის შეწევნით, ყველა ეს მიზეზი, იმისთვის მყოფი, რომ გონება წარიტაცოს, განქარდება, ქრისტეს სახელით უხილავად დამწვარი. ვიმეორებთ ასეთ შემთხვევებში პანიკას არ უნდა მივეცეთ, არამედ, ეშმაკს აუცილებლად წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. იგი იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რამდენადაც ბოროტის თავდასხმაა ძლიერი...

ლოცვის საათებში ყური არ უნდა დავუგდოთ აზრებს, თუნდაც ისინი კეთილი იყოს, რამეთუ ისინი გონებას აღაგზნებს, აღგზნებული გონება კი ბოროტ აზრებსაც ღებულობს.

მაშასადამე, კეთილი გულისთქმები ლოცვის დროს, ხსნიან გზას, რომლითაც ეშმაკი ტრიუმფალურად დადის, და ლოცვის წმინდა შრომას ანგრევს და ჩვენ სულიერ მრუშობაში ვვარდებით. ამიტომაც, მამები ამბობენ, რომ იესოს ლოცვისას ღმრთის ხსოვნისაგან განრიდებული და აქა-იქ მოხეტიალე გონება სულიერად მრუშობს. იგი ღმერთს ღალატობს და მასზე უარს ამბობს. ნუთუ უდიდესი ცოდვა არ არის უტკბილესი იესოს ღალატი და უარყოფა სიკეთისმოძულე და შურიანი მტრის გასახარად?

ხოლო თუ ჩვენ გონების მოკრებას ვერ შევძლებთ, რათა იგი არ გაიფანტოს, ბრძოლაში უფრო დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება. ნავს, მამაო ჩემო, ზღვაზე ცურვა აფრების (თუკი ქარია), ან ნიჩბების (თუკი ქარი არ არის) დახმარებით შეუძლია. ასეა ლოცვაშიც. იგი წარმატებულად მიდის, როცა ქრისტეს მადლის სითბო მოქმედებს. მისი არყოფნისას კი საჭიროა შრომა ნიჩბებით წინ წასაწევად, ანუ უდიდესი ბრძოლა.

მაშინ დახმარებისათვის მამებს მივმართოთ. ვიკითხოთ მათი წიგნები, რათა გონება მოვიკრიბოთ. ხოლო როცა კითხვისას ლმობიერებას ვიგრძნობთ, შევწყვიტოთ კითხვა და იესოს ლოცვას შევუდგეთ. მაშასადამე, სხვა სიტყვებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ წიგნები ყურადღებიანი გულით იკითხება და არა მშრალი გონებით. შევისწავლოთ ის წიგნები, რომლებიც გულით არის დაწერილი და ასევე გულით, სიამოვნებით იკითხება. ესე იგი, რეკომენდაციას გვაძლევენ კითხვისა და ამავდროულად იესოს ლოცვისა. წინასწარმეტყველ დავითის სხვადასხვა ფსალმუნს წარმოვთქვამთ ან ფსალთმუნთგალობას მივმართავთ. კარგია აგრეთვე, რომ წინასწარ შევარჩიოთ რამდენიმე სალმობიერი ტროპარი, რომლებშიც საუბარია ღმრთის სიყვარულზე, ჩვენს ცოდვილობაზე, მეორედ მოსვლაზე, ღმრთის შემწეობის მოხმობაზე და ამის მსგავსზე, და განუწყვეტლივ წარმოვთქვათ ისინი, მაგ-

რამ არ ვიგალობოთ. ან ვიკითხოთ სხვადასხვა სალმობიერი ლოცვანი, წმინდა მამათა, მაგალითად, ისააკ ასურის მიერ შედგენილი. ადრე მე უკვე ვთქვი, რომ ასეთ შემთხვევებში ხმამაღლა უნდა ვიკითხოთ. და კიდევ. თუკი ლოცვა უმძიმთ, მას ფსკვნილზე წარმოთქვამენ. რა თქმა უნდა, მაშინ მცირე ნაყოფი გვაქვს, თუმცა არასდროს არ უნდა შევჩერდეთ, თუნდაც უმცირესი შესვენებისთვისაც კი. კვლავ ვიმეორებ, რომ ასეთ შემთხვევაში დიდი მოთმინება და თავშეკავებაა საჭირო. შესაძლოა, ის გულისთქმები, რომლებიც მოვლენ, ჩვენთვის სასარგებლო აღმოჩნდეს. ისინი განწმენდისთვის უნდა გამოვიყენოთ.

ისინი განწმენდაში გვეხმარებიან? ეს როგორ?

- როცა ეშმაკი იხილავს, რომ ჩვენ ვლოცულობთ და გონების ყურაღების ლოცვებზე მოკრებას ვცდილობთ, იგი გამოიყენებს ყველა საშუალებას, რათა გაფანტოს იგი, ყოველნაირად მიმოიქცევა, და ძირითადად იმ გულისთქმებს მიმართავს, რომელიც ჩვენ განსაკუთრებით გვთრგუნავს. იგი გრძნობად ადგილას ურტყამს, რომელიც ყველაზე მოწყვლადია. გემოთმოყვარეს გემოთმოყვარულ აზრებს შთააგონებს, ვერცხლისმოყვარეს ვერცხლისმოყვარულს, პატივმოყვარეს პატივმოყვარულს... მაშასადამე, გულისთქმათა მიხედვით, რომელიც, ჩვეულებრივ, ლოცვის ჟამს მოდიან, შეგვიძლია ჩვენი მოწყვლადი (სუსტი) ადგილები, ჩვენში მყოფი სიბილწე, ვნებათა არსებობა დავინახოთ და მასზე ჩვენი ყურადღება და ბრძოლა მივმართოთ.

მამაო, მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, შეგნებული მაქვს, რომ იესოს ლოცვაში მცირედ გამოცდილი ვარ. ამის მიუხედავად, როცა ძალისხმევას მივმართავ და ლოცვას ვიწყებ, დაღლილობის მიზეზით თავის ტკივილი მეწყება, ხშირად ტკივილი გულშიც ჩნდება. რა არის ეს? ასეთ შემთხვევებში როგორ უნდა მოვიქცეთ?

- თავის და გულის ტკივილი, სულიერი საქმიანობით მოღ-

ვაწე მორწმუნეს ღვაწლის დასწყისში უჩნდება. ზოგჯერ მას ეჩვენება, რომ თავი უსკდება და ამგვარადვე გულიც. მას ისეთი ძლიერი თავის ტკივილი აქვს, რომ მას ეჩვენება, რომ იგი კვდება. ეს ტკივილი (ნაწილობრივ ფიზიკური) აიხსნება ასეთი მოღვაწეობისადმი გონების მიუჩვევლობით და სხეულის განსაკუთრებული მდგომარეობით. ამასთან, ადამიანი ხშირად ეშმაკის თავდასხმის ობიექტი ხდება, რომელიც ლოცვის შეჩერებას ესწრაფვის. თავის ტკივილისას საჭიროა დაბეჯითება; გულის ტკივილისას უნდა ითქვას, რომ შესაძლოა, მორწმუნე დროზე ადრე შეუდგა ამ შრომას და მისთვის შეუფერებელ მეთოდებს იყენებს. თუმცა, გულის ტკივილი მას შეიძლება კიდეც დაეხმაროს, რამდენადაც წარმოიქმნება საბაბი გონების იმ ადგილას მოკრებისა, სადაც გვტკივა, და განუწყვეტელი ლოცვის აღსრულებისა.

- თქვენი ეს აზრი ძალიან შეკუმშულია; ვისურვებდი, რომ დაწვრილებით, კონკრეტულად აგეხსნათ, რატომაა, რომ როცა გონება იტანჯება, დაბეჯითებაა საჭირო?

იმიტომ, რომ მაშინ უშუალოდ იწყება მისი განწმენდა. იგი ცრემლებით გამოიხატება. მდინარესავით მოდის, გონება იწმინდება და გულში ჩადის. წუხილი და შფოთი წყდება ცრემლების წყალობით, რომელთა შეჩერება შეუძლებელია, რომლის ახსნაც შეუძლებელია, რომლისთვის ძალისხმევა არ გვიხმარია.

იგი გაჩუმდა. მე დავინახე, თუ მის სახეზე როგორ გაბრწყინდა დიდი ცრემლი და იგი გაანათა. უნებურად მეც ავცრემლდი. მისმა ხმამ, ნათელმა აზრებმა ჩემი გაქვავებული გული გააღვიძა. მე წმინდა არსენი გამახსენდა, რომლის შესახებაც „პატერიკში" ნათქვამია: „მასზე ჰყვებოდნენ, რომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ხელსაქმეზე ჯდომისას, მას მკერდზე პირსახოცის მცირე ნაჭერი ჰქონდა ცრემლებისათვის, რომელიც მისი თვალებიდან ცვიოდა. როცა აბბა პიმენმა მისი სიკვდილი შეიტყო, აცრემლდა და თქვა: „ნეტარი ხარ,

აბბა არსენი, რამეთუ შენ თავი აქვე, ამსოფლად გამოიტირე. რამეთუ, ვინც თავს აქ არ გამოიტირებს, საუკუნოდ იტირებს იმ ცხოვრებაში. ან აქ ნებაყოფლობით, ან იქ ტანჯვით. შეუძლებელია, რომ არ ვიტიროთ".

მან შემაწყვეტინა.

- არ არის საჭირო, - თქვა მან, - მაშინვე გაჩერება, თითქოსდა გამოულეველი ცრემლების ზღვიდან გამოსვლა, როგორც კი რაიმე ტკივილი წარმოიქმნება. რამდენადაც ამ აზრებს ეშმაკი შთაგვაგონებს, რომელიც ძალზე ბოროტი, ცბიერი და სასტიკია და ჩვენს დაღუპვას და საუკუნო სიკვდილისთვის გადაცემას ესწრაფვის. მლოცველმა ბოროტის ილეთები და მისი განზრახვები იცის. იგი ჩუმად ჩურჩულებს: „შეწყვიტე ლოცვა, რამეთუ ჭკუიდან გადახვალ, რადგან გული აგტკივდება". წაგიკითხავ მაგალითს „პატერიკიდან: „იყო ერთი მონაზონი, რომელსაც ყოველთვის, როცა ლოცვას შეუდგებოდა, ციებ-ცხელება და თავის ტკივილი შეიპყრობდა ხოლმე. და იგი თავისთვის ამბობდა: „აი, მე ავად ვარ და მალე მოვკვდები. წარმოვდგები სიკვდილის წინ და ვილოცებ" და როგორც კი ლოცვა სრულდებოდა, ცხელებაც წყდებოდა. აი, როგორ აზრს უხვედრებდა ძმა, რომელიც ლოცვას აღასრულებდა და ბოროტს ამარცხებდა". გამოდის, რომ მლოცველმა ყოველგვარი მწუხარება უნდა დაძლიოს...

მამაო, მსურდა, უფრო დაწვრილებით მოგეყოლათ გულის მწუხარებაზე. ვიცი, რომ მამები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მას იესოს ლოცვის გავლისას, როგორც მოსახერხებელ გზას განიხილავენ. თუ საჭიროდ ჩათვლით, ამ თემაზე რაიმე აზრი გამოთქვით.

ჭეშმარიტია ის, რაც შენ ახლახან თქვი. იესოს ლოცვით დაკავებული, უფრო სწორად კი, მისით მცხოვრები მამები ამ საფეხურს გადიოდნენ და შესაბამისად, მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეს მწუხარება უნდა მოვიდეს ეს უეჭველად გასაგებია მათთვის, ვინც მუდმივად იესოს ლოც-

ვითაა დაკავებული. ისინი მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რამეთუ, ამ მწუხარების წყალობით შევიცნობთ, რომ გონება გულში ჩადის და სულიწმიდის მოქმედებით მას უერთდება და სულსა და სხეულში მშვიდობა ისადგურებს, სულის აზრობრივი ნაწილი იწმინდება და გულისთქმები ცხადად განირჩევა. ისინი მხოლოდ მაშინ შეიძლება კარგად იყოს გასარჩევი, როცა ჩვენ გავიგებთ მათს განვითარებას და შედეგს, რომლისკენაც მას მივყევართ. ისიქასტისთვის - რომელიც გარეგნულად არ სცოდავს, - ცოდვილის მდგომარეობა შესანიშნავად არის ცნობილი. ეს იმიტომ ხდება, რომ ასკეტური გამოცდილების შედეგად, მან კარგად იცის გონებაში გულისთქმის მსვლელობა - მისი გზა და დასასრული. აი, რატომ ხდება შემდეგი ფაქტი: მოღვაწეს, რომელსაც ლოცვის მოქმედებით გული ძლიერ აღმქმელი უხდება, შეუძლია იმავდროულად, როცა ვინმესთვის ლოცულობს, თითქმის მაშინვე გაიგოს, თუ ის როგორ მდგომარეობაში იმყოფება. იგი განმჭვრეტელი ხდება.

მაგრამ, ყოველივეს თანამიმდევრულად გადმოვცემ.

ადრე ჩვენ იმაზე ვსაუბრობდით, რომ ლოცვის მიზანი სრული ადამიანის, ანუ სულის სამი ძალის ერთობაა. საჭიროა ყურადღების გულში მოკრება. თავიდან გულმა ლოცვის მოქმედება უნდა იგრძნოს, შემდეგ გონება და გული ერთდება. რამეთუ, მამათა სიტყვით, უწინარეს ყოვლისა, გული გრძნობს ღმრთის ყოფნას, მადლის ყოფნას, და მხოლოდ შემდეგ აღიქვამს მას გონება. მამები თავიდან ცხოვრებით შეიმეცნებდნენ ღმერთს, შემდეგ კი ღმრთისმეტყველებდნენ და ამით თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას იცავდნენ. მაშასადამე, გული სითბოს და სულიწმინდის ყოფნის სიტკბოებას გრძნობს. პირიქით, მადლის არყოფნა დაუდევრობითა და გულგრილობით შეიცნობა. ვიმეორებ: ღმერთი თავიდან გულით უყვართ, შემდეგ კი გონებით. უფლის მცნება ნათელია: ***„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და***

ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა"... (ლუკა, 10, 27). შესაძლოა, იცოდეთ, რომ გონება ეკლესიის მიერ არ უარიყოფა, მაგრამ ცოდვითდაცემის შემდეგ მას ღმრთის შესაცნობად მოქნილობა არ ჰყოფნის. თუმცა, როცა შინაგანი სულიერი გრძნობა გაიხსნება, მაშინ იგიც (გონება) შეძლებს ღმრთის აღქმას. გული კი, შემძლებელი იქნება განსაჯოს, ვეცემით თუ ღმრთის მცნებებს ვინახავთ. გონების და გულის ერთობა მხოლოდ ყოვლადწმინდა სულის მოქმედებით მიიღწევა. სინანულით და ქრისტეს მცნებების დაცვით ჩვენ მადლს ვიძენთ და მისი მოქმედებით **გონება გულს პოულობს** და მას უერთდება. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია იესოს ლოცვასა და ღმრთისხედვაში. აი, რატომ უნდა იყოს კაცის გული შემუსრვილი. *„გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხჰყოს"* (ფსალმუნნი, 50, 19). რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ გონება გულში ჩაიყვანონ, ბევრი სხვადასხვა მეთოდით სარგებლობს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ **ყველაზე უხიფათო - სინანულია.** შესაბამისად, ძალზე კარგია, საკუთარ ცოდვებზე ტირილისას, გულში წუხილი (ზოგჯერ კი სითბოც) გვქონდეს და საერთოდ გულის მოძრაობები და გრძნობები დავიჭიროთ (ვაკონტროლოთ). მაგრამ, ეს თანდათანობით უნდა აღვასრულოთ. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ლოცვის მკვეთრმა მოქმედებამ უძლურთა და განუწმენდელთა გულებში მცირე დარღვევა გამოიწვიოს, რომელსაც, შესაძლოა, სერიოზული შედეგები არ ჰქონდეს, თუმცა ლოცვას შეაჩერებს. მაგრამ, თუ გულს შეუძლია, რეკომენდაციაა, რომ მას მწუხარებისასაც დავაყურადოთ. რა თქმა უნდა, ეს **ჩვენი განმსჯელი და სულშემოსილი მამის (მოძღვრის)** რჩევით უნდა განვსაზღვროთ. ეს მწუხარება განმკურნებელი, ბუნებრივი და მაცხოვნებელია. მრავალ მოღვაწეს ჰგონია, რომ მათ გულის მანკი აქვთ; ისინი ექიმებთან დადიან, და მათ ვერავი-

თარ დაავადებას ვერ უდგენენ. ეს მწუხარება მადლიანია. ის ადასტურებს იმას, რომ ლოცვა გულში ჩავიდა და იქ მოქმედებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

მე გამიგონია, რომ მრავალი წმინდანი გრძნობდა, როგორ იწყებდა ლოცვა გულში მოქმედებას განსაზღვრულ მომენტში; ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ იგი (ლოცვა) ღმრთის ნიჭი იყო - ღმრთისმშობლის შუამდგომლობით. მართალია ეს?

ცხადია. მრავალი ისიქასტი წმინდანი შესანიშნავად შეიცნობს მომენტს, როცა ლოცვა გულში მოქმედებას იწყებს. და მაშინ ისინი განუწყვეტლივ ლოცულობენ, როგორი საქმითაც არ უნდა იყვნენ დაკავებულნი. ის მათში საერთოდ არ წყდება. რა თქმა უნდა, ისინი მას აღიქვამენ, როგორც აგრეთვე ღმრთისმშობლის მადლს. წმიდა გრიგოლ პალამა ღმრთისმშობლის ხატის წინ ლოცულობდა და იმეორებდა: „განანათლე სიბნელე ჩემი" და ღმრთისმეტყველების ნიჭი მოიპოვა. უნდა ითქვას, რომ ღმრთისმშობლის სიყვარული ქრისტეს სიყვარულთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ჩვენ გვიყვარს ღმრთისმშობელი, რამეთუ ქრისტე გვიყვარს. ან კიდევ, გვიყვარს იგი, რადგან ქრისტეს სიყვარულს გვსურს მივაღწიოთ. მამებმა ეს კარგად გამოხატეს. კონსტანტინეპოლის პატრიარქი - წმინდა გერმანე ამბობდა: „რომ არ გვშუამდგომლობდე შენ, ღმრთისმშობელო,არავინ გამოჩნდებოდა წმინდად... არავის შეუძლია გადარჩეს, თუ არა შენით, ღმრთისმშობელო". წმინდა გრიგოლ პალამა კი ამბობს: „იგი - ერთადერთი ზღვარია შექმნილ და შეუქმნელ ბუნებას შორის; ვერავინ მივიდოდა ღმერთთან, რომ არა იგი და მის მიერ შობილი შუამავალი; და არც ანგელოზებს და არც ადამიანებს ღმრთისგან ნიჭები არ გვექნებოდა, თუ არა მისით". მრავალ ნიჭს ვიღებთ ჩვენ ღმრთისმშობლის წყალობით. მოგვცა რა უდიდესი ნიჭი (საჩუქარი) ქრისტე, ნუთუ სხვებსაც არ მოგვცემს? ამიტომ, ლოცვისას ჩვენ უბრალოდ „მეოხ გვეყავ

ჩვენ" კი არ უნდა ვამბობდეთ, არამედ „ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ".

მსურს იმ კითხვას დავუბრუნდე, რომელიც დამებადა, როდესაც .თქვენ გონების და გულის შეერთებაზე საუბრობ-დით. გულში ჩასული გონება, იქ სამუდამოდ რჩება? თუ ეს ასეა, როგორ შეუძლია ადამიანს იშრომოს, თავისი მსახურე-ბა შეასრულოს?

უწინარეს ყოვლისა, გონება არ ერწყმის გულს და არ უქმდება. იგი სრულყოფილი ხდება და თავის ბუნებრივ მდგო-მარეობაში მოდის. არაბუნებრივია, როცა იგი თავისი არსის (გულის) გარეთ მყოფობს. ლოცვით იგი ყოველივე უცხოს აგდებს (იცილებს). მას შემდეგ, რაც გონება გულში ჩადის, რჩება, თუ შეიძლება ითქვას, მცირე „სიჭარბე" („ზედმეტო-ბა"). ასეთი „სიჭარბისას", სხვა საქმეებითაც შეიძლება დაკა-ვება, ისე, რომ გონება გულს არ მოსწყდეს. მაგალითად, ისი-ქასტი მღვდელი საღმრთო ლიტურგიისას ხმამაღლა ლოცუ-ლობს ან საიდუმლოს აღსრულებისას რაიმე შესაბამისს ეუბ-ნება დიაკონს ან სხვა მღვდელს და ამასთან, გონება გული-დან არ ამოჰყავს. თუმცა, თუკი გონების „სიჭარბეს" შეუსა-ბამო საგნებზე მივმართავთ, შეიძლება მთლიანად და სრულად მოვწყვიტოთ იგი თავის არსს. აი, რატომაა, რომ მოღვაწე ლოცვის ჟამს ფსკვნილს ატრიალებს რათა ეს „სიჭარბე" „დაასაქმოს" და გონებას ბოროტება არ მიაყენოს. თქვენ ალ-ბათ კარგად გესმით, რომ ამ „სიჭარბის" წყალობით (გამო), ეშმაკი სასტიკად ბრძოლობს ჩვენს წინააღმდეგ.

4. ეშმაკის ბრძოლა და მისი წინააღმდეგობა.

- ახლახანს განმიცხადეთ, რომ ეშმაკი გააფთრებით გვებრ-ძვის. რატომ იბრძვის იგი ჩვენს წინააღმდეგ, როგორი საშუ-ალებებით და ილეთებით? ძალიან მსურს თქვენი აზრის მოს-მენა, რათა ლოცვაზე მოსაუბრე ადამიანთა გამოთქმებისადმი სწორი მიდგომა ვისწავლო. რამეთუ, ბევრი სხვადასხვა რა-

მეს ამტკიცებს და მე არ ვიცი, ბოროტისგან არის თუ არა ასეთი გამოთქმები. დიდი წყურვილით მოვისმენ თქვენს აზრს.

ისე, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს, წმინდა და ბრძენმა მეუდაბნოემ ხელში კვლავ „პატერიკი" აიღო, აუჩქარებლად გადაშალა იგი და კითხვა დაიწყო: „ძმები მამა აღათონს შეეკითხნენ: „მამაო, მონაზონური ღვაწლიდან რომელი სათნოება მოითხოვს ყველაზე დიდ შრომას?" მან უპასუხა: „შემინდეთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ღმრთისადმი ლოცვაზე დიდი შრომა არ არსებობს. რამეთუ, ყოველთვის, როცა ადამიანი სალოცავად ემზადება, მტრები გაძლიერებულად ცდილობენ, მას ამაზე ხელი ააღებინონ, იციან რა, რომ ღმრთისადმი ლოცვა მათთვის უდიდესი წინაღობაა. რამეთუ, როგორ ცხოვრების წესსაც არ უნდა მისდევდეს ადამიანი, იგი მოთმინებაში სიმშვიდეს (ნუგეშს) პოულობს. ლოცვა კი ბოლო ამოსუნთქვამდე ბრძოლას მოითხოვს".

მან „პატერიკი" დახურა და განაგრძო:

- წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ადამიანი იმყოფება თუ არა ეშმაკთა ხელმწიფების ქვეშ, ამის მიუხედავად, მათს გავლენას და საომარ სიაფთრეს გარდაუვლად განიცდის. ეშმაკნი სულის ახლოს განუწყვეტლივ ტრიალებენ, და ნებისმიერი საშუალებით მორწმუნის ცოდვაში ჩაგდებას ცდილობენ - თუ გრძნობებით (როცა საგანი ახლოსაა), თუ ოცნებებით (როცა სახე ან საგანი დაშორებულია), ან კიდევ ხორცის აღძვრით. რამეთუ ხორცისა და სულისაგან შემდგარი სრული კაცი, სატანის ზემოქმედებას და დატყვევებას ექვემდებარება. ბოროტის ეს საომარი ტაქტიკა განსაკუთრებით ლოცვის საათებში ვლინდება. გონიერი საქმიანობით (ლოცვით) ყველა მოღვაწე, ყოველწამს ხედავს, თუ ბოროტი როგორ გააფთრებით იბრძვის მათ წინააღმდეგ. ისინი ცხადად ხედავენ, თუ როგორ ცდილობს ეშმაკი ნებისმიერი საშუალების გამოყენებას, რათა ისინი რამენაირად ღმრთის ხსოვნას მოსწყვიტოს. ისინი ბოროტი ეშმაკის ყველა ხერხებს ხედავენ, ეშმაკისა,

ადამიანები და სიკეთე რომ სძულს. მარკოზ განშორებული წერს: „როცა ეშმაკი შენიშნავს, რომ გონება გულიდან ლოცულობს, მაშინ დიდი და დახვეწილი განსაცდელებით ესხმის მას თავს". მას განსაკუთრებით სძულს ადამიანები; მისი სიძულვილი კი განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როცა ის ხედავს, თუ ლოცვასთან ერთად, ისინი (ადამიანები) როგორ ემსგავსებიან ანგელოზებს და მის ადგილს იკავებენ, რომელიც მას დაცემამდე ეკავა. ამ სიძულვილს, - ადამიანის ღმრთისმსგავსების მიზეზით, წმინდა გრიგოლ ნოსელი აღწერს: „თუკი ადამიანები ღმერთს ემსგავსებიან, ეშმაკები სიძულვილისა და შურისაგან ჭკნებიან, რამეთუ თვითონ სიკეთის სიახლოვისაგან განვარდნენ". მაშასადამე, ყოველ მოღვაწეს ძალუძს, ბევრი მოჰყვეს ეშმაკთან ბრძოლის შესახებ. მისი მოქმედებების მხილველ მოღვაწეებს, იგი ებრალებათ.

- ებრალებათ? შევეკითხე მე - მაპატიეთ, მაგრამ, მე ვერ ვიგებ, როგორ და რატომ.

მისი საშინელი მდგომარეობისა და დაცემის გამო. იგი შექმნილი იყო, რათა ღმრთისთვის ემსახურა და იგი ედიდებინა; ახლა კი საღმრთო საქმის წინააღმდეგი გახდა, ეომება რა ადამიანს, რომელიც ღმერთმა ასე შეიყვარა. ახლა ეშმაკი ყველა კეთილი ერთობის მუდმივი ნგრევის სულია. იგი - განხეთქილების მეთაურია. ღმერთს ერთობა სურს, მას განყოფა. ღმერთს ცხონება სურს, მას დაღუპვა. იგი ყოველნაირად აღძრავს ადამიანს ღმრთის წინააღმდეგ და ეკლესიის წინააღმდეგ ამბოხებისათვის...

როგორ პოულობენ ძალას მოღვაწენი, რომ ეს ყოველივე უყვარდეთ?

- მადლის მდიდარი ნიჭით, რომელსაც ფლობენ. ის მათში იმდენად უხვია, რომ მათ განუწყვეტლივ სურთ, რომ ყველა უყვარდეთ. ვნებათა განგდების შემდეგ, მათი გული გარეშემოუწერელი გახდა; მას მხურვალედ სურს, თავის თავში ყველა მოიცვას. განწმენდილ მოღვაწეებს წმინდა სამება, ყოვ-

ლადწმინდა ღმრთისმშობელი, წმინდანები, ცოდვილები, ბუნება, ცხოველები უყვართ... და რამდენადაც „კიდევ არის ადგილი", მათ ეშმაკიც უყვართ... ისინი მას როგორც მკვდარ სულს აღიქვამენ, ცხოველსმყოფელ საღმრთო მადლს რომ განშორდა და სიკვდილს რომ გადასდებს ყველა იმას, ვინც მას უახლოვდება, ან მის (სიკვდილის) გადაცემას რომ ცდილობს ცხონების ყველა მოსურნისათვის. ვაი! განსჯიან ღმრთაებრივი სიყვარულით აღვსილი მოღვაწენი. - ჯოჯოხეთი განმზადებულია ეშმაკისათვის და მისი ანგელოზებისათვის. როგორ არ უნდა გვეცოდებოდეს ისინი?

ჩვენ, ვთქვი მე, ხორციელი ვნებებით დაბნელებულნი, სოფლიური გონებით დაბრმავებულნი, ბოროტისადმი დამონებულნი, „მის ზრახვებს ვერ ვცნობთ". ქრისტეს მადლის სიმდიდრეს ვერ ვიძენთ, რათა მის შუქზე სატანის ყველა ვერაგული და ბოროტი მოძრაობა დავინახოთ. თქვენ კი, ვინც მის თავდასხმებს და ძალისხმევას აკვირდებით, შეგიძლიათ მოგვიყვეთ ჩვენ, თუ ჩვეულებრივ, როგორ მეთოდებს იყენებს იგი, რათა ლოცვის ღვაწლისაგან განაგდოს ადამიანი, ლოცვისა, რომელსაც ადამიანი ღმერთთან ერთობისაკენ (შეერთებისაკენ) რეალურად მიჰყავს.

მამაო ჩემო, ის, რასაც მე ვიტყვი, ძნელი გასაგები იქნება. თქვენ ეს შეიძლება უცნაურად და გაზვიადებულად მოგეჩვენოთ. ერში მცხოვრები მონაზონები მთაწმინდის მონაზონთა ბრძოლას და ბოროტის გააფთრებულ თავდასხმებს ვერ იგებენ. მაგრამ, ჩვენ მას ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, ზოგიერთ რამეს მოგიყვებით, რათა დაგეხმაროთ და სარგებლობა მოგიტანოთ.

მე ადგილზე გავშეშდი უძრავად, მთლად ყურადღებად ქცეული, მსურდა რა ბერის ბრძნული დარიგებების მოსმენა და ბოროტის მრავალფეროვან მანქანებათა გაგება. მან საუბარი დაიწყო ეშმაკის ილეთებზე მათ წინააღმდეგ, ვინც იესოს ლოცვა შეიყვარა; იგი არ ცდილობდა იმ შთაბეჭდილების შექ-

მნას, თითქოს მის მიერ თქმული მისი პირადი ღვაწლი იყო.

- როგორც კი სალოცავად მოვემზადებით, სატანაც მაშინვე თავდაცვისა და თავდასხმისთვის მზად არის. ეს მლოცველმა უნდა იცოდეს, რათა არ შეძრწუნდეს, როცა ეშმაკის პირველ უეცარ თავდასხმებს და შემდეგ გააფთრებულ შეტევებს განიცდის, რომელიც მოღვაწის წინააღმდეგ მთელ იმ საბრძოლო არსენალს მიმართავს, რასაც ფლობს (იმ დროს, როცა მეუდაბნოე ამას ამბობდა, მე აზრი გამიჩნდა, რომ სულიერ ბრძოლაში გამოცდილი სტრატეგის სიახლოვეს ვიმყოფები, რომელსაც მრავალი ჯილდო აქვს სასახელო გამარჯვებებისთვის და ბევრი გვირგვინით არის შემკობილი). თავიდან იგი მას ლოცვისგან განაგდებს, სხვა, საზოგადოებრივი შრომით დაკავებისკენ მიდრეკს, შემდეგ მოვლენებს, სხვადასხვა სახეებს, მდგომარეობებს ახსენებს...

- მე ძალიან მსურს ზოგიერთი კონკრეტული ილეთის შესახებ მოვისმინო, რომელთაც ჩვენ, ერში მცხოვრებნი არ ვიცნობთ. რაღაცას გაგიმხელთ. თქვენი სიტყვების შემდეგ მე ვიგრძენი, თუ როგორ შეიძლება გვძულდეს ეშმაკი, ანუ, უფრო სწორად, მისი საქმეები და ამავდროულად გვებრალებოდეს იგი.

- ამას, მამაო ჩემო, ჩვენ ყოველდღიურად განვიცდით. ჩვენ სიძულვილს ვგრძნობთ იმის მიმართ, რასაც იგი აკეთებს, მაგრამ ამავდროულად სიყვარულსაც თვით მის მიმართ, რომელიც მაცთურის სიბრალულში გამოიხატება. კითხვაზე რომ გიპასუხოთ, შემდეგს გეტყვით: იესოს ლოცვის მიზანი - ქრისტეს, იესოს სასუფევლის გულში მოპოვებაა, რათა ჩვენში ღმრთის სასუფეველი განცხადდეს, მადლის ნაპერწკალი აინთოს, რომელიც ახლა ცოდვის ფერფლით არის დაფარული. და მაშინ აღსრულდება ლოცვის ვედრება: „მოვედინ სუფევა შენი". თუმცა, ახლა, როგორც ადრე ითქვა, გული ცოდვის წყვდიადით არის დაბნელებული და მასში ეშმაკნი იქექებიან. ბოროტმა ბატონობა დაამყარა გულზე (მაგრამ არა მის ცენტ-

რზე, რამეთუ მხოლოდ სულიწმიდის ქმედება (ენერგია), როგორც შეუქმნელი, ერთვის სულს და ყოველივეს აკონტროლებს). დროდადრო (მერწმუნე, მამაო ჩემო) ჩემს გულს ვხედავ ისე, როგორც ზოოპარკს. ცხოველთა მსგავსი ყველა ვნება იქ იმყოფება და ღმუის... ამას წმინდა გრიგოლ პალამა კარგად აღწერს: „ჰოი! ადამიანი კაცისმკვლელი გახდა და ამით არა მხოლოდ უგუნურ პირუტყვებს დაემსგავსა, არამედ ქვეწარმავლებს და შხამიან ცხოველებს - ღრიანკალს, გველს, იქედნეს ნაშობთ — იგი, ვინც ღმრთის შვილობისთვის არის მოწოდებული". ლოცვისას კი ჩვენ ვცდილობთ, რომ გონების მიერ იესოს უტკბილესი სახელის შეთვისების შემდეგ, გულში ქრისტე ჩავიდეს მთელი თავისი დიდებით და ბრწყინვით და ბოროტი განდევნოს, რომელიც სულს სხვადასხვა ვნებებით აბნელებს მას შემდეგ, რაც მან თავისი დაცვისათვის მადლი მიიღო. მაშასადამე, ქრისტეს მოსვლით სული ნათდება, „მადლს მადლზე" იღებს. რაც უფრო ახლოვდება უფალი, მით უფრო გვშორდება ბოროტი განცდილი მარცხის ყვირილით და გმინვით; ამ გმინვათა გამოძახილია განსაცდელები, რომელსაც ის თავს გვატეხს.

- როგორც კი თქვენ ეს თქვით, მამაო, მე ეშმაკეულნი გამახსენდა, რომელთაც, როგორც კი ქრისტე იხილეს, ყვირილი დაიწყეს: ***„რაი ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯუად ჩუენდა".*** (მათე, 8, 29). ანდა სხვა შემთხვევა ბოროტი სულით შეპყრობილ ყრმასთან დაკავშირებით. უფალმა უთხრა უტყვ და ყრუ სულს: ***„მე გიბრძანებ შენ: განვედ მაგისგან და ნულარა შეხუალ მაგისა!"*** და ეშმაკმა ***„ღალატ-ყო და ფრიად გორვიდა და განვიდა მისგან..."*** (მარკოზი, 9, 25-26). ვფიქრობ, რომ რაღაც კავშირი ამას თქვენს ნათქვამთან აქვს. ან იქნებ, მე ვცდები?

- არა, თქვენ მართალი ხართ. არის სხვა მაგალითებიც, ნათქვამს რომ ადასტურებს. როცა უფალი ჯოჯოხეთში ჩავი-

და, მან გაანთავისუფლა მართლები, ვისაც მისი სწამდა. საეკლესიო მსახურებაში, ჯოჯოხეთის წუხილის შესახებ ხატოვნად ნათქვამია: აწ ჯოჯოხეთი, მოთქმით ღაღადებს: „კეთილ იყო ჩემდა, თუ რომ არ მიმელო მარიამისაგან ნაშობი, რამეთუ ჩემთან ჩამოსვლისას მან იავარჰყო ძალა ჩემი და კარნი სპილენძისანი შემუსრა... მოვაკლდი მათაც, ვინაც აქ ჩამოსული, ხელმწიფებასა ქვეშე ჩემსა ხვდებოდა — ყოველნი აღმოანთხია; დააცარიელა საფლავნი ჯვარცმულმა."

და კიდევ: ნუთუ თვით ქრისტემ არ თქვა: ***„ვითარ ვის ხელეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად, უკუეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი იგი და მაშინღა სახლი მისი იავარყოს"*** (მათე, 12, 29). ესე იგი, ქრისტეს მოსვლა გულში, რომელშიც ბოროტი მყოფობს, მის გაქცევასთან და შეკვრასთან არის დაკავშირებული. სრულიად ბუნებრივია, რომ იგი მეტისმეტად ღმუის, ყმუის და გოდებს. უფალი „ეშმაკის საქმეთა დასარღვევად" მოვიდა. ფსალმუნში არის შემდეგი ფრაზა: ***„აღმობრწყინდა მზე, და შეკრბეს და სადგურთავე თვისთა დაადგრიან"*** (ფსალმუნნი, 103, 22). მოღვაწე მამანი გვასწავლიან, რომ იმის მსგავსად, როგორც მზის ამოსვლისას ველური მხეცები კლდეებსა და ნაპრალებში თავის სოროებში იმალებიან, ასევე ჩვენს გულებში მადლის მზის გამოჩენისას, ეშმაკები გარბიან და იმალებიან.

მას შემდეგ, რაც ბოროტი შეკრულია, სიმშვიდე ბუნებრივია?

- ხდება საწინააღმდეგო. ეშმაკს განსაკუთრებით სძულს და ყველა საშუალებით ცდილობს (დიდწილად გარედან) მორწმუნის ძლევას და მის გულში შეღწევას, როცა უჩინარდება (იმალება) ღმრთის მადლი. ***„მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხუანი შვიდნი სულნი, უბოროტესნი მისა"*** (მათე, 12, 45, ლუკა, 11, 16), ბრძოლისათვის. სწორედ ამაშია განსაცდელთა აზრი. ოცნება სატანის უადვილესი ბრძოლაა. წარსულთან დაკავშირებული ოცნება და მომავალთან დაკავ-

შირებული ოცნება. კეთილ საქმეებზე ოცნება და ბოროტ საქ-
მეებზე ოცნება. მოდის სხვადასხვა გულისთქმები და გონების
დაკავებას ცდილობს, იესოს ლოცვისთვის ხელის შეშლის
მიზნით. ეშმაკი ცდილობს, რათა ადამიანმა ღმრთისადმი ინ-
ტერესი არ გამოიჩინოს, რათა თავისი სიყვარული არ აღმო-
აჩინოს. ძირითადად, მას მის მეხსიერებაში მოჰყავს სხვადას-
ხვა დაცემანი, რომელნიც მან თავის ახლო წარსულ ცხოვ-
რებაში ჩაიდინა. წმინდა მამები ამბობენ, რომ ომი მით უფ-
რო ძლიერია, რაც უფრო ძლიერი იყო წინა ვნებანი. აუცი-
ლებელია, რომ თითოეული სიამოვნებისთვის ანალოგიური
ტანჯვით გავიღოთ საზღაური. მამათა სამოღვაწეო ცხოვრე-
ბაში, სიამოვნებასა და მწუხარებას შორის მჭიდრო კავშირი
შეინიშნება. სიამოვნებამ დაცემა და ტანჯვა გამოიწვია, და
შესაბამისად, ტანჯვა (მწუხარება) აბრუნებს ადამიანს პირ-
ველყოფილ (საწყის) მდგომარეობაში და კურნავს მას. მაშა-
სადამე, მოღვაწეს მრავალი ტანჯვა, ყოველი გულისთქმისა
და ბოროტი სიამოვნებისთვის ანალოგიური მწუხარებით გა-
დახდა მოუწევს, სანამ წონასწორობა არ აღდგება. რამდენი-
მე წლის წინ მომხდარი მოვლენები და მათში განცდილი სი-
ამოვნებანი რომელიც დროთა განმავლობაში დავიწყებულ
იქნა ახლა მთელი ძალით და დაძაბულობით ცოცხლდები-
ან. ამის წყალობით, ადამიანი შეიძლება სასოწარკვეთილება-
სა და უიმედობაში ჩავარდეს. ამას გარდა, მოღვაწეს მოსდის
გმობის აზრები, ურწმუნოება სარწმუნოების დიდ საკითხებში,
ეჭვი ქრისტეს ღმრთაებრიობაში, ყოვლადწმინდა ღმრთის-
მშობლისა და წმინდანთა არცნობა და ა.შ. ხშირად ისინი
წარმოიქმნება და წარმოითქმება ბაგეებით ლოცვის ჟამს, მოღ-
ვაწის მხრიდან ამის სურვილისა და გაგების გარეშე.

ზოგჯერ **უზრუნველობის** ეშმაკი მოდის. ანდა ამ ადგი-
ლის **დატოვებისა** და საკუთარი ბერისგან (მოძღვრისგან)
განშორების დაბეჯითებითი აზრი, რამდენადაც თითქოს ვინ-
მე სხვა მასზე უკეთესია. ხშირად მისადმი საშინელი სიძულ-

ვილი იბადება. არის შემთხვევები, როცა მორჩილი მიდის ბერთან და მას ცრემლით და ოხვრით ეუბნება: „კარგად ახსნა არ შემიძლია, მაგრამ ვიტყვი, რასაც ვგრძნობ: მძულხარ. შენი დანახვაც არ მსურს. შენი გამოჩენისას ჩემში საშინელი წინააღმდეგობა (ზიზღი) წარმოიქმნება!" ხშირად, ლოცვის შესაჩერებლად ძილი მოდის, სხვა მრავალი საცთურიც არსებობს, მაგრამ მე მხოლოდ ამათზე მსურს შევჩერდე.

- როგორ უნდა გადაიტანოს ასეთი ტანჯვა მოღვაწემ? როგორ უძლებს იგი ასეთ მძვინვარე, აგრესიულ გამძაფრებას (თავდასხმას)? მიპასუხე მამაო, ნუ დუმხარ.

მოღვაწე ღრმა მდუმარებაში ჩაიძირა. ვინ იცის, როგორი ცეცხლი განიცადა? ვინ იცის, რა განსაცდელები...

მამაო, განაგრძე! წინააღმდეგობის მეთოდები გამაცანი.

- აქ მოითხოვება დაბეჯითება, მოთმინება და ვაჟკაცობა. ძირითადად ვაჟკაცობა. ყოყმანი არ შეიძლება. ოცნებებს წინ უნდა დავუხვედროთ იესოს სახელის უწყვეტი მოხმობა და ლოცვის სიტყვებზე უნდა მოვიკრიბოთ ყურადღება. ლოცვის სივიწროვეში ვაჟკაცურად უნდა ვიდგეთ. ლოცვის ჟამს არც კეთილ, არც ბოროტ საქმეებზე არ უნდა ვიფიქროთ. მწუხარებისას უნდა გვჯეროდეს, რომ როგორც ადრე ვამბობდით, განკურნება იწყება. ***„დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, ხოლო რაჟამს შვის ყრმაი, არღარა მოეხსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა"*** (იოანე, 16, 21). აქაც ასეა: მწუხარებასთან ერთად, ახალი ადამიანი იქმნება, ახალი ცხოვრება იქმნება ცხოვრება ქრისტეში. გმობის გულისთქმებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ (უნდა უგულებელვყოთ). ისინი მხოლოდ ამგვარად ქრება. ისინი ჩვენი არ არის, არამედ ბოროტისგანაა. ამ შემთხვევაში ჩვენ უფლის სიტყვები განგვამტკიცებს: ***„ვერ ხელეწიფების ღმრთისა მონებად და მამონისა"*** (მათე, 6, 24) ესე იგი, გონებას არ შეუძლია ერთდროულად ორი საგნით დაკავდეს. არ შეუძლია, ერთი მხრივ, ლოცვის უტკბილესი ნექ-

ტარით დატკბეს და ერთდროულად, ლოცვის საათებში მისი ძალა სხვა რაიმეთი შეარყიოს. ეს უკანასკნელი ბოროტის თავდასხმას წარმოადგენს. საჭიროა უგულებელყოფა, ანდა, იმ შემთხვევაში, თუ გმობის გულისთქმა მძაფრად გვიტევს, სულიერი მოძღვრისთვის აღსარება. მაშინ იგი უცბადვე გაქრება. იგივეა ხანგრძლივი გულისთქმების მიმართაც. გულისთქმა, რომელიც მუდმივად ჩვენთან მყოფობს, განსაკუთრებით ლოცვისას, - აღსარებას საჭიროებს. და ეშმაკი, რომელიც მის უკან იმალება, მაშინვე გაქრება, მსგავსად გველისა, როცა ჩვენ ქვას აღვმართავთ. ძილიანობის დროს განსაკუთრებული ბრძოლაა საჭირო. აქ, წმინდა მთაზე, მრავალ მამას ერთფეხიანი სკამი აქვს: როცა მათ ძილი სძლევს, სკამიდან ვარდებიან და ილვიძებენ. ისინი ჭეშმარიტად ებრძვიან ეშმაკს. მე ერთ მონაზონს ვიცნობდი, რომელსაც კელიაში წყლით სავსე ჭურჭელი ედგა; როცა მონაზონი ძილისკენ მიდრკებოდა, ჭურჭლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას იწყებდა და ძილიანობის ეშმაკეულ სულს ამგვარად ებრძოდა. ამას გარდა, ბერში (მოძღვარში) ქრისტეს სახება უნდა დავინახოთ. იგი მოსეა. მისი ძალისა და ლოცვების წყალობით, შენ ეგვიპტის მონობიდან გამოხვალ და ფარაონის (ვნებების) ტირანიისგან განთავისუფლდები. მოღვაწემ უნდა იბრძოლოს, რათა ბერის (მოძღვრის) უძლურებანი არ შეამჩნიოს, - რომელსაც ეშმაკი აზვიადებს, არამედ ღმრთისადმი მისი სიყვარული და მისთვის დამახასიათებელი სათნოებანი დაინახოს. თუკი შემთხვევით დადასტურდება, რომ ბერს ბევრი ცოდვები და ვნებები აქვს, განსჯას (განკითხვას) უნდა გავექცეთ და გულშემუსრვილებით, მათზე, როგორც საკუთარ ცოდვებზე, ცრემლები უხვად უნდა დავღვაროთ. წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი ამ მდგომარეობას გამომხატველად აღგვიწერს: „როცა, ზოგადცხოვრებულთა მონასტერში ყოფნისას, შენ შენს ბერად აღმკვეც მამასთან სიახლოვეს ყოფნას არ მოისურვებ, რამდენადაც მას მთვრალს ან სიძვისმოქმედს ხედავ და საკუთარი თავისთვის საზიანოდ

მიიჩნევ მონასტერში ცხოვრების გატარებას, თუკი ის გცემს, უპატიოდგყოფს და სხვა მრავალ მწუხარებასაც განიცდი, ყური არ უგდო ამ ბრძოლას მის წინააღმდეგ და განკითხვას არ მიეცე. ბოლომდე მოითმინე და ასეთი ბოროტება არ განიხილო. ხოლო როცა მას სათნოებაში მოღვაწეს იხილავ, ის გულში შეინახე და დაიმახსოვრე იგი თავის თავის ასე მაიძულებელი, ხოლო თუ მას შეუსაბამოს მოქმედს ან მოსაუბრეს იხილავ, ეს შენს თავს მიაწერე და საკუთარ ასეთ შეცოდებებზე განსაჯე, და ცრემლებით მოინანიე, მამა (მოძღვარი) კი წმინდად ჩათვალე და მისი სახელი ლოცვაში მოიხსენიე". ეს იმისათვის კეთდება, რომ ბერის (მოძღვრის) განკითხვას გავექცეთ. რამეთუ, ასეთ შემთხვევაში იკარგება მორჩილება და სიმდაბლე (რომელიც მორჩილების საფუძველი და საბოლო მიზანია) და გამოდის, რომ თვით ცხონება იკარგება. უზრუნველობისა და ბერისაგან გაქცევის გულისთქმებისას, მტკიცე წინააღმდეგობა და უდიდესი მოთმინება მოითხოვება, უკანასკნელი აუცილებელია პირადი თავდასხმების დროსაც.

- პირადი თავდასხმები? ჩავეკითხე მე - ეს რა არის? რა იგულისხმება მათში?

- აქ ნება მომეცით, აღარ გავაგრძელო. რამეთუ თქვენ, ნამდვილად ვერ გამიგებთ. ეს შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, რადგან ჩვენ ასკეტურ ცხოვრებას არ ვიცნობთ.

მამაო, ვცდილობ ვისწავლო. ძალიან გთხოვთ, იესო ქრისტეს სახელით, მასწავლეთ. ახლა, როცა შესწავლის შესაძლებლობა მოვიპოვე, არ მსურს მისი დაკარგვა. მითხარით.

მე მისი ძლიერი შეჭირვება მესმოდა. რა უნდა ეთქვა მას ჩვენთვის, ვისაც დაცემული გონების „ტყავის პერანგები" გვაქვს?

ბევრს არ გესაუბრებით, მხოლოდ ზოგიერთ რამეს გეტყვით. კელიის გარედან ხმები, სიცილი, ძლიერი ხმაური ისმის, თითქოს მთელი მსოფლიო შეიკრიბაო. ყოველივე ეს იმისათვის (ხდება), რომ ლოცვისგან ყურადღება განარიდოს. ხშირად თვით

ეშმაკი უახლოვდება მოღვაწეს. ასეთ შემთხვევებში შემაძრწუნებელი შიში იგრძნობა. სულსა და სხეულს დიდი მწუხარება მოიცავს, რომელსაც ყაჩაღებთან ყოფნის შიშიც ვერ შეედრება. რამეთუ, მთელი ჯოჯოხეთი უახლოვდება მონაზონს. მის შესაშინებლად, ეშმაკი სხვადასხვა ცხოველის სახეს ღებულობს. წმინდა საბას ცხოვრებაში მოთხრობილია, თუ როგორ გადაიქცევა სატანა გველად, ღრიანკალად, ლომად და ა.შ. „როცა იგი შუაღამისას ქვიშაზე მიწვა, სატანამ მისი შეშინება მოინდომა და გველად და ღრიანკალად გადაქცევა იწყო. სხვა დროს მას თავდამსხმელ და ავად დამმუქრებელ ლომად წარმოუდგა". ზოგჯერ ეშმაკები წარმოგვიდებიან ხელში ცეცხლით, რომლითაც ისინი ცოტაც და დაწვავენ მლოცველს, რომლის შესახებ წმინდა სვიმეონიც საუბრობს: „შორს მდგომნი, ისინი ჩემს შეშინებას ცდილობდნენ, ანთებული ცეცხლით მემუქრებოდნენ, რომელიც ხელში ეჭირათ; ძლიერ ყვიროდნენ და ქუხდნენ..."

ხშირად, როცა მოღვაწე სკამზე ზის და იესოს ლოცვას იმეორებს, იგი ორ ხელს გრძნობს, მის დასახრჩობად რომ გამზადებულა. ისინი მაგრად ეჭდობიან კისერზე და ლოცვის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ. ლოცვის დაწყებისას, სიტყვა „უფალო"-ს შემდეგ, მონაზონი ველარ აგრძელებს: მისთვის ძნელია მაცხოვნებელ სიტყვას **„იესო"**-ს მიაღწიოს, იგი ბლუკუნით იმეორებს: **„ი, ი, ი, იე, იე, იეს..."** და როგორც კი უდიდესი ძალისხმევით მთელი სიტყვა წარმოითქმება, ეშმაკი მაშინვე უჩინარდება. ჩემთან სხვა მონასტრებიდან მონაზვნები მოდიოდნენ და ჯგუფურ თვადასხმებზე მიყვებოდნენ, რომელთა მიზანი დაშინება და შეძრწუნებაა. განსაკუთრებით იმ დროს, როცა მონაზვნები ღამისთევის ლოცვისთვის ემზადებოდნენ.

რას ნიშნავს „ჯგუფური თავდასხმები"?

- ამ საათებში ეშმაკი 2, 5, 10 მონაზონს ესხმის თავს და მზად არის ისინი დაახრჩოს ან სხვა რამე გაუკეთოს. ზოგი

მონაზონი ისე ძლიერ შინდება, რომ კელიიდან გამორბის და შეშინებული და ძრწოლით ატანილი, ბერის (მოძღვრის) კელიის ახლოს იმყოფება, სანამ იგი არ გაიღვიძებს. ერისკაცები ვერ იგებენ ღამისთევის ფასს. იგი წვავს და ანადგურებს ბოროტს, რომელიც ყველაფერ შესაძლებელს და შეუძლებელს აკეთებს, რათა ხელი შეუშალოს მას, რადგან იცის, რომ მთელი ღამის ლოცვით განდევნილი იქნება. და იგი ჟურნალისტებს და სხვებს იდეებს შთააგონებს, ღამისთევის ლოცვის განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით. აი, რატომ გთხოვთ, რომ ეს საქმე ღამისთევის ლოცვები არ მიატოვოთ იმ ეპარქიაში, სადაც მსახურობთ, რამეთუ ამგვარად იძლევა (მარცხდება) ეშმაკი.

- მამაო, ჩვენ ძალზე ცოდვილნი ვართ და ბოროტის ხორციელ თავდასხმებს ვერ ვგრძნობთ. ეს იმის გამოა, რომ ჩვენ მის ხელმწიფებაში ვართ, რაში სჭირდება მას ჩვენზე თავდასხმა? იმდენად ცოდვილნი ვართ.

შეიძლება მცირე შესწორება შემოვიტანო?

რა თქმა უნდა, ვუპასუხე მე არამც თუ შეიძლება, საჭიროც არის.

- ნუ იტყვით, რომ ეშმაკი თქვენ პირადად (ე.ი. თავისი სახით) არ გესხმით თავს, რამდენადაც ცოდვილი ხართ. ეს მცდარი აზრია. იგი შეიძლება, სატანამ თქვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენოს.

როგორ?

- ბოროტს ესმის, თუ როგორ ლაპარაკობთ, რომ ცოდვის მიზეზით, მისი პირადი თავდასხმის ობიექტად ქცევის ღირსი არა ხართ. და როდესაც რაიმე სიკეთის კეთება (მაგალითად, რაიმე სათნოების აღსრულება) მოგიწევთ, იგი შეიძლება გამოჩნდეს, რათა შექმნას შთაბეჭდილება (რამდენადაც, თქვენ საკუთარი აზრის გჯერათ), რომ თითქოს მისი ახლანდელი გამოჩენა ნიშნავს, რომ თქვენ რაღაცას წარმოადგენთ, და ამგვარად მზვაობრობასა და ამპარტავნებაში ჩაგაგდოთ.

მე სწრაფად დავიხარე, სანამ ბერი მიხვდებოდა, თუ რისი გაკეთება მინდოდა, მისი ხელი ავიტაცე და მოკრძალებით და სიყვარულით ვეამბორე მას და ქედი მოვიხარე მოღვაწის სულიერი სიბრძნის წინაშე, რომელიც მას აქვს და რომელიც ამდენი წლის ბრძოლით მოიხვეჭა.

ხშირად ეშმაკი, როცა მოღვაწეს ეცხადება, მასთან ლაპარაკს იწყებს და მას სასაუბროდ იწვევს. ზოგჯერ კიცხავს მას, ზოგჯერ განადიდებს, ზოგჯერ დასცინის, ზოგჯერ რაიმე მოვლენებს მრუდედ განმარტავს და ა.შ. სულიერ მოღვაწეობაში გამოუცდელნი ეშმაკთან საუბარში ებმებიან და შეკითხვებსა და შეურაცხყოფებზე პასუხობენ. ეს შეცდომაა, განსაკუთრებით კი ახალდამწყებთათვის, რამდენადაც უმეცარნი ასეთ შემთხვევებში მარცხდებიან, თუნდაც რომ გვეჩვენებოდეს, რომ მათი შეპასუხებისგან ბოროტი გაიქცა. რჩება გარკვეული შფოთი და შიში. მოგვიანებით, ამ სცენისა და ყოველივე თქმულის გახსენებისას, ისინი მერყეობენ და გონება ერევათ. მამები ურჩევენ მათ, ვისაც საკმარისი ძალა და პირობები არ გააჩნია, არაფერი უპასუხონ (ეშმაკს), ინტერესი არ გამოიჩინონ და უგულებელჰყონ. იგივე უნდა ვაკეთოთ აზრობრივი ბრძოლისასაც. უგულებელვჰყოთ გულისთქმები და დაბეჯითებით ვიდგეთ იესოს ლოცვაში.

მცირე დუმილის შემდეგ ბერმა განაგრძო:

ყველა ამ განსაცდელისას მტკიცედ უნდა ვიყოთ იესოს ლოცვაში და საერთოდ ლოცვით მდგომარეობაში ყოფნას უნდა ვეცადოთ. „ლოცვით მდგომარეობაში", მე მარხვას განსჯით, მღვიძარებას, ხორციელ ტანჯვას, მდუმარებას ვგულისხმობ - და ყოველივე ეს მორჩილების სულით და ჩვენი სულიერი წინამძღოლის კურთხევით კეთდება.

რატომაა, რომ ხორციელი ღვაწლი (მარხვა, მღვიძარება, მდუმარება, მუხლმოყრა) ასე მჭიდროდ უკავშირდება ლოცვას და ლოცვით მდგომარეობად ითვლება?

სხეული ლოცვის საქმეში მონაწილეობას იღებს. თუკი

იგი მადლს იღებს, უნდა იღვაწოს კიდეც. ამას გარდა, ხორციელი ვარჯიშით და მწუხარებით, ჩვენ საღმრთო მადლის მისაღებად პირობებს ვქმნით. ამის დასასაბუთებლად, წმინდა გრიგოლ პალამას მაგალითად მღდვდლობის საიდუმლო მოჰყავს. იქ საღმრთო მადლი რჩეულ დიაკონს, ან ხუცესს, ან ეპისკოპოსს არა მხოლოდ აზრობრივად ქმნადი ლოცვით, არამედ სხეულის მოქმედებით, შეხებითაც გადაეცემა. ესე იგი, მღვდელმთავარი უბრალოდ კი არ ლოცულობს, რათა გარდამოვიდეს საღმრთო და ცხოველსმყოფელი მადლი, არამედ ხელსაც ასხამს ხელდასასხმელის თავზე. იგივე ხდება იესოს ლოცვის დროსაც. მადლის მიღებისას, მისი (ლოცვის) მხოლოდ აზრობრივად წარმოთქმა საკმარისი არ არის; საჭიროა სხეულის მონაწილეობაც, რამდენადაც სრული კაცი არა მხოლოდ სულისგან, ხორცისგანაც შედგება, რომელიც ასევე უნდა გადარჩეს (ცხონდეს). შესაბამისად, მამათა მოძღვრებაზე დაფუძნებით, ჩვენ ძალგვიძს დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ლოცვის დასაწყისის (შიშის, ცრემლების, მწუხარების, შეჭირვების, მდუმარების) უარმყოფელი თვით ლოცვის არსსაც უარყოფს. ვიმეორებ, თუმცაღა, რომ მთელი თქმული სულიერი მამის კურთხევით უნდა განვახორციელოთ, რათა ამით ეშმაკმა არ ისარგებლოს.

ძნელია ბრძოლა, განვსჯიდი მე, ძნელია ლოცვითი ღვაწლი, როგორც თქვენ ამიწერეთ. თუკი ასეთია ეშმაკის ომი, თუკი ასეთი მტანჯველია ჩვენთვის ბოროტის გააფთრებული ტალღები, და მთელი მისი სატანური სამეფოსი, როგორღა შეიძლება ამას გავუძლოთ?

5. მადლის მოსვლა და გაუჩინარება.

დიახ, ჩემი ვალია, ამ საკითხზე ცოტა კიდევ განგანათლო. მოღვაწეებმა უწყიან, რომ ეშმაკი ბოროტია, მაგრამ აგრეთვე იციან, რომ იგი ძლეული და უძლურია. მათ გამოცდილებით შეიცნეს სატანის სიძულვილი, მაგრამ ასევე შეიც-

ნეს ქრისტეს კაცთმოყვარება და უტკბილესი სიყვარული. **ამ ომში ქრისტეს კაცთმოყვარება იმარჯვებს.** უფალი თანდათანობით მოდის სულში და რამდენადაც უფრო ახლოვდება, მით უფრო მეტ მადლსა და სიხარულს იძლევა. ყოველი ბრძოლის შემდეგ, სულში გაუცნობიერებელი, გამოუხატავი და აუხსნელი მადლი, სიხარული, სიჩუმე და სიწყნარე ისადგურებს. წმინდა გრიგოლ სინელის სიტყვებით, „ლოცვის დასაწყისი ჭეშმარიტი, გულითადი სითბოა, ვნებების დამწველი და სულში მხიარულებისა და სიხარულის წარმომქმნელი". და ჩვენ ამას კარგად ვგრძნობთ, რამდენადაც ისეთ მდგომარეობას ვიძენთ, რომელიც ადრე არ გვქონია. ჩვენში ყოველივე წყნარდება და მშვიდდება. ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო. შემიწყალე მე" - როგორც დიდებისმეტყველება, ისე აღესრულება. „დიდება შენდა, ღმერთო!" მაშინ ჩვენ, ძირითადად, სიტყვა „**იესო**"-ზე ვაკეთებთ აქცენტს (ვამახვილებთ ყურადღებას), რამეთუ „იესო მყოფობს". იესოს ხსოვნა, გონებასთან ერთად გულში მოკრებილი, შრომისა და დიდი ძალისხმევის გარეშე გვეძლევა. და ყოველთვის (თითოეულ ჯერზე) როგორი სიტკბოებით ივსება ჩვენი გულები. ჩვენ ამ ღმრთაებრივი საათების დაკარგვა არ გვსურს და მათზე განსაკუთრებულად ვნაღვლობთ. ჩემი მარადისსახსოვარი ბერი (მოძღვარი) ექვს საათს ლოცულობდა იესოს ლოცვით, მას კი ეგონა, რომ საათის მეოთხედიც არ იყო გასული... სიხარული მოდის, როგორც ტალღები. და მაშინ გული ცემს. ბევრი მამა, გულის ამოსავარდნად მზადყოფნაზე საუბრობს.

- მამაო, მე გამახსენდა, რომ ამგვარადვე განმარტავს ღირსი ნიკოდიმე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ლოცვასაც: „განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა".

მართლაც, იმ მომენტში მე წმინდა ნიკოდიმეს სწავლება გამახსენდა. „და ხარობს ლოცვის მოქმედი, და განსაკუთრე-

ბული და ძლიერი სიხარულისგან ბაგაბუგობს, ფანცქალებს (თრთის) და სცემს მისი გული; და აღფრთოვანდება იგი; ასეთ სიხარულზე მოღვაწე მამანი ამბობენ, რომ საღმრთო მადლის მოქმედებისაგან გული ხტის და როკავს". და შემდეგ განაგრძობს: „და როცა მადლი გეწვევა და სულიწმიდა საიდუმლოდ მოქმედებს შენს სულში, შენი გული - წმინდა და ეგრეთ წოდებული გულისმიერი ლოცვის მიზეზით ამოსახტომად მზად არის". ამის შესახებ ეკლესიის ბევრი მამა მოწმობს. მაგალითად, წმინდა გრიგოლ პალამა, ბასილი დიდისა და ათანასე დიდის კვალდაკვალ, კეთილისადმი სიყვარულით მოხარული გულის ფანცქალსა (თრთოლასა) და ცემას, მადლის ნიშნად მიიჩნევს.

დიახ, მიპასუხა წმინდა და გამოცდილმა მოღვაწემ ეს ასეა. გმირული და მწუხარებით აღსავსე ბრძოლის შემდეგ, გულში ქრისტეს მადლი მოდის და მას ამშვიდებს. მაგრამ, ყველასთან იგი ერთგვარად არ მიდის. ეს ადამიანის სულიერ სიმწიფესა და სულიწმიდაზეა დამოკიდებული, რომელიც მოქმედებს, „ვითარცა სურს", სასიკეთოდ. „სხვადასხვა სახით გვევლინება თავდაპირველად მადლი ლოცვაში და მრავალგვარია სულიწმიდის განყოფილებანი... იგი თავისი ნებით გვიმჟღავნებს თავს და თავის თავს შეგვამეცნებინებს..." მაგალითი ელია წინასწარმეტყველია. მან თავიდან იგრძნო ***„ქარი დიდი, ძლიერი, რომელი დაარღვევდეს მთათა"***, შემდეგ ძრვა, ცეცხლი, ***„ხმა წულილისა ნიავისა და მას შინა უფალი".*** ღირსი გრიგოლ სინელი განმარტავს, რომ ზოგიერთთან (ძირითადად, ახალდამწყებებთან) იგი როგორც საშინელი სული მიდის, ვნებათა მთებს რომ აპობს და გასასტიკებულ გაქვავებულ გულებს რომ მუსრავს (ესე იგი, სინანული და წინა ცოდვიანი ცხოვრების გამო ტირილი იგულისხმება). წარმატებულებთან იგი მიწისძვრასავით მოდის; აქ საუბარია სიხარულზე (ხტუნვაზე, რაზეც ჩვენ ადრე ვსაუბრობდით), წვაზე გულისა. სულიერად მომწიფებულებთან - როგორც ნელი სიო

(„წულილი ნიავი"), დამშვიდებული ნათელი. ახალდამწყებნი მადლს ნაწილობრივ იღებენ, მაშინ როცა მომწიფებულნი მას მთლიანად ითავსებენ. ღირსი გრიგოლის თხზულებიდან ამ ადგილს მთლიანად წაგიკითხავთ: „ელია თეზბიტელის გვარად გვეცხადება ჩვენც მადლი. ზოგიერთთან იგი საშინელი ქარივით მიდის, ვნებათა მთებს რომ აპობს და კლდეებს გასასტიკებულ გულებს - რომ მუსრავს ისე, რომ ისინი შიშით ხევდებიან და ხორცი კვდება. სხვებთან როგორც მიწისძვრა ანუ სიხარული (რასაც მამებმა უძლიერესი გულისცემა უწოდეს), - არანივთიერი, შიგნით წარმოქმნილი და თითქოსდა უმიზეზო. და ბოლოს, სრულყოფილებთან როგორც ნელი ქროლვა, დამშვიდებული ნათელი; სულიერად მომწიფებულების ლოცვაში უფალი მოქმედებს და იგი საიდუმლოებრივად გვეცხადება ქროლვაში (ნიავში). ამიტომაც ეუბნებოდა ღმერთი ელიას ქორების მთაზე, რომ ღმერთი ამაში და იმაში კი არ არის (არა ახალდამწყებთა ზოგიერთ მოქმედებაში), არამედ ნელ სიოში *(„წულილ ნიავში")*, სწორედ აქ არის უფალი, რომელმაც ამ გამოცხადებით სრულყოფილ ლოცვაზე მიგვითითა". მაშასადამე, გასაგებია, რომ ყოველთვის, როცა მადლი გვეწვევა (პირადი ღვაწლისა და სიმდაბლის შესაბამისად), იგი უფრო სრულყოფილი სახით მოდის.

ესე იგი, მადლი მოდის და მიდის?

- დიახ, - მპასუხობდა წმინდა მეუდაბნოე, - მოდის და მიდის, რათა ხელახლა მოვიდეს და კვლავ გაუჩინარდეს. ღმერთი თავის მადლს გზავნის და ზღუდავს მას. გონიერი ღვაწლის დასაწყისში, მადლის შემცირებიდან მის დაბრუნებამდე პერიოდები ფრიად დიდია. თუმცა დიდი ხნის ვარჯიშის შემდეგ, ისინი ფრიად მცირე ხდება. და მოღვაწემ იცის ეს მოსვლები, თუმცა, მან ასევე იცის მადლის გაუჩინარებაც.

- მაგრამ, რატომ ხდება ეს? რა საჭიროებაა გამოჩინებასა და განშორებაში?

მოდის იმისათვის, რათა გვანუგეშოს და დაგვატკბოს;

მიდის იმისათვის, რომ გათავისების, ძიების და დამდაბლების შესაძლებლობა მოგვცეს. ესე იგი, იმისათვის, რათა ჩვენ გავიგოთ, რომ მადლი საღმრთო ნიჭი იყო და რომ შესაბამისად, ჩვენ მისი მიღების სრულიად უღირსნი ვართ. ბევრმა მონაზონმა გამოცდილებით კარგად იცის ეს „მადლის განსაცდელები", რომელიც შესაძლოა, მრავალ წელს გაგრძელდეს. მოსვლა და წასვლა... პირველ შემთხვევაში იგი მონაზონს განამტკიცებს, მას საღმრთო ნუგეშით აღავსებს. თითქოსდა მას ეუბნება: „მე აქ ვარ!" მეორე შემთხვევაში იგი მიდის, რათა გათავისებული იყოს. ეს კი უმძიმესი ქმედებაა. საჭიროა ბევრი შრომა და ლოცვა, რათა გაითავისო საღმრთო მადლი, რომელიც გქონდა. რამეთუ, მონაზონთა შორის არის შემთხვევები, როცა, მისი მიღების შემდეგ, ისინი მას უარყოფდნენ. ნუთუ ეს არ მოუვიდა პეტრე მოციქულს? თაბორის მთაზე მან უხვი მადლი მიიღო, მაგრამ, მის გასათავისებლად მზად არ იყო, და ქრისტეს უარყოფის მდგომარეობაში ჩავარდა. გათავისების ეტაპი მწუხარე ძიებასთან არის დაკავშირებული. მონაზონმა ახლა იცის, თუ იგი (მადლი) რა არის (მისი გამოჩინების მიხედვით), და იგი მას აიძულებს, რომ ტირილით ეძიოს. იგი მწუხარებს, მსგავსად ბავშვისა, გაუჩინარებულ დედას რომ ეძებს: „სად ხარ, ნათელო ჩემო? სად ხარ, ჩემო სიხარულო? რატომ მიმატოვე და ნაღვლით აღივსო ჩემი გული? რატომ გაუჩინარდი ჩემგან და მწუხარებს ჩემი სული! ჩემს სულში მოსულმა, შენ ჩემი ცოდვები დაფერფლე, რომელიც შენ ჩემგან გფარავენ, როგორც ღრუბლები ფარავენ მზეს. მოდი და გამამხიარულე მე შენი მოსვლით; რატომ აყოვნებ, უფალო? შენ ხედავ, როგორ მოწყენილია ჩემი სული და მე ცრემლებით გეძიებ შენ. სად გაუჩინარდი? რატომ ვერ გხედავს შენ ჩემი სული, ყველგან მყოფო, და მე მწუხარებით გეძიებ შენ? ასეთი მწუხარებით არ გეძიებდნენ შენ, როცა შენ პატარა ბავშვი იყავი, ყოვლადუბიწო ქალწული მარიამი და იოსები?

რას ფიქრობდა ნაღვლიანად იგი, როცა თავის საყვარელ ძეს ვერ პოულობდა?"

ღირსი სერაფიმ საროველი, ძმაზე მწუხარების გამო საღმრთო მადლს მოაკლდა. და მისთვის ამაზე დიდი უბედურება არ იყო. მხოლოდ მაშინ შეძლო მან ადამის მწუხარების გაგება, რომელმაც ღმერთთან ურთიერთობა დაკარგა, სამოთხე დატოვა და ტიროდა. და ღირსმა სერაფიმემ ათასი დღე და ათასი ღამე ქვაზე გაატარა და ღმრთაებრივ მადლს ეძებდა და მისგან მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა, როცა იგი (მადლი) მოიპოვა.

.- მაშადამე, — განაგრძობდა ბერი, — მადლი იმისათვის მცირდება, რათა გულს უფრო დიდი სიყვარულის და წყურვილის მიზეზი მისცეს. ახლა მას უკვე აქვს მისი სიტკბოების გამოცდილება და მისი არყოფნის დროს კი - მწარე სიცარიელისა და ეძებს იგი, სხვათა შორის, გაწბილებისა და მცირედმორწმუნეობაში ჩავარდნის გარეშე. კიდევ უნდა დავამატოთ, რომ მას შემდეგ, რაც უხვი მადლი გონებას მოიცავს და მას ექსტაზში შეიყვანს („განკვირვებას დასცემს"), იგი ფრიად სწრაფადვე ტოვებს მას (ძირითადად, ეს დასაწყისში ხდება) - რათა მოღვაწე არ დაიღუპოს. რათა მას ის არ დაემართოს, რაც უგუნურ ბავშვს ემართება, როცა ბევრს შეჭამს და აღებინებს (გული აერევა). ამის შესახებ წმინდა სვიმეონი საუბრობს:

„მაშინ, თითქოსდა მცირე და ოდნავ შესამჩნევი მსუბუქი ნათება, უეცრად მოიცავს გონებას და მას ექსტაზში შეიყვანს, და უმალვე დატოვებს, რათა იგი არ დაიღუპოს. იგი იმდენად სწრაფმავალია, რომ მხილველს მისი არც დაჭერა, არც მისი მშვენების დახსომება, არც მასთან მიახლოება არ ძალუძს. რამეთუ, თუკი ჩვილი ზრდასრულ კაცთა საჭმელს შეჭამს, იგი მაშინვე გასკდება და დაზიანდება და მას უკან ამოანთხევს. იმ დროიდანვე მადლი წარმართავს, განამტკიცებს, ასწავლის, გამოჩნდება და ქრება.

მაშინ კი არა, როცა ჩვენ გვსურს (რამეთუ ეს სრულყოფილთა საქმეა), არამედ მაშინ, როცა დიდი გასაჭირი გვად-

გას და საბოლოოდ ვუძლურდებით, ის დასახმარებლად მოდის, შორიდან გამოჩნდება და ისე იქმს, რომ მე მას ჩემს გულში შევიგრძნობ".

მადლის მოსვლას და გაუჩინარებას მაცხოვნებელი ხასიათი აქვს. იგი მცირეოდენად მოდის, ადამიანს ვნებათაგან განწმენდს და მიდის. კვლავ მოდის იმისათვის, რათა სხვა ვნებისაგან განწმინდოს და ასე შემდეგ მანამდე, სანამ ღმრთაებრივი და ცხოველსმყოფელი მადლის შეწევნით, ადამიანი სულის ვნებით ნაწილს არ განიწმენდს. შეუპოვარი ბრძოლისა და მრავალი მსხვერპლის შემდეგ დგება მომენტი, როცა მადლი თითქმის **მკვიდრდება** გულში და იქ მუდმივი სიწყნარე, განუწყვეტელი უშფოთველობა, საუკუნო სიტკბოება ისადგურებს. თაბორი სულში. ცა ქვეყანაზე. ღმრთის სასუფეველი გულში. წმინდა სამება ჩვენს შიგნით. ადამიანი ღმრთის ხატად და მსგავსად.

- როგორი დიდია ღმრთის სიყვარული! ვფიქრობდი მე.

მცირე ხნის წინათ ერთ სულიერ წიგნში წავიკითხე სიტყვები, რომელიც ბერის აზრების სრულიად თანხმიერი იყო. „თუკი საკუთარ თავზე ბოროტის თავდასხმებს, ხაფანგებს და განსაცდელებს არ გამოსცდი, იმ წყალობათა გაგებასა და შეფასებას ვერ შეძლებ, რომელსაც ნუგეშინისმცემელი განიჭებს. თუ ბნელეთის სულს არ შეიცნობ, ცხოველსმყოფელი სულის შეცნობას ვერ შეძლებ, ცხოვრებისმომცემელ ქრისტეს გამოცდილებით ვერ შეიცნობ". რაოდენ დიდია ქრისტეს სიყვარული! მან იცის, ბოროტის მანქანება სასიკეთოდ როგორ გამოიყენოს. სიმწარე სიტკბოებად როგორ აქციოს. ეშმაკის სიძულვილი ადამიანისადმი, ღმრთისადმი ადამიანის სიყვარულად როგორ გადააქციოს. ასე რომ, ჩვენ გვესმის: ეშმაკმა რაც არ უნდა აკეთოს, იგი ბოლოსდაბოლოს, საკუთარ თავს კლავს. თავს იღუპავს. ცხადია, რომ იგი ადამიანთა წინააღმდეგ იბრძვის და ღმერთი მას თავისუფლებას ანიჭებს, რამეთუ იგი პიროვნებაა და შესაბამისად, არის რა ქმნილება, თა-

ვისუფლება აქვს, რომელსაც (თავისუფლებას) შემოქმედი პატივს სცემს, თუმცაღა, ბოროტის დამანგრეველ მოქმედებას, ადამიანებისადმი თავისი თანაგრძნობით და თავისი სიყვარულით ზღვარს უდებს. ერთხელ გავიგონე, როგორ ამბობდა ერთი მოღვაწე, რომ მცირე ამპარტავნებას ღმერთი თავისი სიყვარულით სიმდაბლედ გადააქცევს, რომელიც მადლს იზიდავს. ესე იგი, როგორც კი მცირედ აღზევდება ქრისტიანი, დაცემა იწყება. დაცემის შემდეგ, მიიღებს რა ღმრთაებრივ მადლს, იგი ინანიებს და უფრო მეტად მდაბლდება, და ამგვარად, საკუთარ თავს თანდათან განიწმენდს ამპარტავნების სატანური და ბიწიერი ცოდვისაგან, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ეშმაკი თავის თავს ანგრევს.

ბერი წამოდგა და მითხრა:

- მწუხრის დრო დადგა. ფსკვნილზე შევასრულოთ იგი. იმ ოთახში გადი და იესოს ლოცვა იკითხე, სანამ საუბრის გასაგრძელებლად არ მოგიხმობ. ტკბილი იესოს ლოცვა არასოდეს უნდა დავივიწყოთ.

მე იმ კელიაში შევედი, რომელზეც მან მიმითითა. ბერმა მე ძალზე მაღლა ამიყვანა და კარგი იყო, რომ იგი გაჩერდა და მე დასვენების საშუალება მომცა. კელია მომცრო აღმოჩნდა, ზუსტად ისეთი, როგორც ყველა კელია მთაწმინდაზე. შუაში პატარა მაგარი საწოლი იდგა ხის ორ ფეხზე დამაგრებული რამდენიმე დაფა. დაფების ზემოთ ზეწარი. არაფერი ის, რაც კომფორტსა და სოფელს მოგვაგონებს. პატარა მაგიდა, ძველი, ჩაბნელებული, ნავთის ლამფით და სკამი გრძელი ღამის ლოცვებისათვის. კედელზე მაცხოვრის და ღმრთისმშობლის ხატები, რომელსაც მთაწმინდელი მონაზვნები განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, რამეთუ იგი - მთაწმინდის მფარველი, მეოხი და დედოფალია. კელიის აუცილებელი დამატებაა რამდენიმე ობობა, განსაკუთრებით კუთხეებში. სად არის გულმოდგინე დალაგების დრო? კელიაში შესულმა სწრაფი მზერა მოვავლე იქაურობას და მაშინვე მძიმედ და-

ვეშვი იატაკზე. მასზე ხელისგულებით დავეყრდენი, რომელიც ერთიმეორეზე დავადე, მათზე თავი დავდე და ხან ჩურჩულით, ხან ხმამაღლა, იესოს ლოცვის კითხვა დავიწყე. მე მას მთლიანად ვამბობდი, განსაკუთრებით გამოვყოფდი ხან უფალო-ს, ხან იესო-ს, ხან ქრისტე-ს, ხან შემიწყალე მე-ს, ლოცვის სიტყვებზე გონების უკეთ მოკრების მიზნით. რამდენ ხანს ვიმყოფებოდი კელიის იატაკზე ასეთ გაშლილ მდგომარეობაში, ვერ ვიხსენებ. ასეთ წუთებში დრო ჩერდება. მე ჩემს ცოდვილობაზე, წმინდა ღმერთშემოსილ მამათა შორის ჩემს ყოფნაზე ვფიქრობდი და ვტიროდი. გულის სიღრმეში მე წმინდა იოანე ოქროპირზე განვსჯიდი, რომელზეც უმართებულოდ ამტკიცებენ, რომ თითქოს მას არ სურდა, რომ მონაზვნებს მონასტრებში ეცხოვრათ: „ნეტარ არიან ლამპარნი მსოფლიოსანი". ნეტარნი არიან, რამეთუ „მათი კელია თავისუფალია ყოველგვარი ხმაურისაგან, ისევე როგორც სული ყოველგვარი ვნებისა და ავადმყოფობისაგან, რომელიც (სული) მსუბუქ სიოზე თხელი, ნაზი და წმინდაა. მათი საქმიანობა, დასაწყისში, დაცემამდე ადამის ცხოვრების მსგავსია, როცა იგი დიდებით იყო შემოსილი, ღმერთთან პირისპირ საუბრობდა და ყოველგვარი ნეტარებით აღსავსე ადგილას ცხოვრობდა".

საკმაო დროის გავლის შემდეგ, მე მორჩილის ხმა გავიგონე, რომელიც მაუწყებდა, რომ ბერი საუბრის გასაგრძელებლად მელოდა. სიხარულისა და შეწყვეტილი ლოცვის გამო ნაღველის აშკარა ნიშნებით მე მეუდაბნოეს მივუახლოვდი.

- აბა, ჩვენს მიერ გაკეთებული შესვენება როგორ მოგეწონათ? შემეკითხა იგი.

არ შემიძლია ვთქვა და გიპასუხოთ, ამოვღერღე მე. (ვინ იცის, იქნებ იმ დროს, როცა მე კელიაში ვიყავი, იგი ჩემთვის განსაკუთრებულად ლოცულობდა და ამიტომაც ჩემში ასეთი ლმობიერება დაიბადა).

მცირე ხნის შემდეგ მე განვაგრძე:

- მე სიწყნარეს ვგრძნობდი, რომელმაც ჩემი სული მოიცვა. ვგრძნობდი ნაღველს საკუთარი ცოდვილობის და სიხარულს ჩემდამი იესოს სიყვარულის გამო. დიახ. მას მე ძალიან ვუყვარვარ, ბევრად მეტად, ვიდრე მე ვფიქრობ. მე მგონია, რომ თქვენც ამას გამუდმებით გრძნობთ. შესაძლოა, ეს ქრისტეს მადლის მოსვლის შედეგია, რომელიც, ბუნებრივია, იესოს მთაზე მრავალწლიანი ასვლისა და ცხოველსმყოფელი ლოცვის უწყვეტი გამეორების შემდეგ მოდის.

ზუსტად ასეა. ოღონდ ლოცვის ნაყოფი ისეთი უხვია, რომ მისი სრულად წარმოდგენა შეუძლებელია. იესოს ლოცვა უტკბილესი ნაყოფით დახუნძლული ხის მსგავსია, თითოეული ნაყოფი რომ ერთიმეორეზე მშვენიერი აქვს.

მომეცით მეც, ღმრთის მადლს მოკლებულს, კურთხეული უდაბნოს ზოგიერთი ნაყოფი. გამიყავით სულიერი მოსავალი. უკიდურეს შემთხვევაში, მეცოდინება მაინც მათს შესახებ.

6. იესოს ლოცვის ნაყოფები.

- იესოს ლოცვის ზოგიერთ ნაყოფს დავასახელებ, რამდენადაც, ვატყობ, რომ მოსასმენად განწყობილი ხარ. იესოს ლოცვა თავიდან პურია, მოღვაწეს რომ განამტკიცებს, შემდეგ გულის დამატკბობელ ზეთად გადაიქცევა, და ბოლოს ღვინოდ, „გონებიდან გადამყვანად", ესე იგი ექსტაზში შემყვანად და ღმერთთან შემაერთებლად. ახლა უფრო კონკრეტულად. პირველ ნიჭს, რომელსაც ქრისტე მლოცველს უგზავნის, **ცოდვილობის შეცნობა** წარმოადგენს. ადამიანს აღარ სჯერა, რომ იგი კარგია, და საკუთარ თავს წმინდა ადგილას მდგარ გატიალების სიბილწედ (*„საძაგელი იგი მოოხრებისაი... მდგომარე ადგილსა წმიდასა"*) მიიჩნევს (მათე, 24, 15). მადლის ბურღი ბურღავს და სულის სიღრმემდე აღწევს. როგორი უწმინდურება აღარ არის ჩვენში! ჩვენი სული ყარს. ზოგჯერ, როცა ჩემთან ზოგიერთი მოდის, შინაგანი უწმინდურე-

ბისაგან კელიაში ავსურნელება ვრცელდება. ადრე უცნობი [ცოდნა] ახლა ლოცვასთან ერთად ცხადდება და როგორც შედეგი, საკუთარი თავის ყველაზე დაბლა მდგომად მიჩნევას იწყებ. ჯოჯოხეთი შენი ერთადერთი მარადიული საცხოვრისია და ცრემლის დრო დგება. საკუთარ მკვდარს სტირი (რომელიც შენშია). შეიძლება, რომ მეზობელ სახლში მყოფ მკვდარზე იტირო და შენს საკუთარს არ დასტიროდე? ასევე მლოცველიც სხვის ცოდვილობას ვერ ამჩნევს, არამედ მხოლოდ საკუთარ მომაკვდავობას. მისი თვალები **ცრემლების წყარო** ხდება, მწუხარე გულიდან რომ მოედინება. იგი მისჯილივით ტირის და სულ იძახის: „შემიწყალე მე! შემიწყალე მე! შემიწყალე მე!"ცრემლების მიზეზით, რაზეც ჩვენ ადრე ვსაუბრობდით, სულისა და გონების განწმენდა იწყება. როგორც წყალი განწმენდს ჭუჭყიან ჭურჭელს, როგორც წვიმა განწმენდს ცას ღრუბლებისაგან და მიწას მტვერისაგან, ასევე ცრემლები განწმენდს და ათეთრებს სულს. ისინი მეორე ნათლობის წყალია. მაშ ასე, ლოცვა უტკბილეს ნაყოფს განწმენდას გვანიჭებს.

ადამიანი სრულად იწმინდება, როცა მას საღმრთო მადლი ეწვევა?

იგი სრულად არ იწმინდება, არამედ განუწყვეტლივ იწმინდება. რამეთუ სიწმინდე უსასრულოა. წმინდა იოანე კიბისაღმწერელს მოჰყავს სიტყვები, რომელიც მან ერთი უვნებო მონაზონისაგან მოისმინა: „იგი (სიწმინდე) არის სრულყოფილთა სრულყოფილი, უსასრულო სრულყოფილება". ვინც რამდენად ტირის, იმდენად იწმინდება. მაგრამ, რამდენადაც უფრო იწმინდება, იმდენად უფრო ხედავს ცოდვის ქვედა პლასტებს და კვლავ ტირილის აუცილებლობას გრძნობს და ა.შ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი ამას შესანიშნავად გვიჩვენებს:

„ისინი ხშირი ლოცვით, გამოუთქმელი ხმით და ცრემლე-

ბის ღვარით სულს განიწმენდენ. და მისი განწმენდის კვალად, როგორც ისინი ხედავენ, მათ ეგზავნებათ სურვილისა და წყურვილის უფრო დიდი ცეცხლი, რათა იგი სრულიად წმინდა იხილონ. მაგრამ, რადგან არ ძალუძთ ნათლის მოპოვება მთელი მისი სრულყოფილებით, ამიტომ უსასრულოა მათი განწმენდა. მე უბედური, რამდენადაც არ უნდა ვიწმინდებოდე და ვნათლდებოდე, რამდენჯერაც არ უნდა გამომეცხადოს ჩემი გამწმენდელი სული, ყოველთვის ეს მხოლოდ სიწმინდის და ჭვრეტის დასაწყისად მეჩვენება. რამეთუ, განა შეიძლება შუაგულის ან სასრულის პოვნა თვალუწვდენელ უფსკრულში, განუზომელ სიმაღლეში?"

ესე იგი, მამაო ჩემო, როგორც გესმით, ადამიანი განუწყვეტლივ სრულყოფილდება და განუწყვეტლივ იწმინდება. პირველ რიგში, სულის ვნებითი ნაწილი იწმინდება (გაღიზიანებით მსურველობითი), შემდეგ კი განსჯითი ნაწილი.

მორწმუნე ხორციელი ვნებებისაგან (სურვილებისაგან) თავისუფლდება, შემდგომ კი სიძულვილის, მრისხანების და ავმეხსიერების (გაღიზიანების) ვნებათაგან - თუმცა, უფრო მეტი ლოცვით და დაძაბული ბრძოლით. როცა მრისხანებისა და ავმეხსიერებისაგან განთავისუფლება მიიღწევა, ცხადია, რომ სულის ვნებითი ნაწილი თითქმის განწმენდილია. შემდეგ მთელი ბრძოლა განსჯით ნაწილში წარმოებს. მოღვაწე ამპარტავნების, ცუდმედიდობის და ყველა სხვა ასეთი (ანუ ცუდმედიდური) გულისთქმების წინააღმდეგ იღვწის. ეს ბრძოლა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება, თუმცა განწმენდის მთელი ეს გზა მადლის შემწეობითა და მოქმედებით აღესრულება, რათა მორწმუნე უხვი საღმრთო მადლის დამტევი ჭურჭელი გახდეს. აი, რას წერს ამაზე ღმრთაებრივი სვიმეონი: „არ ძალუძს ადამიანს ვნების ძლევა, თუკი შემწედ ნათელი არ მოვა. მაგრამ, ერთი მათგანისგანაც სრულად განთავისუფლება არ ძალუძს, რამეთუ არ ძალუძს ერთ მომენტში მთელი სულის მიღება მშვინვიერ ადამიანს, რათა სულიერად და

უვნებოდ იქცეს. არამედ მხოლოდ სულის ძალით აღესრულება ყოველივე სიგლახაკე, უვნებობა, თვითუარყოფა, საკუთარი ნების მოკვეთა და სოფლისგან გაქცევა, მოთმინება განსაცდელებში, და ლოცვა, და მწუხარება, შეურაცხ-ყოფა (თავისა), სიმდაბლე, რამდენადაც შესაძლებელია..."

მაგრამ, როგორ უნდა გავიგოთ, რომ სული განწმენდას იწყებს?

ეს იოლია, მიპასუხა ბრძენმა მეუდაბნოემ. ეს ჩქარა ცხადდება. ხუცესი ისიქი მშვენიერ შედარებას იყენებს. როგორც მტკივნეული უწმინდურებანი, კუჭში მოხვედრისა და იქ შფოთისა და ტკივილის გამოწვევის შემდეგ, წამლის მიღებით გამოდიან და კუჭი წყნარდება და შემსუბუქებას გრძნობს, ასევე ხდება სულიერ ცხოვრებაშიც. როცა ადამიანი ბოროტ გულისთქმებს იწყნარებს, იგი მათს სიმწარეს და სიმძიმეს გრძნობს (რაც ბუნებრივია); იესოს ლოცვით კი იგი იოლად ამოანთხევს მათ, სრულიად თავისუფლდება მათგან და შედეგად სრულ განწმენდას გრძნობს. ამას გარდა, მოლვაწე იმის მიხედვითაც გრძნობს განწმენდას, რომ მაშინვე წყვეტენ სისხლდენას, ვნებათა მიერ მიყენებული შინაგანი ჭრილობები. ლუკას სახარებაში, სისხლდენით გატანჯულ ქალზე ვკითხულობთ: ***„და მოვიდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისა. და მეყსეულად დასცხრა წყაროი იგი სისხლისა მისისაი"*** (ლუკა 8, 44). ქრისტესთან მიახლოებისას მაშინვე იკურნები და „სისხლდენა წყდება", ესე იგი ვნებათა გამო სისხლის ჩქეფა წყდება. მინდა დავამატო, რომ წყდება ცთუნება სახეთა, სიტუაციათა, წარმოსახვათა მიერ, ადრე რომ გვაცდუნებდა. ეს კი, მამაო ჩემო, იმას ნიშნავს, რომ როცა ჩვენ სხვადასხვა სახეები და გარემოებანი გვაშფოთებს ეს ეშმაკის თავდასხმით მოყენებული დარტყმებია. ჩვენში ცთუნება მოქმედებს. ლოცვის შემწეობით განწმენდის შემდეგ, ყველა და ყველაფერი ღმრთის ქმნილებად მოჩანს. განსაკუთრებით ადამიანებს უმზერ, როგორც ღმრთის სიყვარულით აღ-

სავსე სახეებს. ის, ვინც ღმრთის მადლით არის შემოსილი, მას სხვებშიც, თუნდაც სხეულით გაშიშვლებულებში ჭვრეტს, მაშინ, როცა ღმრთის მადლის არმქონე ჩაცმულებსაც ხორციელად უყურებს, როგორც გაშიშვლებულებს. მე მსურს, ჩემო საყვარელო, ამასთან დაკავშირებით კვლავ წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის სიტყვები წაგიკითხო.

- ჭეშმარიტად იგი ღმრთისმეტყველია - ვუპასუხე მე. - მე მისი რამდენიმე ნაშრომი წავიკითხე და მისით აღფრთოვანებული ვარ.

- მე გირჩევდი, რომ ყველა მისი ნაშრომი წაგეკითხა, რათა მისტიკური ღმრთისმეტყველების, ასკეტური გამოცდილების აპოფატიკური გზის გემო გაგეგოთ. მაშ ასე, ღმრთივშთაგონებული მამა ამბობს: „წმინდა კეთილკრძალულ სვიმეონ სტუდიელს არც ერთი ადამიანის არ რცხვენოდა, თუნდაც იგი გაშიშვლებული ენახა, ან თვითონ ყოფილიყო მათ წინაშე შიშველი, რამეთუ მასში ქრისტე სრულად იყო, იგი მთლიანად ქრისტესი იყო და თავის ასოებს, ისევე როგორც ყველა სხვისა, იგი ყოველთვის უცქერდა, როგორც ქრისტეს ასოებს და უძრავი, უვნებო რჩებოდა და ზიანს არ განიცდიდა, როგორც თვითონ იყო მთლიანად ქრისტესი, ასევე ქრისტეს ყოველში ხედავდა, ვინც კი მონათლული იყო. თუკი შენ, როცა გახდილი ხარ, ხორცის შეხებისაგან დიაცთმოყვარე ხდები, ვითარცა მაიმუნი ან ცხენი, ნუთუ გაბედავ ძვირის თქმას წმინდანზე და ქრისტეს გმობას იწყებ, ვინც ჩვენ შეგვიერთდა და თავის წმინდა მონებს უვნებობა მიანიჭა“.

ასე რომ, ხედავ, განაგრძო ბერმა, იესოს ლოცვით განწმენდილი, უვნებო ადამიანი, რასაც ხედავს, იმით არ ცდუნდება. ერთდროულად **მარცხდება** ეშმაკი, და ეს ლოცვის ნაყოფია. მტერი სწრაფად აზროვნებს და მთელ თავის ბადეებს (მახეებს), მოხერხებულად უგებს სულს. თუმცაღა მლოცველმა (ლოცვის მოქმედმა) იცის მისი (ეშმაკის) ბრძოლისათვის მზადყოფნის შესახებ და ზომებს წინაწარ

ილებს. სულის წინააღმდეგ მიმართულ ბოროტის ისრებს ხედავს. მაგრამ, სანამ მას შეეხებიან, ისინი ეცემიან. წმინდა დიადოქე ამბობს, რომ, მიაღწევენ რა გულის გარეთა ნაწილს, ისრები იქ იბნევიან, რადგან შიგნით ქრისტეს მადლი მოქმედებს. „ბოროტის ცეცხლოვანი ისრები, სხეულის გარე გრძნობაში მაშინვე ქრება. რამეთუ სულიწმიდის სუნთქვა, - გულში სიმშვიდის სულს რომ აღძრავს, აქრობს ჯერ კიდევ ჰაერში მყოფ ისრებს ცეცხლშემოსილი ეშმაკისა". დგება **სრული კაცის ერთობა (ერთიანობა),** რის შესახებაც ჩვენ ადრე ვსაუბრობდით. გონება, სურვილი და ნება ერთიანდება და ღმერთში კავშირდება (წყვილდება).

დიდია სიწმინდის, უვნებობის ნიჭი! - წამოვიძახე მე.

დიახ, ნამდვილად, უვნებობა მადლის ნიჭია. უვნებობა სიწმინდეს და სიყვარულს გულისხმობს; უფრო მეტიც, იგი სიყვარულს მალავს. აქ ჩვენ ღმრთის წმინდა სვიმეონი დაგვეხმარება. მას შესანიშნავი შედარება მოჰყავს. უღრუბლო ღამით ჩვენ ცაზე მთვარის დისკოს ვხედავთ, სუფთა ნათელით რომ არის აღსავსე და ხშირად მის (დისკოს) ირგვლივ ნათელ წრეს. როგორ მიესადაგება ეს სახება განწმენდილ და უვნებო ადამიანს! წმინდანთა სხეული-ცაა. მათი ღმერთშემოსილი გული მთვარის დისკოს მსგავსია. წმინდა სიყვარული „ყოვლისმოქმედი და ყოვლადძლიერი ნათელი", ყოველდღიურად, განწმენდის კვალობაზე მათ გულზე რომ იღვრება; და დგება ჟამი, როცა გული სიყვარულის მოციმციმე ნათლით ივსება, და მთვარის გავსების დრო დგება. თუმცა, ნათელი არ კლავს, როგორც მთვარეზე ხდება, რამდენადაც გულმოდგინებით, ბრძოლით და კეთილი საქმეებით კავდება (მაგრდება) „ნათელი, ყოველთვის წმინდანთა გულმოდგინებით და სათნოებით რომ არის დაკავებული". უვნებობა ის წრეა, ნათლით აღსავსე გულს რომ მოიცავს, ფარავს მას და ბოროტის გააფთრებული თავდასხმებისგან მოუწყვლადად აქცევს. „იფარავს ყველგან, გუშაგებით გარემოიცავს, ბოროტის ყველა გუ-

ლისთქმათაგან უვნებლად, ყველა მტრისაგან მოუწყლავად და თავისუფლად იცავს; უფრო მეტიც, ყველა სუპოსტატისათვის (წინააღმდგომი ძალისათვის) მიუწვდომლად აქცევს".

უვნებობა სრულიად აუცილებელია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ლოცვის უკანასნელი ნიჭი და ყოველივეს შეძენაა. აქედან შემდგომ ღმრთისაკენ ზეაღსვლა იწყება. წმინდა მამები სამი სიტყვით აღწერენ ამ სულიერ ზეაღსვლას განღმრთობისაკენ. განწმენდა, განათლება, სრულყოფილება. რათა უფრო გასაგები ვიყო, წმინდა წიგნიდან ორ მაგალითს მოვიყვან: მოსეს აღსვლა სინას მთაზე აღთქმის (სჯულის) მისაღებად და ისრაელი ერის მოგზაურობა აღთქმული მიწისაკენ. პირველ შემთხვევას წმინდა გრიგოლ ნოსელი განმარტავს, მეორეს - მაქსიმე აღმსარებელი.

- მამები ყოველთვის შთამაგონებენ. ისინი ღმრთის სიტყვას სწორად განმარტავენ და ამიტომ ვისურვებდი წმინდა მამათა განმარტებების მოსმენას.

- ებრაელებმა, უწინარეს ყოვლისა თავისი სამოსელი გაირეცხეს და თავი განიწმინდეს, ემორჩილებოდნენ რა ღმრთის მცნებას: ***„განწმდენ იგინი დღეს და ხვალე და განირცხნენ სამოსელნი მათნი. და იყვნენ მზა დღესა მესამესა"*** (გამოსვლათა, 19, 10-11). შემდეგ, მესამე დღეს, მთელმა ხალხმა მოისმინა ქუხილი და **„ხმაი საყვირისა"** და იხილა ***„ელვანი და ღრუბელი ალმურიანი მთასა ზედა სინასა". „ხოლო მთაი სინა მკმოლვარე იყო ყოვლად"*** (გამოსვლათა, 19, 18). ერი სინას ძირას მივიდა და მხოლოდ მოსე შევიდა ნათელ ღრუბელში, თხემს (მწვერვალს) მიაღწია და იქ მიიღო სჯულის ფიცრები. წმინდა გრიგოლ ნოსელის განმარტებით, საღმრთო შემეცნების გზა ხორცის და სულის განწმენდაა. აღსვლისათვის მზადმყოფი, რამდენადაც შესაძლებელია, სუფთა და უბიწო უნდა იყოს როგორც სხეულით, ისე სულით. ამას გარდა, საღმრთო მცნების მიხედვით, მან სამო-

სელი უნდა გაირეცხოს - არა იმდენად ნივთიერი, რამეთუ იგი დაბრკოლებად არ იქცევა მათთვის, ვინც ღმრთისხილვას ესწრაფვის, რამდენადაც „გარემომცველი ცხოვრების სამოსი", ესე იგი ჩვენი ყოფის ყოველი საქმე, რომელიც სამოსელივით გვარტყია. მთიდან უტყვი საგნებიც უნდა გავაძევოთ სხვა სიტყვებით, „გრძნობათაგან წარმოქმნილი ცოდნა" უნდა გადავლახოთ. ყოველი ცოდნა უნდა გადავლახოთ, რომელიც გრძნობის ორგანოებს მოაქვს. უნდა განვიწმინდოთ ყოველი „გრძნობითი" და „უტყვი" მოძრაობისაგან, გულისთქმანი ჩამოვირეცხოთ და მათ თანამგზავრს - გრძნობას დავემშვიდობოთ. ამგვარად მომზადებულნი და განწმენდილნი, შესაძლოა, გავმამაცდეთ და სქელი ღრუბლით დაფარულ მთასთან მიახლოება გავბედოთ. თუმცა, კვლავ, მთა ერისთვის მიუღწეველი იყო და მხოლოდ მოსე (ესე იგი აღსვლისათვის რჩეული) მიუახლოვდა მას. აი, მამაო ჩემო, როგორ ხორციელდება თავიდან განწმენდა, შემდეგ კი ჭვრეტაში შესვლა. დიდი სიკეთეები, როგორც ჩანს, განწმენდას მოჰყვება და ის მათს მისაღებად აუცილებელია.

სხვა მაგალითსაც შეგახსენებ, აგრძელებდა ღმრთივშთაგონებული მოღვაწე, წმინდა მაქსიმე აღმსარებელი წერს, რომ ღმრთისაკენ მისტიური ზეაღსვლისას სამი სტადია არსებობს. **ქმედითი სიბრძნისმოყვარება** - უარყოფითი (ვნებათაგან განწმენდა) და დადებითი (სათნოებათა მოპოვება); **ბუნებითი ჭვრეტა,** რომლის დროსაც, განწმენდილი გონება მთელ ქმნილებას, ესე იგი საგანთა შინაგან აზრს (შინაარსს) ჭვრეტს, წმინდა წიგნთა სულიერ აზრს შეიცნობს, ხედავს ღმერთს ბუნებაში და მისადმი ლოცულობს; და მხოლოდ შემდეგ დგება მესამე, უკანასკნელი ეტაპი **მისტიკური (იდუმალხედვითი) ღმრთისმეტყველება,** მოღვაწე მორწმუნეს ღმერთთან რომ აერთებს. სამივე საფეხური ჩანს ისრაელი ერის გამოსვლაში. უწინარეს ყოვლისა, ისრაელე-

ლები ეგვიპტის მონობას გაექცნენ, შემდეგ წითელი ზღვა გადალახეს, რომელშიც ეგვიპტელთა მთელი მხედრობა დაიღუპა, რის შემდეგაც უდაბნოს მიაღწიეს, სადაც სხვადასხვა სახით, ღმრთის კაცთმოყვარების ნიჭებს (ზეციურ მანანას, წყალს, ნათელ ღრუბელს, სჯულს, მტრებზე გამარჯვებას) იღებდნენ, და მხოლოდ დაძაბული და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შევიდნენ აღთქმულ მიწაზე. ასევეა იესოს ლოცვის მოღვაწეც. თავიდან იგი ვნებების მონობიდან გამოდის (ქმედითი სიბრძნისმოყვარება), შემდეგ უვნებობის უდაბნოში შედის (ბუნებითი ჭვრეტა), სადაც ღმრთის სიყვარულის ნიჭებს იღებს და ბოლოს, მოშურნე ბრძოლისთვის აღთქმულ მიწას (მისტიური ღმრთისმეტყველება) ღმერთთან სრულყოფილ შეერთებას - ელირსება და შეუქმნელი ნათლის ჭვრეტაში მარადისობით ტკბება. ცხადია, ღმერთშემოსილი მამები სამ დასახელებულ ეტაპს ერთურთისაგან არ ჰყოფენ. ესე იგი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნებითი ჭვრეტისა და მისტიკური ღმრთისმეტყველების მიღწევისას, ჩვენ ასკეტურ ვარჯიშებს და ცოდვათა გამო შემუსრვილებას ქმედით სიბრძნისმოყვარებას მივატოვებთ. პირიქით, სულიერად გაზრდილი ადამიანი სულ უფრო მოღვაწეობს, რათა არ დაკარგოს წყალობა, რასაც მიაღწია. საღმრთო გამოცხადების ღირსად გახდომის შემდეგ, მამები გვირჩევენ, რომ უფრო მეტად ვიზრუნოთ სიყვარულსა და თავშეკავებაზე. „რათა ვნებითი ნაწილის აღუშფოთველად შენარჩუნებისას, სულის მოუკლებელი ნათელი გვქონდეს" (წმინდა მაქსიმე აღმსარებელი). კაცი სულიერ გზაზე შიშით უნდა ვიდოდეს. თავიდან მას დასჯის, განსჯის შიში (საწყისი შიში) უნდა დაეუფლოს, შემდეგ - მადლის დაკარგვისა და მისგან განვარდნის შიში (სრულყოფილი შიში). ***„შიშით და ძრწოლით თვისსა ცხორებასა იქმოდეთ"*** (ფილიპელთა, 2, 12), - ამბობს პავლე მოციქული.

მომიყევით მამაო, ნიჭების შესახებ, რომელთაც ლოცვის მოქმედი განწმენდის შემდეგ ღებულობს, ღმერთთან სრული

შეერთების ნეტარი მდგომარეობის წინ. ლოცვის სხვა ნაყოფების შესახებაც მომიყევით.

მონაზონი, რომელიც საკუთარი თავის იძულებას არის ჩვეული, **ღმრთაებრივ ნუგეშისცემას,** ქრისტეს მყოფობას გრძნობს, ტკბილ უშფოთველობას, დაურღვეველ მშვიდობას, ღრმა სიმდაბლეს, ყველასადმი დაუცხრომელ სიყვარულს რომ ასხივებს. ამ ღმრთაებრივი ყოფნის გამო ნუგეშისცემა არანაირ ადამიანურთან არ შეიძლება შევადაროთ. მე ვიცნობდი მოღვაწეს, რომელიც მძიმედ გახდა ავად და საავადმყოფოში სამკურნალოდ გაემგზავრა. საუკეთესო ექიმები, მის მიმართ რომ სიმპათია გააჩნდათ, მას ტანჯვას უმსუბუქებდნენ. და აი, ის გამოჯანმრთელდა, მათ მადლობა გადაუხადა და თავის კელიაში დაბრუნდა. თუმცა, იგი მალე უარესად გახდა და რადგანაც იგი განცალკევებით ცხოვრობდა, საძმომ ამის შესახებ არ იცოდა. იგი ძლიერ იტანჯებოდა, მაგრამ, ღმრთისაგან ისეთ ნუგეშისცემას გრძნობდა, რომელიც შეუდარებელია როგორც ექიმთა ყურადღებასა და კაცთმოყვარებასთან, ასევე წამლების ქმედით ეფექტთან. ასეთი განსვენება (უშფოთველობა) მას ადრე არასოდეს უგრძვნია. აი რატომაა, რომ ზოგიერთი მეუდაბნოე გულმოდგინედ გაურბის კაცობრივ ნუგეშს (რაც სრულიად გაუგებარია ერისკაცთათვის, საერო ცხოვრებას რომ მისცემიან), რათა ღმრთაებრივი ნუგეშისცემის საოცარი სიტკბო და დაუცხრომელი სიხარული შეიგრძნოს.

გონიერი ლოცვის საკვირველი ნაყოფი - წამოვიძახე მე. განაგრძეთ, მამაო.

ადამიანი უშფოთველობას მწუხარებაში პოულობს, რომელსაც მას ახლობლები მიაგებენ. იგი სულიერი ცხოვრების ზეცაში (ლაჟვარდოვანსა და მოკაშკაშეში) მყოფობს, სადაც ქვეყნიერი ადამიანების ისრები ვერ აღწევენ. იგი არა მხოლოდ ვერ გრძნობს შევიწროვებას, არამედ ვერც კი ამჩნევს მას. თვითმფრინავს ქვებით ვერ ჩამოაგდებთ ის მათ ვერც კი იგრძნობს. მსგავსი რაღაც ხდება ასეთ ადამიანთანაც. მისთვის არ არსებობს მწუხარებანი, ცილისწამებათაგან, დევნა-

თაგან, განკითხვათაგან, უგულებელყოფათაგან რომ წარმოდგება, - ის მხოლოდ ძმის დაცემაზე ნაღვლობს. თუკი მწუხარება მაინც წარმოიქმნება, მან მისი დაძლევის საშუალება იცის. ერთ ასეთ შემთხვევაზე „პატერიკში" მოთხრობილია: „ვინმე ბერი აბბა აქილასთან მივიდა. და იხილა, როგორ ანთხევდა იგი სისხლს. და ჰკითხა ძმამ აბბას: „რა არის ეს, მამაო?" ბერმა უპასუხა: „ეს ერთი ძმის სიტყვები იყო, რომელთაც დამანაღვლიანეს. მე ვცადე არ მიმეღო ისინი და ღმერთს ვთხოვე, ამ სიტყვების ჩემგან განშორება. და ისინი ჩემს ბაგეებში სისხლად იქცა, მე გადმოვნერწყვე ისინი და კვლავ მოვიპოვე ჩემი მდუმარება და ჩემი მწუხარება დავივიწყე".

- ჭეშმარიტად, ეს ძმისადმი სრულყოფილ სიყვარულზე მეტყველებს, სიყვარულზე, ყოველივეს რომ პატიობს. მას ბოროტების დამახსოვრებაც არ სურს. ჩვენ უკვე სრულყოფილებას ვაღწევთ!

- სწორედაც რომ, და იგი იესოს ლოცვით მიიღწევა. ასეთი სიყვარული კაცთა მოდგმის ერთობის ცხოველი შეგრძნების შედეგია. და ეს ლოცვის მწიფე ნაყოფია. მოღვაწე არა მხოლოდ თვითონ ერთდება, არამედ კაცთა მოდგმის ერთობას გრძნობს.

თქვენ იცით, მამაო აგრძელებდა მეუდაბნოე, იმის შესახებ, რომ კაცობრივი ბუნების ერთობა ადამის ცოდვის შემდეგ იქნა დაკარგული. უფალმა ადამის შექმნის შემდეგ, ევა მისი ნეკნიდან შექმნა. ევას შექმნამ ადამი გაამხიარულა. იგი მას საკუთარი სხეულივით შეიგრძნობდა, რის გამოც თქვა: ***„აწ ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი..."*** (შესაქმე, 2, 23). თავისი დაცემის შემდეგ კი ღმრთის კითხვაზე ადამმა უპასუხა: ***„დედაკაცი, რომელი მომეც ჩემ თანა, მან მომცა მე ხისაგან და ვჭამე".*** (შესაქმე, 3, 12). თავიდან ევა მისი „ძვალია", შემდეგ - დედაკაცი, რომელიც უფალმა მისცა. აქ სრულიად აშკარაა ცოდვითდაცემის შემდეგ ადამიანური ბუნების გახლეჩა, რომელიც შემდეგ ადამის შვილებში, ისრაელის მთელ ისტორიაში და კაცობრიო-

ბის მთელ ისტორიაში რომ გამომჟღავნდა. და ეს ბუნებრივია, ღმრთის დამკარგავმა ადამიანებმა თავიც დაკარგეს და ერთურთს გამოეყვნენ (დაცალკევდნენ). სრული გაუცხოება და მონობა. კაცობრივი ბუნების აღორძინება ქრისტეში მოხდა. მან „ხელნი განაპყრო და ადრე განყოფილი შეაერთა", და ამგვარად, თითოეულს, ვინც მასთან ერთდება, სიცოცხლის და კაცობრივი ბუნების ერთობის შესაძლებლობა მისცა.

მოღვაწე ლოცვით იძენს იესო ქრისტესადმი დიდ სიყვარულს და ამ სიყვარულით უერთდება მას. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ის გიყვარდეს, რაც ღმერთს უყვარს და ის გსურდეს, რაც მას სურს. უფალს *„ყოველთა კაცთაი ჰნებავს ცხორებაი და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაი"* (1 ტიმოთე, 2, 4). ლოცვის მოქმედსაც ეს სურს. მას ამსოფლად მომხდარი ბოროტება აღელვებს, და იგი განსაკუთრებით ნაღვლიანია ძმათა განდგომილების და უმეცრების გამო. რამდენადაც ცოდვას მუდამ კოსმოსური მასშტაბი აქვს და მთელ სამყაროზე ახდენს გავლენას, მლოცველი კაცობრიობის მთელ დრამას განიცდის და მასზე ძალიან წუხს. იგი ¯გეთსამანიის ბაღში უფლის ჭიდილით ცხოვრობს. ამგვარად, იგი იმ მდგომარეობაში მოდის, როცა საკუთარ თავზე ლოცვას წყვეტს და განუწყვეტლივ სხვათათვის ლოცულობს, რათა ისინი ღმრთის შეცნობამდე მივიდნენ. ვნებათაგან მისი განწმენდა, ცხოველსმყოფელი საღმრთო მადლის შეძენა და სხვათათვის ლოცვა, ქრისტე იესოში კაცთა მოდგმის ყოვლადერთობის გრძნობიდან რომ წარმოიქმნება უდიდესი მისიაა. წმინდა მამები ასე წარმოიდგენდნენ მისიონერულ მსახურებას. კაცობრივი იპოსტასის აღორძინებისა და ბუნების ერთობისაკენ სწრაფვაში. ყოველი, ვინც თავს განიწმენდს, მთელი საზოგადოებისთვის სასარგებლო პირად იქცევა, რამეთუ ჩვენ ყველანი ქრისტეს კურთხეული სხეულის (გუამის) წევრები (ასოები) ვართ. მოციქულის სიტყვისაებრ: *„თუ იდიდებინ ერთი ასოი, მისთანა იდიდებიედ ყოველნი ასონი".* ამას ჩვენ ყოვლადწმიდა

ღმრთისმშობლის სახითაც ვხედავთ. მან მოიპოვა მადლი და შემდგომში თვითონ მადლმოსილ-ჰყო და დაამშვენა მთელი კაცობრივი ბუნება. განწმენდილი და მადლმოსილი, იგი მთელი მსოფლიოსათვის ლოცულობს. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოვლაწმიდა ღმრთისმშობელი უდიდეს მისიას ასრულებს და კაცთა მოდგმისათვის ქმედითი სარგებელი მოაქვს.

ის ცოტა ხნით გაჩუმდა და შემდეგ განაგრძო:

ამასთან ერთად, მოღვაწე მთელი ბუნების ერთობას გრძნობს.

როგორ? რანაირად?

- მას მთელი ბუნება აღიარებს. თავდაპირველად ადამი ყველა ქმნილების მეფე იყო, და ყველა ცხოველი მას მეფედ აღიარებდა. თუმცა, დაცემის შემდეგ ეს კავშირი გაწყდა და სამეფო ღირსება დაიკარგა. ნიკოლოზ კავასილა ამ მდგომარეობას ხატოვნად აღწერს. ადამიანი ამბობს იგი, ღმრთის ხატად არის შექმნილი. ხატოვნებით, ადამი სუფთა სარკე (გამოსახულება) იყო, რომლის მიერაც ბუნებას ღმრთის ნათელი მიეფინებოდა. სანამ სარკე გაუტეხავი (მთელი) რჩებოდა, მთელი ბუნება ნათდებოდა. მაგრამ, როგორც კი იგი გატყდა და დაიმსხვრა, ყველა ქმნილება ღრმა წყვდიადში შთაინთქა. მაშინ მთელი ბუნება აღდგა ადამიანის წინააღმდეგ, აღარ აღიარებს მას და ნაყოფის მიცემა აღარ სურს. მხოლოდ შრომით და ბრძოლით ძალუძს მას თავისი არსებობის შენარჩუნება. ცხოველებს მისი ეშინიათ და თვითონაც აგრესიულნი არიან. თუმცა, როცა ადამიანი სულიწმიდაშია, როცა ქრისტეს მადლი აქვს, სულის ყველა ძალები ერთდება, იგი ღმრთის ხატი და მსგავსი (ესე იგი, სარკე, ნათელი) ხდება და **უტყვ ბუნებაზე საღმრთო მადლს ასხივებს.** და იგივე ცხოველები აღიარებენ მას, ემორჩილებიან და თაყვანს სცემენ. მრავალი მაგალითია, როცა მოღვაწე მეუდაბნოე მშვიდობიანად ცხოვრობს დათვებთან და ველურ ცხოველებთან. იგი მათ კვებავს, და ისინიც მას ემსახურებიან. ამგვარად,

ლოცვით იხვეჭს რა საღმრთო მადლს, იგი კვლავ ბუნების მეფე ხდება და ადამთან შედარებით უფრო დიდ სიმაღლეზე ადის. რამეთუ ადამი, მამათა სიტყვით, მხოლოდ „ხატად" იყო შექმნილი. მორჩილებით კი იგი „მსგავსად"-აც უნდა ქცეულიყო. ადამი განღმრთობილი არ იყო, არამედ მხოლოდ ამის შესაძლებლობა ჰქონდა. მაშინ, როცა მოღვაწე ღმრთის მადლით იძენს, რამდენადაც შესაძლებელია, „მსგავსებასაც" (განღმრთობას), თუმცა კი, ღმრთაებრივ არსში ვერ (არ) შედის. იგი ღმრთის შეუქმნელი ენერგიების თანაზიარია. მოვიყვან მაგალითს, თუ როგორ აღიარებს ბუნება მადლიან მოღვაწეს. იმ დროს, როცა ჩემი ნეტარხსენებული ბერი (მოძღვარი) ლოცულობდა, მისი კელიის კარებთან ველური ფრინველები იკრიბებოდნენ და ფანჯრებზე ნისკარტით აკაკუნებდნენ. ვინმე იფიქრებს, რომ ეს ეშმაკის ქმედებაა, რათა მის ლოცვას ხელი შეუშალოს. თუმცა, სინამდვილეში ველურ ფრინველებს ბერის ლოცვა იზიდავდა!!!

ოჰ, მამაო, შენ მე სრულყოფილებისაკენ მიგყავარ. სულიერი ცხოვრების სასრულისაკენ. ადამიანი უკვე მეფე ხდება...

მან ოდნავ გაიღიმა.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მრავალი ბრძოლის შემდეგ, როგორც ადრე ვახსენე, მოღვაწე შესაძლოა ექსტაზის, ღმრთაებრივი ტყვეობის ღირსი გახდეს და ახალ იერუსალიმში, ახალ აღთქმულ მიწაზე შევიდეს. გონება საზღვრებს იქით გადის და შეუქმნელ ნათელს ჭვრეტს. საღმრთო ფერიცვალების მწუხრზე ჩვენ სტიქარონს ვგალობთ: „გარდამეტებულსა ნათელსა შენსა, მიუწთომელსა და შეუხებელსა, ღმრთაებისა შენისასა გიხილეს თავთა მათ, მოწაფეთა, მთასა ფერისცვალებისასა, შენ ქრისტე, დაუსაბამოო ღმერთო და განახლდეს (ღმრთაებრივითა შიშითა)". შიში (ექსტაზი) და ჭვრეტა (ხედვა) ერთმანეთთან არის დაკავშირებული. როცა ექსტაზზე ვსაუბრობთ, ჩვენ უძრაობას კი არ ვგულისხმობთ, არამედ

ღმრთაებრივ ყოფნას და სულიერ მოძრაობას. **ეს ინერტულობა და კვდომა კი არ არის, არამედ ღმერთში სიცოცხლე (ცხოვრება).** მამები ამბობენ, რომ ლოცვისას, როცა ადამიანი ღმრთაებრივი ნათლით არის შეპყრობილი (გარემოცული), იგი ტუჩებით ლოცვას წყვეტს. ბაგეები და ენა მდუმარებს, გულიც მდუმარეა. მაშინ მოღვაწე თაბორის ნათლის ჭვრეტის ღირსი ხდება. ღმრთაებრივ შეუქმნელ ენერგიას ჭვრეტს, რომელიც არის „ღმრთის ბუნებითი დიდება და ღმრთაების ბუნებითი დაუსაბამო ნათელი, ღმრთის არსობრივი მშვენიერება და ზესრულყოფილი და წინარესრულყოფილი მშვენება" (წმინდა გრიგოლ პალამა). ეს სწორედ ის ნათელია, რომელიც მოწაფეებმა თაბორზე იხილეს, ღმრთის სასუფეველი, მარადისობა. წმინდა გრიგოლ პალამას თანახმად, ნათელი „მერმისა მის საუკუნის მშვენება", „მომავალ სიკეთეთა იპოსტასი", „ღმრთის უსრულყოფილესი ხედვა", „ზეციერ მკვიდრთა საკვებია". შეუქმნელი ნათლის ხილვის ღირსნი ახალი აღთქმის წინასწარმეტყველნი არიან. რამეთუ, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მსგავსად, დროს რომ უსწრებდნენ და ქრისტეს განკაცებას და პირველ მოსვლას რომ ხედავდნენ, ნათლის მჭვრეტელნიც დროს უსწრებენ და ქრისტეს დიდებას, ესე იგი ცათა სასუფეველს ხედავენ.

იგი მცირე ხნით დადუმდა, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო:

- საღმრთო ნათელი მაშინ მთელ ყოფიერებას მოიცავს. კელია ქრისტეს იქ ყოფნით ნათდება და მოღვაწე რაღაც „ფხიზელ (მღვიძარე) აღფრთოვანებას" განიცდის, უხილავ ღმერთს ხედავს. „ღმერთი არს ნათელი, - ამბობს წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, - და ნათელივითაა შესახედაობა მისი". წმინდა გრიგოლ პალამას, „ღმრთისმეტყველთა დამცველის" თქმით, მონაზონი იმ ჟამს „ჭვრეტს ღმრთაებრივ ნათელს... სასიხარულო წმინდა სანახაობას". აი, როგორ აღწერს ამ

ჭვრეტას მაკარი ხრისოკეფალოსი: „რა არის ქრისტესთან ურთიერთობაზე მშვენიერი? რა არის მის საღმრთო დიდებაზე სასურველი? არა არის რა იმაზე ტკბილი, ვიდრე ის ნათელი, რომლითაც ანგელოზთა და ადამიანთა მთელი ნათელი წესთმთავრობა ნათდება. არაფერია იმ ცხოვრებაზე სასურველი, რომელშიც ყოველი ცხოვრობს, და მოძრაობს და არსებობს. არაფერია მარად ცოცხალ მშვენებაზე სასიამოვნო. არაფერია განუწყვეტელ მხიარულებაზე სატრფიალო. არაფერია გამუდმებულ სიხარულზე, ყოვლადმშვენიერ მშვენიერებაზე და დაუსრულებელ ნეტარებაზე სასურველი. ესე იგი, სიხარული და მხიარულება მაშინ დაუსრულებელია. სიტყვები არ მყოფნის, რათა ეს მდგომარეობა გადმოვცე. აი, რას ამბობს ამის შესახებ წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი.

მან ხელში ერთ-ერთი წიგნი აიღო და კითხვა დაიწყო. „ვარ სარეცელზე, ვიმყოფები სამყაროს მიღმა. და ჩემს კელიაში მყოფი, ვხედავ მას, ვინაც სუფევს და იმყოფება სამყაროს მიღმა, მასვე ვესაუბრები. ლაპარაკს კი ვბედავ და მიყვარს, ვუყვარვარ მასაც.

მასთან შერთვისას მე ზეციურ მკვიდრებთან აღვალ,
ვსჭამ და განვსძღები მე ოდენ ჭვრეტით.
და ვიცი, ხდება ეს ჭეშმარიტად და უეჭველად.
არ ვუწყი მაშინ, თუ სად არის სხეული ჩემი.
ვიცი, რომ გარდამოვალს უძრავი,
ვიცი, რომ მყოფი ყოველ ქმნილს მიღმა,
თავის წიაღში მიღებს, მიმირქვამს.
და ვიმყოფები იმ ხანებში სამყაროს მიღმა.
ოდენ მოკვდავი და არარა ამ სამყაროში,
მე ჩემს წიაღში ვჭვრეტ შემოქმედს ქვეყნიერების.
ვიცი, სიკვდილი ვერ მძლევს მე, მყოფს სიცოცხლის შიგნით
და მქონებელსა სრულ სიცოცხლის, ჩემში რომ ფეთქავს".

ბერმა ეს ნაწყვეტი დიდი აღფრთოვანებით წაიკითხა. მისი

ხმა შთაგონებით იყო აღსავსე, თვალები ბრწყინავდა, სახე გამოუთქმელი სიხარულით ანათებდა. მისი აკანკალებული ხმის და სულიერი მხიარულების გავლენით მე ცრემლები წამომივიდა.

- მაშინ ღმრთაებრივი მუნ მყოფობისაგან, - განაგრძო მან, მოღვაწის სახე ნათდება. იგი მოსეს მსგავსად, უმეცრების (უცნობობის) ბნელში შედის, „უგანათლებულეს წყვდიადში" და „დაუვიწყარ ცოდნას" და „გამოუთქმელ ღმრთისმეტყველებას" იძენს.

იგი მცირე ხანს გაჩერდა. მე გაოცებული ეუსმენდი და თითქმის არ ვსუნთქავდი.

ნათლის ამ სიტკბოებას სხეულიც გრძნობს, რომელიც ამ წუთებში იცვლება.

- როგორ?

„გარკვეულწილად, სხეულიც აღიქვამს მადლს, გონებაზე რომ მოქმედებს. და მასზე განეწყობა, და სულის ამ გამოუთქმელი საიდუმლოს რაღაც შეგრძნებას ღებულობს". სხეული მაშინ „პარადოქსალური სახით მსუბუქი ხდება და თბება". ესე იგი, ის საოცარ სითბოს გრძნობს, რომელიც ნათლის ჭვრეტის შედეგია. ასე ხდება კანდელთანაც: როცა მას ანთებენ, მისი „სხეული" პატრუქი - თბება და იწვის.

- ერთი შეკითხვის ნება მიბოძეთ. შესაძლოა, ეს გმობა იყოს, მაგრამ მე საკუთარ თავს ნებას მივცემ დაგისვათ იგი. სხეულის ეს ცვლილება სინამდვილეა თუ ფანტაზია? და წარმოსახვის ნაყოფი ხომ არ არის ეგრეთ წოდებული სითბო?

არა, მამაო ჩემო, ეს სინამდვილეა. სხეული სულის ყველა მდგომარეობაში მონაწილეობას იღებს. სხეული კი არ წარმოადგენს ბოროტებას, არამედ ხორციელი გონი, როცა სხეულს ეშმაკი იმონებს. ამას გარდა, ნათლის ჭვრეტა ეს ფიზიკური თვალებით ჭვრეტაა, რომელნიც იცვლებიან და მაგრდებიან სულიწმიდით და შეუქმნელი ნათლის ხილვის

შემძლებელნი ხდებიან. წმინდა წიგნში უამრავი მაგალითი არსებობს, რომელნიც იმაზე მოწმობენ, რომ ღმრთის მადლი სულიდან სხეულზე გადადის და იგი ცხოველსმყოფელი საღმრთო მადლის მოქმედებას გრძნობს.

თუ შეგიძლიათ, რამდენიმე მაგალითის მოყვანა?

დავითის ბევრი ფსალმუნი ამაზე მოწმობს. *„გული ჩემი და ხორცნი ჩემნი იხარებდეს ღმრთისა მიმართ ცხოველისა"* (ფსალმუნნი, 83, 2). *„მას ესვიდა გული ჩემი და შეწევნილ იქმნა, და მხიარულ იქმნნეს ხორცნი ჩემნი"* (ფსალმუნნი, 27, 7). აგრეთვე 118 ფსალმუნში: *„რაბამად ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფროის თაფლისა პირსა ჩემსა"*. ვიცით აგრეთვე მოსეს შემთხვევა. როცა იგი სინადან სჯულის ფიცრებით ჩამოვიდა, მისი სახე ბრწყინავდა. *„და ვითარცა გარდამოვიდა მოსე მთისა მისგან სინაისა, და ორნი ფიცარნი იგი ხელთა შინა მოსესთა და გარდამო-რა-ჰხდა მიერ მთით მოსე, არა უწყოდა, რამეთუ დიდებულ იყო ფერი პირისა მოსესი სიტყვითა მით მისითა ღმრთისა მიმართ. და იხილა აჰრონ და ყოველთა ძეთა ისრაელისათა მოსე. და იყო დიდებულ წინაშე ფერი პირისა მოსესი. და შეეშინა მიახლებად მისა"* (გამოსლვათა, 34, 29-30). იგივე მოხდა მთავარდიაკონ პირველმოწამე სტეფანესთანაც. როცა იგი სინედრიონში მიიყვანეს, *„და მიხედეს მას ყოველთა, რომელნიც სხდეს კრებულსა შინა, და იხილეს პირი მისი ვითარცა პირი ანგელოზისაი"* (საქმე, 6, 15). წმინდა გრიგოლ პალამა თვლის, რომ გეთსიმანიის ბაღში ლოცვისას უფალი იესო ქრისტესგან გამოჟონილი ოფლი იმ სითბოს გრძნობაზე მოწმობს, რომელიც „სხეულში მხოლოდ ღმრთისადმი ხანგრძლივი ლოცვის გავლენით წარმოიქმნება".

- მაპატიეთ, მამაო, რომ უტაქტო საერო კითხვით გაწუხებთ. ჩვენ ერისკაცები ვერ ვიგებთ... ნება მომეცით, შეგეკითხოთ. არიან დღეს მონაზვნები, რომელნიც ლოცვისას იცვლებიან და შეუქმნელ ნათელს ჭვრეტენ?

მან გაიღიმა და მიპასუხა:

- თუკი სულიწმიდა ეკლესიაში მოქმედებას შეწყვეტს, მაშინ შეუქმნელი ნათლის მჭვრეტელნიც არ იარსებებენ. მთაწმინდა დიდ საუნჯეს იმარხავს, და ის, ვინც ამას რაიმე სახით უარყოფს, ღმერთს ეწინააღმდეგება და მტრობს. წმინდა ათანასე დიდის დროს, ზოგიერთს ქრისტეს ღმრთაებრობა ეეჭვებოდა. წმინდა გრიგოლ პალამას ეპოქაში შეუქმნელი ენერგიების ღმრთაებრიობაში შეჰქონდათ ეჭვი. დღეს ჩვენ თითქმის იგივე ცოდვაში ვვარდებით: განღმრთობილი, საღმრთო ნათელის მხედველი ადამიანების არსებობას ვეჭვობთ. დღესაც კი, ღმრთის მადლით, არიან გაწმენდილი მონაზონები. ამ მადლიან მოღვაწეებს უნდა უმადლოდეს თავის ყოფნას ქვეყნიერება. ისინი ანათებენ თანამედროვე სამყაროს, ცოდვის წყვდიადში რომ ჩაფლულა.

კიდევ ერთი, შესაძლოა, უტაქტო კითხვა. შენ, მამაო, **ნათელი** გიხილავს?

ამ პატარა ნაშრომის მკითხველის ნებართვით, მე ამ მღელვარე სცენას და იმ ყველაფერს არ აღვწერ, რაც ითქვა. მსურს ეს მდუმარების ფარდით დაეფარო. ვიმედოვნებ, თქვენ მე შემინდობთ...

სიჩუმით მოცული დიდი პაუზის შემდეგ, მეყო კადნიერება, რომ მოღვაწის მდუმარება დამერღვია. მაგრამ, ასე იყო საჭირო. მცირე დრო რჩებოდა, მე კი უფრო მეტის გაგება მსურდა. რამდენადაც შესაძლოა, ღმრთივშთაგონებული მამის გამოცდილების გამოყენება მსურდა.

მამაო, კვლავ შენდობას ვითხოვ. თქვენ თქვით, რომ მთაწმინდაზე დღესაც არსებობენ მონაზვნები, შეუქმნელ ნათელს რომ ჭვრეტენ. ასეთი მჭვრეტელი მონაზონი მას (ნათელს) ალბათ მრავალჯერ ხედავს. ეს ყოველთვის ერთი და იგივე ნათებაა?

- შეიძლება ითქვას, რომ არის სულიერი ნათელი და ნათელი, რომელსაც ადამიანი ფიზიკური თვალებით ხედავს, როცა ისინი (თვალები) წინასწარ გარდაიქმნენ (ფერი იცვალეს)

და მისი (ნათლის) ხილვის ძალა მიეცათ. სულიერი ნათელი ეს მცნებებია, და მას ის იღებს, ვინც მათ (მცნებებს) ინახავს (იმარხავს). ***„სანთელ არს ფერხთა ჩემთა შჯული შენი და ნათელ ალაგთა ჩემთა".*** (ფსალმუნნი, 118, 105). ქრისტეს მცნებები „საუკუნო ცხოვრების სიტყვანია", და არა რაღაც ეთიკური გარეგნული ჩამონაწერი. ასევე ის სათნოებანიც, რომლებიც ქრისტეს მცნებათა შესრულების სწრაფვით მოიპოვება, - ნათელია. სარწმუნოება ნათელია, ისევე როგორც სასოება და სიყვარული. ღმერთი ჭეშმარიტი ნათელია და „ნათელი სოფლისა". მაგრამ, ღმრთის სახელი სიყვარულია. „ღმერთი სიყვარული არს". ამიტომაც, ჩვენ ვამბობთ, რომ სიყვარული ყველა სხვა სათნოებაზე უნათლესი ნათელია. სწორედ ამგვარადვე, სინანულიც ნათელია, რომელიც კაცის სულს განწმენდს და იგი მეორე ნათლობის ემბაზში შეჰყავს, სადაც თვალები სულიერი კატარაქტისგან იწმინდება. ეს ნათელია, რომელსაც ყველა ქრისტიანი იღებს, ძირითადად კი ისინი, ვინც ვნებათაგან იწმინდება - თავისთავად, იმ ძალისხმევის შესაბამისად, რასაც ისინი მიმართავენ. წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს: „სადაც განწმენდაა იქ განათლებაა. ერთის გარეშე მეორე არ მოდის". ამ აზრით უნდა გავიგოთ წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის სიტყვებიც იმის შესახებ, რომ თუ ადამიანი ამ ცხოვრებაში ნათელს ვერ ხედავს, იგი ვერც იმ ცხოვრებაში იხილავს მას.

ზოგჯერ, - განაგრძობდა ბერი, დიდი განწმენდისა და ბრძოლის შემდეგ, მაგრამ, ძირითადად, ღმრთის განსაკუთრებული წყალობით, ზოგიერთი ღირსი ხდება, რომ ნათელი ფიზიკური თვალებით იხილოს (როგორც, მაგლითად, სამმა მოწაფემ თაბორის მთაზე). მაგრამ განსხვავებანი აქაც არის. პირველად მას, როგორც დიდ ნათელს, მთელი არსების გამამხიარულებელს ჭვრეტენ. სინამდვილეში ეს არაკაშკაშა ნათელია. იგი აღიქმება როგორც ძლიერი, იმ ბნელთან შედარებით, რომელშიც ადამიანი იმყოფებოდა. იმ მომენტში განიცდება ის, რაც ადრე არ ყოფილა. მეორედ მოსვლისას კი

იგი უფრო ცოცხლად აღიქმება, რადგან ადამიანი ჭვრეტას უკვე შეეწყო... რაც უფრო უახლოვდებიან საღმრთო არსს, მით უფრო ხედავენ განუჭვრეტელ ღმრთაებრივ ბუნებას, და იმას, რასაც წმინდა მამები „უნათლეს (ყოვლადნათელ) წყვდიადს" უწოდებენ.

მე ბევრი რამ არ მესმის.

თქვენ ამის გაგებაში ღმრთისმხილველ მოსეს შემთხვევა დაგეხმარებათ, როგორც ამას წმინდა გრიგოლ ნოსელი განმარტავს. თავიდან მოსე ქორების მთაზე, - როცა უფალმა მას ხალხის აღთქმულ მიწამდე მიყვანისათვის მოუწოდა, ნათელს მოგიზგიზე მაყვლის ბუჩქის სახით ხედავდა. სხვა დროს უფალი უბრძანებს მოსეს, რომ წყვდიადში (ნისლში) შევიდეს და იქ ესაუბრება მას. თავდაპირველად ნათელი, შემდეგ წყვდიადი. წმინდა გრიგოლი განმარტავს, რომ ადამიანი თავიდან ნათელს ხედავს, რამეთუ უწინ ბნელში ცხოვრობდა. თუმცა, დროის გასვლის შემდეგ, ღმრთაებრივ არსთან მიახლოების კვალობაზე, ადამიანი უფრო და უფრო „უხილავად ხედავს" წყვდიადს, „განუჭვრეტელ ღმრთაებრივ არსს".

მე წაგიკითხავთ მთელ ნაწყვეტს წმინდა მამის თხზულებიდან: „რა აიხსნება იმით, რომ მოსე წყვდიადში იმყოფება და მხოლოდ მასში ხედავს ღმერთს? რამეთუ ახლა მოთხრობილი რამდენადმე საწინააღმდეგოდ მოჩანს ღმრთის პირველი გამოცხადებისა. მაშინ ღმრთაება ნათელში ჩანდა, ახლა კი წყვდიადში. თუმცა, უმაღლესი, სულიერი აზრით აქ წინააღმდეგობა არ არის. ამით სიტყვა გვასწავლის, რომ ღმრთისმსახურების შემეცნება პირველად ნათელია მათთვის, ვისშიც გამოჩნდება. ამიტომაც ის, რაც გონებას ღმრთისმსახურების საწინააღმდეგოდ წარმოუდგება, არის ბნელი, ბნელის უარმყოფელი კი ნათლის თანაზიარი ხდება. გონება კი, ფართოვდება და მეტი და მუდამ უფრო სრულყოფილი ყურადღებით უღრმავდება ჭეშმარიტად მიუწვდომელის გულისხმისყოფას, და რაც უფრო უახლოვდება ჭვრეტას, მით უფრო ხედავს

ღმრთაებრივი ბუნების განუჭვრეტელობას (ხილვის შეუძლებლობას). რამეთუ, დატოვებს რა ყოველივე ხილულს, არა მხოლოდ იმას, რასაც გრძნობა აღიქვამს, არამედ, [იმასაც] რასაც ხედავს გონი (განსჯა), გონება განუწყვეტლივ მიდის უფრო შინაგანისაკენ, სანამ განსჯის გამომეძიებლობით (მცდელობით) უხილავში და მიუწვდომელში არ შეაღწევს და იქ ღმერთს არ იხილავს. რამეთუ, ამაშია საძიებელის ჭეშმარიტი შემეცნება; ამაშია სწორედ ჩვენი შემეცნება, რომ არ ვიცით, რამეთუ საძიებელი ყოველგვარ შემეცნებაზე მაღლაა და თითქოსდა რაღაც წყვდიადით ყოვემლმხრივ გარემოცულია მიუწვდომლობით".

ასე ხდება ჩვეულებრივად, აგრძელებდა ბერი. ადამიანი მკრთალი (მცირე) ნათლის ჭვრეტიდან უფრო მოკაშკაშის (დიდის) ჭვრეტაზე გადადის, სანამ „უნათლეს (ყოვლადნათელ) წყვდიადში" არ შევა, როგორც ამას წმინდა გრიგოლი წერს. მაგრამ, ამ ადგილის მართლმადიდებლური გაგებისათვის, აუცილებელია, „უნათლესი წყვდიადის" ღმრთისმხედველობის შესახებ წმინდა მამათა მოძღვრების ცოდნა. ეკლესიის მამათა თანახმად, ღმერთი ყოველთვის გვეცხადება როგორც ნათელი და არასოდეს როგორც წყვდიადი. მაგრამ, როცა ჭვრეტაში მყოფი მოღვაწე-ღმრთისმხედველის გონება ესრაფვის, რომ ღმრთაებრივ არსშიც შევიდეს, იგი მიუწვდომელს ხვდება (აწყდება), ანუ უნათლეს ღმრთაებრივ წყვდიადს. შესაბამისად, წყვდიადი არ წარმოადგენს ღმრთის გამოცხადებას წყვდიადის სახით, არამედ ადამიანისათვის ღმრთის არსის ხილვის შეუძლებლობას, რომელიც (ღმრთის არსი) „მიუწვდომელი ნათელია". გამოდის, რომ ღმრთაებრივი წყვდიადი ნათელია, მაგრამ, ადამიანთათვის განუჭვრეტელი და მიუწვდომელი ნათელი. ღმერთი ნათელია. „მე ვარ ნათელი სოფლისა", თქვა მან და არა: „მე ვარ წყვდიადი სოფლისა". წმინდა დიონისე არეოპაგელის სიტყვით, „ღმრთაებრივი წყვდიადი მიუწვდომელი ნათელია, რომელშიც, როგორც

ამბობენ, მყოფობს ღმერთი, უხილავი უნათლესობის (ყოვლადნათელობის) მიზეზით და მიუწვდომელი წინარეარსებული ნათელმოფენობის მიზეზით, რომელშიც მყოფობს ყოველი, ვინც ღირსიქმნა ღმრთის შემეცნებისა და ხილვისა, თვით მისთვისვე უხილავისა და შეუმეცნებელისა". ამ აზრით ჩვენ ვამბობთ, რომ წყვდიადი ნათელზე მაღლაა (მასზე მეტია).

ხშირად ეკლესიის მამები ღმრთაებრივ წყვდიადში შესვლასა და უნათლესი წყვდიადის ღმრთისმხედველობაზე საუბრობენ, როგორც მაგალითად, წმინდა გრიგოლ ნოსელი თავისი ძმის-წმინდა ბასილი დიდის შესახებ სიტყვაში: „ჩვენ ხშირად ვამჩნევდით მას წყვდიადში ჩაფლულს, რომელიც იყო ღმერთი". ამით ისინი ცდილობენ წარმოგვიდგინონ არა ღმრთაებრივ არსში შესვლა, არამედ შეუქმნელი ნათლის აღმატებულება ბუნებრივი ცოდნის ნათელთან. რამეთუ, მართლმადიდებლური სწავლების შესაბამისად, ადამიანები ეზიარებიან შეუქმნელ ღმრთაებრივ ენერგიებს და არა ღმრთაებრივ არსს. მოციქული პავლე წერს: *„... მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან, რომელსა მხოლოსა აქუს უკუდავება და ნათელსა მყოფ არს მიუწდომელსა, რომელიც არავინ იხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად ხელ-ეწიფების"* (1 ტიმოთე, 5, 15-16). შესაჯამებლად, მამაო ჩემო, ვიტყვით, რომ უნათლესი წყვდიადი, წმინდა მამათა მიხედვით, არის ადამიანისათვის მიუწვდომელი ნათელი ღმრთაებრივი არსისა. და უნათლესი წყვდიადის ღმრთისმხედველობის ღირსებაზე საუბრისას, მათ სურთ ხაზი გაუსვან არა მის უპირატესობას შეუქმნელი ნათლის ჭვრეტასთან შედარებით, არამედ მის უპირატესობას ბუნებრივ ცოდნასთან, გონების ცოდნასთან შედარებით.

მამაო, კიდევ ერთი საკითხი. როცა ადამიანი ნათელს ჭვრეტს, იგი ლოცვას განაგრძობს?

არა. ჩვენ შეგვიძლია მას ჭვრეტითი ლოცვა ვუწოდოთ. მოღვაწე ქრისტეს ჭვრეტს და მისი ღმრთაებრივი მუნ ყოფით ხარობს. მაშინ ლოცვა უსიტყვოდ მიედინება. წმინდა ისააკი

ამბობს, რომ თუ ლოცვა - თესლია, მაშინ ექსტაზი (განკვირვება) მისი მკაა. იმის მსგავსად, როგორც მომკელებს უკვირთ, როცა მცირე თესლი ასეთ უხვ მოსავალს იძლევა, ასევე ღმრთივშთაგონებულ მოღვაწეებს უკვირთ, ხედავენ რა ლოცვის მოსავალს. იგი ლოცვის პირმშოა; მაშინ, წმინდა ისააკ ასურის სიტყვით, „გონება ლოცვით არ ლოცულობს, არამედ ექსტაზში, მიუწვდომელ საგნებში იმყოფება; და ეს შეუცნობლობა ცოდნაზე აღმატებულია". იგი „მღვდელსაიდუმლოებრივი დუმილი" და „სულის უტყვობაა". მამები ასეთ მდგომარეობას ლოცვითს უწოდებენ, რამეთუ იგი უდიდესი ნიჭია, რომელიც ლოცვის ხანგრძლივობისათვის გვეძლევა და მხოლოდ წმინდანებს მიეცემათ. მაგრამ, ადამიანმა არ უწყის მისი ნამდვილი სახელი, რამეთუ მაშინ ლოცვას წყვეტს, სიტყვებსა და აზრებზე მაღლა აღიმართება. მრავალი მამა ამ მდგომარეობას ღმრთაებრივ შაბათობას, ანუ გონების შაბათობას უწოდებს. ესე იგი, როგორც ებრაელებმა მიიღეს მცნებად შაბათის დაცვა, ასევე ეს სულიერი მდგომარეობაც სულის შაბათია, რომელიც ისვენებს და მშვიდდება „ყველა საქმეთაგან". წმინდა მაქსიმე ამბობს: „შაბათთა შაბათია გონიერი სულის სულიერი სიმშვიდე, გონების მომკრები და მისი თვით ქმნილების ღმრთაებრივ ლოგოსებზე ზეაღმმართავი, ექსტატიური სიყვარულის ზემოქმედებით გონების მხოლოდ ღმერთით გარემომცველი და მისტიკური ღმრთისმეტყველების წყალობით ღმერთში სრულიად უძრავად მისი დამამკვიდრებელი". ერთადერთი, რასაც ადამიანი იმ მომენტში აკეთებს ტირილია. უხვ ცრემლებს ღვრის არა ცოდვილობის მიზეზით, როგორც ადრე, არამედ შეუქმნელი ღმრთაებრივი ენერგიის ჭვრეტის ძალით. სასიხარულო, დამატკბობელი, ღმრთაებრივი, მადლიანი ცრემლები. უმტკივნეულო ცრემლები, გულის განმაახლებელი და დამამშვიდებელი. სახის გამამხნევებელი, დინებათა და ნაკადულების წარმომქნელი, თვალების დამალტობელი ცრემლები. მაშინ ადამიანი ტყვეობაში იმყოფება. და

არ იცის, სხეულშია იგი თუ სხეულის გარეთ. სულსა და სხეულს ისეთი სიხარული იპყრობს, რომ ადამიანური ენით მისი აღწერა შეუძლებელია. წმინდა გრიგოლ პალამა წმინდა დიონისე არეოპაგელს ციტირებს და ამბობს, რომ ღმერთთან ურთიერთობის შემყვარებელი, სულს ყველა ბორკილებისგან ათავისუფლებს და გონებას განუწყვეტელ ლოცვაში ათავსებს, ცაში საიდუმლო აღსვლას აღასრულებს და მდუმარებასა და აღუშფოთველობაში ფარფატებს ყველა ქმნილებაზე ზემოთ.

იგი გონებას ღმრთისადმი განუწყვეტელი ლოცვით კრავს და მისი წყალობით თავის თავში იკრიბება და ცაზე აღსვლის ახალ, საიდუმლო გზას პოულობს, რომელსაც ზოგიერთნი „სანუკვარი დუმილის გაუმჭვირვალე ბნელს" უწოდებენ. და ამგვარად, ჩუმი სიხარულით, დიდი უბრალოებით, სრული და უტკბილესი სიმშვიდით და ჭეშმარიტი მდუმარებით მლოცველი, იგი გონებას ყოველ ქმნილებაზე მაღლა აღმართავს (აღამაღლებს)". ყოველივე ქვეყნიური მაშინ მტვერსა და ფერფლს ემსგავსება. იგი არასაჭირო ხდება. მაშინ არა მხოლოდ არ იგრძნობა ვნებათა ღელვა, არამედ თვით ცხოვრებაც დავიწყებას ეძლევა, რამეთუ ღმრთისადმი სიყვარული სიცოცხლეზე სასურველია და ღმრთისშემეცნება ყოველგვარ ცოდნაზე საყვარელია. ჰოი, სიხარულით აღვსილო და კურთხეულო ჭვრეტავ! ჰოი, ღმრთაებრივო მარადისობავ! ჰოი, ღმრთაებრივო ტკბილო განსვენებავ! ჰოი, ღმრთაებრივო სიყვარულო!

მამაო, მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ. მე ძლიერ დათრგუნული ვარ. დაღლილობას ვგრძნობ. თქვენს ზეაღსვლას ველარ მივყვები. ვერ ვუძლებ...

იგი მომიახლოვდა, ჩემი ხელი აიღო და ალერსიანი ხმით მითხრა:

მესმის შენი, თუმცა შენ წინ წასვლა გსურდა, გსურდა, რომ მელაპარაკა. და მეც ვლაპარაკობდი. მესმის შენი ღაღადი. რამდენადაც, ჩვენც ნათლის ჭვრეტის შემდეგ წარმოუდგენლად ვიღლებით, თითქმის განადგურებულნი ვართ. ღმრთა-

ებრივი მადლი როცა მოდის, მათრახს ჰგავს, ჩვენს ხრწნად ხორცს რომ ამათრახებს. ეს სიმძიმეა, რომელსაც უძლური სხეული ვერ უძლებს; აი, რატომაა, რომ იგი არაქათისგან იცლება და ნელ-ნელა აღდგება. უნდა ვაღიარო, რომ ხშირად, საღმრთო ლიტურგიის შემდეგ თავს გაწამებულად ვგრძნობ და დასვენებას ვსაჭიროებ მხოლოდ მაშინ აღდგება ადამიანური ძალები, გათელილი ბალხის მსგავსად, რომელიც მიწიდან თანდათანობით წამოდგება და თავის ჩვეულებრივ მდგომარეობას უბრუნდება. ჩვენ რომ მთელი ღმრთაებრივი მადლი გვეხილა, დავიღუპებოდით! ღმრთის სიყვარული ყოველივეს განაგებს [ისე, რომ ყველაფერი კარგად იყოს].

ჩვენ გავჩუმდით. ყველგან ღრმა დუმილი სუფევდა. მხოლოდ ზოგჯერ მოისმოდა, თუ როგორ აფხვიერებდა მიწას კალივის ბაღში მორჩილი, და ამავდროულად, ბაგეებით იესოს ლოცვას წარმოთქვამდა. მე ღრმად ვსუნთქავდი. გული ჩქარა მიცემდა, თითქოს ამოვარდნას ლამობდა... მე ცეცხლმა მომიცვა. მე მისტიკური ღმრთისმეტყველების წმიდათა წმიდას მივუახლოვდი - შეუხებელს ხელდაუსხმელთათვის. შორს ზღვაში, მზის დისკო წყალში ეშვებოდა, და კალივიდან ზღვის ნაწილი ოქროსფრად მოჩანდა. „მისაღების" დიდი ფანჯრიდან მე ვარჩევდი, თუ ზღვაში როგორ თამაშობდა დელფინთა გუნდი

ეს მთაწმინდაზე ჩვეულებრივი სანახაობაა. ისინი ამოყვინთავდნენ და კვლავ ოქროსფერ წყალში იფლობოდნენ. მე გავიფიქრე, რომ ზეციერის მხურვალედ შემყვარებელი მონაზვნები მათ ჰგვანან. ისინი ცხოვრობენ, მადლის ზღვაში ჩაფლულნი და მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში გამოდიან იქიდან, რათა გვაჩვენონ, რომ ისინი არსებობენ და შემდეგ კვლავ ღმრთის ჭვრეტაში ეფლობიან. ღმრთივგანათლებული წმინდა სვიმეონი, შეუქმნელი თაბორის ნათელში მცხოვრები, ღმრთის შემყვარებელთ და მოსურნეთ ნეტარებს (შეჰნატრის):

„ნეტარ არიან ახლა მისი ნათლით შემოსილნი, რამეთუ უკვე საქორწინო სამოსი შემოუცვამთ, მათი ხელ-ფეხი არ შე-

იკვრება და ისინი ჩაუქრობელ ცეცხლში არ ჩაიგდებიან...

ნეტარ არიან ახლა თავის გულში სინათლის ამნთებნი, რამეთუ სიცოცხლის დასასრულს ისინი სიხარულით გავლენ სიძის შესახვედრად და მასთან ერთად საქორწინო დარბაზში შევლენ, ექნებათ რა ლამპრები ანთებული...

ნეტარ არიან ღმრთაებრივ ნათელთან მიახლოებულნი, მასში შესულნი, მთლიანად ნათლად გადაქცეულნი და მათით დაკავებულნი, რამეთუ მათ განიძარცვეს ჭუჭყიანი სამოსელი და მდუღარე ცრემლებით აღარ ატირდებიან...

ნეტარია მონაზონი, ლოცვისას ღმრთის წინაშე მდგომელი, მისი მხედველი და მის მიერ დანახული, საკუთარი თავის მპოვნელი ამსოფლიურ მოვლენათა მიღმა, მხოლოდ ღმერთში, და არმცოდნე იმისა, სხეულშია იგი თუ სხეულის გარეთ, რადგან იგი გამოუთქმელ სიტყვებს მოისმენს, რომელნიც გარეშე ადამიანს არ ეთქმება. ის იხილავს იმას, რაც თვალს არ უხილავს და ყურს არ სმენია და ხორციელი კაცის გულს არ მოხვდომია...

ნეტარია საკუთარ თავში სოფლის ნათელის აშკარად მჭვრეტელი, რამეთუ მას ჩანასახში აქვს ქრისტე და მის დედად იწოდება, როგორც ის უტყუარი დაგვპირდა".

აი, როგორ მოგიზგიზე მთაზე ვიმყოფებოდი. მონაზონნ. გვერდით, თავის ცხოვრებას ზეციურ სინამდვილეში რომ ატარებს. სიმშვიდე გარეთ, ბუნებაში, სიმშვიდე შიგნით, ჩემს სულში. ღმერთი... სამოთხე... დროის გარეთ, მაგრამ დროშიც. ჩვენგან ძალიან ახლოს. ჩვენს გვერდით. მიდის დრო და ისტორია.

- მოდი, საუბარი შევწყვიტოთ, - თქვა ბერმა. - მცირე ხანს გარეთ გავიდეთ.

არა, არა, - ვუპასუხე მე. - მსურს სხვა რამეც ვიცოდე. თქვენ თქვით, რომ ლოცვა ცოდნაა. ყოველმხრივი უნივერსიტეტი. მსურს, რომ ამ საღამოს მეცნიერად მაქციოთ!

7. შეცდომები იესოს ლოცვის სწავლისას და მათი აღმოფხვრა.

- თქვენ ბევრს მთხოვთ. არავის ძალუძს ლოცვის შესწავლა, თუ პირადად არ მოღვაწეობს და თუ ამ გონიერ ღვაწლს არ შეუდგა. რამდენიც არ უნდა ისაუბრონ სხვებმა, ეს უბრალოდ შესავალია, რომელიც შენში სულიერ მადას აღძრავს. თუმცა, რათა იესოს ლოცვაზე ჩვენი აზრები დავამთავროთ, ნამდვილად უნდა ითქვას იმ საფრთხეებისა და შეცდომების შესახებ, რომელიც შეიძლება ამ გზაზე გველოდეს.

- ძალიან კარგი, ვუპასუხე მე. - ადრე თქვენ ამბობდით, რომ მონაზონები გაურბიან გონების გულში უშუალოდ შეყვანას (ჩაყვანას) და ამისათვის სხვა საშუალებებს ხმარობენ ხიფათისაგან თავის ასარიდებლად. რას წარმოადგენს ეს საფრთხეები და შეცდომები?

პირველი შეცდომა წარმოიშობა იმ აზრთან ერთად, რომ თითქოს მადლს მოიპოვებენ **დროის მცირე მონაკვეთში.** ბევრი, შეუდგება რა ლოცვის კურთხეულ საქმიანობას, ცდილობს რომ მალე შევიდეს ნათლის ჭვრეტაში (მალე იხილოს შეუქმნელი ნათელი). მაგრამ, რადგანაც ეს არა მაშინვე და არა ყველას ეძლევა, ისინი შინდებიან და წბილდებიან. მოღვაწემ მრავალი წლის ბრძოლის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ღმერთი ჩვენს ნებაზე არ ძალადობს, რამეთუ ჩვენ პიროვნებები ვართ და შესაბამისად, თავისუფლებას ვფლობთ. მაგრამ, ჩვენც ვერ ვბედავთ ღმრთის თავისუფლებაზე ძალადობას, რამეთუ ის - პიროვნებაა. ესე იგი, ჩვენ მას ნება უნდა მივცეთ, მაშინ მოვიდეს, როცა ის გადაწყვეტს და მოისურვებს.

ის მცირე ხანს შეჩერდა.

სხვა შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ **ჩვენ ფსიქოტექნიკურ მეთოდებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.** თუმცა, ეს მეთოდები (ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, გულის დარტ-

ყმა და ამის მსგავსი) მხოლოდ დამატებითი საშუალებაა გონების მოკრებისათვის და უცხო ელემენტებისაგან მისი განთავისუფლებისათვის. ესე იგი, მეთოდებს არა მაგიური, არამედ დახმარებითი ძალა აქვს და გონებას გაფანტულობისაგან ათავისუფლებს. როცა გონება მოიკრიბება და საკუთარ თავში იოლად შესვლას იწყებს, ყველა დამატებითი საშუალება უქმდება.

არის სხვა შეცდომებიც?

ცხადია. **ლოცვის** მსვლელობისას (მიმდინარეობისას) გადახტომანი. ადრე ჩვენ იმის შესახებ ვსაუბრობდით, რომ მისი (ლოცვის) განვითარების სხვადასხვა ეტაპები არსებობს, რომლებიც ჩვენ ხუთად დავყავით. **პირველი** - როცა ლოცვას ბაგეებით წარმოვთქვამთ. **მეორე** როცა გონებაში იესოს ხსოვნას ვაკავებთ და მხოლოდ შემდეგ ჩაგვყავს იგი გულში. თუმცა, ზოგიერთნი პირდაპირ მეორე ეტაპიდან იწყებენ და დიდ წარმატებას ვერ აღწევენ, სხვანი პირველი ეტაპიდან პირდაპირ მესამეზე, ძირითადად, სუნთქვაზე გადადიან. საფრთხე (როგორც უკვე აღვნიშნავდი) იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკური მიზეზებით, გული შეიძლება ტკივილს განიცდიდეს და იმის საშიშროება არსებობდეს, რომ ლოცვა შეწყდება. რა თქმა უნდა, უძლურება არ წარმოიქმნება, მაგრამ, სრულიად შესაძლებელია, რომ ეს კურთხეული საქმიანობა შეწყდება.

ასევე **ცრემლების ირგვლივაც რამდენიმე პრობლემა იქმნება.**

ანუ?

ადრე ჩვენ ვთქვით, რომ როცა ლოცვა გონებაში განმტკიცდება, თვალები სველდება და ურიცხვი ცრემლი მოედინება. თუმცა, ეს ყოველთვის გარდაუვალი არ არის. ლოცვა ამის გარეშეც შეიძლება კარგად მიდიოდეს. შესაბამისად, მათი არყოფნისას, გაწბილება არ ღირს, რადგან ისინი მოდიან, თუკი ამას ღმერთი მოისურვებს. ასევე, როცა ცრემლის ნა-

კადულები გვდის, არ არის საჭირო, რომ ამას დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ და ჩვენი მდგომარეობა სხვებს აღვუწეროთ. ასკეტური გამოცდილება მოწმობს, რომ საკმარისია ამის გამხელა, რომ ისინი მაშინვე წყდება და შემდგომში გაჭირვებით ბრუნდება. განსაკუთრებით ხაზს გავუსვამ, რომ ვიცით რა გონიერი ლოცვის ეტაპები, საჭიროა **თავი ავარიდოთ იმის განხილვას,** თუ რომელ მათგანზე ვიმყოფებით. სიმდაბლეში უნდა წავიწიოთ წინ. მე მგონი, ახლახანს ვამბობდი, რომ ლოცვისას სიამაყე სიბრიყვეა. სწორედ რომ სიბრიყვე. ადამიანი გლახაკს ემსგავსება, რომელიც პურის ლუკმას ითხოვს და თავს მაღლა იჭერს, როცა მას მიიღებს. სიბრიყვე და დაცემაა!

ვხედავ, რომ აქაც სიმდაბლე მნიშვნელოვან როლს თამაშობს?

ყველგან! წმინდა ბასილი დიდი ამბობს, რომ სიმდაბლე ყველა სათნოებათა საუნჯეა. იგი ყველა სათნოებას მალავს და საბოლოო ჯამში, თავის თავსაც მალავს. ზოგადად, სულიერ ცხოვრებაში დაბეჯითებით უნდა გავექცეთ ამპარტავნებას, განსაკუთრებით, როცა იგი ცუდმედიდობის (მზვაობრობის) სახით წარმოგვიდგება. თქვენ უეჭველად იცით, რომ ცუდმედიდობა ყველა სათნოებისას წარმოიქმნება. საუბრისას, მდუმარებისას, მარხვისას, მღვიძარებისას, აგრეთვე ლოცვისას, დუმილისას, მრავალმოთმინებისას. მამები ამბობენ, რომ ცუდმედიდობა მოღალატის მსგავსია, ქალაქის კარებს ფარულად რომ აღებს, რათა მტერი შიგნით შეუშვას. მაშინ, როგორი მშვენიერიც არ უნდა იყოს ქალაქი, როგორი ძლიერნიც არ უნდა იყვნენ მისი დამცველები, როგორ კარგ თავდაცვით მდგომარეობასაც არ უნდა ფლობდეს იგი, მას მტერი იკავებს. იგივე ხდება სულიერ ცხოვრებაშიც. როგორი სათნოებანიც არ უნდა გვქონდეს, როგორ ძალასაც არ უნდა განვკარგავდეთ, ცუდმედიდობა ბოროტის ხელში ჩაგვაგდებს. მა-

მები გვიჩვენებენ, რომ არასოდეს არ მოკიდოთ ხელი საქმეს, რომელსაც საკარაუდოდ, ცუდმედიდობისკენ მივყავართ.

- ამის გაგება არ შემიძლია. დაწერილებით ხომ ვერ ამიხსნით?

- ლოცვის შესახებ საკითხს დავუბრუნდეთ. მორწმუნემ მეტისმეტი არ უნდა მოინდომოს ამ საქმეში, თორემ მას აუცილებლად ეშმაკი აცთუნებს. თავის ძალებზე აღმატებულის კეთებისას, იგი (მორწმუნე) ეშმაკის იარაღად იქცევა და მის მიერ გატაცებული, რაღაც მომენტში მიიტოვება, ერთდროულად უკან გადაისროლება და ძალზე დაბლა ეცემა. ყველაზე ხშირად იღუპება.

- როგორ ავიცილოთ ეს უმძიმესი დაცემა?

- მაცხოვნებელი გზა - მწუხარება და მორჩილებაა. ლოცვა ძალზე მჭიდროდ არის მწუხარებასთან დაკავშირებული. როცა ეშმაკი ვინმეს, მწუხარებაში ცხოვრების გამტარებელს იხილავს, იგი იქ არ რჩება, არამედ გარბის, რამეთუ მწუხარებით შობილი სიმდაბლით არის შეშინებული. „ლოცვაში დიდი იარაღია ჩადებული მწუხარება; ლოცვით მონიჭებული სიხარულის მიზეზით თვითდაიმედებაში თუ არ ჩავარდები, არამედ შენთვის სასიხარულო ნაღველს აირჩევ, თავს უვნებლად დაიცავ", — ამბობს წმინდა გრიგოლ სინელი. სუფთა ლოცვის გავლისას, აუცილებელია მწუხარება და საკუთარი ცოდვილობის გაცნობიერება. მოღვაწემ გონება ჯოჯოხეთში უნდა დააკავოს და სასო არ წარიკვეთოს. ამასთან, ცოდვილობის („არარაობის") გრძნობა და იესო კაცთმოყვარეზე სასოება მართლმადიდებლობის დამახასიათებელი ნიშანი და ყველა ტროპარის ძირითადი თვისებაა. ცხადია, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ დიდი მწუხარება მცირეთა (არამრავალთა) ხვედრია. ყველას არ ძალუძს ასეთ დიდ მწუხარებაში ცხოვრება, რამეთუ რათა ადამიანი არ შებრკოლდეს, საჭიროა უდიდესი ძალა და ღმრთაებრივი მადლის წინასწარი დაგემოვნება (რათა იგემოს მადლი). მაგრამ, ძალის მიხედვით,

ყველასთვის აუცილებელია ცხოვრებაში ეს ნეტარი მწუხარება. აუცილებელია ბერისადმი (მოძღვრისადმი) უსიტყვო მორჩილებაც. ყოველივე, თვით ყველაზე მცირეც კი, მისი კურთხევით და ბრძნული ხელმძღვანელობით კეთდება. მათ შორის შეუქმნელი ნათლის შემთხვევაშიც.

- რა შეხება აქვს ბერისადმი მორჩილებას შეუქმნელი ნათლის ჭვრეტასთან? - ვკითხე მე, მოსმენილით განცვიფრებულმა.

როცა ადამიანი მარტო, აუცილებელი კურთხევის გარეშე მიემართება, იგი ეშმაკის მიერ გადაიტყორცნება, მოისროლება, რის შესახებაც ჩვენ ადრე ვსაუბრობდით. მასში შეუქმნელი ნათლის ხილვის აულაგმავი სურვილი მწიფდება. იგი ვარაუდობს, რომ ეს სრულყოფილებაა და სურს სწრაფად მიაღწიოს მას...

ეს ცუდია? გავაწყვეტინე მე.

დიახ. წმინდა დიადოქე (დიადოხოსი) მიუთითებს, რომ მოღვაწე ასკეტურ ცხოვრებას შეუქმნელი ნათლის ხილვის იმედით არ უნდა ატარებდეს, „რათა სატანამ სული მის მიერ ტყვეობისათვის გამზადებული არ იპოვოს". ლოცვის ღვაწლს ღმრთის სიყვარულით და მისი წმინდა ნებისადმი მორჩილებით უნდა შევუდგეთ, რამეთუ შესაძლებელია, რომ ეშმაკმა, „ნათლის ანგელოზის სახეს რომ ღებულობს", ანგელოზთა სახე მიიღოს, რომელნიც მას მსახურებას დაუწყებენ. და მაშინ წარმოიდგენს უბედური, რომ სრულყოფის მწვერვალს მიაღწია, და ანგელოზებთან ცხოვრობს და არ დაეჭვდება, რომ ეშმაკებთან საუბრობს! განსაცდელია აგრეთვე ის, როდესაც ლოცვის საათებში, მოღვაწე, ეშმაკებისაგან ღებულობს აზრებს, რომლებიც შთააგონებენ, რომ თითქოს იგი შეუქმნელ ნათელს მალე იხილავს. ამ მგრძნობიარე და სახიფათო შემთხვევაში დიდი ყურადღებაა საჭირო. საჭიროა ლოცვის მიტოვება და საკუთარი თავის მიმართ მკაცრი საყვედური: „საბრალო უღირსო, შეუქმნელი ნათლის ხილვა მოგწყუ-

რებია!" რამეთუ, მამაო ჩემო, ყველაზე სახიფათო ნიშანია აზრი იმის შესახებ, რომ შენ შეუქმნელი ნათლის ხილვის ღირსი ხარ. ასევე შეიძლება ამის თქმა: „მოვლენ ჩემი მკვლელები ეშმაკები და ჩემს სულს წარიტაცებენ. ვაი მე!" მაშინ იმწამსვე გაქრება მტერი. ხშირად ეშმაკს, - რათა მონაზონის პატივმოყვარეობა დააკმაყოფილოს და იგი უფრო მეტად დაატყვევოს, - მის კელიაში სინათლე შეაქვს. ეს შეუქნელი ნათელი არ არის, არამედ შექმნილია, ესე იგი ეშმაკისეულია.

- როგორ შეიძლება მისი შეცნობა?

მრავალი საშუალება არსებობს, რომელიც ამ ორი ნათლის გარჩევაში გვეხმარება. **პირველ რიგში,** შეუქმნელ ნათელს მორჩილებაში ჭვრეტენ. სრული და უსიტყვო მორჩილების გზა არის ჭეშმარიტების გარანტია. ჭვრეტასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მოღვაწემ განმსჯელ, წმინდა და უვნებო ბერთან უნდა გაარკვიოს. წინამძღოლისადმი შეუკითხველობის აზრი სატანისგანაა, რომელიც ადამიანის ბნელში, ცდუნებასა და მონობაში დაკავებას ესწრაფვის. **მეორე** — უფალმა ცრუწინაწარმეტყველთა შესახებ თქვა: ***„ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი"*** (მათე, 7, 16). იგივეა აქაც. ნაყოფით ვლინდება შეუქმნელ ნათელსა და შექმნილს შორის განსხვავება. შეუქმნელ ნათელს სულში მშვიდობა, სიწყნარე, სიმდაბლე, სულიერი სიღატაკის შემეცნება მოაქვს. აბრაამმა, როცა ღმერთთან საუბრის ღირსი გახდა, საკუთარ თავს მტვერი და ფერფლი (მიწა და ნაცარი) უწოდა. ***„აწ ვიწყე სიტყუად უფლისა მიმართ, ხოლო მე ვარ მიწაი და ნაცარ"*** (შესაქმე, 18, 27). ასევე მართალმა იობმაც: ***„ჰამბავთა ყურთა მესმინა შენთვის პირველ და აწ თუალმან ჩემმან გიხილა შენ. ამისთვის განვიქარვე თავი ჩემი და დავაგდე. შემირაცხიეს თავი მიწად და ნაცრად".*** (იობი, 42, 5-6). წინასწარმეტყველმა ესაიამ, უფლის დიდების ხილვისას წამოიძახა: ***„ჰოი, უბადრუკსა მე, რამეთუ შეკდომულ ვარ, რამეთუ კაცად მყოფი და არაწმიდათა ბაგეთა მქონებელი საშუალ ერისა, არაწმიდათა***

ბაგეთა მქონებელისა, მკვიდრ ვარ მე და მეუფე უფალი საბაოთ ვიხილე თვალითა ჩემითა" (ესაია, 6, 5). პირიქით, ეშმაკისეული ნათლის ჭვრეტისას ამპარტავნება, ცუდმედიდობა, სრულყოფილების მიღწევის შესახებ აზრი ჩნდება. წმინდა გრიგოლ სინელი ამბობს: „იცოდე კი, რომ აშკარაა მადლის მოქმედებანი, რომლის მოცემა, ეშმაკს, გარდასახვის შედეგადაც არ ძალუძს: სიმშვიდე, ზომიერება, სიმდაბლე, სოფლის მოძულება, ტკბობათა და ვნებათა დაფერფლვა (დაცხრომა). ეს ყოველივე მადლის მოქმედებანია. ბოროტის მოქმედებანი კი ქედმაღლობა, სულმოკლეობა და ყოველივე ბოროტებაა". ქედმაღლობის თანმხლებია შფოთი. სული წმიდის მოქმედებას სულში და ხორცში მშვიდობა, შიშისა და შფოთის არქონა (უშიშობა და უშფოთველობა) შემოაქვს, ეშმაკის მოქმედება კი - შიში და შფოთია. წმინდა ისააკი აღნიშნავს: „ყოველგვარი შფოთი (შეშფოთება) ეშმაკის ნიშანია, რამეთუ ვისაც რა აქვს ბუნებაში, სხვებსაც იმას გადასცემს. სულიწმიდა ბუნებითაც მშვიდობის სულია და მშვიდობას გვანიჭებს, იმ დროს, როცა ეშმაკი თავისი ნატურითაც - შფოთისა და შიშის სულია და შფოთსა და შიშს გადასცემს". **მესამე** - სული მაშინვე არ ღებულობს ეშმაკისეულ ნათელს, არამედ თავიდან ყოყმანობს. მაშინ, როცა შეუქმნელი ნათლის ჭვრეტა თითქმის თავიდანვე იწვევს დამაჯერებლობის და იმასთან თანხმობის გრძნობას, რომ ეს ჭეშმარიტებაა. „სულში ყოველივე მომავალი, ამბობენ მამები, გრძნობითი თუ აზრობრივი, როცა გული მის მიმართ ყოყმანობს, არა ღმრთისაგან, არამედ ეშმაკისგან იგზავნება" (წმინდა გრიგოლ სინელი). შეუქმნელი ნათელი იმ მომენტში მოდის, როცა მას არ ელი და მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ გეპარება. **მეოთხე** - არის განსხვავება ფერში. თაბორის მთაზე ქრისტეს ფერიცვალების დროს, მოწაფეებმა იხილეს, რომ *„გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი"* (მათე, 17, 2). პირიქით, სატანური ნათლის ფერი

მოწითალოა, მრავალი წმიდანის მოწმობით, ამ განსხვავებას რომ ადასტურებენ. *მეხუთე* არსებობს განსხვავება გამოცხადების სახის მიხედვითაც. შეუქმნელი ნათლის მჭვრეტელნი „სახეს ან გამოსახულებას, ან მოხაზულობას კი არა, არამედ გამოუსახველ ნათელს ხედავდნენ" (ღირსი სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი). თუკი სახე მაინც იყო, იგი მზის დისკოს წააგავდა. ღმერთი გვეცხადება „როგორც მზე ან მზის დისკო, სფეროსებრი, ნათლისსახოვანი, ვითარცა ალი ცეცხლისა", ფორმისა და სახის არმქონე. საწინააღმდეგო ხდება შექმნილი, სატანური ნათლის ჭვრეტისას. ასეთ შემთხვევას აღწერს წმინდა გრიგოლ პალამა. ის წერს, რომ ერთხელაც მთაწმინდაზე აკინდინი (აკვინდინე) მივიდა. რამდენიმე დღის გავლის შემდეგ, მან მას შეატყობინა, რომ ლოცვის მცდელობისას ნათელი იხილა; „ძლიერ განპობილ (ესე იგი ქვემონაწილში გახსნილ) ამ ნათელში გამოისახებოდა, როგორც აკინდინე ხედავდა, თითქოსდა ადამიანის სახე". თუმცა იმან, რომ ნათელი უფორმო არ იყო, წმინდანს საშუალება მისცა დაესკვნა, რომ იგი ეშმაკისგანაა. „მე მას მივუთითე, რომ ეს მძიმე ცთომილებაა, რომელიც სატანის დაცინვაა, და სათამაშოა და უფრო მეტიც, ბოროტის მახეა..."

მამები გვასწავლიან განაგრძობდა გამოცდილი მოღვაწე, რომ ლოცვის დროს მოსული ყველა მოელენა მაშინვე არ უნდა მივიღოთ. „მრავალი გამოცდის შემდეგ მიიღე კეთილი". ყოველივეს შესახებ ბერს უნდა ვკითხოთ, და მხოლოდ ბევრითი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ჭეშმარიტების სიცრუისაგან გარჩევის უნარი მოიპოვება (იმ მადლის შესაბამისად, რომელსაც მივიღებთ). ღვინო და ძმარი გარეგნულად ერთნაირია, მაგრამ გემოვნებით განსხვავდება. ამგვარადვე, მოღვაწეც დროთა განმავლობაში განსხვავების გრძნობის უნარს ღებულობს.

ბერი განუწყვეტლივ საუბრობდა, მიწამდე თავდახრილი. მე სრულიად მონუსხული ვუსმენდი, არ მსურდა მისი მართლმა-

დიდებლური, წმინდა მამათა მსგავსი განსჯის შეწყვეტა. როცა იგი საუბრობდა, მე სიმშვიდემ და უშფოთველობამ მომიცვა იმის ნიშნად, რომ მისი სწავლება ყოველივეში მართლმადიდებლური იყო.

- ყოველივე ჩემს მიერ მოთხრობილი, იმ საუბარში გადმოიცემა, რომელიც ღირს სვიმეონ ახალ ღმრთისმეტყველს მოჰყავს. იქ იმაზეა საუბარი, რომ ღმერთი ნათლის სახით გვევლინება, რომელიც დამატკბობელად მოქმედებს, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ეკითხება მორჩილი, განმსჯელ ღმრთისხილვის გამოცდილების მქონე ბერს, რათა დარწმუნდეს რომ მის მიერ ხილული - ღმერთია. წაგიკითხავ ტექსტს, როგორც ის ღმრთივშთაგონებულ მამას მოჰყავს.

მან წიგნი აიღო და კითხვა დაიწყო.

„ღმერთი ნათელია და ნათლის სახოვანია მისი გამოჩენა... რამეთუ, როცა იგი ჭვრეტაში განცხადდება, ჩანს ნათელი; და მისი მხედველი კვირობს ვინ არის ეს, რომ გამოეცხადა, მაგრამ, ვერ ბედავს კითხვას, ვინ არის? ვერ კადნიერდება იგი თვალთა ზემოთ აწევად და მისი სიდიადის ხილვად, იგი მხოლოდ უმზერს შიშითა და ძრწოლითა დიდითა, განრთხმული მის ფერხთა ქვეშ, და უწყის მხოლოდ, რომ ვინმე გამოეცხადა მას. და თუ არის [სიახლოვეს] ვინმე ამის მცოდნე, ღმრთისშემეცნებაში გამოცდილი, მიდის და ეუბნება მას:

მე ვიხილე.

რა იხილე, შვილო? პასუხობს ის.

ნათელი, მამაო, ტკბილი-ტკბილი; არ შემიძლია გითხრა, მამაო, საიდან არის ის, მე ამისთვის გონება არ მყოფნის.

როცა იგი ამას ამბობს, თრთის და სცემს გული მისი და მაშინვე ხილულისადმი სიყვარულით აღინთება და შემდეგ კვლავ მხურვალე და უხვი ცრემლებით საუბარს იწყებს:

მე ვიხილე, მამაო, ის ნათელი. მან უმალვე ააავსო კელია, და განქარდა სამყარო, როგორც მე ვფიქრობ, მის სახეს დაემალა; და მხოლოდ მე და ეს ნათელი ვიყავით. არ ვი-

ცი, მამაო, იყო იქ თუ არა ჩემი სხეული, რამეთუ მე არ მესმოდა, ვატარებ თუ არა სხეულს, თუ მის სიახლოვეს ვიმყოფები. მე აღუწერელმა სიხარულმა, დიდმა სიყვარულმა და სურვილმა მომიცვა და ჩემს სახეზე ცრემლების ნაკადულები და მდინარეები ჩამოიღვარა, რომელსაც ახლაც ხედავ.

მის საპასუხოდ, იგი ეუბნება მას;

ეს ის არის, შვილო...

და კვლავ იგი ხედავს მას, და ნელ-ნელა სრულიად იწმინდება და განწმენდილი, უახლოვდება და ეკითხება მას:

ეს შენ ხარ, ღმერთო ჩემო?

და პასუხობს და ეუბნება იგი:

ეს მე ვარ, ღმერთი, შენთვის განკაცებული, და აი, მე შეგქმენი შენ, როგორც ხედავ და განგაღმრთობ. და იქიდან მოყოლებული, მწუხარებს, ევედრება და მდაბლდება იგი და თანდათან ღმრთაებრივის შეცნობას იწყებს..."

ამ დროს ჩვენს ახლოს მონაზონი გამოჩნდა - ბერის მორჩილი, რომლის მიმართაც შური გამიჩნდა, რადგანაც მან ბრძენი და გამოცდილი ხელმძღვანელი იპოვა. მან ბერს მიმართა:

- თქვენ მე ხის მორწყვა მიბრძანეთ. მე ეს გავაკეთე. სხვაც ხომ არ მოვრწყა?

მან მას მცირედ ჩაფიქრებულმა შეხედა და შემდეგ უპასუხა:

დიახ, მორწყე.

და ჩემსკენ მობრუნებულმა, თქვა:

- ეს არის სწორედ მორჩილება, რის შესახებაც ადრე ვსაუბრობდი და ის, ვინც მას ასრულებს და ყველა საკითხზე თავის ხელმძღვანელს მიმართავს, სულიერებაში წარმატებას მიაღწევს. მისი წყალობით ბევრი რამ მიიღწევა. **პირველი** იგი ფანტაზიას საშუალებას არ აძლევს, მიმოიქცეს და მონაზონის მოქმედებანი შეაფასოს. იგი გონებას არა მხოლოდ რთული, უბრალო აზრებისგანაც ათავისუფლებს და ამგვარად,

ლოცვაზე უფრო მეტად კრებს (აკონცენტრირებს). **მეორე** იგი რჩევისათვის მიმართვას ასწავლის. საკუთარი სულიერი მამისადმი (მოძღვრისადმი) შეკითხვა [ყოველივეში], ნიშნავს, რომ ცხონდები სადაც მორჩილებაა, იქ არის სიმდაბლე ძირი მორჩილებისა და შესაბამისად, ამპარტავნების სულს ეშმაკს შემოძრომა არ ძალუძს, რომელიც შემოსვლისას საშინელ, უმსგავსო მდგომარეობებს იწვევს. საერთოდ, ამ კურთხეული საქმიანობის გზაზე მორჩილება უკიდურესად აუცილებელია. წინამძღოლის გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევთ. ბერი ჩვენს გზას განსაზღვრავს, სულიერი ცხოვრების პროგრამას დაგვიდგენს, რაიმე წამოწყების შეწყვეტას გვიბრძანებს, გვამცნობს, კარგად და ღმრთივსათნოდ ვალთ (მივდივართ) თუ არა. ბერის პიროვნებაში თვით ღმერთია, ქრისტეს მსგავსად. როგორი მდგომარეობაც აქვს ეპისკოპოსს ეპარქიაში, ისეთივე მდგომარეობა აქვს იღუმენს წმინდა მონასტერში და ბერს მონაზონთა შორის, რომელიც თავის თავზე იღებს...

ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ასკეტიკა ბერობას?

ცხადია. ბერის გარეშე შეუძლებელია წარვემატოთ და დაუმახინჯებელი გარდამოცემის მიხედვით ვიცხოვროთ. როგორც ხორცის სიცოცხლე გადაეცემა ნათესავითი ნათესავამდე [თაობიდან თაობას], ასევე გადაეცემა სულიერი ცხოვრებაც. გარდამოცემის მატარებელი და მიმღები ბერი, მას თავის სულიერ შვილს გადასცემს და მას ქრისტეში შობს. იგი გარდამოცემას იმას გადასცემს, ვისაც მისი მოპოვება სურს. ამაში მდგომარეობს მორჩილების მაცხოვნებელი აზრი (მნიშვნელობა). მორჩილება არა იმისათვის, რომ ნიველირებულ ვიქმნეთ, არამედ, რათა საკუთარ თავში ბოროტება მოვაკვდინოთ, საკუთარ ნებაზე უარი ვთქვათ და გარდამოცემა აღვიქვათ, რათა ჩვენში ქრისტე განსახიერდეს. მე მორჩილებას [მორჩილების ღვაწლს] ვეწევი, რათა ვიშვა. მორჩილება აუცილებელია იმიტომაც, რომ ცთომილების საფრთხე არსებობს. ამის შესახებ აბბა დოროთე წერს: „არაფერია იმაზე

უბედურება, არაფერია იმაზე მაცთუნებელი, როგორც ის, რომ ღმრთის გზაზე წინამძღოლი არ გყავდეს". იგივე მამა, სოლომონის იგავებიდან ადგილის განმარტებისას: ***„რომელთა არა აქუნდეს განკარგვა, დაცვიეს ვითარცა ფურცელი"*** (იგავნი, 11, 14) - ამბობს, რომ ფოთოლი („ფურცელი"), თავიდან მწვანე და აყვავებული, შემდეგ ხმება და ვარდება, მიგდებული და გათელილი. იგივე მოსდის სულიერი მოძღვრის არმქონეს. იგი სწრაფად ქრება და მტრების ხელმწიფებაში ვარდება. „თავიდან მწვანე, ხასხასა, თვალის გამხარებელი ფოთოლი ხმება და ვარდება, და ბოლოს, უგულებელყოფილი, ფეხებით ითელება. ასევეა არავისგან მართული ადამიანიც. თავიდან მას მოშურნეობა აქვს მარხვისადმი, მღვიძარებისადმი, მდუმარებისადმი, მორჩილებისადმი და სხვა სათნოებებისადმი; შემდეგ, ნელ-ნელა, როცა მოშურნეობა ქრება და მას თავისი წინამძღოლი არ ჰყავს, რომელიც შეაკავებდა და ზურგს გაუმაგრებდა ამ მოშურნეობას, იგი თანდათან ხმება, ვარდება და ბოლოს და ბოლოს, მტრების ხელმწიფების ქვეშ ექცევა, და ისინი მას იმას უკეთებენ, რაც სურთ".

- ერთ მაგალითს მოვიყვან, რათა შენ გაიგო, როგორ აუცილებელია ბერის [სულიერი მოძღვრის] ყოლა იმისათვის, რათა შეცდომებს გავექცეთ. მე ვიცნობდი მონაზონს, რომელმაც ლოცვისას, გულში ძლიერი ტკივილი იგრძნო. მან ამის შესახებ, მაშინვე თავის ბერს მოუთხრო. იგი შეშფოთდა და იმ გამოცდილების მიხედვით, რაც ჰქონდა, ჰკითხა, თუ გულის რომელ ნაწილში გრძნობდა იგი ტკივილს. როცა მონაზონმა უპასუხა, რომ ქვედა ნაწილში და გარედან, ბერმა უბრძანა: „შეწყვიტე ლოცვა ახლავე და ერთი კვირის მანძილზე არ ილოცო, რამეთუ ტკივილი გულის ზედა ნაწილში და შიგნით უნდა იგრძნობოდეს. ქვედაში ვნებანი მოქმედებენ და ნამდვილად, ბოროტმა რაღაც განიზრახა". და ამგვარად, მონაზონი ბოროტის განსაცდელისაგან განთავისუფლდა, რომელსაც უკვე მოქმედება დაეწყო. მამები თავისი გამოცდილე-

ბით გვასწავლიან: „როცა იხილავ ახალდამწყებს, ვინც თავისი ნებით ზეცაში ადის, ფეხში ხელი წაავლე და უკან ჩამოათრიე, რამეთუ ის მისთვის სასარგებლო არ იქნება".

მე იმ მორჩილს შევნატრე, რადგან მას დიდი სიმდაბლე და ასეთი წმინდა მრჩეველი ბერი ჰყავდა. და გამახსენდა ლექსი, რომელიც მორჩილისათვის წმინდა თეოდორე სტუდიელს მოჰყავს:

„მოდი მოღვაწევ, მომიახლოვდი, მოშურნე გახდი,
მოხარე ქედი და გულმოდგინედ დამემორჩილე,
სიმდაბლედ იქეც, მოაკვდინე სურვილნი შენნი.
გულის ყოველი ჩანაფიქრი გადამიშალე,
თითქოსდა იყო შენ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს,
არ შეუშინდე არც უდაბნოს და არცა სვეტსა,
არც სხვა ღვაწლს, გზაზე, ცხოვრებისკენ ღმერთში რომ მიჰყავს,
გაუსწარ ყველას, ღმრთის სიტყვაში როგორც სწერია.
რამეთუ პირველ წამებულთა გზებით მიდიხარ".

ბედნიერნი არიან მონაზონნი, სულიერ ცხოვრებას რომ ეწაფებიან! ვთქვი მე. ნეტარ არიან ეს ტკბილხმოვანი ფრინველები, გაზაფხულის ცვარ-ნამით - ღმერთით რომ ტკბებიან! ჩვენ არ ძალგვიძს ასეთი მდგომარეობების განცდა, რამეთუ საკუთარი უწმინდურების გამოფრქვეულ გაზებს ვთანთქავთ და მიწის მტვერით ვიკვებებით, ვჭამთ რა საკუთარ თავს.

მაგრამ, თქვენც ძალგიძთ ღმრთაებრივი დიდების სხივებით, ღმრთაებრივი ნათელის ბრწყინვით (ნათებით) დატკბობა. თუკი გსურთ ჭეშმარიტი ღმრთისმეტყველები გახდეთ, ლოცვა უნდა ისწავლოთ, რამეთუ მაშინ თქვენთან იქნება და იმოქმედებს სულიწმიდა. „თუ შენ ღმრთისმეტყველი ხარ, ჭეშმარიტად ილოცე, და თუ ჭეშმარიტად ლოცულობ, ღმრთისმეტყველი ხარ". აზრი, რომელსაც გამოვთქვამ, თქვენ ამის გაგებაში დაგეხმარებათ. ცოდვის ჩადენის (ძირითადად,

ხორციელის) შემდეგ, შესაძლებელია საღმრთისმეტყველო გამოკვლევის წერა და წმინდა მამათა ნაშრომების ანალიზით დაკავება, მაგრამ, შეუძლებელია ლოცვა, რამეთუ, ცოდვის მიზეზით, მადლი დაკარგულია. **ესე იგი, ჩერდება ლოცვა, მაგრამ არა თხზვა.** გამოდის, რომ ჭეშმარიტი ღმრთისმეტყველი ლოცვით ცხოვრობს. შესაბამისად, თქვენც გაქვთ უნარი, რომ ღმრთაებრივი განათლების გამამხიარულებელი ხმები აღიქვათ.

- როგორ? შეგეძლოთ, დიდად დამხარებოდით ამ საკითხში. იგი ძალიან საარსებო და აუცილებელია.

8. ლოცვა აუცილებელია ერში ყველა მცხოვრებისთვის.

- საჭიროა, რომ ვნებათაგან განწმენდის აუცილებლობა გაიაზრებიეროთ. მხოლოდ სხვათა განკურნება კი არ უნდა გსურდეთ, არამედ ამავდროულად, ღრმად უნდა გწამდეთ, რომ თქვენც (ისევე როგორც, ცხადია, ჩვენ ყველანი) ვნებებით აღსავსე ხართ. ყოველი ვნება ჯოჯოხეთია, და გარდა ამისა, ყოველივე ზემოთქმულთან შესატყვისად, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ლოცვა წამალია, რომელიც სულს მკურნალობს და მას წმენდს. რა თქმა უნდა, ლოცვა თავისთავად ყოვლისშემძლე არ არის, მაგრამ, ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ იგი განწმენდს ან განანათლებს ადამიანს, რადგან მას ღმერთთან აერთებს, რომელიც მხოლოა განმწმენდელი და განმანათლებელი. იგი სულისა და ხორცთა მკურნალია; იგია „ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად". კოლორიები (თვალის წვეთები) განმანათლებლებად იწოდებიან განწმენდის აზრით, რამეთუ ჩვენს თვალებს სხვადასხვა საგნების დანახვის საშუალებას აძლევენ, ასე რომ, საჭიროა საკუთარი თავის განწმენდას და განახლებას (ფერიცვალებას) ვესწრაფოდეთ, და ლოცვისას ღმრთისაგან განათლება ვითხოვოთ.

- თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენც, ვისი ცხოვრებაც ერში მი-

ედინება, ძალგვიძს, ვითარცა მონაზვნებს, ლოცვის ღმრთაებრივი ღვაწლის აღსრულება?

თუმცა, მთლად ისე არა, როგორც მათ, მაგრამ თქვენ ძალგიძთ და უნდა მიაღწიოთ ბევრს. ცხადია, აქ უნდა დავაზუსტოთ, რომ **ერთი საქმეა გონიერი ლოცვა და სულ სხვა - იესოს ლოცვა.** ესე იგი, გონიერი ლოცვა იმ სახით, როგორითაც ზოგიერთი ისიხასტია დაკავებული, უზრუნველ და გონებამოკრებით (კონცენტრირებულ) ცხოვრებას მოითხოვს. იგი მდუმარებას და მრავალ სხვას მოითხოვს, რის შესახებაც ჩვენ ახლახან ვლაპარაკობდით. თუკი თქვენ ერში გონიერი ლოცვა არ ძალგიძთ, რამეთუ ეს ძალზე ძნელია, საჭიროა გარკვეულ საათებში იესოს ლოცვით ლოცვა ან მისი კითხვა, როცა ამის შესაძლებლობა არის. და ეს თქვენთვის ძალზე სასარგებლო იქნება.

ხომ არ შეგიძლიათ რამდენიმე სასარგებლო პრაქტიკული რჩევის მოცემა?

საეკლესიო მსახურების გარდა, რომელსაც აღასრულებთ, რამდენიმე საათი იესოს ლოცვას, იესოს სახელის მოხმობას მიუძღვენით. მცირედან დაიწყეთ და იმ წყურვილისა და მადლის შესაბამისად იარეთ წინ, რასაც იგრძნობთ. შეგიძლიათ დაიწყოთ 30 წუთიდან მზის ამოსვლამდე და ოცდაათი წუთით საღამოს, ძწუხრის შემდეგ, ძილის წინ. აუცილებელია, რომ მუდმივი საათები გვქონდეს, რომელსაც არაფრით, კეთილი საქმეებითაც კი არ დავარღვევთ. ამ დროს, შესაძლოა, ვინმე ისეთი გამოჩნდეს, ვისაც აღსარების თქმა უნდა. თუკი იგი ავად არ არის, ან ამის განსაკუთრებული საჭიროება არ არის, ლოცვა სხვა დროისათვის არ გადადოთ. აუცილებელია აგრეთვე წყნარი და განმარტოებული ოთახი, სადაც ხმაური არ აღწევს და სადაც დაიწყება იესოს ლოცვა, ჩვენს მიერ მოხსენიებული მეთოდით. ესე იგი, თავიდან გულის განთბობა და წმიდა მამათა რომელიმე წიგნის კითხვა, რასაც გულის ლმობიერებამდე მივყავართ, და შემდეგ იესოს ლოცვის

გამეორება ბაგეებით ან გონებით, ან გულით (ჩვენს მიერ განვლილი განვითარების შესაბამისად). დროთა განმავლობაში, ლოცვისთვის გამოყოფილი საათები გაიზრდება და გულს გაახარებს და მათ ჩვენ სულიერი წყურვილის მოკვლის სურვილით დაველოდებით. მაგრამ, ვიმეორებ, თავიდან საკუთარი თავის თუნდაც მცირე დროისათვის იძულება იქნება საჭირო. და ეს დიდ სიკეთეს მოგვიტანს.

- საკმარისია თუ არა მცირე დრო?

არ არის საკმარისი. თუმცა, თუ განწყობა და სიმდაბლეა, ღმერთი ლოცვის არყოფნას აანაზღაურებს (შეავსებს). რამეთუ იგი, ჩვენი დაცემებისადმი ასეთი კაცთმოყვარე, ჩვენი ფერიცვალების მცდელობისადმი განსაკუთრებით მოწყალე არ იქნება? უფალი ავსებს უკმარისობას, ყურად იღებს თითოეული ჩვენგანის პირობებს და შესაძლოა, თქვენს მიერ ლოცვისათვის დახარჯული ერთი საათი უფრო აკურთხოს, ვიდრე მონაზონის მიერ ლოცვაში გატარებული ბევრი საათი, რამეთუ თქვენ სხვა საქმითაც ხართ დაკავებული.

მე გაოცებული ვიყავი აღიორიტი მონაზონის, ამ ხორცშესხმული ანგელოზის განსჯით, როგორ საოცრად მგრძნობიარედ არჩევს იგი ყველა პრობლემას და ამ თემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს აგვარებს.

- თუმცა, იცოდეთ, - განაგრძობდა ის, - რომ ლოცვის საათებში, როგორც ადრე ვამბობდი, ეშმაკი მრავალ განსაცდელს გაგიმზადებთ. რათა შეაჩეროს ლოცვა, გამოჩნდება უამრავი საქმე, რომელიც უნდა გააკეთოთ. მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა იცოდეთ, რომ უფალი ამით გცდით, ჭეშმარიტად გაქვთ ლოცვის განწყობა თუ არა. ასე რომ, თუკი თქვენ ეცდებით, იგი შესაწევნელად გამოეშურება და ყველა სიძნელეს გაანადგურებს.

- მაგრამ, მამაო, თუკი ლოცვის საათებში მე რაიმე სხვას ვფიქრობ, მაგალითად, როგორ მოვემზადო ქადაგებისათვის ან საუბრისათვის ან ძმის სიყვარულის გამო რაიმე სხვა გავაკე-

თო, უნდა მივატოვო ასეთი ფიქრი? ამით არ უნდა დავკავდე?

დიახ, ამგვარად უნდა მოიქცეთ. რამეთუ, ჩვენი კეთილი აზრებიც კი ლოცვის საათში (ხაზს ვუსვამ, ლოცვის გარკვეულ საათში), ბოროტისაგან მოდის და მის მიერ გამოიყენება, იმისათვის, რომ ჩვენ მასთან (ლოცვასთან) არ მიგვიშვას. თუ კი ეშმაკი დარწმუნდება, რომ საქმეთა გამო ჩვენ მზად ვართ ლოცვა მივატოვოთ, იგი მრავალ ასეთს გამოგვიგზავნის იმ საათშიც, რომელზეც ჩვენ მას (ლოცვას) გადავიტანთ. მაგრამ, მაშინ ჩვენ ვერც ვილოცებთ, ვერც განვიწმინდებით, არც საძმოსათვის ნამდვილად სასარგებლონი ვიქნებით. მაგალითად, ქადაგება, რომლის მომზადებისათვის ლოცვა მიიტოვება, ნაყოფს არ მოიტანს. იგი ძმათა სასარგებლო არ იქნება.

ზოგჯერ საკუთარ კელიაში გვიან დაბრუნება გვიხდება. ამ დროს ძალა დაკარგული გვაქვს, გამოფიტული და გამოწურული ვართ, და შეუძლებელია მაშინ ლოცვა და დადგენილი კანონის აღსრულება. რა უნდა გავაკეთოთ ასეთ შემთხვევაში?

მაშინაც არ შეიძლება ლოცვის მიტოვება. წმინდა სვიმეონი მიუთითებს, რომ ძმათა მსახურება არასოდეს არ უნდა იქცეს იმის საბაბად, რომ საკუთარ თავს ლოცვა მოვაკლოთ, რადგან მაშინ ბევრს მოვაკლდებით. არასოდეს უნდა გამოვიყენოთ გამართლება, რათა მასზე უარი ვთქვათ. დასასრულს ის ამბობს: „შენი ძალის მიხედვით, გულმოდგინედ იღვაწე მსახურებაში; კელიაში კი მოთმინებით, ლმობიერებით, ყურადღებით, ხშირი ცრემლებით ილოცე და არ იფიქრო შენთვის, რომ ახლა, მძიმე ფიზიკური შრომის მიზეზით, შეიძლება ლოცვა მიატოვო. გეუბნები შენ, რომ თუ საკუთარ თავს მსახურებისათვის აიძულებ, მაგრამ ლოცვას მიატოვებ, ბევრს დაკარგავ". ნახევარსაათიანი ლოცვა სამი საათის გამამხნევებელ ძილს უდრის. ლოცვაში წარმატებული ადამიანი, როცა ლოცულობს, ისვენებს და მშვიდდება. ამ მხრივაც, იგი ორ-

განიზმისათვის ძალზე მატონიზირებელ წამლად ითვლება. ასე რომ, მამაო ჩემო, ყველა საქმე ლოცვის ოქროს ზეწარში გაახვიეთ. ის, რომ ჩვენ უბედურებათა გროვა გვაქვს, ის, რომ ძმათაგან მრავალი განწყობას კარგავს და ბრკოლდება სულიერი მოღვაწეობის დროს, იმიტომ ხდება, რომ ისინი მიეჩვივნენ ბევრი იმუშაონ გონებით და არა გულით. ისინი იღლებიან იმაზე განსჯით, თუ რა თქვან, მაშინ, როცა, თუ მადლით ვცხოვრობთ, აზრები იოლად ჩნდება, ისინი სწრაფი მდინარესავით მოედინება. თუკი ძმები ერთურთში დაეობენ და შეუძლებელია მშვიდობის დამყარება, თუკი ჩვენ უსამართლო თავდასხმების გამო ვიწყლვებით, იმის ნაცვლად, რომ გვიხაროდეს ისინი (ქრისტეს მცნების მიხედვით), ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ლოცვასთან კარგი ურთიერთობა არ გვაქვს. წმინდა ნიკოდიმე მთაწმინდელს, - მისდევს რა ძველ ტრადიციას, - სურს, რომ ეპისკოპოსი მონაზონთა ფენიდან ირჩეოდეს. მონაზვნური წყობის მქონე, იგი ადამიანთაგან დევნით, ცილისწამებით, საყვედურებით, შეურაცხყოფებით არ შეძრწუნდება, რადგან უმალ თავის თავს პირველ ცოდვილად მიიჩნევს და თავს გაიმტყუნებს. და ამგვარად, იძენს ყველა ნაყოფს, რის შესახებაც ვსაუბრობდით. უმთავრესად კი სიყვარულს (რომელიც უხვ მადლთან არის დაკავშირებული) და შეურყეველობას, როგორც მამები ამბობენ.

რას გულისმხობთ, მამაო, მონაზვნურ წყობაში?

- მორჩილებას, სიმდაბლეს, თვითგვემას, ლოცვის დაუოკებელ წყურვილს. მორჩილება ბერისადმი და თავისი სულიერი მოძღვრისადმი. სიმდაბლე ყველას წინაშე და ცხადია, სიმდაბლე, ვნებათაგან განწმენდისათვის ბრძოლასთან რომ არის დაკავშირებული. ბევრი საქმეებით ნუ დავკავდებით, რამეთუ, სამწუხაროდ, ამ საკითხში ჩვენზე ცუდი გავლენა იქონია შეხედულებათა სხვადასხვა სისტემამ. უდიდესი საქმეა მოვიპოვოთ სიმდაბლე და სიწმინდე. მაშინ ჭეშმარიტად მდიდრები გავხდებით. ეკლესია სოციალური მსახურების სამინისტრო კი

არ არის, არამედ საღმრთო მადლის საუნჯეა. მღვდლები მოსამსახურენი და საზოგადო მოღვაწენი კი არ არიან, არამედ ისინი, ვინც საღმრთო ერს მწყემსავს. ეს კი სიმდაბლისა და სიწმინდის გარეშე ვერ გაკეთდება. მათ გარეშე, ყველაზე დიდი საზოგადო საქმეც კი ხშირად არარაობამდე დაიყვანება, მაშინ, როცა სიმდაბლესა და წმინდა ცხოვრებასთან ერთად, უმცირესი სოციალური საქმიანობაც კი კოლოსალურ მნიშვნელობას იძენს. სიმდაბლესთან უნდა დავაკავშიროთ თვითგვემაც, ესე იგი საკუთარი თავის დადანაშაულება. პირველებმა უნდა გავიკიცხოთ თავი. სხვათა მხრიდან პატივი არა თვითონ ჩვენ გვეკუთვნის, არამედ სამღვდლო ხარისხს, ესე იგი ჩვენში მღვდლობას მიაგებენ პატივს. სხვათა მხრიდან ბრალდებები კი მღვდლობას არ უნდა მივაწეროთ, არამედ საკუთარ თავს. მაშინ გვექნება მშვიდობა და უხვი მადლი ღმრთისაგან და ძმის სიძულვილის ნებისმიერ მიზეზს განვდევნით.

ასევე ლოცვის მოუკლავი წყურვილი. მას მხოლოდ გარკვეული დრო კი არა, მთელი ცხოვრება უნდა მივუძღვნათ. წარვემატოთ ლოცვაში, დაე, მისით იყოს კურთხეული ჩვენი ღმრთისმეტყველებაც და ჩვენი ქადაგებანიც, გვქონდეს კანონიც და იგი ყოველდღიურად აღვასრულოთ. ასე ცხოვრებით, სოფელი ჩვენგან რეალურ სარგებელს მიიღებს. მღვდლად ან ეპისკოპოსად გახდომისას, მაინც ერთი საზრუნავი უნდა გვქონდეს: რომ [საკუთარ თავში] მონაზონი არ დავკარგოთ. „პატერიკში" სწერია: „გვითხრობდეს მამისა ნიტრიაისთვის, რომელი იყო მოწაფე მამისა სილოანესი, რამეთუ ოდეს ჯდა სენაკსა თვისსა მთასა სინასა, წესიერად იპყრობდა თავსა თვისსა, ხოლო ოდეს იქმნა ეპისკოპოს, დიდძალი და ფიცხელი მოიპოა მარხვაი. მაშინ ჰრქუა მოწაფემან თვისმან: მამაო, ოდეს ვიყვენით უდაბნოს, არა ესრეთ იმარხევდ. მაშინ ჰრქუა ბერმან: მუნ უდაბნოი იყო და დაყუდებაი და სიმდაბლე სახმარ იყო და მიხმდა ხორცთა კრძალვაი, რაითამცა არა მოუძლურდი და ვეძიებდ, რომელ-იგი არა მაქუნდა. ხოლო აქა

სოფელი არს. დაღათუ მოუძლურდე, სახმარიცა აქუს აქა, რომლითა კუალად განვძლიერდე, **რაითა არა მონაზონებაი ჩემი წარვწყმიდო (რათა მონაზვნური წყობა არ დავკარგო)"**. მონაზვნური წყობის მქონენი, რითაც არ უნდა იყვნენ დაკავებულნი, კურთხევის აუცილებლობას გრძნობენ. შრომის მიმდინარეობისას ან დასრულებისას, ისინი მას ეპისკოპოსს ან გამოცდილ სულიერ წინამძღოლს ანდობენ, იმისათვის, რათა დასტური და შეგონება მიიღონ. ისინი ქებას არ ეძიებენ, რადგან ის, ვინც ნეტარებს და თავს იმაზე მაღლა სწევს, ვიდრე წარმოადგენს, ძლიერ ზიანდება. ჭეშმარიტად ასეა, მამაო ჩემო. და სადაც არ უნდა იყოთ ქუჩაში, ტრანსპორტში, თუ ა.შ. იესოს ლოცვა იკითხეთ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე", ან: „ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, მაცხოვნე მე". რაც შეიძლება ხშირად, დიდი მომზადების შემდეგ აღასრულეთ საღმრთო ლიტურგია და წმინდა საიდუმლოთ ეზიარეთ. ყოველი ქმნილება უგალობს და ადიდებს ღმერთს. არამსახური მღვდელი ამ არაჩვეულებრივ გუნდში დისონანსად ჩანს. კარგია, დროდადრო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს კანონის გალობა, რომელიც დიდ ჟამნშია, აგრეთვე ლოცვითი მიმართვები, - დაუჯდომლის მსგავსად, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ, „უხილავი ბრძოლის" ბოლოს რომ არის, რომელიც წმინდა ნიკოდიმე მთაწმინდელის მიერ არის შედგენილი იმ მიზნით, რომ გვაიძულოს ჩვენ „ხშირად გავიხსენოთ მაცხოვნებელი და უტკბილესი, და სახარულოვანი სახელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ყოველი სიკეთის მიზეზისა არა მხოლოდ ბაგეებით, არამედ გულით და გონებით".

ამას გარდა, თქვენი ამოცანაა სხვათათვის ლოცვა, რამეთუ ღმერთმა თავისი ხალხი თქვენ განდოთ; შესაბამისად, თქვენს მოვალეობებში შედის ლოცვა ამ ხალხის დამშვიდებისა და განათლებისათვის. ასე იქცეოდა დიდი მოსეც...

9. ლოცვა სხვათათვის.

- დიახ, მამაო აქამდე ჩვენ სხვათათვის ლოცვაზე არ გვისაუბრია. როგორ აღვასრულოთ იგი?

ერში, მამაო, ჩემო, დიდი უკეთურება, ცთომილება, ღმრთის შეუცნობლობაა, რომელიც, მამების სიტყვით, უდიდესი ცოდვაა. და ჩვენი ვალია ვიტიროთ და ვილოცოთ. წმინდა იოანე კიბისაღმწერელმა შეადგინა „სიტყვა მწყემსისადმი", უფრო ზუსტად, იღუმენისადმი, რომელიც (თუმცაღა), ნებისმიერ ეპისკოპოსს ან მოძღვარს განამტკიცებს, რომელიც (მოძღვარი) თითქოსდა თითოეული სულის ეპისკოპოსია. იქ კერძოდ, შემდეგია ნათქვამი. მღვდელი მწყემსის მსგავსად იქცევა, რომელიც, როცა ცხვრები ისვენებენ, სადარაჯო ძაღლებს ფარეხში თავისუფლად უშვებს, რათა მათ ფარა მგლებისგან დაიცვას. იმ ჟამს, როცა ქრისტიანებს სძინავთ, იგი მღვიძარებს, თავის გონებას (როგორც მოდარაჯე ძაღლს) თავისუფლებას აძლევს და მას სიფხიზლეს და თავის ხალხზე ღმრთისადმი ლოცვას აიძულებს. რაოდენ ბევრი ეწევა გარყვნილებას იმ დროს! რაოდენ ბევრი არის მზად თვითმკვლელობისათვის! რამდენია მზად საშინელი ბოროტმოქმედების ჩასადენად! რამდენი გაწბილებული და სიკეთისგან უკუქცეულია. ყოველი მათგანისათვის იკითხეთ ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეიწყალე მონანი შენნი" ან „მონა შენი", თუკი მხედველობაში გარკვეული შემთხვევა გაქვთ.

მსურს კითხვა დაგისვათ. ამას წინათ თქვენ ამბობდით, რომ ლოცვა სახეთა გარეშე უნდა მიდიოდეს. ახლა კი თქვით, რომ ყველასათვის უნდა ვილოცოთ, ვისაც ასეთი დიდი პრობლემები აქვს. ხომ არ ვითარდება ამ შემთხვევაში ფანტაზია და გონების გაფანტვის მიზეზი ხომ არ წარმოიქმნება, მაშინ როცა საკუთარ თავსა და გულში მის (გონების) მოკრებას უნდა ვესწრაფოდეთ?

კარგი ქენით, ასეთი კითხვა რომ დამისვით, რამეთუ განმარტება აუცილებელია. როცა ჩვენ სხვათათვის ვლოცუ-

ლობთ, ამას გარეგნულად ვაკეთებთ. ესე იგი, როცა ვინმესთვის, ვისაც ამის საჭიროება აქვს, ლოცვა გვსურს, პირველად ჩვენ ვკითხულობთ „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეიწყალე მონანი შენნი" ან „მონა შენი" (და მათს სახელებს ვიხსენიებთ), მაგრამ შემდეგ წარმოვთქვამთ „მონა"-ს ან „მონანი შენნი" დაუსახელებლად და გონებაც, არ ფიქრობს რა მათზე, არ იფანტება. უფალმა იცის, ვისთვისაც ჩვენ ვლოცულობთ. ასევე არ არის საჭირო პრობლემებში ჩაღრმავება, რომელიც ადამიანს აწუხებს, არამედ ვთქვათ „მონასა შენსა" და ღმერთი მას თავის მადლს მიაფენს. თუ იგი მისი მიღების ღირსი იქნება, იგი მას თავის საქმეში დაეხმარება. ღმრთის მადლი, მამაო ჩემო, წყალს ჰგავს, რომელიც ნიადაგზე მოედინება, ფესვების მიერ შეიწოვება და თითოეულ ხეს იმას აძლევს, რაც მას სურს. ამასვე არ ვუმზერთ ჩვენ საღმრთო ლიტურგიაზე? ჩვენ ვლოცულობთ ყოველგვარი საჭროებისთვის და ერი გვპასუხობს: „უფალო, შეგვიწყალენ"! ამიტომ, როცა ღმრთის წყალობა მოდის, იგი ადამიანს იმას აძლევს, რაც მას ნამდვილად სჭირდება. მაგრამ, სხვათათვის ლოცვა აუცილებელი სამოძღვრო ღვაწლია სხვა უმნიშვნელოვანესი მიზეზითაც.

მე მსურს ამის შესახებ მოვისმინო.

სხვაზე ლოცვისას, ჩვენ თითქმის მაშინვე ვიღებთ ღმრთისაგან უწყებას მასზედ, თუ რა განსაკუთრებული საჭიროება აქვს მას, და ამგვარად, ძალგვიძს ეფექტურად ვიმოქმედოთ მისი ხსნისათვის. ერთხელ ჩემთან კელიაში ვიღაც მოვიდა, რომელიც მე, როგორც საოცრად ნიჭიერ ქრისტიან ადამიანს მაქებდა. რამდენადაც, მართლმადიდებლობისათვის განდიდება უცხოა, მე მაშინვე საშინაო ეკლესიაში გავედი და ღმერთს ვთხოვე ჩემთვის გაეცხადებინა, თუ რა იყო ეს და შენ არ დაიჯერებ...

ჰოი, მამაო, რატომ არ უნდა დაგიჯერო?

ეკლესია მაშინვე სიმყრალით აივსო. და მე ვთქვი, რომ

ის კარგი კაცი არ არის, რამეთუ ქრისტეს მადლი არა აქვს. იგი მოკლებულია ცხოველმყოფელ საღმრთო მადლს და ამიტომ მკვდარია - „ცოცხლის სახელს ატარებს, მაგრამ მკვდარია". მსგავსად იმისა, როგორც სხეული კვდება და ავსურნელებას გამოსცემს, როცა მისგან სული გადის, ასევე კვდება და სულიერ ავსურნელებას ავრცელებს სული, როცა ადამიანისგან საღმრთო მადლი გადის.

მე განცვიფრებული ვიყავი. რამდენი რამ განმიცხადა დღეს ამ ბერმა და იმგვარად, რომ ეგოიზმში მისი დადანაშაულება არ შეიძლებოდა. წმინდანებმა ეს ყოველივე გადალახეს. ისინი იმიტომ კი არ საუბრობენ, რომ თავი დაგვიხატონ, არამედ რათა სარგებელი მოგვიტანონ. ყოველივე ღმრთის სადიდებლად. საღმრთო სჯული მათს სჯულად იქცა. იგი მთელს მათს წყობაში ღრმად არის აღბეჭდილი.

საერთოდ კი, მამაო ჩემო, განაგრძობდა იგი, იესოს ლოცვა ჩვენს საქმიანობაში აუცილებელია. ლოცვისას, თქვენს გულში ბოროტის მოძრაობა შეიძლება შეიცნოთ. გული განსაკუთრებულად მგრძნობიარე და წარმოუდგენლად განმჭვრეტი ხდება სატანის გამოცნობაში და ამავდროულად, ლოცვის საშუალებით დიდ ძალას ღებულობს იქიდან მის განსადევნად. ამგვარად, იგი (გული) სულიწმიდის დამტევ ჭურჭლად იქცევა. მაშინ გამოცდილებით, რომელსაც სატანასთან ომში მიიღებთ, და საღმრთო მადლის ცოდნით, თქვენ ძალგიძთ ძალზე წარმატებით შეხვიდეთ სხვის სულში და აღსარების ჩამბარებლის შინაგან სამყაროში შეაღწიოთ. სარგებელი აქედან კოლოსალური იქნება. აღსარებიდან სხვა ადამიანი წავა: ცნობილი და უცნობი ვნებებისგან განთავისუფლებული. მაგრამ, მე მსურს სამი თხოვნით მოგმართოთ, განაგრძობდა ბერი. - იმედი მაქვს, რომ ყურად იღებთ.

ყოველივეს, რაც არ უნდა ისურვოთ, ვუპასუხე მე. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შესრულებული იქნება.

მეუდაბნოის თხოვნა

პირველი. მონაზვნები - ლოცვის შემოქმედნი არიან. ქრისტეს მადლით, ისინი ეშმაკის ხელმწიფების ქვეშ მყოფ სფეროებში აღწევენ და მუსრავენ მას. მის ყველა გეგმას ამსხვრევენ. თრგუნავენ მას. სწორედაც რომ თრგუნავენ უწყვეტი ლოცვით. ერთი წამიც არ გადის, რომ მთაზე იესოსადმი და დედოფალი ღმრთისმშობლისადმი ღაღადისი არ გაისმას. და რამდენადაც ისინი ეშმაკს თრგუნავენ, იგი ძრწის. და ამიტომაც მისი ერთ-ერთი მთავარი საქმეა - კეთილ სურვილებს ხელი შეუშალოს, რომელიც ვინმეს მდუმარების მიმართ გააჩნია. ასე, რომ გთხოვთ, თქვენს ლოცვებში არ დაივიწყოთ მონაზვნები და ისინი, ვისაც მონაზვნობა სურს. მათზეც თქვით: "უფალო იესო ქრისტე, შეიწყალე მონანი შენნი" - და: "ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, აცხოვნე მონანი შენნი". მონაზვნობისთვის მზადმყოფებზე ბოროტი მათს სიყვარულს მიმართავს, ვინც მანამდე მათ მიმართ განურჩეველი იყო. ნათესავები და მეგობრები (მათ შორის სულიერიც) მშვენიერი სიტყვებით უცხადებენ თავის სიყვარულს და არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენენ. დღეს ადამიანები არ ლოცულობენ და ამასთან, არ უშვებენ მათ, ვინც ლოცვას ესწრაფვის. მათ სურთ, რომ ყოველმა ადამიანმა ლოცვის გარეშე მოახმაროს თავისი ძალისხმევა საზოგადოებას. და სოფელი დღეს კვდება და იტანჯება არა იმიტომ, რომ არ არიან ისინი, ვინც მისი საჭიროებებით დაინტერესდებოდა, არამედ იმიტომ, რომ მლოცველნი არ არიან. ბევრი ფიქრობს, რომ მონაზონთა შრომა (რომელიც, ძირითადად, ლოცვაში მდგომარეობს) უსარგებლო და არასაჭიროა, არ უწყის რა, რომ ლოცვა "სულიერი მოღვაწეობა, სისხლისმღვრელი ბრძოლა და დაუძინებელი მღვიძარებაა". მათ არც კი სურთ იცოდნენ, რომ ვინმე მათს პრობლემაზე ლოცულობს. ამგვარად, ისინი თვით მონაზვნობისადმი სწრაფვას ებრძვიან და ეშმაკის იარაღად

იქცევიან. ეშმაკი ასევე ესწრაფვის, რომ ხორციელ ცოდვაში ჩააგდოს ისინი, ვინც მონაზვნობისათვის ემზადება, მათ ფრთები მოუწვას და მონაზვნური ცხოვრების გზაზე შედგომა გაუძნელოს. აი, რატომ ვთქვით, რომ რაც უფრო ძლიერია ტკბობა ერში, მით უფრო მეტად მწუხარებენ მონაზვნობაში განწმენდისას.

მეორე. მომიხსენე მეც შენს ლოცვებში, რათა ღმერთმა შემიწყალოს. ვშიშობ, რომ, ვაითუ, ჩემი უზრუნველობის გამო ღმრთის მადლს მოვაკლდე. ვაითუ, დაიმსხვრეს ჩემი ხომალდი ამ წყნარ ნავსაყუდელში. ილოცე, რათა უფალმა მომანიჭოს, "ქრისტიანობითი აღსასრული ცხოვრებისა ჩემისა, უჭირველი, ურცხვენელი, უშფოთველი და კეთილად დგომა წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა". ევედრე დედოფალ ღმრთისმშობელს, რათა მან მანუგეშოს და განმამტკიცოს. ყოველ საღამოს მე განსაკუთრებით ვთხოვ მას, რომ იგი იყოს ჩემი მეოხი და შემწე ამ ცხოვრებაში და ჩემი განსვლის ჟამს განაძევოს ყველა ეშმაკი, ვინც ჩემი სულის მოტაცებას მოისურვებს, სამსჯავროს დროს კი მიხსნას საუკუნო სატანჯველისაგან და ღირს მყოს სამოთხის ნეტარებისა. შენც ილოცე ჩემთვის, რათა მე მოვინანიო. მსურს ჩემს ცოდვებზე ვიტირო და ჩვენი უფლის წყალობას ვეღირსო.

მესამე. შენთვისაც გამოიყენე, ჩემო ძმაო, ქრისტეს შოლტი. „იესოს სახელით გაშოლტე შენი მტრები". იესოს ლოცვით ილოცე, რათა ღმრთის წყალობა მოიპოვო. ნუთუ არ იცი, თუ როგორი დიდება განუმზადა უფალმა ცაზე მის მოყვარულთ, როგორი ნათელი და სასიხარულო დღესასწაული ელოდება მართლებს? ნუ დავრჩებით ქრისტეს ეზოს მიღმა. დაე, ნუ მოვისმენთ: **„არა გიცნი თქუენ".**

მეუდაბნოემ ამოისუნთქა და განაგრძო: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი. შეიწყალე მონაც შენი... ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, შემიწყალე მე და მონაც შენი..." შემდეგ თავი ჩაღუნა და მდუმარებაში ჩაეფლო.

გპირდები, შევასრულო სამივე შენი თხოვნა, წმინდაო

მოძღვარო, რამეთუ შენ ამ საღამოს ჩემს სულს ნათელი აჩვენე. რადაც არ უნდა დამიჯდეს, შენს პირველ თხოვნას შევასრულებ. ასევე მეორესაც, თუმცა ამის საჭიროება არ არის. მესამეს კი საკუთარი თავისკენ მივმართავ.

მე მის მუხლებთან დავეცი და შევბღავლე, მხურვალე ცრემლებით სახედალტობილმა:

-შენთან ახლოს დამტოვე და ცხონებაში შემეწიე. მე ერში დაბრუნება არ მსურს. მე ახლა ჩემი ცხონება ვიპოვე. ამიყვანე, წმიდაო მამაო და მასწავლე. ჭვრეტის მისტიური საფეხურები მიჩვენე. განმიღე იესოს სახელის ეზო და მისი ყოველი განსასვენებელი მაჩვენე. მე ბრმა ვარ და ვყვირი: „შემიწყალე მე!" მე მეზვერე ვარ, რომელსაც ცოდვამ გადასახადი დააკისრა და ვღაღადებ: „შემიწყალე მე!" მე ბოროტი სულით ვარ შეპყრობილი და ვიტანჯები: „შემიწყალე მე!" მე უცხოტომელი ვარ, ქანაანელი ქალის მსგავსად, მაგრამ შეწევნის თხოვნას ვბედავ: „შემიწყალე მე!" მე ჩემი ცოდვებისგან ვარ კეთრმოდებული და მთელი სულით ვყვირი: „შემიწყალე მე!" მე უძღები შვილი ვარ, დაბრუნებას რომ ცდილობს. მე... მე... ღმრთისა კი არა, ეშმაკის შვილი ვარ. დამიტოვე შენთან ახლოს. არ მომცე, მამაო, აქედან წასვლის ნება. მსურს აქვე მოვკვდე, რათა ამ უდაბურ და უნაყოფო ადგილას იკეთილსურნელოს ჩემმა სულმა და მე ღმერთი ვიხილო. ცრემლები იქნება ჩემი საკვები. მსურს ღმრთის ქნარად ვიქცე და თქვენსავით ვიგალობო: *„უძილ ვიქმენ და ვიყავ, ვითარცა სირი მხოლოი სართულსა ზედა. იყვნედ ცრემლნი ჩემნი პურ ჩემდა დღე და ღამე. რამეთუ ნაცარი ვითარცა პური ვჭამე და სასუმელი ჩემი ტირილით განვზავი. დავშუერი მე სულ-თქუმითა ჩემითა, დავბანო მარად ღამე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო, რამეთუ დავივიწყე შეჭმა პურისა ჩემისა ხმისაგან სულთქმისა ჩემისათა, მიეწება ძვალი ჩემი ხორცსა ჩემსა. სიტყვათათვის ბაგეთა შენთასა, მე დავიცვენ გზანი ფიცხელნი. სურის სულსა ჩემსა შენდამი...*

ქუეყანასა უდაბურსა, უვალსა და ურწყულსა. სიხარულო ჩემო, მიხსენ მე მათგან, რომელთა გარემომიცვეს მე". გესმის, მამაო? არ წავალ! აქ დავრჩები. აქ ვიცხოვრებ, აქ მოვკვდები, აქედანვე ავალ ზეცად. მიჩვენე მე მამა...

იგი არ მპასუხობდა, შესაძლოა, მპასუხობდა კიდეც, მაგრამ მე რაიმეს მოსმენა არ შემეძლო. მე მხოლოდ მისი ბოლო სიტყვები გავიგე.

შვილო ჩემო, ერშიც საჭიროებაა. წადი, იშრომე და ღმრთის ნება აუწყე. „წადი სახლში და მოჰყევი, თუ რა გაგიკეთა ღმერთმა".

მე სასარგებლოდ ჩავთვალე, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მაინც, რომ დავმორჩილებოდი. ეს ჩემს მიმართ ღმრთის ნება იყო.

მაშინ პირობა მომეცი, ვთქვი მე, რომ შენს ახლოს რამდენიმე თვის გატარების და ღმრთის სასუფევლის შესწავლის ნებას მომცემ.

- რადგანაც გსურს, მიგიღებ. ახლა მე მცირე ხნით დასასვენებლად წავალ, რამეთუ შუაღამე ახლოვდება და მალე საღმრთო წირვას აღვასრულებთ. მოემზადე, რომ დღეს ჩვენთვის მსახურება აღასრულო.

დღეს საღამოს ძილი დასვენებას ვერ მომგვრის. კელიაში არ მიმეჩქარება. დღეს საღამოს მე დავიბადე და მოვინათლე. მაკურთხე, რომ ეს დრო პატარა ბაღში გავატარო. ასეთ საათებში საუკეთესო სიწყნარეს მღვიძარებით მოიპოვებ. „ღამის დაუძინებელი გუშაგები" მთავარანგელოზის ხმას ისმენენ, ღმერთკაცს თაყვანს სცემენ და ღმერთკაცდებიან.

- გაკურთხებ. ღმერთი იყოს შენთან.

შუაღამე მთაწმინდის უდაბნოში

მე გავედი და ქვაზე დავჯექი. სრული სიბნელე ჩამოწვა. ზღვის ღელვა შორიდან ისმოდა. მარადისობის მთელმა სიტკბოებამ მოიცვა ჩემი მშფოთვარე სული. სრული სიჩუმე იყო. მე აშკარად ვგრძნობდი ღმერთკაცის ყოფნას, რომელმაც იცის, თუ რითი შეავსოს ცარიელი (უდაბური) ადგილი და თითქოსდა გაჩერებული დრო. ასეთი მომენტი მე ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ განვიცადე. პირველად, როცა ჯერ კიდევ ყრმა, ჩემი ნათლიის ხელებში მყოფი, ვისმენდი ქადაგებას და მისი ბაგეებით განვდევნე ეშმაკი, რათა წმინდა ემბაზში შთაფლვას ვღირსებოდი და ქრისტეს სხეულის ღირსეული წევრი გავმხდარიყავი. მეორედ, - ამ საღამოს, იქ, მთაწმინდის განმარტოებულ ადგილას, როცა ბერის დაუღალავი და კურთხეული ბაგეებით მოვისმინე ქადაგება, რათა სინანულის მეორე ემბაზში შესვლისა და ღმერთთან შეხვედრის ღირსი გავმხდარიყავი. იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ მე მაშინ ბევრი რამ (თითქმის არაფერი) არ მესმოდა, ახლა კი ლამის სრულად ვაკონტროლებ ღმრთისაგან ყოველ მოძრაობას... ამ საღამოს ღმერთმა მე თავისი მანანა გამომიგზავნა და წმინდა მეუდაბნოის საშუალებით დამანაყრა. ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: ***„ნეტარია, ვისაც სიონში ოჯახი და იერუსალიმში ნათესავები ჰყავს".*** ამას ძალზე ღრმად განმარტავს ათონელი მონაზონი, სტავრონიკიტას მონასტრის იღუმენი: „ჩვენ ყველას შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნეტარნი ვართ, რამეთუ გვაქვს ოჯახი მართლმადიდებლობის სიონში **მთაწმინდაზე** წმინდა მოღვაწეთა სახით და ასეთივე ნათესავნი ზეციურ იერუსალიმში. ისინი ჩვენთვის ცხოვრობენ და **ნათელსა და სასოებას** წარმოადგენენ ახლანდელ და მომავალ ცხოვრებაში".

მე პრაქტიკაში მსურდა განმეხორციელებინა ის, რაზეც მოღვაწე ბერი მესაუბრებოდა, რომელიც ამ საუბრისას, ჩემთვის ჭეშმარიტად წარმოჩნდა „უფრო იდუმალმხედველად, ვიდრე სჯულის მოძღვრად" (აბბა პიმენი). მე თავი დავხარე და იგი მუხლებს შორის მოვიქციე (როგორც ამას ერთ დროს ელია წინასწარმეტყველი აკეთებდა კარმელის მთაზე) და გულის განთბობა დავიწყე, რათა შემდეგ იესოს ლოცვას შევდგომოდი.

ღამის საათები ცხოველსმყოფელია მონაზონთათვის, რომელნიც „უწყვეტი ლოცვის სახელოსნოებია, ვისი სასიამოვნო სამეცნიერო შრომაც არის გულში იესოს ხსოვნა". ღამე კეთილ ზემოქმედებას ახდენს მონაზონთა ანგელოზთასწორ ცხოვრებაზე, ამიტომ მას (ღამეს) უპირატესობას ანიჭებენ გონიერი ღვაწლისა და ლოცვის დროს. მონაზონები ღამეს აუქმებენ, რამეთუ მონაზვნური ცხოვრება ყოველივეს აუქმებს. იგი სიკვდილს აუქმებს, რადგანაც ქორწინებით სიცოცხლე გადაეცემა, მაგრამ ამავდროულად სიკვდილიც გადაეცემა. იბადება ახალი არსება, რომელსაც სიკვდილი მოელის. ქალწულებრივი ცხოვრება კი ბოლოს უღებს სიკვდილს ადამიანის ტირანს. მონაზონში იწყება მარადისობა ნამდვილი ცხოვრება; იგი ესქატოლოგიური სინამდვილით, ცხოვრების ანგელოზური წესით ცხოვრობს. უფალმა თქვა: ***„ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინებენ; ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნენ საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მას მკუდრეთით, არცა იქორწინებოდიან, არცა განქორწინებდენ"*** (ლუკა, 34-35). მონაზონი სხვა საუკუნეს ეკუთვნის. ამჟამინდელი ცხოვრება მარადისობად, დროებით უდროობად იქცევა! „ქალწულება, თუმცაღა ქვეყანაზე დაიარება, ზეციერის თანაზიარია" (წმინდა მეთოდე ოლიმპიელი). ამიტომაც, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქალწულებრივი ცხოვრება ღამის გაუქმებაა. ესქატოლოგიური და ანგელოსური ცხოვრების დროს, ღამე დღედ იქცევა. თუ აპოკალიფსის მი-

ხედვით, „ღამე იქ არ იქნება", მაშინ აქაც მათთვის, ვინც ხორცში მყოფი ანგელოზია, ღამე არ უნდა არსებობდეს. კრავი, მზე, ქრისტე ყველას განანათლებს!

როგორც წმინდა მამები ამტკიცებენ, „ღამე ყველასათვის სასარგებლოა": მოქმედთათვისაც და მჭვრეტელთათვისაც. მოქმედნი - ეს ის მონაზვნებია, მონაზვნური ცხოვრების პირველ ეტაპზე რომ იმყოფებიან, რომელთათვისაც აუცილებელია თავის ვნებებთან ბრძოლა, რათა ისინი საღმრთო სიყვარულად გარდასახონ. ისინი - „მესაქონლეები" არიან, რომლებიც ცდილობენ „საქონლის" - სულის ბიწიერი მდგომარეობების ალაგმვას. მჭვრეტელი მონაზვნები ისინი არიან, ვინც ეს ეტაპი გაიარა, ეგვიპტის მონობიდან (ვნებებისგან) განთავისუფლდა და უვნებობის უდაბნოს მიაღწია. ეს „მწყემსებია", რომელნიც ცხვარს (სუფთა გონებას და წრფელ გულს) მწყემსენ ღმრთისხილვის მწვერვალებზე. მამები ამბობენ, რომ მონაზონთა ორივე კატეგორიისთვის ღამე აუცილებელი და სასარგებლოა. მოქმედნი იხსენებენ დღის განმავლობაში ჩადენილ ცოდვებს, „დაცემათა მიერ შეძრწუნებებს". ცხოველმსყოფელი მადლის შემწეობით ისინი „ჭეშმარიტებით და არამეოცნებეობით, სულის და ხორცის ერთგვარ მდგომარეობას" იძენენ და შემდეგ ღაღადებენ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე". ისინი ქვეცნობიერების მღვიმეებში თავის დანაშაულებრივ აზრებს, სასირცხვო სურვილებს და ცოდვით საქმეებს არ ტოვებენ, არამედ მადლის ძალით ამ მღვიმეებში შედიან და ყოველივეს აძევებენ, რაც უკუაგდეს, და ამგვარად, იკურნებიან, გულსა და გონებას არა მხოლოდ რთული, ადვილი აზრებისგაც ათავისუფლებენ. მჭვრეტელნი სხვაგვარად ატარებენ ღამის საათებს. არაბუნებრივი მდგომარეობისგან განწმენდილნი, ძირითადად, ერთსამება წმინდა ღმერთს ადიდებენ. მათი გონება მდუმარებაშია. ისინი აზრსა და გულს ჭვრეტის მწვერვალებისკენ მიმართავენ. შებინდებისას, ისინი შექმნის დღეზე ფიქრობენ, როცა *„ქუეყანაი იყო უხილავ და*

განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა“. როგორც კი ჩნდება ვარსკვლავები, ისინი მათს შექმნას იხსენებენ და ანგელოზთა მსგავსად, რომლებმაც მაშინ მყისვე განადიდეს ღმერთი, ქებას უგალობენ ახლა ღმერთს ყოველი ქმნილების გამო. იმ დროს, როცა სხვებს სძინავთ და თითქოსდა არ არსებობენ, ისინი ღმერთთან მარტოდ დარჩენილნი მღვიძარებენ და ადიდებენ მას, როგორც ადამი ცოდვითდაცემამდე. ჭექა-ქუხილისა და ღელვის დროს ისინი საშინელი სამსჯავროს დღეზე ფიქრობენ. ფრინველთა ჟივჟივში ისინი იმ საყვირის ხმას ისმენენ, საფლავებიდან მკვდრეთით აღდგომისაკენ რომ მოუწოდებს. დილის ცისკარი და განთიადი მათ პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის, ძე კაცისას ნიშნის გამოჩენას შეახსენებს. მზის ბრწყინვა მათ სიმართლის მზის ქრისტეს დიდებით მოსვლას ახსენებს. მაშინ ქრისტეს განდიდებისათვის წამომდგარნი ეს წმინდანებია, „რომელნიც ღრუბლებზე აღიტაცებიან, რათა უფალს ჰაერში შეხვდნენ". ისინი კი, ვინც მზის ამოსვლისას ღმრთის დიდებაზე არ ზრუნავს და სძინავს გასამართლებას დაქვემდებარებული ცოდვილები არიან...

იმ ღამით მე ამგვარად ცხოვრებას ვცდილობდი. ასეთი აზრებით ვცდილობდი ჩემი ცოდვილი და ცივი გულის განთბობას. მისი განთბობისას, მე დაახლოებით ისე ვლოცულობდი, როგორც ნეტარი ავგუსტინე: „შენ საკვირველი მშვილდი და მახვილი დანა ხარ, თავისი ძალით ადამიანის გულის უხეშ ჯავშანს რომ ხვრეტ, განმსჭვალე ჩემი გულიც შენდამი სწრაფვის შუბით, რათა გითხრას სულმან ჩემმან: „განვსძღები შენი სიყვარულით, და სიყვარულის ამ ჭრილობიდან დღითა და ღამით უხვი ცრემლები იღვრება. ანუგეშე, მეუფეო, და დაამშვიდე მატლმოდებული სული ჩემი შენი სიყვარულის უმჭრელესი სამართებლით, შედი მის სიღრმეში შენი ძლიერი ძალით, მიეცი თავსა ჩემსა წყალი დაუშრეტელი, თვალთა ჩემთა ცრემლთა მარადმდინარი წყარონი, რათა უსაზღვრო სიყვარულითა და შენი მშვენიერი პირის ხილვის სწრაფ-

ვით შეპყრობილი, მუდმივად ვგოდებდე, არასოდეს ჩავვარდე არანაირ ხიბლში ამ ცხოვრების დროს, და ღირსვიქმნე ზეციურ სასახლეში უსაყვარლესი და უმშვენიერესი სიძის - ჩემი უფლისა და ღმრთის ჭვრეტად... განაღე სულის ბაგენი, შენდამი რომ სწყურის, შენი დაუშრეტელი განძღომის უმაღლეს ნაკადებისკენ რომ ისწრაფვის, და მიიზიდე შენსკენ ცოცხალი წყაროსაკენ, ღმერთო ჩემო, ცხოვრება ჩემი, რათა მისგან რამდენადაც შესაძლებელია, ვსვა და საუკუნოდ ვიცოცხლო. ჰოი, წყაროო ცხოვრებისაო, აღავსე გონება ჩემი შენი სიყვარულის ფხიზელი აღტაცებით, რათა განვეშორო ამაოსა და ქვეყნიურს და მხოლოდ შენ ერთი მახსოვდე..." და შემდეგ მე ჩემი ძალისამებრ იმ ლოცვას ვიმეორებდი, რომელიც მე მოღვაწე ბერმა მასწავლა. რამდენ ხანს დავყავი იქ, არ შემიძლია გავიხსენო. ეს ის მომენტი იყო, როცა საათის ისრები ჩერდება. მარადისობამ დრო შეაჩერა.

დიდი ხანია, შუაღამეს გადასცდა. მე უკვე ვარჩევდი მოღვაწეთა კალივებს, რომელნიც თანდათან ნათდებოდა. დგებოდნენ ღამის ბულბულები, რათა ეგალობათ. „მშვიდობისმყოფელი ნაკადულები" რათა ირბინონ და მორწყან ჩვენი დაურწყულებელი ქვეყანა. „მთის ცეცხლოვანი კოშკები" - რათა გაანათონ. „სურნელოვანი და დამატკბობელი შროშანები" - რათა კეთილსურნელებით აღავსონ ქვეყნიერება. მალე კელიებიდან მათი ხმები მოისმება, აღსავსე სინანულის ცრემლებითა და გონების გაცისკროვნებით. ისინი წამოდგნენ, რათა განადიდონ ქრისტე და სთხოვონ მას, რომ მოჰფინოს მათ თავისი ღმრთაებრივი მადლი, თავისი უხვი წყალობა.

„იესო, სიკეთეო გარეშემოუწერელო და უმშვენიერესო, დიდებისგმეტყველებ შენ, ნებასთან ძალის შემაწყვილებელო.

იესო, სიყვარულო ზეაღმატებულო და ყოვლადსასურველო, დიდებისგმეტყველებ შენ, უსასრულო სამყაროთა დამამყარებელო.

იესო, გზაო, ჭეშმარიტებაო და სიცოცხლეო, გმადლობ

შენ, რამეთუ მიმიძღვ ჭეშმარიტებასთან საღმრთოთა და ცხოველმსყოფელთა სიტყვათა შენთა.

იესო, საბოლოო მიზანო ნეტართა ჭვრეტისაო, გმადლობ შენ, რამეთუ ულირსი ბუნება ჩვენი ღირსჰყვენ ეგეოდენსა დიდსა დიდებასა შენსა.

იესო, ნათელო, ზეაღმატებულო ყოველთა სინათლეთაო, აღვიარებ, რამეთუ ბნელსა შინა ცოდვისასა ვიმყოფები.

იესო, უკანასკნელო მსაჯულთაგან, აღვიარებ, რამეთუ არასოდეს, ვითარცა ჯერ არს, სიყვარულითა შენითა ვიწყლვები.

იესო, ცხოველსმყოფელო და უტკბილესო სითბოო, განმათბე მე, გაყინული.

იესო, ვარსკვლავთმსგავსო და ყოვლადნათელო სამოსელო, დამამშვენე მე, განშიშვლებული.

იესო, დაუსაბამო, და საშუალო, და სასრულო ჩემო, განწმინდე გული ჩემი და წარგიდგე შენ.

იესო, ყოველთა და ყოველივესა ზედა მყოფო ღმერთო ჩემო, გამომიჩინე პირი შენი და ვცხონდე...

იესო, საიდუმლოო ყოვლადშეუცნობელისა მდუმარებისაო, მქმენ მე აღმატებულ ყოველივე გრძნობასა და აზრსა ზედა.

იესო, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე".

მთაწმინდა ამ საათებში გიზგიზებს. ეშმაკი კივის, მონაზონები თავისი ღვაწლით ღმერთს უერთდებიან...

საღმრთო ლიტურღიის (ფირვის) აღსრულება

მე საკმაოდ დიდხანს განვაგრძობდი იესოს ლოცვის კითხვას. ვიხსენებდი ნაცნობებს, ძმებს, მეგობრებს – ერში მცხოვრებთ, და იმ ჟამს აუცილებლობას ვგრძნობდი, რომ ღმერთისთვის მათს გამო მხურვალედ მეთხოვა.

და აი, მე საღმრთო ლიტურღიის აღსასრულებლად მომიხმეს, რომელიც კალივის მცირე ეკლესიაში უნდა ჩამეტარებინა. ეს როგორი საღმრთო ლიტურღია იყო! რა დიდებული! მე ვიცოდი, რომ საღმრთო ლიტურღია მთელ ღმრთისმეტყველებას და ღმრთისმხედველობას წარმოადგენს. მე ვიცოდი, რომ საღმრთო ლიტურღია – ნამდვილად ქრისტეს გოლგოთა და აღდგომაა. მაგრამ, იმ ღამით მე რეალურად განვიცადე და გავიგე ეს. გავიგე, რომ საღმრთო ლიტურღია – მორწმუნის ცხოვრების ზღვარია. „ეს არის ზღვარი ცხოვრებისა, როცა ვინმე მას მიაღწევს, მას ბედნიერების ძებნა აღარ სჭირდება“ (წმინდა ნიკოლოზ კავასილა). დიახ, ეს მორწმუნის უდიდესი ბედნირებაა. და მე ის სწორედ იმ ღამეს განვიცადე.

მხოლოდ რამდენიმე კანდელი ანათებდა ტაძარში ქრისტეს, ყოვლაწმინდა ღმრთიმშობლის და წმინდანთა ხატებს. სამი მორჩილი ბერთან ერთად, თითქოსდა გაშეშდა ძველ სტასიდებში და საიდუმლოს (წირვას) განიცდიდა. ისინი არა მხოლოდ თვალს ადევნებდნენ მსახურებას, არამედ მეხმარებოდნენ კიდეც! მათი შესახედაობა ცხოვრებაში მოთხრობილ წმინდანთა სახეებს ჰგავდა! იტყოდით, რომ ისინი კედლებიდან ჩამოვიდნენ და აღდგომას განიცდიდნენ. რბილი, არც თუ მაღალი ხმები – მწუხარებაში ჩაძირული. ფსალმუნთგალობა საღმრთო სიყვარულით მოწყლული გულიდან, საღმრთო სიყვარულით სავსე სულიდან გამოდის. აქ ცხადად იგრძნობა და შეიმეცნება, თუ როგორ შორს არის ამისაგან საერო ადამია-

ნი, ვინც ღვაწლსა და შემუსვრილებაში არ ცხოვრობს.

ვაღიარებ, რომ ის საღმრთო ლიტურღია ჩემთვის პრობლემას წარმოადგენდა. ცხოვრებაში არასდროს მიგრძვნია ასეთი დაბნეულობა და ასეთი ამოუწურავი სიხარული. დაბნეულობა, რამეთუ მე წმიდათა შორის ვიმყოფებოდი. როცა მე კურთხევაზე გამოვედი სიტყვებით: „მშვიდობა ყოველთა“ – მე სუფთა ადამიანურად უხერხულად ვიყავი. რამეთუ მათ ჰქონდათ მშვიდობა, მაშინ როცა მე, ვფიქრობ, რომ დამშვიდება მესაჭიროებოდა. მოციქულის კურთხევის გაგზავნისას: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღმრთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა“ – მე კარგად ვაცნობიერებდი თუ რას ვაკეთებდი. მე კურთხევა და მადლი გავუგზავნე მათ, ვინც მადლით არის აღსავსე. „ზე გვაქვდინ გულნი“ – ვუთხარი იმ ხალხს, ვისაც იგი მუდამ ზეცაში აქვს. ერთადერთი, ვისაც ეს წართქმა სჭირდებოდა, მე ვიყავი. მე განსაკუთრებით ვგრძნობდი ჩემს ცოდვილობას ლოცვისას „არავინ არს ღირს.“ ნამდვილი შემუსვრილებით და შეუწყვეტელი ცრემლებით ვკითხულობდი ლოცვას: „მოიხილე ჩემს ცოდვილსა და უხმარსა, მონასა შენსა ზედა, და განსწმინდე სული ჩემი და გული ცნობისაგან ბოროტისა, და ღირს მიჩინე მე ძალითა სულისა შენისა წმიდისათა, შემოსილი მღვდლობისა მადლითა, წარდგომად წმიდისა ამის ტრაპეზისა შენისა, და მღვდელ-მოქმედებად წმიდისა უხრწნელისა ხორცისა შენისა და პატიოსნისა სისხლისა შენისა. რამეთუ შენდა მოვივლტვი მომდრეკელი ქედისა ჩემისა და გევედრები შენ, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, ნუმცა განმყოფ მე მონათა შენთაგან, არამედ ჯერიჩინე შეწირვად შენდა, ჩემ ცოდვილისა და უღირსისა მონისა მიერ, მსხვერპლი ესე.“

თუმცა, მე ღმრთის მადლს ვგრძნობდი, და ღმრთის მუნ მყოფობით სულში სიტკბოება მეღვრებოდა. ადრე მეუდაბნოის ბრძნული დარიგებებით და კურთხევით განწმენდილი, მე

ახლა ვარგისი აღმოჩნდი, დაბრუნებულ სასუფეველში ცხოვრებისათვის.

როცა ზიარების დრო დადგა, მე ამაღელვებელი მომენტი განვიცადე. ასკეტური ღვაწლისაგან ფერცვალებული სახეებით, ნათლის ჭვრეტითა და მასში ცხოვრებით განათლებული მონაზვნები მიახლოვდებოდნენ, რათა მიეღოთ იესო, ზიარებულიყვნენ წმიდა საიდუმლოს, მიეღოთ მადლი ქრისტეს განღმრთობილი სხეულის სისრულისაგან. ლოცვა სიყვარულს ასაზრდოებს; რამდენადაც მხურვალეა სიყვარული, მით უფრო მეტად გვაახლოებს სიყვარულის საყდართან და სიყვარულთან გვაერთებს. რამდენადაც ეზიარებიან, იმდენად იზრდება ლოცვისადმი მოშურნეობა.

„ეზიარება მონა ღმრთისა, მონაზონი... ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, მოსატევებლად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ". დიახ, ასე. მათ საუკუნო ცხოვრება მიიღეს. „ესე არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიცნან შენ, ერთი ჭეშმარიტი ღმერთი და შენგნით მოვლინებული იესო ქრისტე". პრობლემაა – აღასრულო ლიტურღია და უქადაგო ქრისტე მათ, ვინც მადლით განიღმრთო – ქრისტე უკვე აქ არის. „ღმერთი ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთად მყოფის მიერ განღმრთობილთა შორის".

ადამიანის ასონი საღმრთო ზიარებასთან ერთად ნათელმოსილნი ხდებიან. ზეციური საკვების, სულიერი მანანას მიღებისას, ჩვენ მას ხორციელად არ გარდავქმნით, არამედ „სხეული გარდაიქმნება მასში". ყოველივე ბრწყინავს!

ზიარების შემდეგ, მგალობელ-მეფსალმუნის მოვალეობის შემსრულებელი, მთაწმინდის წესდების მიხედვთ შემდეგს ამბობს („აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე"-ს შემდეგ): „ამინ, ამინ, ამინ. მოსატევებლად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ. დაე, აღივსოს ბაგენი ჩვენნი, ქებითა შენითა, უფალო, რამეთუ ვგალობთ დიდებას შენსა, რამეთუ ღირს მყავ ჩვენ ზიარებად წმიდათა შენთა, ყოვლადპატიოსანთა და უკვ-

დავთა საიდუმლოთა. დაგვიცევ ჩვენ სიწმინდესა შინა შენსა, მარადღე გვასწავლე ჩუენ სიმართლენი შენი. ალილუია, ალილუია, ალილუია". ამისთვის ეზიარებიან, რათა მთელი დღე ქრისტესთან იცხოვრონ და ისწავლონ წმინდა, სანატრელი და საყვარელი მისი სახელი.

საღმრთო ლიტურღიის დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთი მონაზონი სამადლობელ ლოცვებს კითხულობს. მაშინ, ამ საკვირველ მომენტებში შესანიშნავად აღიქმება ლოცვები, რომლებიც წმიდა მამათა მიერ არის შედგენილი, როგორც სამადლობელი წმიდა ზიარების შემდეგ. აი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესადმი ლოცვა: „ მომეც ყოფად ამისა მეცა განსანათლებლად თვალთა გულისა ჩემისათა შეძინებად საღმრთოთა მადლთა შენთა, შენისა სასუფეველისა თვისებად. რათა სიწმიდითა შენითა დაცული, მადლსა შენსა მოვიხსენებდე მარადის და არავინ თავით თვისით ცხოველ-არს, არამედ შენდამი, მეუფისა ჩემისა და ქველის-მოქმედისა..." ანდა ლოცვა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისადმი, რომელსაც ათონზე განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ: „ მშობელო ჭეშმარიტისა ნათლისაო, განანათლენ საცნაურნი თვალნი გულისა ჩემისანი, რომელმან ჰშევ წყარო უკვდავებისა, ცხოველმყავ მე მომკვდარი ცოდვითა. წყალობის მოყვარისა მოწყალისა ღმრთისა დედაო, შემიწყალე მე. და მოეც ლმობიერება და შემუსვრილება გულსა ჩემსა, და სიმდაბლე ზრახვათა ჩემთა, დაჰხსნა ტყვეობისაგან გულის-სიტყვათა ჩემთა. და ღირსმყავ მე ვიდრე უკანასკნელ აღმოფშვინვამდე, დაუსჯელად მიღებად ყოვლადწმიდათა საიდუმლოთა, განსაწმენდელად, საკურნებელად სულისა და ხორცთა, და მომმადლენ მე ცრემლნი სინანულისა და აღსარებისანი, გალობად და დიდებად შენდა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა. რამეთუ კურთხეულ ხარ და დიდებულ უკუნისამდე, ამინ".

ეს ლოცვები ნათელსა და ცხოვრებაზე საუბრობენ და კიდევ სინანულის ცრემლებზე.

საღმრთო ზიარების შემდგომ, კიდევ უფრო ძლიერდება სულიერი ცხოვრება. ქრისტე აუცილებელია ასკეტური ღვაწლის გასაგრძელებლად.

მცირე ეკლესია იმ ღამეს (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის) მთელ მართლმადიდებლობას წარმოადგენდა. ქრისტეს მოსვლის საიდუმლოს. იაკობის კიბეს. გულის სიღრმეში ძახილი ისმოდა: *„ვითარ საშინელ არს ადგილი ესე. არა არს სხუაი ესე, გარნა სახლი ღმრთისაი და ესე ბჭე ზეცისაი“*. აქედან წმინდა მამანი ზეცად ადიან და მარადისობის ღირსნი ხდებიან.

ადრე უფალმა წმინდა მეუდაბნოის მეშვეობით განმკურნა მე და განკურნა ჩემი სისუსტე. ახლა კი, საღმრთო ლიტურღიისას, ტაძარში მე ღმერთი ვიხილე და ვიცანი იგი, როგორც ეს დავრდომილს დაემართა. უფალმა იგი საბანელში განკურნა, განკურნებულმა კი ტაძარში იცნო იგი და თაყვანი სცა მას.

იმ ღამეს მე მკვდრეთით აღვდეგი: „ჰოი, ღამევ, უნათლესო დღისა; ჰოი, ღამევ, მზეზე გამხარებელო; ჰოი, ღამევ, თოვლზე უთეთრესო; ჰოი ღამევ, ელვაზე მბრწყინავო; ჰოი ღამევ, ძილის განმგდებელო; ჰოი ღამევ, ანგელოზებთან ერთად მღვიძარების მასწავლებელო“ (ასტერიუსი).

ცხადია, მე ვთვლი, რომ ერთი დღე მთაწმინდაზე, მთელი წლის სამეცნიერო კვლევებზე ღირებულია. განმარტოებულ კალივაში გატარებული ერთი ღამე უნივერსიტეტის დიპლომზე ღირებულია. მეუდაბნოესთან მოკლე საუბარი – ვიტამინებით სავსე კოვზი, უფრო ღირებული, ვიდრე ის ათასი სახეობის სისულელე, რასაც ყოველდღე ვჭამთ.

მე მთაწმინდას განვიხილავ, როგორც მართლმადიდებლობის კიდობანს, რომელიც ბევრს არ საუბრობს, მაგრამ ბევრს განიცდის. იგი ამა და იმ სოფლის საზღვარია. „იმყოფება რა ამა და იმ სოფლის საზღვარზე, მთელ სათნოებათა წყაროს წარმოადგენს“ (წმინდა გრიგოლ პალამა). იგი – მართლმადი-

დებლური სამყაროს მწვანით დაფარული მდელოა. თითოეული მეუდაბნოე – ჩვენი სარწმუნოების კვდომის სულის მდუმარე წინააღმდეგობაა, რის გამოც დიდია მისი მნიშვნელობა მთელი კაცობრიობისათვის. აქ არის სინანულისა და მართლმადიდებლობაში ცხოვრების შესაძლებლობა; აი, რატომაა, რომ იგი ბევრს აძლევს ეკლესიას და ერში მცხოვრებ ხალხს. თითოეული მეუდაბნოე – ეს იონაა (კარგი აზრით), რომელიც თარსისში (უდაბნოში) მიდის, მაგრამ, „ზღვის მხეცს" (ღმრთის მადლს) იგი ნინევიაში, დიდ ქალაქში (ერში) მიჰყავს, რათა სინანული, ღმრთისადმი მოქცევა უქადაგოს.

„კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაი. ვქმნეთ აქა სამ ტალავარ." (მათე. 17,4; მარკოზი, 9,5; ლუკა, 9,33). თუმცა, ჩემთვის აქ ტალავარი ვერ მოიძებნა. საუნჯის – იესოს ლოცვის მიღების შემდეგ, რომელიც მე ბერმა განმიცხადა, ერში უნდა დავბრუნებულიყავი და იგი მისი ძალით „დამებომბა". მთელს საბერძნეთში გამომეცხადებინა იმ უდიდეს საუნჯეზე, რომელიც მთაწმინდას აქვს. არა წარსულის ოქროს რელიკვიებზე, არა ოქრომკერდით ნაქარგ სამოსელზე, არა ოქროს ჭურჭელზე, არა მაღალმხატვრულ ხელნაწერებზე, არამედ მადლიან ლოცვაზე, რომლის ძალითაც შექმნილია ყოველივე ზემოთჩამოთვლილი.

ჩამოსვლა ჩემი თაბორიდან

როგორც კი ინათა, მე მამის კურთხევის აღება და მთიდან ზღვისკენ დაშვება ვისურვე – როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. სულიერი მთიდან ცხოვრებისეულ ზღვაში. მე იგი (ბერი) უშფოთველი, დამშვიდებული, იესოს ლოცვის მკითხველი და თავის ხელსაქმეზე მომუშავე ვიხილე. იგი შრომობდა, რათა რამდენიმე ორცხობილა და ყველაზე აუცილებელი რამ გამოემუშავებინა სასიცოცხლოდ.

– ილოცე ჩემთვის, – ვუთხარი მე და მისი ხელის საკოცნელად დავიხარე.

– გზა მშვიდობისა, შვილო, დედოფალი ღმრთისმშობელი ყოფილიყოს შენთან. დაე, განგანმტკიცოს შენ წმინდა სამებამ: „უფალმა დაიცვას სული და ხორცი შენი ყოველივე ბოროტისაგან, ეშმაკის ყოველი ქმედებისაგან და უსარგებლო ოცნებებისაგან; უფალი იყოს შენი საფარველი, შენი ნათელი, შენი გზა, შენი სიმაგრე, შენი სიხარულის გვირგვინი და საუკუნო თავშესაფარი. ყური უგდე საკუთარ თავს“. ყოველთვის განუყრელ მეგზურად გქონდეს იესოს ლოცვა და ილოცე ჩემთვის, რათა ღმერთმა შემიწყალოს

მონაზვნის ლოცვები – მთელი ცხოვრებაა. ღმრთის მჭვრეტელი გულიდან გამომავალი ლოცვები.

– გმადლობთ, მამაო, ყოველივესათვის. ილოცე ჩემთვის, ჩემი მეგობრებისათვის, ჩემი სულიერი შვილებისათვის, ჩემი ნათესავებისათვის. ილოცე, ილოცე, წმინდა ლევიტელო. ილოცე მთელი მსოფლიოსათვის, რამეთუ შენ ცასთან ახლო ხარ. ილოცე, მამაო. შენ კაცობრიობისთვის ყველაზე საჭირო კაცი ხარ. ილოცე. შენ მართლმადიდებლობის აღუხოცელი საუნჯე ხარ, როგორც მრავალი სხვა, წმინდა მთის საგანძურში დაცული. ილოცე, ილოცე, ჩვენთვის, ცოდვილთათვის. შენ – უდაბნოში აღმართული სპილენძის გველი ხარ, ჩვენ კი, ცოდვის გველებით მოწყლულნი (დაგესლილნი), შენი შე-

ხედვით ვიკურნებით. შენ ჩვენი მოსე ხარ, ხელნი რომ ლოცვად ზე აღგიპყრია, ჩვენ კი აქ ქვემოთ, მტერს ვამარცხებთ. არ დაუშვა ხელები, რამეთუ შეგვმუსრავს ჩვენ მტრული, სატანური ძალა, ილოცე, მამაო.

– უფალმა შემიწყალოს მე, შვილო ჩემო.

– მაკურთხეთ.

– ღმერთმა გაკურთხოს! მომავალი წლისთვის დაგელოდები.

ვითარცა მრავალფრთიანი ფრინველი, ვითარცა ექვსფრთიანი სერაფიმი, ვითარცა ცეცხლოვანი და ცეცხლითმოსილი ელია წინასწარმეტყველი, ვეშვებოდი მე მთიდან სანაპიროსკენ, რათა გემზე დავმჯდარიყავი. ჩემი გონება არ მუშაობდა. აზრი გაჩერდა. მხოლოდ გული ენთო. აჩქარებით ცემდა. და ისე, რომ კარგად არ მესმოდა, მე იმ შედეგს ვგალობდი, რომელიც მთაწმინდის მამათათვის ცნობილმა მთაწმინდელმა, წმინდა ნიკოდიმემ შეადგინა: „ვინ მოგვითხროს შრომათა თქვენთა შესახებ, ნეტარნო მამანო? ან ვინ უგალობოს ღირსეულად ღვაწლთა თქვენთა სათნოებებს? – გონების სიფხიზლეს, უწყვეტ ლოცვას, სათნოებათა გამო სინდისის მტკივნეულ ტანჯვას, სხეულის არად მიჩნევას, ვნებათაგან განთავისუფლებას, ღამისთევაზე დგომას, მუდმივმდინარე ცრემლებს, ფარულ ჯვარცმას, გონების სიმდაბლეს, ეშმაკთა ძლევას, ნიჭთა სიმრავლეს ჰოი, ღირსთა კრებულო, ღმრთით კურთხეულო და მისთვის მოსურნევ! ჰოი, ღმერთშემოსილო საფუტკრევ, მთაწმინდის ნაპრალებსა და მღვიმეებში – ვითარცა გონიერ სკებში – მდუმარების უტკბილესი თაფლის შემგროვებელო! სამების სიტკბოებაო! ღმრთისმშობლის შემამკობელო! ათონის ქებაო! და მსოფლიოს მიერ წმინდად პატივდებულნო! გვიშუამდგომლეთ (მეოხ გვეყვენით) წინაშე უფლისა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისო, ლოცვითა წმიდათა შენთათა, შემიწყალე მე ცოდვილი!

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, მაცხოვნე მე!

დასასრული

ახლა, ვუახლოვდები რა დასასრულს, მე ვგრძნობ აუცილებლობას, რომ უსასრულო მადლობა და დიდებისმეტყველება აღვუვლინო ყოვლადწმიდა სამებას, რომელმაც აღმიხილა თვალნი, შემეწია, რომ სულიერად შეერთებოდი წმინდად სახელდებულ მთას, სათნოებათა წყაროს და გამეცნო წმინდა ადამიანები, ღმერთკაცთა ცხოვრებით რომ ცხოვრობენ. „ცხოვრობენ ქუეყანასა ზედა, ხოლო მოქალაქობა აქვთ ცათა შინა". მათთან ნაცნობობის და საუბრის წყალობით და მათი რჩევების წყალობით, მე სულიერი ცხოვრების კიდევ ერთი განზომილება შევიძინე, რომელიც მორალიზირებისა და უნაყოფო კეთილმსახურებისაგან შორს არის. მე სულიერი თავისუფლება და ცხონების შესაძლებლობა შევიცანი და ქრისტიანობის მისია ღრმად ვიგრძენი.

მე უსასრულოდ მადლიერი ვარ ღმრთის მადლისა, რომელმაც ღირს-მყო იმ საუბრის აღსაწერად, რომელიც მე მთაწმინდაზე მქონდა. ცხადია, რომ კალმით შეუძლებელია იმ წმინდა და ცხოველი შეხვედრის საკმარისად წარმოდგენა, რამეთუ სიტყვები ძალიან მწირია და ხშირად უსარგებლო ამ მიზნისათვის. თუმცაღა, იმ მცირედან, რაც აქ არის წარმოდგენილი, შესაძლოა (თუნდაც, სუსტად) იმ მადლიანი განწყობის დაჭერა, რაც წმინდა საუბარმა გამოიწვია.

მწამს, რომ რამდენიმე ადამიანი მაინც მოიძებნება, რომელთაც (შესაძლოა, სხვადასხვაგვარად) ეს მოკლე აზრები შეეწევა. ჩემი რწმენა იმ ფაქტს ემყარება, რომ მე ეშმაკისაგან ბევრი ვიგემე ამ საუბრის აღწერის პერიოდში. მე ვგრძნობდი მას ჩემს სიახლოვეს და იმას, თუ როგორ ცდილობდა ის ყველანაირად ხელის შეშლას. თუმცა, ცხოველსმყოფელი მადლის ძალა შემეწია მე ამ ნაშრომის დასრულებაში.

ყველა მართლმადიდებლისათვის ცნობილია, რომ ჩვენი

ცხონება შესაძლებელია. ეს შესაძლებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვენ „ღმრთის ხატად“ ვართ შექმნილნი და რომ არის „ხატი ღმრთისა“ – ღმერთკაცი ქრისტე. მრავალი მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველი ხაზს უსვამს იმ ჭეშმარიტებას, რომ ღმერთკაცი ქრისტე არის ყველა ანთროპოლოგიური პრობლემის გადაწყვეტა. ქრისტოლოგია – ანთროპოლოგიის საფუძველია. და როცა მამები ერესთა (მწვალებლობათა) საწინააღმდეგოდ მოღვაწეობდნენ, ისინი ამას კაცთმოძულეობის გამო კი არა, კაცთმოყვარეობის გამო აკეთებდნენ. მათ ბრძოლით შეინარჩუნეს ღმერთკაცის შესახებ მოძღვრების სიწმინდე; ისინი ამას ადამიანის ცხოვნების სახელით აკეთებდნენ. რამეთუ, ერეტიკულ ბოროტებასთან (ძირითადად, ღმერთკაცის პიროვნების საკითხში) ერთად, ჩვენი ცხონების შესაძლებლობა სრულიად იკარგება. მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, ღმერთკაცის იპოსტასში (პიროვნებაში) „უცვალებლად, განუყოფლად, განუშორებლად“ შეერთდა სრული ღმერთი და სრული კაცი. ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი. ასეთი ორმაგი ბუნება, ჩვენ ჩვენი განღმრთობის შესაძლებლობას და იმედს გვაძლევს. ღმერთკაცმა ქრისტემ განაღმრთო კაცობრივი ბუნება, რომელიც ქალწული მარიამისაგან (უცოდველად) მიიღო, და განადიდა იგი. ახლა ადამიანური იპოსტასები (ცხონების ყველა მსურველი) უნდა განიღმრთონ. ეს კი სინანულისა და ღმერთკაცთან შეერთებისა და ქრისტე იესოში ცხოვრების მისწრაფების დროს ხდება. განწმენდას განათლება და ქრისტესთან შეერთება მოაქვს. „სადაც განწმენდაა, იქ არის განათლება. პირველის გარეშე მეორე არ მოგვეცემა“ (წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი).

ამაშია ღმრთისა და სიტყვის ღმრთაებრივი განკაცების აზრი. „სიტყვა იქცა ხორცად (კაცად), რათა, მამათა სიტყვისამებრ, ხორცი (კაცი) სიტყვად იქცეს“ (ღირსი მარკოზ განშორებული). ღმერთკაცს ძალუძს აცხოვნოს კაცი და აღადგინოს „წინათ დაცემული ხატი“. ამიერიდან ადამიანსაც აქვს

შესაძლებლობა, რომ ღმერთკაც ქრისტეს წყალობით ღმერთკაცად იქცეს. როგორც სიტყვა ღმერთი, განგებულებით, კაცად იქცა, ასევე კაციც, მადლის მიერ, შესაძლოა, რომ ღმერთად იქცეს (განიღმრთოს). ჩვეულებრივ ქრისტეშობის დღესასწაულზე, ხაზს უსვამენ ზნეობრივ ნაყოფებს, რომელიც ქრისტეს შობისაგან წარმოიქმნა: მშვიდობა, სიყვარული, სიმდაბლე და ა.შ. მაგრამ, ყველა ისინი იმდენად არსებობს, რამდენადაც კაცობრივი ბუნება ღმრთაებრივ ბუნებას შეუერთდა და ამგვარად, დამშვიდებული და მადლმოსილია, და იშვა ღმერთკაცი – გამომსყიდველი იესო. ჩვენი სიხარული იმაშია, რომ „იშვა ჩვენთვის მაცხოვარი". იშვა ღმერთკაცი. იესო ჩვენი ცხონების მაუწყებელი კი არ არის, არამედ თვითონაა ცხონება. სწრაფი სტუმარი კი არ არის ჩვენს ცოდვილ მიწაზე რომ გაიარა, არამედ „ვანახლება", სოფლის ახალი საწყისი, ახალი ჯანსაღი ფესვი, კაცობრივი ბუნების განმაცხოველებელი, რამეთუ ჩვენ ადამის ძველი ცოდვილი ფესვით ვართ დაავადებულნი. მან ჩვენ ცხოვრება (სიცოცხლე) მოგვიტანა და ჩვენ შეგვიძლია „მადლიან ზეთისხილად" ვიქცეთ. შესაბამისად, ღმერთკაცის გარეშე ცხონება არ არსებობს, არამედ მხოლოდ გაუცხოება და გასასტიკება. ის, ვინც იესოთი არ ცხოვრობს, ღმერთს, თავის თავს და თავის ახლობელს შორდება. ღმერთი მისთვის უცნობი უცხომიწელია, თვითონ იგი მხეცად და საქონლად იქცევა. წმინდა მაქსიმეს სიტყვით „ღმრთისაგან განშორებული გონება, ან ტკბილვნება ცხოველად იქცევა, ან მხეცდება და ადამიანებს ებრძვის". ახლობელი მისთვის სიხარული კი არა, ტანჯვაა. ამგვარად, ღმრთისაგან განშორებული იშლება და იხრწნება ან „ლეგიონად" გადაიქცევა და ხდება რა ამგვარად აპოკალიპტური მხეცის – ეშმაკის განსახიერება, არაბუნებრივ მდგომარეობაში ვარდება, რაც უმყოფობაა. ღმერთკაც ქრისტესაგან განშორებული ადამიანი, ნიკოლოზ კავასილას მიერ ხასიათდება, როგორც „არარაობა", „ნული", რამდენადაც „ქრისტეს მხარ-

დაჭერა აკლდება". მხოლოდ ღმერთკაცში მცხოვრები ადამიანია – ჭეშმარიტი ადამიანი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველ ადამიანს აქვს საშუალება, რომ ან ღმერთკაცად ან მხეცკაცად იქცეს. სწორედ ასეთი იქნება ისტორიის დასასრული.

ჩვენ მოგვეთხოვება, რომ საკუთარ თავში ქრისტე განვახორციელოთ, საკუთარ თავში სიტყვა განვახორციელოთ. ეს მაშინ მიღწევაა, როცა ჩვენ ეკლესიაში ვცხოვრობთ და მის საიდუმლოებებში მონაწილეობას ვღებულობთ: „ეკლესიის საიდუმლონი – განყენებულნი სიმბოლოები კი არაა, არამედ რეალობა, ეს ის ნიშნებია, რომლითაც თვით ეკლესიის ცნობაა შესაძლებელი, რომელნიც (საიდუმლონი) მასთან არიან დაკავშირებულნი, როგორც სხეულის ასონი – გულთან, ყლორტები – მცენარის რტოსთან და ვიხმართ უფლის შედარებას, მორჩი-ვაზთან" (წმინდა ნიკოლოზ კავასილა). ქრისტესთან ეს შეერთება ხდება იესოს სახელის მოხმობისას, იესოს ლოცვის ხსოვნისას. „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე". გარდა ამისა, იესოს ლოცვა ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული საღმრთო ლიტურღიასთან. აქ, ამ მცირე ლოცვაში დაფარულია ჩვენი წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი ღმრთისმეტყველება. აი, რატომ უნდა გვახსოვდეს უტკბილესი და სიხარულისმომგვრელი იესოს სახელი. ლოცვა მხოლოდ მონაზონთა საქმე არაა. ცხადია, მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ განუწყვეტილივ მისით იცხოვრონ. თუმცა ჩვენც, ცოდვილებსაც შეგვიძლია ვილოცოთ (იესოს ლოცვით). ამ მიზნისათვის გარკვეული საათები გამოვყოთ. დავიწყოთ ათი წუთით დილას და ათი წუთით საღამოს, და შეძლებისდაგვარად, იესოს ლოცვა შეუწყვეტლივ წარმოვთქვათ. საჭიროა, რომ რამდენიმე წუთი გამოვყოთ, რომელსაც ხელს არაფერი შეუშლის. დროთა განმავლობაში პერიოდი გაიზრდება და .სულსა და ბაგეებს დაატკბობს... იგი გზაშიც, ძილის წინაც, ყოველთვის უნდა წარმოვთქვათ, როცა თავი-

სუფალი წუთი მოგვეცემა. მეუღლეებმა და ოჯახის ყველა წევრმა, დაე, ის ცოტ-ცოტა დილა-საღამოს იკითხონ. ერთმა ის, დაე წყნარად და მოკრძალებით წარმოთქვას, სხვებმა კი მოუსმინონ. იგი სახლში ბევრ სიხარულს მოიტანს. არის მრავალი, ქორწინებით დაკავშირებული ადამიანი, ვინც მისით იყო დაკავებული და სასწაულები იხილა... **ყველა, ვისაც მისით სიღრმისეულად დაკავება სურს, გამოცდილ ხელმძღვანელს საჭიროებს.** ამავდროულად, ჩვენი ცხოვრება მცნებათა მიხედვით უნდა წარვმართოთ, რამეთუ ქრისტეს პიროვნება მის საქმესთან და მოძღვრებასთან არის დაკავშირებული. მცნებათა შესრულებით, მადლს მოვიხვეჭთ. „მცნების მიმღები და შემსრულებელი, [თავის შიგნით] ფარულად წმინდა სამებას ატარებს“ — გვასწავლის წმინდა მაქსიმე.

თუკი, ჩემო ძმაო, ამ წიგნიდან სარგებელს ნახავს, გთხოვ, რომ ჩემთვის, ამ საუბრის აღმწერისათვის, ლოცვა აღავლინო, რათა მე მოვინანიო და ღმრთის წყალობა მოვიპოვო, რათა ღმერთკაცში ვიცხოვრო, ეკლესიაში ვიცხოვრო, ღმრთივსათნოდ ვიცხოვრო. მთელი სულით გთხოვ ამას.

[illegible]

[illegible]

[illegible]